

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევობით

ფასი 1,50 ლარი

22 ივნისი 2007

№13 (39)



ლუკიანეს ნადიმი

აკლდამა, ხანჯალი, ჩექმა

ვინ არის ნამდვილი მწერალი?

ზურაბ ლავრელაშვილის მოთხრობა

გადაძახილი ჰემინგუეისთან

სად წავიდნენ ანგელოზები

შინაარსი

რედაქტორის გვირგი	2	აკლდამა, ხანჯალი, ჩიქმა
ქვეყანა-ინტერვიუ	4	ყველა თაობას – თავისი გასაკეთებელი (საუბარი თამარ მიქაძესთან)
ჩვენი ყოფა, წუთისწული	6	ელა გორიაშვილი რა არის სამშობლო...
პროზა	8	ზურაბ ლავრელაშვილი ვერძი ზვარაკად
პოეზია	18	გიორგი გამსახურდია მარტოსულები და სხვა ლექსები
	19	ნაილი ნეკერიშვილი სად ნაპიძენე ანგალოზები
ლაბორატორია	22	ქრისტინე ლავანტი მაჯლაჯუნა
	24	თამარ კოტრიკაძე პატარა მაჯლაჯუნას ამბავი (მთარგმნელის მინანქრის მაგიერ)
გამოხვევა	26	ივანე ამირხანაშვილი ვინ არის ნამდვილი მწერალი?
	27	ნინო ყულოშვილი სამძიმარ ვუთხრა ჭირისა
ღებულების გვირაბი	28	საბრალო ქოლერიკი – დამნაშავეთა სამყაროს რისხვა (XIX საუკუნის სენსაცია)
გზავრის წერილები	30	როსტომ ჩხეიძე პუნძული პეჩორაზე (რობინზონიადას ერთი რტო)
ფიქრი და განსჯა	33	ირაკლი ბათიაშვილი ისტორიის დასასრული თუ ცივილიზაციითა შეჯახება?!
დრამატურგია	39	მაია სარიშვილი კატა ისევ წვიმავი
პირველი შთაბეჭდილება	42	საბა სულხანიშვილი გადაქანილი ჰემინგუეისთან
რეპორტაჟი	43	ეკა ბუჯიაშვილი მზე ალაზნის ველიდან (სოლომონ დოდაშვილის სულის მოსახსენიებლად)
კლასიკური მემკვიდრეობა	46	ლუკიანე სამოსატელი ნადიმი ანუ ლაპითები
ეპისტოლე	55	მარინე გელაშვილი ვინაა მწერლობა გვიყვარს (ლია ბარათი ზვიად კვარაცხელიას)
სილუაბი	56	მურმან ჯგუბურია მოქალაქე ანუ ცოტა რამ სულიერი სარჩო-საბადებლის შესახებ (ოთარ ჩხეიძე)
ქრიტიკა	58	ნინო ვახანია გამარჯვება საკუთარ თავზე
უხსოვარი ნოველა	60	ხოსე მარტი სამი გმირი
მოზაიკა	63	თბილისში ნამასვენებდითო

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო "ომეგა ტეგი" სააპრინტო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
სააპრინტო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ბეჭდვის ნომერი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოსაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯინიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფარულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: მდინარე პეჩორა, ირაკლი ბლუიშვილის ფოტოსერიალიდან
მაია სარიშვილი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 6 ივლისს

აკლდამა, ხანჯალი, ჩექმა

თითქოს დაიძრა ოფიციალური სიტყვა ალექსანდრ გრიბოედოვის საფლავის ამოსაგდებად მთანმინდიდან, მაგრამ ის სიტყვა იქვე ჩაქრა და მიიკარგა.

ხმაური კი მოჰყვა ოპოზიციური პარტიებიდან, მაგრამ არა ყოფილა ის ხმაური ისეთი მძაფრი, მაინცდამაინც მას მორიდებოდნენ ამ იდეის გადმომსროლელნი. ის კი არა, ბევრად ცხარე და დაუშოშმინებელი გამოძახილი გვახსოვს, საპროტესტო აქციებითა და გამოსვლებით დაგვირგვინებული და... აინუნშიც არ ჩაუგდიათ და ხელისუფლება კვლავაც თავის გეზს მიჰყოლია ნირშეუშლელად. და თუ ერთი-ორჯერ მაინც შეეცვალათ ნირი, გრიბოედოვის საფლავის თემა კოჭებამდეც ვერ შეწვდება იმ სატკივართა სიმწვავეს.

ან ოპოზიციამ რატომ გამოიძო თავი ამჯერად?

ან ცივცხელად რატომ დაუთმეს თავგამოდებულთ ისე, რომ კამათიც არ გაუგრძელებიათ და არც დაპირებით დაპირებთან, კიდევ დაუვრუნდებითო?

არ არის ეს სიტყვა ასე ადვილად ჩასაქრობი და მისაქარგი.

ბოლოსდაბოლოს, მთანმინდის გადაქცევა მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონად გრიბოედოვის აკლდამის აგებით დაიწყო, – ხელზე ეს დაეხვიათ საფლავის შენარჩუნების მომხრეთ, თითქოს დრო და ისტორია ერთ ადგილას ჩერდებოდა და მათი გარდუვალი ცვლილება შესაფერის გარდასახვასა თუ სულაც გადატრიალებას არ იწვევდეს ადამიანისა და საზოგადოების ცნობიერებაში.

რა ისეთი მნიშვნელობა აქვს, რა გახდა მთანმინდის პანთეონის შექმნის უნებური ბიძგი.

ანდა როგორ უყურებდნენ მის არსსა და დანიშნულებას საუკუნის წინათ?

იაკობ გოგებაშვილმა სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, ჩვეული თადარიგანობით დაიწყო ფიქრი და ანონდანონვა, სად უჯობდა დაკრძალვა: მთანმინდას (სადაც დიმიტრი ყიფიანის ძვალშესალაგს უკვე შემატებია ილია ჭავჭავაძის სამარეც) თუ დიდუბეში. ახლობლებსაც დაეკითხებოდა ჭკუას და ისინი... დიდუბეს ურჩევდნენ იმ მოტივით, იქ უფრო ივლის ხალხი, თორემ მთანმინდა უპატრონო, გაველურებული ადგილია და ადამიანის ფეხი აქ ძალზე იშვიათად მოხვდებაო. ეს მოსაზრება ზუსტად

ეთანხმებოდა იაკობის ფიქრსაც და ამიტომ დაიბარებდა ანდერძად დიდუბეს და არა მთანმინდას.

და მთანმინდის უბნიდან მის ნეშტს იქვე ახლოს კი არ დაკრძალავდნენ, დიდუბის ეკლესიის გალავანამდე ატარებდნენ.

მაგრამ დადგებოდა ის დრო, როდესაც იაკობ გოგებაშვილის ძვლებს მაინც დაუბრუნებდნენ მთანმინდის უბეს – მის დანაბარებზე მეტი მნიშვნელობა მიენიჭებოდა მთანმინდის პანთეონის გახვევას ამალღებულსა და დიდუბულ შარავანდში; დიდუბიდანვე აიკრიფებოდა იქ ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას ძვლებიც და... ხელისუფლება უკვე აუცილებლობად მიიჩნევდა ამ წმინდა სავანის შებლაღვა-ნაწყმედასაც რევოლუციონერთა გვამებით.

ესეც ეპოქის ნიშანი და დალი. ნიშნად და დალად მოჰყვებოდა იქაურობას გრიბოედოვის აკლდამაც, ჩვენს მიწა-წყალზე დაბჯენილი რუსული ჩექმის თავისებურ სიმბოლოდ, ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში გარჭობილ ხანჯლად, და ვერ იკმარებდა ფილიპე მახარაძის საფლავის აფეთქება, ვერც სხვა რევოლუციონერთა ძვლების ამოყრა და იქაურობის ხელახალი კურთხევა, ვიდრე ხელშეუხებელი დარჩებოდა ჩექმა თუ ხანჯალი.

დიდხანს იფარებოდა ალექსანდრ გრიბოედოვის

ნამდვილი სახე – პოეტის სამოსელში გამოწყობილი შოვინისტისა და პოლიტიკური აგენტის, ვისაც მინდობოდა საფუძვლების მომზადება საზარელი გეგმისათვის: საქართველოს სრული გადაჯიშება და ამ მიწა-წყლის დატოვება უქართველებოდ.

ეს პოლიტიკა დაესახა რუსეთის საიმპერატორო კარს.

და დეკაბრისტები თუ რაიმეს ედავებოდნენ ხელისუფლებას და სახელმწიფო გადატრიალებასაც განიზრახავდნენ, იმიტომაც, რომ ეს გეგმა ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდებოდა და არა ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით. ის დეკაბრისტები, რომელთა გამარჯვებასაც უთანაგრძნობდა გრიბოედოვი და გულს უხარებდა მათი პროგრამის ის მუხლი, ქართველთა და საერთოდ კავკასიელთა აყრასა და მიმოფანტვას რომ მოითხოვდა რუსეთის შიდა გუბერნიებში.



და მთანმინდას რატომ უნდა ჰყავდეს გულში ჩახუტებული ამ გონებისა და გულის ადამიანის აკლდამა!..

პოლიტიკური განზრახვით შეეპარებინათ გრიბოდოვი თეირანშიც, მაგრამ ირანელებს არც რუსეთის ხელისუფლების ჩანაფიქრი დარჩებოდათ ამოუცნობი და არც პოეტად შენიღბული კაცის ფარული ძრომიალი. ამიტომაც იძიებდნენ შურს და მის გვამს ცის ქვეშ დაადგებდნენ თეირანის ქუჩაში ყვავ-ყორანთა დასაყვივარად.

და მთანმინდას რატომღა უნდა ჰყავდეს ჩახუტებული მისი აკლდამა!..

ანდა როდემდის?!

ჩვენი მიზნა-წყლის პასუხი ეს არის, აქამდეც უნდა ამოგვეძრო გულიდან ეს ხანჯალი და გავკვსტუმრებინათ თავისი ქვეყნისაკენ, რომლის საზღვრების გადაჭიმვისათვის ასე თავდადებით იღვწოდაო...

და რუსეთი რომ ამას არ იყაბულებს და სწორედაც საქართველოს დედაქალაქის შუაგულში ურჩევნია ამ სიმბოლიკის შენარჩუნება, ესეც ხომ კიდევ ერთი დასტურია, რომ მათთვის გრიბოდოვის აკლდამა რუს ჯარისკაცთა ტრიალს უიგივდება ჩვენს ტერიტორიულ საზღვრებში და არაფრის დიდებით არ შეელევინა, თუკი იძულებულნი არ გავხადეთ.

ალექსანდრ პუშკინისა და მიხაილ ლერმონტოვის ძეგლებს რომ გვიდგამდნენ და ამ აქციებს კულტურისა და ლიტერატურის ურთიერთზიარების საბურველით ნიღბავდნენ, ესეც ისეთივე ფარსი გახლდათ, როგორც გრიბოდოვის აკლდამის დასახვა კულტურის მოვლენად თუ სიყვარულის აპოთეოზის სიმბოლოდ.

ვის გადააგო მთელი სიცოცხლე საბრალო ნინო ჭავჭავაძემ, ქართველ პოეტთა შთაგონებამ, ვინც – კოლხეთის მეფის ასულის, მედეასაგან განსხვავებით – აღსასრულის წინაც ვერ გამოფხიზლდა ბანგისაგან და ვერ დაინახა სიყვარულზე და სიცრუე იმ სიყვარულისა, რაც რატომღაც რეალობა ეგონა და არა ფარისეველთა მიერ შეკონინებული მირაჟი.

რალა ტყვიამფრქვევები და რალა რუს შოვინისტთა ძეგლები, ლორდ ბაირონს რომ გადაამღერებდნენ რუსულად და საკუთარ პოეტურ მიღწევად მიითვლიდნენ. არც დაკვირვებიან და ვერც ვერასოდეს გაიგებდნენ, რომ ბაირონი შოვინისტი არა ყოფილა და ინგლისის იმპერიის საზღვრების გადაჭიმვაზე კი არა ზრუნავდა, არამედ ადამიანისა და კაცობრიობის ბედზე, დამონებული იტალიელის, დამონებული ბერძენის, ყველა ჩაგრულისა და უფლებააყრილის თავისუფლებაზე.

წინამურისაკენ მიმავალ გზაზე ლერმონტოვის ქანდაკებას რომ ჩავვიდგამდნენ, უფროს თაობალებს ემახსოვრებათ: თავდაპირველად ტაძარი ჰქონდა ზურგზე წამოკიდებული, ქართული ტაძარი.

და ეს ის დროა, როდესაც სასტიკად იდევნება ქრისტიანული რწმენა, ეკლესიაში შესვლა, სანთლის დანთება და ლოცვა... იდევნება სასულიერო პირთა თუ ეკლესია-მონასტრების გამოსახვა, თუ არა კომიკური და დამამცირებელი ელფერით.

ცხადია, ტაძრის სიმბოლიკას არავინ გამოგაქანდაკებინებდა და არც მთავარ გზაზე დაგადგმევინებდა, მზაკვრული განზრახვა თუ არ იგულისხმებოდა – დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობისა – რუსს წამოეკიდა ქართული სინმინდე და თამამად აეთამაშებინა მხარზე.

ალფოთება გადაუვლიდა საზოგადოებას, დრტვინვა სულ უფრო მოეძალებოდა და... კიდევ შეიქნებოდა იძულებული ხელისუფლება, ამჯერად დაეთმო, რათა ხალხის თავმოყვარეობა ზედმეტად არ გალიზიანებულიყო.

ლამით უჩუმრად ჩამოსწინდნენ ლერმონტოვის ძეგლს ტაძრის ქანდაკს და გამვლელ-გამომვლელს სვეტიცხოვლისა და ჯვრის მონასტრის სანახებში, ილიას დანთხეული სისხლის არე-მიდამოში ამაზრზენად აღარ შეეჩხირებოდა თვალში ქართული ტაძრის, ქართული სინმინდის შებლაღვა.

ის ძეგლი მაინც ძალიან უშნოდ და უადგილოდ წამოჭიმულა არა მწერლისა და მწერლობის სიმბოლოდ, არამედ რუსული აზროვნების უპირატესობის დამტკიცების მცდელობად, თორემ მაინცდამაინც უცხოელის ქანდაკება თუ გვინდა გულით ამ მიდამოში იდგეს, რალა ლორდ ბაირონის შეგირდს ჩავბლაუჭებთ, თვითონ ბაირონი უფრო არ დაშვენდება?!

მაგრამ მთავარი ჯერ მაინც ის არის –

ჩვენს გულში გაყრილი ხანჯალი.

ჩვენს გულზე დაბიჯებული ჩექმა.

წაილონ, მოგვაცილონ და თავიანთ ქვეყანაში, თუკი ინებებენ, ოქროს სარკოფაგიც გაუმზადონ.

მაგრამ ვინ არის წამლები, ხელი თუ არ შევაშველეთ!.. რუსი ჯარისკაცების გაკრეფისა არ იყოს, მშვიდობის მტრედები რომ დაურქმევიათ და ამ გამჭვირვალე, მაგრამ მაინც ნიღბით ებლაუჭებიან ქართულ მინას, ებლაუჭებიან და კვლავაც ჩექმების ინდოეთის ოკეანეში ჩატოპავაზე ოცნებობენ.

ჩექმის ერთი სიმბოლო აგერ მთანმინდაზეც საიმედოდ ეგულებათ და ამ იმედის გაცრუებით უნდა დაინყოს ის უკანასკნელი სცენა ხუთმოქმედებიანი დრამისა, 1801 წლის სექტემბერში რომ გაგვიზადეს გილიოტინად, მაგრამ დრამად კი გადაექცათ, კომმარულ სიზმრად, რომელიც, საბედნიეროდ, მარადიული არ აღმოჩნდა.

ჯერ კი მძიმედ დაგვწოლია ჩექმა.

და ხანჯალიც გულში გაგვყრია.



ყველა თაობას – თავისი გასაკეთებელი

*

საუბარი თამარ მიქაქაშტაძეს

მადლობელი ვარ ქალბატონი თამარის – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის თანამშრომლის, მინიატურების საინტერესო კრებულის ავტორის – რომ მითხრა, აჯობებს, ჩემთან შეხვედრით, ვიდრე მე მოვიფიქრებდი და შეხვედრის სხვა ადგილს შევთავაზებდი... დამეთანხმებით, ალბათ, ატმოსფეროს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ვსხედვართ მაგიდასთან და დიმიტრი ყიფიანის სახე დაგვცქერის, აქვეა უამრავი მასალა ყიფიანების ოჯახის წევრებისა, ექვს თაობას რომ ითვლის დიმიტრის აქეთ; მისი პირადი ნივთებიც – სამელნე და საათი... თითქოს წარსულში დავბრუნდით. უფრო მეტიც, ყველაფერი თურმე როგორ „ახლოს“ ყოფილა, ხელის განვდენაზე!

რა თქმა უნდა, ამ ყველაფერზე წარსული პირობითად ითქმის, რადგან ან უკვე წმინდანად შერაცხული, სამშობლოსათვის თავდადებული და წამებული წინაპარი ანმყოფა და მომავლის ნამდვილი ხატი და მარადიული სსოვნის განუყოფელი ნაწილია.

აკი ამბობდა აკაკი: „ქართველობას მისთვის, გარდა სიცოცხლისა, არა მიუცია რა!.. იმას სამშობლო მანც არ დაჰინწყებია, იმ თავიდან ამ ბოლომდე ცოტას შფიქრობდა პირადობაზე. დიდკაცობა და ძალა იმიტომ უნდოდა, რომ ხალხში მეტი გავლენა ჰქონებოდა და მეტი სარგებლობა მოეტანა საქართველოსთვის... სწორედ იმისთანა დევემირზე, როგორც იყო დიმიტრი ყიფიანი, ითქმის, რომ მოვიდა ქვეყნად და ქვეყანასაც ბევრი რამ არგო.“

– ქალბატონო თამარ, თქვენთან მომავალს აკაკის სიტყვები თავისთავად გამახსენდა, დიმიტრი ყიფიანის შესახებ თქმული. მაშინვე, მისსავე ეპოქაში „იცნეს“ მისი თავგანწირვა და წმინდა გული. დღეიდან კი მას წმინდანად უკვე მთელი ერი მოიხსენიებს. ქართულმა ეკლესიამ დიმიტრი ყიფიანი წმინდანად შერაცხა და 26 აპრილი მისი ხსენების დღედ დაანება. რასაკვირველია, ყველა ქართველისთვის და მითუფრო თქვენთვის ეს დიდი სიხარულია. როდის გაიგეთ ეს ამბავი? დიდებული მიზეზია თქვენი დიდი წინაპრის კიდევ ერთხელ გახსენებისა. მოსაყოლი და სათქმელი, ვიცით, რომ ამოუწურავად გაქვთ...

– პირველ ყოვლისა, თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან მინდა კიდევ ერთხელ მადლიერება გამოვხატო საქართველოს ეკლესიის, მისი საჭეთმპყრობლის – უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა და წმინდა სინოდის მხარით.

წმინდა მონამე დიმიტრი ყიფიანის – სამშობლოსათვის წამებულის – სახით ჩვენმა ოჯახმა და სრულიად საქართველომ კიდევ ერთი მლოცველი და მფარველი შეიძინა ღვთის წინაშე.

წმინდადობლივია ისიც, რომ პირველად ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრიდან მომილოცეს ჩემმა თანამშრომლებმა; მერე კი ერთი კვირა არ გაჩერებულა ტელეფონი. გვირეკავდნენ, გვილოცავდნენ... ერთადერთი, რის გამოც გული მწყდება – არის ის, რომ ამ ბედნიერ დღეს ვერ მოესწრნენ დედაჩემი – ლალი პატარაია და ბიძაჩემი – კინორეჟისორი გურამ პატარაია. ადამიანები, ვისგანაც გადმოგვეცა ყოველივე ამის სიყვარული.

– ახლა იქნებ იმ ფოტოალბომზეც ვისაუბროთ, გამოსაცემად რომ მზადდება. რამდენადაც ვიცი, ეს ალბომი თქვენი დიდხნის ნატურის, ცდისა და თავდადებული გარჯის შედეგია. რა იქნება ამ ალბომში თავმოყრილი? როდის გამოვა?

– ამას ყველაზე კარგად თვითონ ფოტოალბომი – „დიმიტრი ყიფიანი – ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება“ მოგიტხრობთ, რომელიც შემოდგომაზე გამოვა და დიმიტრი ყიფიანის აღსრულებიდან 120 წლისთავს მიეძღვნება. მასში დაიხატება დიმიტრი ყიფიანის პორტრეტი, მისი ცხოვრება, მოღვაწეობა, ყოველმხრივ იქნება წარმოსახული ისტორიული და ოჯახური გარემო. ალბომში შევა მდიდარი ფოტომასალა, საგანგებოდ ამ საქმის გამო შექმნილი ჯგუფის მიერ მოკვლეული და თავმოყრილი მუზეუმებიდან, ბიბლიოთეკებიდან, სხვადასხვა საარქივო მასალებიდან, რაც გამოცემაშივე დასახელდება. შეიძლება ითქვას, ამ ყველაფერს სამკაულივით დაამშვენებს საოჯახო მასალა, რომელიც აგერ უკვე ექვსი თაობის მანძილზე ელოდებოდა დღის სინათლეს.

ამ ალბომზე ფიქრი, რასაკვირველია, ჯერ ოჯახურ გარემოში დავიწყეთ. ჩვენ ვართ დიმიტრი ყიფიანის მეექვსე თაობა და თავმოყრილი გვაქვს მთელი ხუთი თაობის წერილები, ფოტოები, დოკუმენტები. მოკლედ, მდიდარი არქივს ვფლობთ. ადრე, გასაგებ მიზეზთა გამო ამ ყველაფრის გამოქვეყნება ვერ ხერხდებოდა. იყო რეპრესიები, მინის ჩამორთმევა, ოჯახური ტრაგედიები... შემდეგ ხანებში ისეთი პერიოდიც იდგა, თითქოს არც იკრძალებოდა, მაგრამ ის, რაც ეროვნულ გრძობებს, სულისკვეთებას გააღვივებდა, იჩქმალებოდა, ცდილობდნენ ხელოვნურად მოექციათ ჩრდილში.

ყველა თაობას აქვს თავისი მისია, რაღაც გასაკეთებელი. მაშაჩემმა – პროფესორმა გივი მიქაძემ ძალიან კარგი საქმე გააკეთა, რომ ამ საოჯახო მასალებს თავი მოუყარა. ჩემი თაობის გასაკეთებელი კი ის იყო, რომ ამ ყველაფერს დღის სინათლე ეხილა. რამდენიმე წელია დავიწყე ამ მართულელებით მიზანდასახული მუშაობა. არავინ იფიქროს, როცა რჩეულ ადამიანებს ეხება საქმე, იქ ყველაფე-



რი ადვილია. პირიქით, რაც უფრო მნიშვნელოვანია საქმე, მეტი წინააღმდეგობა და სირთულე ახლავს. რამდენიმე ადგილას ვიყავი და დაფინანსებაზე უარი მითხრეს. შემდეგ პროექტი შევიტანე ბიზნესმენ ლაშა პაპაშვილის სახელზე და დადებითი პასუხი მივიღე. დიდი მადლობა მას ამ ეროვნული საქმის მხარდაჭერისთვის!

მეორე ეტაპი კი უკვე ის იყო, რომ საქმეს სათავეში პროფესიონალთა ჯგუფი უნდა ჩასდგომოდა და განეხორციელებინა პროექტი. სხვათა შორის, ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანია, როდესაც ოჯახიდან მოდის იდეა და იწყება საქმე. მე მგონია, ოჯახზე უკეთ არავინ იცის, ვინ არის ღირსი დიდი მამულიშვილის სახელთან მიახლოებისა. სამწუხაროდ, ხშირად ხდება, რომ ასეთ სახელებს ამოფარებიან ხოლმე ცრუმეცნიერნი, ცრუშთამომავალნი, ცრუსაზოგადოებები, ცრუპატრიოტნი. იმასაც შევსწრებივარ, რომ ვილაცას უთქვამს, მე ვარ დიმიტრი ყიფიანის პირდაპირი შთამომავალი. უმეტესად ვჩუმდებოდი... რა იყო ჩვენი სიმართლის საბუთი და იარაღი? შევადგინე და, „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოვაქვეყნეთ დიმიტრის ოჯახის გენეალოგიური შტო.

ამაზე მახსენდება ანდერსენის ერთი ზღაპრის სიუჟეტი: მეფის ასული იწუნებს მორთმეულ საჩუქრებს იმ მიზეზით, ეს ყველაფერი ნამდვილიაო, და მოსწონს ხელოვნური. ყალბი ზოგჯერ, თუ ხშირად არა, თვალს ჭრის ადამიანს. არადა, ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ პრინციპად მიმანჩნია, გავარჩიოთ ნამდვილი ყალბისაგან.

– ვინ არიან იმ ჯგუფის წევრები, ვინც ალბომზე მუშაობს?

– მოგახსენებთ! თავდაპირველად, მასალების გამოქვეყნება რომ გადაწყვიტე, მივედი ბატონ როსტომ ჩხეიძესთან, როგორც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მთავარ რედაქტორთან და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თავმჯდომარესთან.. ის დღე არ დამავიწყდება! მოვუყევი, ასეთი არქივი მაქვს და სანდო ხელში მინდა მოხვედეს-მეთქი. ბატონი როსტომი გახარებული წამოდგა ფეხზე, ამაზე კარგს რას გავაკეთებთო. ეს ერთგვარი სტიმული იყო ჩემთვის. ჯერ ჩემთან ინტერვიუ დაიბეჭდა, შემდეგ კი გამოვაქვეყნეთ მასალები ჩვენი არქივიდან. ახლახან განვაახლეთ ბეჭდვა და ვაგრძელებთ ამ საქმეს თქვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ასევეა ბატონი თამაზ ჯოლოგუა, რომელიც წლების მანძილზე, მართლაც მუხლჩაუხრელად მუშაობს დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება-შემოქმედებაზე და აქვს გამოცემული წიგნები.

თამარ ციციშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ვინც პირველი დღიდანვე ჩვენს გვერდით დგას.

ზაზა აბაშიძე – ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რომელიც გახლავთ დიმიტრის უფროსი ძმის – ქაიხოსროს შთამომავალი. ეს ის ქაიხოსროა, რომელმაც დიდი ამაგი დასდო დაობლებულ დიმიტრის.

ფოტოალბომის მხატვრულ სრულყოფაზე მუშაობენ ცნობილი მხატვარი კარლო ფაჩულია და ხელოვნებათმცოდნე ნინო ლაღანიძე. ამ საქმეში ძალიან დიდია როლი ფოტოხელოვან მირიან კილაძისა. ლელა დუმბაძე კი ინგლისურად თარგმნის ტექსტს. პროექტის კოორდინატორი

რი ქალბატონი ლელა დიდიძეა. პროექტის ავტორი კი მე გახლავართ.

– ბუნებრივია, ბევრი რამ დარჩება ამ ალბომს მიღმა. იქნებ საინტერესო ამბები და დეტალები გაიხსენოთ თქვენი დიდებული წინაპრების ცხოვრებიდან?

მართლაც ასეა! ფოტოალბომს თავისი სპეციფიკა აქვს და ის, ცხადია, ყველაფერს ვერ დაიტევს.

ბუნებრივია, ყველა ოჯახში ხდება და ინახება ისეთი ამბები, რაც მხოლოდ ოჯახის წევრებმა იციან. ასეა ჩვენთანაც. ზოგიერთი მოთხრობის თემადაც კი გამოდგება.

დიმიტრისა და მის მეუღლეს – ნინო ჭილაშვილს – სამი შვილი ჰყავდათ. სხვათა შორის, კარგად შენიშნავს თამაზ ჯოლოგუა: იშვიათია მეცხრამეტე საუკუნეში ოჯახი, რომელსაც ამდენი უანგარო მოღვაწე ჰყავდაო.

დიმიტრის სამი შვილიდან შთამომავლობა მხოლოდ ერთს – ნიკოლოზს დარჩა.

სწორედ ნიკოლოზი მიატოვა მეუღლემ – ტასო ერისთავმა. ჯერ ერთი, რომ ნიკოს ძალიან უყვარდა ტასო და მეორეც, სამი მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავდა. ეს ამბავი მისთვის მართლაც რომ ტრაგედია იყო. მოკლედ, მიატოვა ნიკო ცოლმა და გაჰყვა რუსის ოფიცერს.

დიმიტრიმ ამ ამბის გამო გაიხმო ნიკოლოზი და უთხრა: ბავშვებს არ დაავიწყო დედა. იმას ისიც ეყოფა სასჯელად, რომ ამათ გარეშე დარჩაო. დიმიტრის სიტყვა კანონი იყო. ნიკომ მამას სიტყვა შეუსრულა. ბავშვები დედის სიყვარულით იზრდებოდნენ.

გავიდა ხანი და რუსის ოფიცერმა ტასო მიატოვა. თან ისე წავიდა, რომ არაფერი დაუტოვა, არცერთი გროში, და თან შვილებს გვარიც არ მისცა. უსასო მდგომარეობაში ჩავარდნილმა ქალმა წერილი მოსწერა და ისევ ნიკოს სთხოვა დახმარება. ნიკო ტასოს სიცოცხლის ბოლომდე ეხმარებოდა. იმ ორმა ანგელოზმა რალა დააშავაო, და ტასოს შვილებს, გარდა ფულადი დახმარებისა, გვარიც მისცა. ყოფილ ცოლ-ქმარს მთელი ცხოვრება მიმონერა ჰქონდა.

მოგვიანებით ნიკო ბრიუსელში წავიდა სამკურნალოდ და იქ დარჩა. იქვე ჩამოაყალიბა უცხო ენათა კათედრა და ხელმძღვანელობდა. პირველად მან გამოსცა „არსენას ლექსი“ და სათავე დაუდო სახალხო წიგნის გამოცემის საქმეს. პირველად მან თარგმნა „მარსელიოზა“... მრავალი რამ გააკეთა. მოღვაწე კაცი იყო და დიდად განათლებული – ცამეტი წლისამ უკვე ხუთი ენა იცოდა.

ნიკოლოზის ქალიშვილებიც საზოგადოების ღირსეული წევრები გახლდნენ. ბარბარე პირველი ფსიქოფიზიოლოგი ქალი იყო, ნინო – იურისტი და რევოლუციონერი, ვეტა კი – მუზა შიო არაგვისპირელისა. როგორც თვითონ მწერალი ამბობდა, მთელი ცხოვრება და შემოქმედება მიუძღვნა ვეტა ყიფიანის სიყვარულს. ვეტა არ პასუხობდა ამ გრძნობას.

დიდი და ღირსეული პაპის კვალზე რომ იდგნენ, მაგალითად, ნინო ერთ გამონათქვამს გავიხსენებ: „კაცობრიობის სიყვარული იგივე გრძნობაა, რაც სამშობლოს სიყვარული, ოღონდ უფრო განვითარებული. ვინც სამშობლოს ემსახურება, კაცობრიობას ემსახურება.“

არ ვიცი, კიდევ რა გითხრათ, საუბრის ფარგლებს ძალიან არ გავცდეთ. იქნებ ეს უფრო სხვა წერილის თემა იყოს...

– აი, ახლა ვსხედვართ და ვსაუბრობთ. კედლიდან კი დიმიტრი ყიფიანი შემოგვცქერის. იქნებ ამ პორტრეტზე მიაბოთ. ჩანს, რომ ძველია.

– ამაზე საუბარს ქვიშხეთით დავიწყებ. ყიფიანებისთვის ქვიშხეთი ყოველთვის ნმიდათანმინდა ადგილი იყო. სხვათა შორის, იქ ყოველთვის ახსოვდათ დიმიტრი ყიფიანი. მუდამ ასეთი განცდა მაქვს, რომ მისი სული იქ ტრიალებს. სხვათა შორის, არაჩვეულებრივი დირექტორი ჰყავს ამ სახლ-მუზეუმს. გივი გელაშვილისა და მასთან ერთად რევაზ ნოზაძის – ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის და ბატონ ოთარ ლომიძის დამსახურებაა, დღეს ეს სახლ-მუზეუმი რომ დგას და არსებობს.

სწორედ ქვიშხეთიდან მახსოვს და სულ იყო ხოლმე ამაზე საუბარი, რომ მასალები შეკრებილიყო, გამოცემულიყო. ამაზე ფიქრი და მსჯელობა წუთით არ შეწყვეტილა, დიმიტრის მონამებრივი აღსასრულიდან მოყოლებული დღემდე. რამდენჯერ წამოუნწყიათ და წინააღმდეგობა შეხვედრიათ. ამ საქმეში ჩვენს ოჯახს წინააღმდეგობა ყოველთვის ელობებოდა.

ბედნიერად ვთვლი თავს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი წმინდანად შერაცხვის მოწმე გავხდი, და, თან, მალე ფოტოალბომიც გვექნება.

საერთოდ, ოჯახში დიმიტრის კულტი იყო. წერილებიდან მახსოვს, ერთხელ შვილებს უთქვამთ ნიკოსთვის, დიმიტრის შვილისთვის, რა არის, წვერი როგორ გაგიშვიაო,

დაუნუნებიათ. ბაბუს რო აქესო? ქალიშვილებს მიუგებებიათ: ბაბუს შევინსო. პატარა დეტალია, მაგრამ თვლიდნენ, რომ მას – დიმიტრის – ყველაფერი განსაკუთრებული ჰქონდა და ყველაფერი უხდებოდა.

მერეც მის სახელს დიდი მონივნებით ეპყრობოდნენ და მართლაც წმინდანისად უფრთხილდებოდნენ. როდესაც ვეცა ყიფიანს ქვიშხეთში დარჩენილ პატარა ეზოსაც ართმევდნენ, თურმე ქუდზე კაცი გამოსულა, მთელი სოფელი ფეხზე დამდგარა და ქვიშხეთელების წყალობით შენარჩუნდა ის ეზო, რომელიც დღეს ჩვენია. ასეთი განწყობის მიზეზი ის იყო, რომ არავის დავიწყებოდა ყიფიანების დიდი ამაგი.

რაც შეეხება ამ პორტრეტს – მეორე კლასში ვიყავი, ბებიამ რომ გადმომცა. დიმიტრის სიცოცხლეშივეა დახატული უცნობი მხატვრის მიერ. ქვიშხეთში სკივრში ჰქონდა შენახული. მაშინ, ბავშვობაში ვერ ვხვდებოდი, რომ ეს საჩუქარი რაღაც უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე დიდი წინაპრის პორტრეტის ჩუქებაა. ალბათ, ყველაფერი ამით უნდა დაწყებულიყო და ასე გაგვეგრძელებინა ოჯახში არსებული ტრადიცია – წინაპართა მემკვიდრეობაზე ზრუნვა. თან ეს ხომ მხოლოდ წარსულის გადასარჩენად არ კეთდება; ეს ხომ პირველყოვლისა სამომავლო საქმეა: შვილებმა უნდა იცოდნენ, საიდან მოდიან, რომ გაუადვილდეთ იმ გზის პოვნა, საით წავიდნენ.

ესაუბრა
თამარ ლონდაკი

ელა გოჩიაშვილი

**რა არის
სამშობლო...**

... კალამი შემეიყოვნდა, მაგრამ, იმიტომ კი არა, რომ ბრძნულად ორიგინალურ პასუხს ვეძებ. მე, უბრალოდ, მართლა მიჭირს დიდი გრძნობის საგნისადმი ჩემი დამოკიდებულება კითხვა-პასუხის ფორმატში მოვაქციო. ამგვარი ფორმით დასმული ნებისმიერი შეკითხვა მერთულება, რადგან კითხვა „რა არის?“ პასუხად განმარტებას მოითხოვს. განმარტებები ჩემი საქმე არ არის. მითუმეტეს, რომ, რაც ძალიან მეძვირფასება, განსამარტავად ვერ ვიმეტებ.

სამშობლოს რაობაზე დაფიქრებული და პასუხისმადიბელი ადამიანი ნოდარ დუმბაძის ერთი მოთხრობის მეტად განხმარებულ ფრაზას მხოლოდ იმ შემთხვევაში აუვლის გვერდს, თუ არ წაუკითხავს, ან კიდევ მრავალთა მიერ არაერთგზის მოხმობილ-დამონმებულის კიდევ ერთხელ გამეორებას მოერიდება.

ეს მოთხრობა დიდი ხნის წინათ წავიკითხე. აღარ მახსოვს, პერსონაჟებს რა ჰქვიათ, რას ურთიერთობენ, რა გა-

რემოში არსებობენ, მაგრამ სულ მახსოვს ის ერთი ფრაზა, როგორც ჩანს, ყველაზე მნიშვნელოვანი, და არა მარტო ჩემთვის, რაკილა მრავალმა მეხსიერებამ ასე ცოცხლად შემოინახა. სამშობლო რა არისო, რომ გკითხავენ, იმდენს და ისე როგორ იტყვი, რომ დიდი სიყვარულის ვერგამოთქმის უმწეობამ სუნთქვა არ შეგეკრას და დამნაშავესავით არ ამოილულლულ: „ვიცი, მაგრამ... ვერ ვამბობ“. ღმერთმა ნუ მოშალოს დიდი სიყვარულები და დიდი სიყვარულების ვერთქმა. „მამული-ენა-სარწმუნოების“ სამება სხეულია სამშობლოსი, ხოლო სული იქ არის, უთქმელში, – რომ იცი, მაგრამ ვერ ამბობ.

გარდაუვალია სამშობლო, ისევე, როგორც მშობლის, შვილის, და-ძმის სიყვარული. თუმცა მისი უარყოფაც არავის აუკრძალავს (არ წაგაქეზონ, თორემ ვინ არის დამშლელი). შეძლებით ყველაფერი შეიძლება, სამშობლოს სიძულვილიც, მაგრამ ეს ისეთივე პათოლოგია მგონია, როგორც მშობელზე, შვილზე, და-ძმაზე უარის თქმა, და ისევე მაცეცხებს, როგორც ჯორისაგან ნაშობი სამთავიანი ხბო. ამ გაზვიადებული შედარებით ყველაზე ბუნებრივი გრძნობების უარყოფელთა არაბუნებრიობის ხარისხზე და ჩემი გაცეცხების ხარისხზე მიგანიშნეთ, თორემ, ცხადია, ჯორისაგან ნაშობი არავის არაფერი უნახავს, მითუმეტეს, ხბო, და მითუმეტეს, სამთავიანი.

ღმერთი გირჩევს და გჩუქნის მშობელს, შვილს, და-ძმას, – უნდა გიყვარდეს ისინი! ღმერთი გირჩევს და გჩუქნის სამშობლოს, – უნდა გიყვარდეს! ძახილის ნიშნით და-

ბოლოებულები „უნდა გიყვარდეს!“ არც ბრძანებაა და არც ნების შეურაცხყოფა. სწორედ ეს არის ყველაზე დიდი თავისუფლება, რაკილა ყველაზე ბუნებრივია. როგორც ილიამ ბრძანა, „განა მზე კი უბრძანებს ხოლმე ვარდსა, გაიშალო“.

ვინც ამბობს, სამშობლო არ მიყვარსო, რაღაცას სწორად ვერ ამბობს. შეიძლება სამშობლოს ჩემეული განცდაა ჭარბი ან ნაკლები, მაგრამ, „სამშობლო არ მიყვარს“ ისეთივე შეუსაბამობა მგონია, როგორც „შეყვარებული არ მიყვარს“, ან „სატრფოს არ ვეტრფი“. სამშობლო გაქვს ან არ გაქვს; თუ აღიარებ, რომ გაქვს, ეს უკვე ნიშნავს, რომ გიყვარს. უანგარიშოა ეს სიყვარული, ღირსება-ნაკლოვანებებით არ აინონება, რადგან არ არსებობს ცუდი ან კარგი, არსებობს მხოლოდ ბედნიერი ან უბედური სამშობლო. და გიყვარს ყოველთვის, მაშინაც, როცა ყველაზე უბედურია, – „საკუთარი შვილების მჭამელი“.

კაცია და გუნება! – შეიძლება არ გიყვარდეს წვიმა, ზოლიანი პიჯაკი, ლობიოზე მუყავე კომბოსტოს მიტანება, იმპრესიონისტი მხატვრების შემოქმედება, კიდევ უამრავი რამ და უამრავი ვინმე, მაგრამ სამშობლოსმოძულე ადამიანს „კაცია და გუნებას“ ლიბერალიზმი ვერანაირად ვერ მოერგება.

რაც უნდა ვიფაფხუროთ და ვიბოჭემუროთ, რაც უნდა დავიბრალოთ და წარმოვისახოთ, რა თავგადასავლებიც უნდა შევთხზათ, სულერთია, ადამიანი მანანწალა არ არის. თოკით თუ უთოკოდ ის სადღაც უნდა ებას, რადგან მისი მთავარი თვისებაც, მთავარი ღირსებაც, მთავარი მიზეზიც და მთავარი მიზანიც დაბრუნდება; რადგან დასაბრუნებლად შეიქმნა და მუდამ დაბრუნებას ცდილობს: ცეცხლთან, თავისიანებთან, საკუთარ თავთან, უფალთან. სამშობლოა ის დულაბი, უთავბოლოდ გაფანტულს რომ გაგროვებს, გამთლიანებს, გაკონინებს, სახეს გიძერწავს, სახელს გარქმევს, მეხსიერებას გაძლევს და უზრუნველყოფს, რომ, რა მანძილზეც უნდა გასცდე, გეში არ დაკარგო, გემო და სურნელი არ დაკარგო და უკანგზობისას ადვილად გამოიგნო: ცეცხლისაკენ, შენიანებისაკენ, საკუთარი თავისაკენ, უფლისაკენ... სამშობლოს განცდა განაპირობებს გარკვეულ შინაგან წყობას, სულიერ კომფორტს ყველაზე საუკეთესო გაგებით, რადგან სამშობლო ზუსტად

იმ ფასეულობათა ერთობლიობაა, რომელიც სულსაც და სხეულსაც ზედმინეებით მიესადაგება, როგორც ყველაზე ბუნებრივი, ორგანული, ჯანსაღი.

სამშობლო რა არის?!

ვიცი, მაგრამ... ვერ ვამბობ...

„ულრანს ტყეში მოსული ვარ“, – თბრობას იწყებს ყვავილი. მე აქ ყოველთვის ვჩერდები, ცოტა ხნით ვწყვეტ კითხვას, რომ ტკბილი ელდა დავიგემოვნო. მანდ რა ნახე განსაკუთრებულიო, – ვინმე გაიკვირებს, – ვაჟა-ფშაველას უფრო მაგარ-მაგრები არ უთქვამს თუ რაო! არავის ვეკამათები, – ვაჟას მაგრების მეტი რა უთქვამს, მაგრამ ჩემთვის ესეც იმათ რიგშია. რა ვიცი, ასეა: ყვავილი რომ თბრობას იწყებს, – „ულრან ტყეში მოსული ვარ“, – მე ცოტა ხნით ვწყვეტ კითხვას, რომ ტკბილი ელდა დავიგემოვნო. ვისაც იგივე განცდილი აქვს, გამიგებს, ვისაც არა და, ვერაფრით გაგაგებინებ, რომ თავიანთი სინაზის ძალით გულზე ზარის ჩამომკვრელ ამ უსამკაულო სიტყვებს სამშობლოს გემო აქვთ. ეს არის სამშობლო... უკეთესად ვერ ვამბობ...

„ბალო, აეს არი შენი სამშობლო“, – ვითომ უბრალოდ ამბობს თუში მეცხვარე, მაგრამ, დიდებულად ძუნწი და უსამკაულოდ შემკული სიტყვების მიღმა კიდევ იგულისხმება და ისმის რაღაც, ჩუმ ნაქეზებასავით: შენია, გებარებოდეს, მოუარეო. და გადაედინება საქართველო ძველიდან ახალში. საკუთარი ცისა და მიწის ნაგლეჯებს მთიდან გადასცქერის სხვადასხვა თაობის ორი ქართველი და თვითონვე არიან სამშობლოები ერთმანეთისთვისაც და ჩემთვისაც.

მაშ, რა არის და რატომ გვიყვარს სამშობლო?

– „იმიტომ, რომ... სამშობლო... იმიტომ მიყვარს, რომ... ტკბილია...“ – გენიალური გულუბრყვილობით თუ გულუბრყვილო გენიალურობით განმარტავს გუდამაყრელი.

– „სამშობლო, უპირველეს ყოვლისა!“

„სამშობლო უმთავრესია!“ – ირწმუნება გალაკტიონი. ამათ ნათქვამს რაღა მიეუმატო, რაღა გამოვაკლო. ისლა დამრჩენია, დავადასტურო:

სამშობლო ტკბილია!

სამშობლო უმთავრესია!

უკეთესად, – ვიცი, მაგრამ... ვერ ვამბობ...

ქრონიკა

1 ივნისს, თბილისის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ლიტერატურული გაერთიანებების, „დიაოხისა“ და „მაჯახელას“ თაოსნობით გაიმართა შეხვედრა მწერალ ჯემალ მეხრიშვილთან.

შეხვედრაზე განიხილეს ახლახან გამოცემულ კრიტიკულ წერილთა კრებული: „გინდოდა გოგოთურსაცა წამასჯდომიყავ თავზედა?!“

საღამოს უძღვებოდა პოეტი და პროზაიკოსი იკა ქადაგიძე. მან აღნიშნა რომ: „ჯემალ მეხრიშვილის წიგნი ქართული მწერლობისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია. დიდი ხანია ჩვენი საზოგადოება ესოდენ პირუთვნელი კრიტიკით არავის გაუნებოვრებია, ეს გახლავთ ნიმუში, თუ როგორ უნდა შეფასდეს თანამედროვე ლიტერატურული მოვლენები პატიოსანი მწერლის მიერ“.

„მაჯახელას“ თავმჯდომარემ, პოეტმა ერეკლე საღლიანმა ყურადღება გაამახვილა სადღეისოდ პოპულარული მწერლებისათვის დამახასიათებელ არაპროფესიონალიზმზე, კლანური სისტემის ნაკლოვანებებზე, რაც განაპირობებს მხოლოდ შეკვე-

თილი მასალების ბეჭდვას. მან ხაზი გაუსვა ქართული ენისადმი სხენებულ ავტორთა ზერელე დამოკიდებულებას. ჯემალ მეხრიშვილის პამფლეტი — „როგორ გავხდი შავკანიანი“ — სწორედ ამის დასტურია.

მწერალმა მარსიანმა აღნიშნა, რომ ჩვენში კრიტიკა პირადი შეურაცხყოფა და მას გაკრიტიკებული ავტორები მისაღმებასაც ამაღლიან.

პოეტმა ილია ბარამიძემ ისაუბრა მწერლისა და კრიტიკოსის ურთიერთდამოკიდებულებაზე, ყურადღება გაამახვილა საქვო ხარისხის გამომცემლობათა შეუზღუდავ საქმიანობასა და დილექტანტიზმის მოძალეებაზე.

ჯემალ მეხრიშვილის წიგნმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მწერალმა არაერთ შეკითხვას გასცა პასუხი. სამწუხაროდ, ზემოთ აღნიშნული წიგნის ტირაჟი მცირეა (სულ 200 ეგზემპლარი). იმედია, მომავალში რომელიმე სოლიდური გამომცემლობა წიგნის ხელახლა გამოცემას ითავებს.

ზურაბ ლავრელაშვილი

პერძი ზვარაკად

ათცამეტ ასურელ მამათა ქართლს მოსვლის უამს მცხეთას ესახლა გვირობანდაკ, ტომით სპარსი, სპარსეთიდან გადმოხვენილი, ხელობით მეჯადაგე, მაგრამ გულთი წმინდა, უბრყვილო; მეხამლეთა და მეტყავეთა გარეუბანში ჯალაბსა და ორ მცირეწლოვან ვაჟიშვილთან ერთად ცხოვრობდა გვირობანდაკი და რუდუნებით ზრდიდა სულში სჯულის ყვაილს – ჯერაც ყმანვილს, მას სპარსეთშივე შეეტკობო მაცხოვრისაგან ნაქადაგევი მოძღვრება და საუკუნო ცხონების აღთქმით ისე მოხიბლულიყო, უყოყმანოდ დაეგდო მამა-პაპათა სამკვიდრო ალაგი და მცხეთას გადმოხვენილიყო, რათა აქ დაფლული უფლის კვართის მადლით აღვსილიყო, თუმცა ვიეთნი იმასაც ამბობდნენ, მეჯადაგე სპარსეთიდან ხელი-სუფლების შურისგებას გამოექცაო. თანატომელი სპარსნი შაბათობით სატოზიკოდ ინვევდნენ ხოლმე გვირობანდაკს, ცეცხლთაყვანისმცემელთა წესისამებრ, მაგრამ მეჯადაგე მუდამ უარით ისტუმრებდა მაცნეს.

„სიბრძნე ეგე სიცოფეი არს წინაშე ღმრთისა ჭეშმარიტისა!“ – ეტყოდა ხოლმე გვირობანდაკი მახდენ მეზობლებს, როცა ესენი დაუჭინებდნენ, სჯული ჩვენი უფრო მართებულთაო. აზრინებდა ფრიად მეჯადაგეს სიბრძნე და უფიცობა მათი და ამიტომაც გულფიცხად გაერეოდა ხოლმე საღვთისმეტყველო კამათში, ჭეშმარიტება რომ დაეცვა. მეკერპეთა აზრით, ყოველივე არსებულის ნიშატი ცეცხლი იყო, რომლის ხილული გამოვლინებაც მზე და კოცონის ალია, გვირობანდაკი კი მღვდლისაგან ნასწავლ საბუთს იშველიებდა, კაცისაგან დაგზნებული ცეცხლი ღმერთი როგორ იქნება, თუკი მისი დავსება კაცსვე ძალუძსო; უბირი წარმართები ამაზე ჩუმდებოდნენ და მარცხის სიმწარეს გულში იკლავდნენ, გაამაყებული მეჯადაგე კი უფრო თამამდებოდა და ახლა მხსნელის მიერ გამჟღავნებულ ჭეშმარიტებაზე იწყებდა ღალადს: თუ როგორი იყო წუთისოფელი მაცხოვრის მოსვლამდე, რა ჭირი და სნება ატყდებოდა კაცთა მოდგმას ყოვლისშემძლე უფლისაგან, სანამ მისმა მხოლოდშობილმა ძემ ადამიანის ხსნა არ იზრახა ღმერთის რისხვისაგან; სამოთხიდან განდევნა, წარღვნა, ყოველნაირი ბილნება სამარადჟამო სიკვდილს განუმზადებდა ადამიანს, ქრისტე რომ არ მოვლენილიყო, ასწავებდა გვირობანდაკი თანატომელებს. მხოლოდ მაცხოვარი იხსნის ქვეყანას ცოდვისა და საუკუნო შეჩვენებისაგან, მხოლოდ ქრისტეს მოსავნი ეღირსებიან მარადიულ ნეტარებას, მხოლოდ მათ მიეღიოთ ხსნა და გადარჩენა.

ამასობაში კი პაექრობაში ძლეული მისი თანატომელნი ინტრიგას ხვლარჯავდნენ მის წინააღმდეგ და გვირობანდაკი მცხეთის ციხისთავთან შეასმინეს, სპარსთა სარწმუნოებას მტრობსო. იმხანად ქართლი სპარსელთ ეპყრათ და ქვეყანაც სპარსული კანონით იმართებოდა, კანონი კი ღალადებდა, ვინც სპარსულ სჯულს განუდგე-

ბა და თანამომძმეთა შეცდენასაც მოინდომებს, უნდა მოკვდესო.

* * *

შუბოსანი მხედარი გვირობანდაკის ღარიბულ ქოხს მიადგა.

– კარში გამოდი, გვირობანდაკ, სჯულის მტერო! – დაუძახა მხედარმა და ქოხის კარს შუბის ტარი დაჰკრა.

– ვინ მეძახის? – შიგნიდან გამოსძახა შეშინებულმა მეჯადაგემ.

– ციხისთავი გიხმობს.

– რისთვის?

– სამსჯავროზე წარსადგომად.

ზღურბლზე გამომდგარ მეჯადაგეს ამის გაგონებისას მუხლი მოეკვეთა და ქოხის კედელს მიეყრდნო. გული მოეწურა, ყელში კი შიშის გორგალი მოაწვია. სიკვდილის ქროლვა იგრძნო. თვალზე ცრემლი ჩამოუგორდა და მზერა დაუბინდა. ცივმა ოფლმა დაასხა, ფეხქვეშ რყევა იგრძნო და შესცივდა ზაფხულის მზვარეში. ხმაურზე მეჯადაგის ცოლმაც გამოიხედა და შუბოსანი მხედარი რომ დაინახა, წივილ-კივილი და მოთქმა ატეხა, ქმარს მუხლებზე ეხვეოდა და არ ნახვიდებოდა, ევედრებოდა. ორი აბოჭირებული ბაღლი გამოჰყვა ქალს, ისინიც მამას მიეჭრნენ და შემოეხვივნენ, ებლოტებოდნენ, დაძვრას არ ანებებდნენ. გვირობანდაკი კიდევ უფრო შეაშინა ცოლშვილის ვედრებამ და მიხვდა, მისი საქმე ცუდად იყო.

მაცნეს მოთმინება დაელია და მეჯადაგეს უყვირა:

– ფეხი გადმოადგი, ძაღლისშვილო! თუ თრევით გინდა ნაიყვანო?!

და მან შუბი მუქარით შემართა.

გვირობანდაკი ანაზდად წელში გაიმართა, ცოლი მოიშორა, ბაღლებიც დაიბლერტა და შუბოსან მხედარს ამაყად უთხრა:

– იყოს ნება შენი.

ნამდვილად კი მან თავის ღმერთს მიმართა.

* * *

მცხეთელმა ციხისთავმა გვირობანდაკი დაჰკითხა და მისი სჯულგანდგომის ამბავი რომ შეიტყო, ტფილისს გაგზავნა მარზპანის კარზე წარსადგომად, რალაი თავად მეჯადაგის ძელზე აბმა არ შეეძლო, რასაც კანონი მამა-პაპათა სჯულის მოღალატეებისათვის ითვალისწინებდა, თუმცა მანამ, სანამ გზას გაუყენებდა, კიდევ ერთხელ ურჩია, ოფიციალურ სარწმუნოებას დაბრუნებოდა.


მეჯადაგემ მტკიცე უარით უპასუხა.

ციხისთავს ხვანჩი აუთამამდა და სუსხინად ჰკითხა:

– იცი, რომ მოკვდები?

– იყოს ნება შენი! – ჯიუტად მიუგო გვირობანდაკმა.

მეჯადაგე ეზოში გაიყვანეს, სადაც მასავით სჯულგანდგომილნი შეეკრიბათ. ხელდაბორკილი ქრისტიანები დაამწკრივეს და ალაყაფის კარიც გაიღო.



კართანაზე ციხისთავი გადმოდგა და ტყვეებს გად-
მოხედა. მზერა გვირობანდაკზე შეაჩერა, რაკილა მისმა
უგუნურმა სიჯიუტემ ციხისთავი გააღიზიანა – თუ სხვე-
ბი ათასნაირ საბუთს იშველიებდნენ გასამართლებლად,
გვირობანდაკი დაკითხვისას დუმდა და მხოლოდ ამას
იმეორებდა ხანგამოშვებით:

– იყოს ნება შენი.

ასეთმა მონურმა თავმოდრეკამ ციხისთავი აღაშფო-
თა. ამიტომაც ასე გამგმირავად უცქერდა მეჯადაგეს,
თითქოს მისი დაფერფლა სწადიაო.

გვირობანდაკმა გაუძლო ამ მზერას, ამა სოფლის
მძლევართა მზერას. თავი კვლავ ამაყად ასწია და გამ-
შრალი ბაგეებით წაიჩურჩულა:

– იყოს ნება შენი.

როგორც მანამდე, ახლაც თავის ღმერთს ეხმიანებო-
და.

* * *

სხვა ტყვეებთან ერთად გვირობანდაკი ტფილისს
ჩაიყვანეს და მარზპანს წაუყენეს სამსჯავროზე. სავარ-
ძელში გადაწოლილმა მეფისნაცვალმა ისინი სათითაოდ
დაჰკითხა და განაჩენი გადაუწყვიტა.

გვირობანდაკის რიგმა რომ მოაწია, ხნიერმა მარ-
ზპანმა მამა-შვილურად ტკბილად ჰკითხა:

– რა ხელობის კაცი ხარ, შვილო?

– მეჯადაგე.

– ცოლ-შვილი თუ გყავს?

– ჯალაბი და ორი ვაჟი მივის.

მეფისნაცვალმა თავი სინანულით გადააქნია.

– ბალები არ გენანება? უმამოდ როგორ დაიზრდე-
ბიან?

– ღმერთი უნუგემოდ არავის მიატოვებს.

– შენ? შენ თუ დაგიცავს?

გვირობანდაკი დადუმდა და იატაკს დააცქერდა.

– აბა რას იტყვი, კიდეც უარზე ხარ? – კვლავ ჰკითხა
მარზპანმა.

– დიახ, რადგან მწამს ერთი ღმერთი, უფალი ჩვენი,
და ძე მისი იესო ქრისტე! ასევე სული წმინდა და მარადი-
ული ცხოვრება, – დუნე ხმით მიუგო გვირობანდაკმა.

მარზპანი სავარძელში წამოინია და ტუსაღს სახე მი-
უახლოვა.

– მებრალეები, შვილო, კარგი ყმანვილი ჩანხარ. ვილა-
ცას გონება აურევია შენთვის. მიინდა იფიქრო და პასუხი
ისე გამცე! – მერე მდივანს მიუბრუნდა და მეჯადაგეზე
ანიშნა, – ხაროში ჩააგდეთ, ოღონდ ნუ აწამებთ. ორი
კვირის შემდეგ ისევ დავკითხავ.

მეჯადაგემ თავი ჩაქინდრა და თავისივე ხამლის
მტკრიან ჭვინტებს დააშტერდა.

– იყოს ნება შენი! – იმ ჭვინტებს უთხრა კიდეც ერ-
თხელ გვირობანდაკმა.

* * *

ხარო ვინრო იყო, თუჯის ცხაური ეფარა. მზე როცა
შეიმაღლებდა, ცოტაოდენი სინათლეც მაშინ ჩამოეშვე-
ბოდა ორმოში, თუმცა სიბნელეს მაინც ვერ ჰფანტავდა.
ხაროს ფსკერზე მოკუნტულ გვირობანდაკსაც დღე-ღა-

მის სათვალავი აერია. ის განმარტოებით ჩაამწყვდიეს
ორმოში, არც უწამებიათ და არც უშიშმილებიათ, რო-
გორც სხვა სჯულგანდგომილთ ექცეოდნენ, რალაი მარ-
ზპანს მისი კეთილგონიერება ეიმედებოდა. ალბათ ჰგო-
ნია გვირობანდაკი ისევე ცეცხლთაყვანისმცემლობას
აღიარებს! ფეხებმოკეცილი მეჯადაგე მკლავებს მუხ-
ლებზე შემოისალტავდა და ხაროს კედლებს აცქერდე-
ბოდა. აჰა, საფლავშია. სხვა რალა უნდა დამართნოდა!

გვირობანდაკს სახსრები დაუბუჟდა და მხრები სტკი-
ოდა. თვალისჩინი თითქმის წაერთვა. აღარ იცოდა, ეძინა
თუ ეღვიძა. ნიადაგ თვლემა ერეოდა და ნაცრისფერ
ლანდებს ჰხედავდა. თუ მართლა ჩაეძინებოდა, მაშინვე
ვილაც აფხიზლებდა, უჩინარი ვინმე კი უხმოდ ეკითხე-
ბოდა, მზად ხარ თუ არაო. რისთვის უნდა ყოფილიყო
მზად?! აკი დანამდვილებით იცის, რაც მოელის – სპარ-
სული წესით თავს მოჰკვეთენ და ტანს ნათესავეებს გა-
დასცემენ დასამარხად.

სხვა რალა უნდა მოხდეს...

* * *

სხვა რალაც მაინც მოხდა:

გვირობანდაკს უფლის საფლავი ეზმანა.

ვითომ აკლდამის ღია კართან იდგა და შიგ შესვლა
ვერ გაებედა, რადგან ზღურბლზე უზარმაზარი ვერძი
აღმართულიყო, ვეება რქები მოელერებინა და მას ეტა-
ნებოდა. გვირობანდაკს შიში გულს უღევდა, მაგრამ
უკან მაინც არ იხევდა. ნუ გეშინისო, ვილაც აგულიანებ-
და. ვერძი კი მისკენ მოინევდა და სარქენად ემზადებო-
და. თუ გვირობანდაკი თავს არ უშველიდა, ვერძი რქე-
ბით განგმირავდა. ხედავდა კიდეც მკერდს მოზჯენილ
წყვილ და ბასრ რქას, როგორც მბრწყინავ სატყვეებს.
რქათა წვერები მის მკერდს შეეხო და დაფეთებულ გვი-
რობანდაკსაც გაელვიძა.

ხაროში იჯდა, ზურგით კედელს მიყრდნობილი, გარ-
შემო კი სიბნელე იყო. გვირობანდაკმა კბილები ძაღლი-
ვით დაკრიჭა, კედელს ხელი მოუფათურა. ნესტით სვე-
ლი კედლის შეხებამ მიახვედრა, ჯერაც ცოცხალი რომ
იყო და წინ გამოცდა ელოდა.

* * *

მეორე დღეს ისევ სამსჯავროზე გაიყვანეს. მარზპანი
ძველებურად ტკბილად მოექცა, დაუყვავა. მამა-შვილუ-
რად ებასებოდა და ათასნაირ სიკეთეს ჰპირდებოდა,
თუკი გვირობანდაკი კვლავ მახდევანობას იწამებდა. მე-
ჯადაგე ჩუმად უსმენდა. მერე უცაბედად სიტყვა გაან-
ყვეტიანა:

– იყოს ნება შენი.

გახარებულმა მარზპანმა ყურებს არ დაუჯერა და შე-
სამონმებლად ჰკითხა, მართლა თუ ადასტურებ მამა-პა-
პათა სჯულზე მოქცევასო.

გვირობანდაკმა დაუდასტურა.

– უარყოფ ქრისტეს და ცეცხლს ვეთაყვანები.

სასიამოვნოდ შეჩქევიფებულმა მარზპანმა მაშინვე მი-
სი განთავისუფლება ბრძანა. მეჯადაგეს ხელბორკილი
ახსნეს და ახალი სამოსი და ცოტაოდენი ოქრო უბოძეს.
გვირობანდაკმა მიიმედ დაუხარა თავი მარზპანს, რომე-

ლიც მის ქებას არ იშურებდა, დარბაზი განვლო და სასახლის კარში გამოვიდა.

მცველმა ჭიშკარი გაუღო. გვირობანდაკმა უკან მიიხედა. თავისუფალი იყო. ვილაც შეეხო მუხლზე.

– მონყალემა მოილე! – შესთხოვა მტვერში მხოხავმა ხეიბარმა.

მეჯადაგემ ნაჩუქარი სამოსი და ოქრო გლახას მიუყარა და სწრაფად გაშორდა მას, მაგრამ მათხოვარი ხელში სწვდა.

– რომელმა ღმერთმა გამომიგზავნა დღეს შენი თავი?! – ხეიბარი თან ცალი ხელით ოქროს ხვეტდა, თან გვირობანდაკს შეჰკლიმოდა, – მითხარი, რა სჯულის კაცი ხარ, რომ შენთვის ვილოცო! გინდა, რომ ვილოცო? მითხარი, გინდა?

– იყოს ნება შენი! – მჭმუნვარედ მიუგო გვირობანდაკმა და გაეცალა.

აგრილდა, ფოთლები აქანავდნენ ხეებზე. ფრინველები გალობდნენ ტყერში. სიცხით გადატრუსულ მინდორში ჭრიჭინობელა იხერხებოდა.

გვირობანდაკი მტკვრის პირას მიაბიჯებდა. საპყრობილეს მერე მზის შუქი თვალს სტკენდა, სუფთა ჰაერი ფილტვებს უხალისებდა, მაგრამ შინ დაბრუნების ფიქრი ნაბიჯს უყოვნებდა.

„მოლაღატევ, სჯულის უარმყოფელო,“ – ჩასძახოდა ვილაც.

წელში მოხრილი მეჯადაგე ჭალას შეერია, თითქოს უჩინარ მდევარს დაემალებოდა. ქვემოთ მტკვარი დიოდა. გვირობანდაკი წყლის პირას წამოწვა. ადამიანისა თუ ნადირის ფეხით გადამტვრეულ ბალახის ღეროს დინება ალაღლალებდა, თუმცა ვერ წარეტაცნა.

„მონყდება“, – გაიფიქრა გვირობანდაკმა.

ღერო არ მონყდა. გვირობანდაკი პირქვე გადაბრუნდა და მიწას ემთხვია – ასე იწვა, თითქოს ბალღი დედის მკერდს ეკვრისო.

მერე ჩაეძინა.

– ხმა ამოილე, რას გაჩუმებულხარ?

სანოვავის კალათით ხელში ქოხის ზღურბლზე ამქრის მამასახლისი იდგა.

– დამატებით დოქ ღვინოს და ნახევარ კოდ ფქვილს მოგცემთ. წლიურ გამოსაღებსაც გაგინახევრებთ. სამუშაოდ ხვალვე შეგიძლია გამოხვიდე.

გვირობანდაკი მდუმარედ იჯდა ცეცხლის პირას. რაც შინ მობრუნდა, ეგრე გაშეთებული იყოფოდა. არც უსვამს, არც უჭამია, მარტო კერის ცეცხლს შესცქეროდა.

მამასახლისმა კალათა მიწურ აიტაკზე დადო.

– ეს ხორავი ამქარმა გამოგიგზავნა. გულით გვიხარის, ჩვენს რწმენას რომ დაუბრუნდი. ჩვენი ძმა ხარ.

მეჯადაგემ არც ახლა მიუგო რა და მამასახლისმა უკმაყოფილოდ დაზიდა ჩარბი.

– დილით შემოგივლი, სამუშაოდ წაგიყვან, – შეჰპირდა შემდეგ და ეზო გადაიარა, წავიდა. ქოხში ახლა ჯალაბი შემოფათურდა, გვირობანდაკს გვერდით აეტუზა.

– ბალღები მშვივრები გყავს. შინ ყველაფერი გამოილია. სანამ შენ იქ იყავი, მცხეთელი ქრისტიანები გვანვდიდნენ ლუკმას. ახლა ვინლა შეგვივრდომებს! – თქვა ქალმა.

გვირობანდაკმა უაზროდ ახედა. მერე ნაფოტი აიღო და ცეცხლში ისროლა.

– იყოს ნება შენი, – ცეცხლს უთხრა მეჯადაგემ.

სახელოსნოში მყრალი სუნი იდგა, რადგან კუთხეში ახორხილი ტყავები საშინლად ყარდა. სხვა ხელოსნებთან ერთად გვირობანდაკი უბრად ხვენდა და ფხეკდა ამ ტყავებს. ამქრის წევრები გაახარა მისმა დაბრუნებამ, მხარზე ხელს უთათუნებდნენ, საქციელს უწონებდნენ. გვირობანდაკი არავის ელაპარაკებოდა, ცალკეად თუ მიუგდებდა ვინმეს ორიოდ სიტყვას. ნაშუადღევს მათთან ერთად გატეხა პური და წყალი დააყოლა. მერე ისევ ტყავებს მიუჯდა. ამქრის წევრებს უნდოდათ მცირე არიფანა გაემართათ გვირობანდაკის დაბრუნების აღსანიშნავად, მაგრამ ამან დაღლილობა მოიმიზეზა. მამასახლისმა შინ კალათით სანოვავე გამოატანა. გვირობანდაკმა კალათი აიღო და გზას თავდახრილი დაადგა. გოლგოთის ჯვარივით მიჰქონდა ღალატის საზღაური – მწარე პური და ღვინო, მაცხოვრის სისხლი. ახლადა მიხვდა, რა დაჰკარგა! მცხეთის ვინრო ქუჩებში მთვრალივით მიბნაცალებდა. შეღამდა. მწუხრის ვარსკვლავი აკიაფდა ცაზე. მეჯადაგემ თავის ქოხს მიატანა. კერის შუქი გამოკრთოდა ღობიდან. გვირობანდაკი ღობესთან შედგა. ქოხიდან მისი ჯალაბი გამოვიდა და ძროხა ახსნა. უცხო ლანდი რომ შეამჩნია, ქალი აქეთ მოდგა და შეეხმინა, რომელი ხარო; გვირობანდაკმა კალათი ღობესთან დადგა და იქაურობას უჩუმრად გაეცალა.

იმავე ბნელი ქუჩებით ბრუნდებოდა უკან. ქვემო უბანში მაზდენათა ტაძრიდან გამოსული შუქი დაინახა. დაღმართი ჩაიარა. განათებული საყდრიდან ქრისტიანული გალობა გაიგონა. გვირობანდაკმა დაიგმინა. ყველგან სინათლე იყო, მარტო მის სულში ბნელა! ალაღბედზე მიდიოდა და ფეხი ერეოდა. მტკვარს რომ ჩააღწინა, მთვარეც ამოვიდა. გვირობანდაკმა ვილაცის დანატოვარი ნავი ახსნა, შიგ ჩახტა და დინებას მისცა თავი.

ხრიოკი ბორცვის ფერდში შეთხრილი ქვაბულის წინ, ბრტყელ ლოდზე, ხელაპყრობილი განდევილი იდგა. არავინ იცოდა, ვინ იყო და საიდან მოსული: უცხოელ მამებს შემოჰყოლოდა თუ აქაური ვინმე მწირი იყო, გაკიდევანების მოსურნე; უფლისთვის მდუმარების აღთქმა მიეცა და ქვაზე ლოცვის მოღვაწეობაც ეტვირთა. ლოდიდან მარტო მოსასვენებლად ჩამოდიოდა, რათა ღამით ორიოდ საათით თვალი წაეტყუებინა და მწირი ლუკმა შეეჭამა, რასაც გამვლელები უტოვებდნენ, თუმცა ზოგჯერ კვირაობით მგზავრი არ ჩანდა და განდევილიც მარტო წყლით იოკებდა სიყმილს. და კიდევ – უფლის სასოებით. ნუთისოფლის ყველა ამო საზრუნავი დაეგდო და სული შემოქმედისთვის მიეპყრო.

გვირობანდაკი ველზე მირაცრაცებდა, განდეგილს რომ გადააწყდა. ლოდზე მდგარი შაოსანი ფიგურა ეუცნაურა. მერე ქვაბულიც დაინახა და აქ გადავიჩრდილებო, იფიქრა. არ იცოდა, სად მიდიოდა და რისთვის – ერთი ეგ იყო, უნდოდა შორს გასცლოდა ლალატისა და შერცხვენის ადგილს. ლამით ნავი რომ გაიტაცა და მტკვარს დაუყვა, ეგონა სადმე ჭოროხებში ჩავიჩხეზბო, მაგრამ ნავი მეჩქრზე შეჯდა და გვირობანდაკმაც ამ ქვეყანასთან განშორების ბოლო იმედი დაჰკარგა. თვითმკვლევლობა ვერ გაეხედა, ღმერთი კი არ ჰკლავდა, რადგან უსაზღვრო და უსამანო იყო მისი პატიების უნარი.

და კაენივით სიცოცხლემისჯილი გვირობანდაკიც ნუთისოფლის გზებზე სახეტილოდ აღიძრა. უფლის სამადლობელი ლოცვა ეწადა, მაგრამ ვერ გაბედა, რადგან არ იცოდა, ღმერთმა ლალატი შეუნდო თუ მისი რისხვა ჯერ არ მოსწვდენოდა. იმას კი ხვდებოდა, ეს ამბავი ეგრე იოლად არ გათავდება და არც სიკვდილია გამოსავალი. ესეც უფლის განგებისადმი ნდობით აღივსო და სწორედ განგებასთან შესახვედრად ეხეტებოდა ველად.

განდეგილი არცკი შერხეულა, როცა მეჯადაგე ქვაბულს მიუახლოვდა. ხელაპყრობილი იდგა ისევ, ოფლი ღვარად სდიოდა, ბაგეები მოეკუშა და შორეთში იყურებოდა. გვირობანდაკი შეეხმინა, მაგრამ იმან ხმა არ გასცა. არაქათაცლილი მეჯადაგე ქვაბულის ჩრდილში მიწვა და განდეგილს მიაჩერდა, მისგან სიტყვის გაგონების მოსურნე. მისი მზერის ბრალი იყო თუ სიცხემ დასცადა – განდეგილი უეცრად შექანდა და ლოდიდან გადმოვარდა, მძიმედ დაეზღურთა მიწას. გვირობანდაკი მაშინვე მიეჭრა საშველად. ბერი უგონოდ იყო. მეჯადაგემ ის ჩრდილში გადაათრია. ეგონა, მოკვდაო, მაგრამ უეცრად მწირმა ამოიხვნეშა და თვალი გაახილა.

– როგორ შემამინე! – უთხრა მეჯადაგემ, – მეგონა, მოკვდი.

– ნუთისოფლისთვის მკვდარი ვარ უკვე, – უგუნებოდ მიუგო მწირმა და თვალი თვალში გაუყარა.

გვირობანდაკს რატომღაც შერცხვა, ველარაფერი ანამა და იქვე მიჯდა. განდეგილი ცოტა ხანს გამოთილი ინვა, მერე წამოჯდა.

– ვინა ხარ? – ჰკითხა გვირობანდაკს.

მეჯადაგემ რალაც წაიბლუკუნა, მაგრამ ბერი აღარ უსმენდა, თითქოს პასუხი არ აინტერესებსო; მზერა ისევ შორეთისთვის მიექცია.

– აღთქმა დავარღვიე, უცხო კაცს დაველაპარაკე, – თქვა მერე, – მითხარი, რა გაგჭირვებია, ჩემს სენაკთან რამ მოგიყვანა?

მეჯადაგეს თავისი საშინელი ლალატის გამხელის სურვილი ჰკლავდა, მაგრამ განდეგილის მზერამ ენა მუცელში ჩააგდებინა.

– სალამომდე დავრჩები, – წაიბურტყუნა, – აგრილდება და ნავალ.

ვარსკვლავებით მოოჭვილი ციდან ლილისფერი სინათლე სჭვიოდა – ეს არ იყო ნათელი, მაგრამ არც ბნელი იყო. გვირობანდაკს მწუხარედ დაეხარა თავი. ქვაბულის შემოსასვლელთან ბერი დაჩოქილიყო, უხმოდ ლოცულობდა. უთქმელ ლალადს რომ მორჩა, მან და გვირობანდაკმა ხმიადი გატეხეს და წყალი დააყოლეს.

– ხვალ ამ ლოდს ქვაბულში შემოვავაგორებთ, – თქვა ბერმა, – დარჩი, მიშველე!

– ვერ დავრჩები, – გამოეპასუხა გვირობანდაკი, – უნდა ვიარო!

– საით?

– უფლის საფლავისაკენ.

– იცი კი, სად არის?

გაოცებულმა მეჯადაგემ ბერს შეხედა. ის კი მისკენ არ იყურებოდა. ქვაბულიდან ძირს გადაშლილ ველს დასცქეროდა.

– აქეთ მრავალნი დადიან, – თქვა მერე, – ჰგონიათ, რომ იციან საით მიდიან. შენც მათსავით ცთომილებას შეუპყრიხარ.

გვირობანდაკმა კვლავ თავი ჩაჰკიდა. ბერი თითქოს მის სულში იყურებოდა.

– სად მიდიან, ეგ ხომ არ იციან, – განაგრძო ბერმა, – უარესი ეგ არის, რატომ მიდიან, ესეც რომ არ იციან. შენ რილასთვის მიეშურები უფლის საფლავისაკენ?

– რწმენის დასაბრუნებლად, – გაუბედავად უპასუხა გვირობანდაკმა.

– გქონდა და დაჰკარგე?

– ჰო. რწმენას ვულალატი. უარყვავი უფალი ჩვენი! – ამის თქმას გვირობანდაკს მიწაში ჩაძრომა ერჩივნა, მაგრამ, მისდა კვლავ გასაოცრად, განდეგილს არც ახლა მოუხედავს მისკენ. ნუთუ ვერ გაიგონა ნათქვამი? გვირობანდაკმა ხომ ეს-ესაა საშინელი საიდუმლო გაუმხილა!

– ეგ ერთიდაიგივე როდია, – თითქოს მხიარულადაც თქვა ბერმა, რამაც მეჯადაგე კვლავ გააკვირვა, – რწმენის დაკარგვა და ლალატი! ვისაც არაფერი ჰქონია, ვერც დაჰკარგავს, ხოლო ვინც ვერ დაჰკარგავს, იმას არც ლალატი შეუძლია.

– შენდობა არა მაქვს, – მჭმუნვარედ გამოეპასუხა გვირობანდაკი, – ამქვეყნად ყველაზე საშინელი რამ ჩავიდინე – უფალს ვულალატი.

– შეგეშინდა?

– ჰო, – დაფიქრებით თქვა გვირობანდაკმა, – სული ტკბილია, ოღონდ...

– უფლის მოწყალება უსაზღვროა, – გაანყვეტინა ბერმა, – მან იუდასაც შეუნდო ლალატი.

– შენდობა არა მაქვს! – ჯიუტად გაიმეორა გვირობანდაკმა, – იუდამ ოცდაათ ვერცხლად გასცა უფალი ჩვენი. მე ეს არ ვიკმარე. მეტი მსურდა – ღვთის სასუფეველი.

ბერს გაეცინა.

– უფალი სასტიკი და დაუნდობელია, – თქვა ისევ გვირობანდაკმა, – უარი მითხრა, თავის წიაღში მიველე. ჩემი გამირობა მას არ სჭირდება.

– გატყობ, ბევრი რამ დაგიტმენია უფლის გამო, – სუსხინად თქვა ბერმა, – ცუდია, რომ ჯილდოს მოელოდი ამისათვის. იქნებ სიმამაცე არ გეყო?

– ნებისყოფა წამერთვა, როცა მივხვდი, უფალს არ ვჭირდებოდი.

და ის თავის სიზმარს მოუყვა ბერს. მოუთხრო, რა ნახა და რა განიცადა. ყოველივე წვრილად მოუთხრო – ისიც, რომ უფლისკენ სავალი გზა აკრძალული აქვს. ბერი ყურადღებით უსმენდა.

– ამ გზაზე მრავალნი დადიან, – გაიმეორა ნელან ნათქვამი ბერმა, – შენზე უარესნიც მინახავს, გვირობანდაკ, კაცისმკვლელნი და ავაზაკნი, ღვთის უარყოფელნი და მისი აშკარა მტრებიც, მაგრამ იმათ ყველას რაღაც აქვთ, შენ რომ არ გაგაჩნია და რასაც გამწარებით დაეძებ – რწმენა!

– მე უფალი მწამდა! – სასოებით თქვა გვირობანდაკმა.

– მთავარი ეგ როდია. მთავარია, რა გწამს და შენით თუ გწამს.

– მწამს აღდგომა და საუკუნო ცხოვრება! – გვირობანდაკს ცრემლი აწვებოდა თვალებზე, ლამის აღრიალე-ბულიყო.

– შენ მკვდარი ხარ, გვირობანდაკ! – თითქმის შერისხა ბერმა, – მკვდრებს კი შეცოდება როდი ძალუძთ. არც შენს რწმენას და არც ურწმუნობას ფასი არა აქვს, ფუტუროა.

ორივენი დადუმდნენ და ღამე ჩადგა მათ შორის. ბერი წამოსასხამში გაეხვია, ქვაბულის კედელთან მიწვა.

– დაიძინე, ძმაო შეცთენილო, და დილით განვაგრძოთ საუბარი! – მიუგდო გვირობანდაკს და პირი იბრუნა.

გვირობანდაკს არ ეძინებოდა. გვიანობამდე იჯდა და ღამეში იყურებოდა. ჯერ რისხვამ შეიპყრო – უნდოდა ბერი მოეკლა. მერე დანყნარდა. განდგეილთან საუბარმა ვერაფერი არგო. კვლავაც ვერ შეეცნო, მის თავს რა ხდებოდა. მარტო ის გაიგო, რომ შენდობისა და პატიების გზა ხსნილი ჰქონდა, მაგრამ ეს არ კმაროდა. მის წინ ღამე იყო, გზა-სავალი არ ჩანდა. საით ნავიდეს? უფალი სამუდამოდ დაჰკარგა. მარტო იყო ღამეში, მკვნესარი გულით და მტკივანი სულით მლაღადებელი, თუმცა მისი უხმო ღალადი არავის ესმის. იქვე კუტკალიები ხმიანობდნენ, ღამე მკვე კამეჩივით ფშვენდა და სიგრილეს იცოხნიდა. გვირობანდაკის არსებაში რაღაც გაჩაჩუნდა, თითქოს წკირი გადატყდა – ეს რაღაცის დასაწყისი იყო, აუცილებლად რომ უნდა მოხდენილიყო.

– თუ უფალს არ ვეკუთვნი, თავისუფალი ვარ, – უთხრა მეორე დილით ბერს გვირობანდაკმა, როცა ხის ძალაყინებით ლოდს ქვაბულისკენ მიათრევენენ.

ბერი შედგა და ჩოხანის სახელოთი სახეზე ოფლი შეიხოცა.

– მიხარია, ამას რომ ამბობ, – თქვა მერე, – ბაღლი მაშინ იბრდება, როცა არტახებს ებრძვის.

გაოცებისაგან გვირობანდაკს სიტყვა გაუწყდა პირში.

– განა უფლის რწმენა ჩვენთვის არტახებია? – ჰკითხა დანანებით.

– უფალი იმას იმეტებს, რაც გვსურს. ვისაც მონობა უნდა, ბორკილს მიიღებს, თავისუფლების მაძიებელს კი შეეწევა.

– განდგომილთაც? ბერს გაეღიმა.

– რა ბაქია ყოფილხარ, ძმაო! თავი უფლის ტოლი გგონია. განა შენი ღალატით უფალს რასმეს ავნებ?! არც ის იცი, რომ ამქვეყნად ყოველივე მისი ნებით ხდება? იქნებ შენი ღალატიც უფლის მიერ იყო დაშვებული, გვირობანდაკ?! ამაზე არ გიფიქრია?

არა, ამაზე გვირობანდაკს არ უფიქრია! ის მარტო ნუხდა და იტანჯებოდა თავისი ღალატით, რაც თურმე მხოლოდ პატივმოყვარეობის ნიშანი ყოფილა და მეტი არაფერი.

– ვინც ცოდვაში დიდხანს რჩება, სამგზის ცოდვილია, – დაუმატა ბერმა.

გვირობანდაკმა იყურა. მან ფიქრი ისწავლა. ახლა იმას ცდილობდა, როგორმე უხილავი კედლის იქით გადაეხედა, ღალატმა რომ გაავლო მასა და უწინდელ გვირობანდაკს შორის. ნუთუ განდგეილი მართალია? ნუთუ მისი ღალატიც წინასწარ იყო დადგენილი? მერე-და, რისთვის? გვირობანდაკს პასუხისთვის ვერ მიეგნო, სანამ შემთხვევამ არ მიახვედრა: ერთ დღეს ბერთან ერთად საროჭიკოდ იყო მახლობელ სოფელში. მცირე რამ სურსათი მოინაგრეს და უკან ბრუნდებოდნენ, როცა ძეძვში გაბმული ბატკანი დაინახეს. ფარას თუ მოსხლეტოდა. ბერმა ხელში აიყვანა კრავი, მკერდს მიიხუტა.

– ჩვენც ამ კრავს ვგავართ, გვირობანდაკ, – თქვა ღიმილით, – უფალი თვალს მიეფარება თუ არა, მაშინვე ხიფათს გადავეყრებით ხოლმე. გახსოვს იგავი დაკარგულ ცხვარზე, მწყემსმა ოთხმოცდაცხრამეტი სული რომ მიატოვა და იმ ერთის საძებრად გაეშურა?! უფალი ყველას როდი დაეძებს.

– ჰო, ვიცი, – მჭმუნვარედ გაეპასუხა გვირობანდაკი, – უფლის გზანი მართლაც შეუცნობელია. ვის აღირსებს წყალობას, არავინ იცის.

ბერმა ბატკანი ძირს დასვა, ხუჭუჭ მატყლზე მიეფერა.

– ის დაკარგულთ და ურჩთ დაეძებს. პირველთ იმიტომ, რომ უსაზღვროა მისი სიბრალული და სიყვარული გზაბნეული ცხვრებისადმი; მეორეთ კი იმიტომ, რომ თავისუფლება სთნავს. უფალი თავად თავისუფლებაა! – ბერს თვალეტი უცინოდა და ისე ლაპარაკობდა.

გვირობანდაკი ბევრს ვერაფერს მიხვდა, თუმცა ბერთან საუბარი სიამოვნებდა. უცნაური ვინმე ჩანდა, მაგრამ მისანდო. პირქუშიც ეთქმოდა, ოღონდ გაბოროტებული – არა. სხვა საზრუნავს შეეპყრო. გვირობანდაკიც ხომ რწმენას დაეძებდა, მაგრამ ბერი რაღაცნაირი სიშმაგით იყო აღვსილი: ღმერთი თუ რაღაც უფრო მეტი სწყუროდა. გვირობანდაკსაც ეს სიშმაგე აოცებდა. თავად ნაზი ბუნებისა იყო, ფიქრისა და ჭმუნვისადმი მიდრეკილი; უფლის სავანეც რომ ღირსებოდა, მიჯდებოდა სადმე კუთხეში, როგორც იმ თავის სახელოსნოში და იქნებოდა თავისთვის ჩუმი. კამათი არ ეხერხებოდა და არც უყ-

ვარდა. სჯულს იმიტომ ეზიარა, რომ ლოცვისა და ლიტურგიისას სიმშვიდე ენვეოდა ხოლმე. მეტს არას ითხოვდა – უნდოდა მშვიდად ყოფილიყო, წუთისოფლის ქარიშხალთაგან შეურყეველი, როგორც დედის ნიაღშია ჩვილი, საიდანაც ჩვენთვის უცნობი დაუნდობელი ძალა გვერეკება ამქვეყნად; გვირობანდაკიც შეძლებისდაგვარად ერიდებოდა შფოთსა და აყალ-მაყალს, თუმცა ტანჯვა და ცთუნება ჩვენს ნება-სურვილზე როდია დამოკიდებული; არც ის ძალგვიძს, მათ წინაღუდგეთ, თუკი უფალი საამისო ძალას არ მოგვცემს. ბერის თქმით, ღმერთი ტანჯვით და ცთუნებით გამოსცდის ადამიანს, ზოგჯერ სიხარულით და ბედნიერებით, თუმცა გვირობანდაკმა ის ვერ გაიგო, ეს გამოცდა რაღა საჭირო იყო; თავისუფლებისათვის, ეუბნებოდა განდევილი და გვირობანდაკსაც ეს თავისუფლება აშინებდა – უფლის თვინიერ თავისუფლებას ფასი არ ჰქონდა, რადგან ძრწოლა და სიცარიელე იყო მისი სახელი.

– შეიგნე, რომ ზოგჯერ ღალატით და უარყოფით უფრო ხარ უფალზე დამოკიდებული, ვიდრე რწმენით, – დაუწინებდა ზოგჯერ ბერი, – ბორკილს ნებით იღებ ხელფეხზე, გვირობანდაკ, ბნელ ხაროში ვარდები.

– ერთხელ უკვე ვიყავი იქ, – პასუხობდა გვირობანდაკი.

– შენ ახლაც იქ ხარ! გზააბნეული ბალღით ზეცას ტირილით თავს აბეზრებ. რწმენას სიმამაცე სჭირდება, ოღონდ ის სიმამაცე კი არა, ხმლითა თუ შუბით კაცის მოსაკლავად რომ მიინევი ან სიკვდილი და ხიფათი რომ არ გაშინებს; ადამიანად ყოფნის სიმამაცე გაკლია! ყოველი ჩვენგანისთვის უდიდესი კატასტროფაა, ღმერთმა რომ ადამიანად შეგექმნა, მაგრამ ხსნის გზაც არსებობს, თუმცა შენთვის ნაადრევია ამაზე საუბარი. ჯერ უნდა განკაცდე, გვირობანდაკ!

– ჩემს ღალატს ამ ამბავთან რამე აკავშირებს?

– გაიხსენე, რაც გითხარი: ამქვეყნად უმიზეზოდ არაფერი ხდება. ღალატი და ერთგულება ჯოხის ორი ბოლოა, ჩვენი არსის ორი მხარეა, თუმცა ჭეშმარიტება მანდ როდია. სხვაგან უნდა ეძიო, რადგან ამით ვერ ცხონდები – ვერც მარტო სჯულის შენახვით და ვერც მისი უარყოფით. ეს გზის დასაწყისია, ხოლო თუ სად მიხვალ, შენზეა დამოკიდებული. შენ შემოვლითი, გრძელი გზა ირჩიე. დაეცემი ამ გზაზე თუ ყოჩაღად ივლი და მიზანთან მაინც მიხვალ, არავინ იცის. მთავარია, იარო და არ შეშინდე. აი, ეს შეიგნე!

ჰო, უნდა ეარნა! მზად იყო ამისათვის? თანაც, სად უნდა წასულიყო, ამას ვედარავინ ურჩევდა, რადგან ქვაბულში ლოდი რომ მიიტანეს, იმ დღიდან განდევილმა კვლავ დუმილის ალთქმა გაიხსენა და გვირობანდაკსაც მოსაუბრე და მრჩეველი მოაკლდა.

– თუ სასჯელს დაეძებ, ვერ ეღირსები, – უთხრა განდევილმა გამომშვიდობებისას და ქვაზე შედგა, – გაიხსენე უფლის სიტყვები: „წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი“.

– ღმერთი მეტისმეტად გულმონყალეა, – ამოხვინჩვით თქვა გვირობანდაკმა, – სჯობდა მოვმკვდარიყავი.

– გგონია, შენი ყოფა სიცოცხლეა? შენი რწმენის წყარო დაშრა, გვირობანდაკ, გვალვამ გაახმო შენი სული, როგორც ეს ველი.

– რწმენა სიცოცხლეა, – ექოდ გამოეხმაურა გვირობანდაკი.

– სიცოცხლე თავისუფლებაა. შენ კი იმიტომ ვერ ეზიარები რწმენას, რომ თავისუფლება გაშინებს. ამიტომაც ვერ ივინყებ უფლის ღალატს და სასჯელს მოელი, მაგრამ იცოდე, ვერ ეღირსები!

ბერმა წამოსახამი თავზე წამოიფარა და ამით ანიშნა გვირობანდაკს, განშორებოდა.

და გვირობანდაკიც განეშორა მას, რადგან მარტოობა იყო მისი ხვედრი. დამშვიდობებისას ბერმა კრავი გაატანა თან, რაკი თავად ველარ უპატრონებდა. მეჯადაგემ კრავს კისერზე თოკი შეაბა და ისევ გზას გაუდგა.

მცხეთაში, სამთავროს მონასტრის კარიბჭესთან, მათხოვრები ირეოდნენ. ყოველ ცისმარე დღეს მოდიოდნენ ისინი მონყალეების სათხოვნელად. გაბედულნი ალაცაფის აქეთ-იქით იკავებდნენ ადგილს, უფრო სუსტები და უძლურნი შედარებით მოფარებულ ალაცაფს სჯერდებოდნენ. თუ რომელიმე მათგანი გაბედავდა და ჭიშკარს მიუახლოვდებოდა, იქ გამაგრებული მათხოვრები ჯოხით ერეკებოდნენ უკან, რის გამოც მონასტრის შესასვლელთან მუდამ ჩხუბი და აყალ-მაყალი იყო. მღელვარება მცირე ხნით მაშინ ჩანყნარდებოდა, როცა მონასტერში მომსვლელი იკლებდა. ვინმე მდიდარი მოქალაქის გამოჩენისას კი მათხოვრები ისევ აირეოდნენ და მუჯ-



მხატვარი თამარ მინაშვილი

ლუგუნის კვრით ზედახორას გადადიოდნენ, რათა წყალობა ბრძოლით მოენადავლათ.

მხოლოდ ერთი მათგანი იდგა ხოლმე მოშორებით. ხელში საბელი ეჭირა, რითაც იქვე მობალახე ბატკანს აკავებდა – რაც განდევილს გაშორდა, გვირობანდაკი კრავთან ერთად დაეხეტებოდა აქეთ-იქით, სანამ გულმა ისევ შინისკენ არ გაუნია, მაგრამ თავის ქოხს რომ მიუახლოვდა, მუხლებმა უმტყუნა და ველარ გაინძრა. მეჯადაგეთა უზნიდან მთავარ ქუჩაზე დაეშვა და მონასტერთან დაიდო ბინა. ლამაზობით თუ გაბედავდა და თავის ეზო-ყურეს მიაკითხავდა. მერე ესეც აკრძალა – რაკი ღალატით იყო დაღდასმული, არც ცოლ-შვილში გახარება უნდა ღირსებოდა.

მეჯადაგე მუდამ განმარტობით იდგა მონასტრის წინ, არავის ელაპარაკებოდა, მაგრამ მათხოვრები მაინც არ ასვენებდნენ – ზოგი წყევლას და ქოქოლას აყრიდა, ზოგს ებრალებოდა; უფრო თავხედნი კრავის წართმევას ან მის დაყოლიებას ცდილობდნენ, ბატკანი დაგვიკალი და ხორცი გვინილადუო, მაგრამ გვირობანდაკი აინუნშიც არ აგდებდა იმათ ღიჯინს თუ მუქარას, რადგან ჯანი მოსდევდა და მოძალადეს მუშტის დაკვრითაც ნააქცევდა. საქმე აქამდე არასოდეს მიდიოდა: მათხოვრები სიტყვით იყვნენ მამაცნი, საქმით კი მხდალნი, როგორც ყველა სახიარო თუ ცხოვრებისგან გარიყული ადამიანი.

– აჰა, გამომართვი! – ჩოფურა, ტანდაბალმა და შავტუხა გლახამ ქერის ხშიადი გაუნოდა გვირობანდაკს. გლახას ფეხები დამბლისგან წართმეოდა, ჯოხზე ბჯენით დაჩოჩავდა. მის გარდა ჯალაბი და ორი ვაჟი ითხოვდა მონყალებას ალაყაფთან. გლახა კი მოშორებით იჯდა ხოლმე ქვაზე და ხანდახან გვირობანდაკს გამოელაპარაკებოდა.

– დღეობაზე მაინც დაგეკლა ეგ ბატკანი, ხორცი გვექნებოდა, – გლახამ ჯოხი ლაჯებშუა ჩაიყუდა და გაიცინა, ჭიანჭამი კბილები გამოაჩინა, – რას ელოლიაგები, შიმშილი არ განუხეებს?

– ვერ დავკლავ, – პირქუშად თქვა გვირობანდაკმა, – უმწეო და მარტოსული ვიპოვნე ძეძვებში. უნდა ვიზრუნო მასზე.

– შენს თავზე გეზრუნა, არ გერჩინა? – ჩაიხიბითა გლახამ, – არც ხეიბარი ხარ და ჯანიც მოგდევს. სამათხოვროდ რამ მოგიყვანა?! სამუშაოს როგორ ვერ იშოვი? აი, მე სიარული რომ შემეძლოს, აქ კი არ ვიჯდებოდი. ვინმეს მაინც დაგუდგებოდი მსახურად.

– ვერავის მონა ვერ ვიქნები, – თითქოს უხალისოდ მიუგო გვირობანდაკმა.

– ხელობა მაინც თუ იცი?

– მეჯადაგე ვარ.

– ამქარში რატომ არ მიხვალ?

– ხალხთან არ მიმესვლება, ღმერთი მიკრძალავს ამას.

– რომელი ღმერთი?

გვირობანდაკი დადუმდა და მოლზე ჩაცუცქდა. ხშიადი გატეხა. ნახევარი კრავს გაუნოდა. გლახა ცნობისმოყვარედ უთვალთვალებდა.

– ღმერთი, – ამოღერლა ბოლოს გვირობანდაკმა, თითქოს საკუთარ თავს უპასუხაო.

– ღმერთი ერთია, – სერიოზული სახით თქვა გლახამ, – ის, ვინც გაგვაჩინა და ვინც ძალას გვმატებს ამ წუთისოფელში, თუმცა მე კი ასე სასტიკად დამსაჯა.

– და მაინც გნამს?

– სხვა რალა დამრჩინია. ჩვენი სიცოცხლე ჩვენს ხელთ როდია.

– სიკვდილი ხომ მაინც შეგიძლია! – გვირობანდაკი მისკენ არ იხედებოდა, კრავს ლუკმას აჭმევდა.

– ღმერთი გვიკრძალავს ამას. მხოლოდ მისთვის შეიძლება მოვკვდე.

– ჰო, უნდა ვიცოცხლოთ, რათა ვიტანჯოთ, – გვირობანდაკმა კრავს თავზე ხელი გადაუსვა, – და შენ ასეთი ღმერთი გნამს?

– რწმენის სურვილსაც ღმერთი გვაძლევს. როგორც უწყლოდ ვერ გაძლებ, ისე რწმენის გარეშე ვერ იცოცხლებ. დამიჯერე, გამომიცდია. ღმერთმა ნუ ჰქნას, რწმენა დაჰკარგო. სიკვდილი დიდი შვება იქნება მაშინ შენთვის.

– შვება? – ხელი გაუშეშა გვირობანდაკს.

– ხორცებს შენივე კბილით დაიჭამ, ოლონდ ვინმე გეგულებოდეს, ვინც შეგამჩნევს და დაგინახავს. მარტო თუ იქნები, მთელი ქვეყანაც რომ შენი იყოს, მაინც ჩალის ფასი ექნება შენს სიცოცხლეს, – გლახამ ჯოხი შემართა და კრავს შეეხო, – ვხედავ, რალაც გადაგხდენია, რაც მოსვენებას არ გაძლევს. რამ დაგაეჭვა?

– უფლის სამართალმა. უსამართლოდ გეტანჯავს.

– მისი წყალობის იმედი რომ გქონდეს, ინამებდი?

– არ ვიცი. ახლა ველარაფერს ვინამებ.

გლახას გაეცინა.

– რა მიაშიტი ყოფილხარ! გგონია, ეგ შენს სურვილზე ჰკიდი?! თუ ღმერთს უნდა, ამ მონასტრის ჭიშკარში ფორთხვით შეგიყვანს, რათა შენდობა ითხოვო.

– მერედა, რად არ იქმს ამას?! ის ხომ ყოვლისშემძლეა?

– რა გითხრა! თუ ღმერთი ვინმეს დიდ ყურადღებას აქცევს, ეს არ ნიშნავს, რომ სხვებზე მეტად უყვარს იგი. კაცთაგან ზოგი ძლიერია, ზოგი სუსტი. აი, შენ ჯანი მოგდევს და სიარული შეგიძლია, მე კუტი ვარ. ამიტომ ღმერთმა ყავარჯენი მომცა. ჩემი შემწე რწმენაა, შენ, ეტყობა, ეს არ გჭირდება.

გვირობანდაკმა აიხედა და გლახას მზერას წაანყდა. რალაც აზრი გაუკრთა. ამ წამს პირველად იგრძნო, სამყაროს სხვა თვალთ უყურებდა.

– ვისაც ეს ესმის, ნეტარიც იგია, – განაგრძო გლახამ, – დროს ნუ აცდენ. შენი გზა ეძიე.

– რომელი გზა?

– გზა ერთია – ის, რომელსაც უფალთან მივყავართ.

ამის შემდეგ ორივენი დადუმდნენ და მარტო ბატკნის შმაშურილა ისმოდა. გვირობანდაკმა თავი ჩაღუნა – ახალ ჭემმარტებას ჩაუფიქრდა.

მალე ქვეყანა ისევ აირია – სპარსელებმა ქრისტიანების დევნა წამოიწყეს და გვირობანდაკიც კვლავ გზას დაადგა, რადგან ქრისტიანებთან სიახლოვის გამო შეიძლება ახლაც სამსჯავროზე გაეყვანათ. მარტოობის ხანა დაუდგა. თავისუფალი იყო, მაგრამ შიმში აიტანა – აქამ-

დე ღმერთზე ფიქრით სულდგმულობდა, ლალატის შემდეგ კი მისი წყალობის ან რისხვის მოლოდინით სასობრდა. ერთგულებაზე მეტად ლალატმა მიაჯაჭვა უფალს – ეძინა თუ ეღვიძა, მაინც ღმერთს ესაუბრებოდა.

ახლა ყველაფერი შეიცვალა. მის გარშემო სიცარიელე იყო. გვირობანდაკი თითქოს მინას მოსწყდა და ჰაერში გაჩერდა; ქვეყნიერებამ სუნი და ფერი დაჰკარგა, ხატოვანება მისი გაცივდა. უცხო მიწაზე ვლიდა გვირობანდაკი, უცხო ცას შესცქეროდა, უცხო ხალხს ხვდებოდა – არავინ და არაფერი იყო ამქვეყნად, გაუნელებელი კაემნისაგან რომ განკურნავდა. მრავალჯერ მწარე კენესა აღმოხდენია და გაჩენის დღე უწყევლია, მრავალჯერ უფიქრია, რაკი თავის მოსაკლავად გამბედაობა არ მყოფნის, ისევ სპარსელებთან მივალ და ისინი ჩამაძალეებენო, მაგრამ რაღაც აკავებდა. მერე თავისივე სიტყვები ახსენდებოდა, უნდა ვიცოცხლოთ, რათა ვიტანჯოთო, გლახას რომ უთხრა და საკუთარი თავისადმი სიბრალულით ივსებოდა. რა ემართებოდა, ვერ შეეცნო. ალაღბედზე ვლიდა და სავალი არ ჩანდა.

ასე იარებოდა, სანამ ერთ დღეს ქედს არ გადაადგა და დაბლა, ტაფობზე, ხალხი არ დაინახა – ესენი ლტოლვილი ქრისტიანები იყვნენ. იმხანად ქრისტიანები ხშირად სახლდებოდნენ უკაცრიელ ადგილას და კომუნის მსგავს თემად ცხოვრობდნენ. გვირობანდაკმა ფაცხები და ქოხმახები გაარჩია ველზე და გადაწყვიტა, აქ შეჩერებულიყო. კრავი ბუჩქზე მიაბა, ხის ძირას წამოწვა და ტკბილად ჩაიძინა.

პირველად იყო, მშვიდად რომ ეძინა, უსიზმროდ. გაღვიძებისას ისე ეგონა, თითქოს ხაროდან ახლალა ამოვიდა, სადაც ოდესღაც სჯულის ერთგულებისთვის ჩააგდეს. მაჯლაჯუნები აღარ სტანჯავდნენ, მწუხარებაც კვამლივით გაიფანტა და გვირობანდაკმა მზეს გაუცინა, მაგრამ მალე სიხარული სიმწრით შეეცვალა, როცა კრავი ველარ ნახა – საბელი აენყვიტა და დაკარგულიყო.

სალამომდე ამაოდ ეძებდა ბატკანს გვირობანდაკი, ქანცი გაუწყდა, მისავათდა. ხევ-ხუვებში და ლარტაფებში ბლოტილით ხელ-ფეხი დაეკანრა, ოფლი ღვარად სდიოდა, გული კი მწარედ უკვნესოდა. ამ ხეტიალში ველზე გავიდა და ბეკეკოც დაინახა – ბალებების წრეში იდგა და სათითაოდ იმათ ხელებს ულოკავდა.

იმ ადგილას მალე დიდვანებიც შეიყარნენ. გვირობანდაკი უცხო ხალხს მიუახლოვდა, გამოელაპარაკა. უთხრა, ბატკანი ჩემია და მის კვალს მოვყევით. ქრისტიანები უხმოდ უსმენდნენ. მერე ერთი შავწვერა კაცი ნინ წამოდგა და საბელი ხელში მისცა გვირობანდაკს.

– სხვისი არაფერი გვინდა, წაიყვანე!

გვირობანდაკმა საბელი ჩამოართვა და წასასვლელად მიბრუნდა.

– ის მაინც გვითხარი, ვინა ხარ და რომელი მხრის კაცი ხარ? – კვლავ ჰკითხა შავწვერამ.

– მეჯადაგე, – დუნედ მიუგო გვირობანდაკმა.

– წარმართი ხარ თუ ქრისტიანი?

გვირობანდაკს ყელი გაუშრა. ვილაც ქალმა დოქით წყალი მიანოდა. მეჯადაგემ დალია და ძლივს ამოღერდა:

– მონათლული ვარ...

ველარ დაამთავრა. შავწვერამ მხარზე ხელი დაჰკრა: – დარჩი ჩვენთან. მუშახელი გვჭირდება. აქ სპარსელები ვერ მოგაგნებენ. უხიფათოდ იქნები.

გვირობანდაკმა გვერდზე გაიხედა. არ იცოდა, რა ეპასუხა, მაგრამ შავწვერამ ფიქრი აღარ აცალა, მკლავში ხელი წაავლო და თემის მამასახლისს მიუყვანა. მამასახლისმაც იგივე გაუმეორა, ჯანიანი ბიჭები გვჭირდება, უცხო ალაგას რომ ვიარსებოთ და მტრისგან თავი დავიცვათო. გვირობანდაკმა მოფიქრებისთვის დრო ითხოვა. შავწვერა მასპინძელმა ახლა ქოხში წაიყვანა მეჯადაგე და ლუკმა გატეხეს. გვირობანდაკი თითქოს სიზმარში იყო. ღამით მას უკვე ადამიანთა შორის ეძინა, ვარსკვლავების შუქზე, იმ ფარული სიხარულით ალვისილს, რასაც ხანგრძლივი განშორების შემდეგ მოყვასის ნახვით განვიცდით.

თემი დიდი არ იყო, მაგრამ ხალხი თანდათან ემატებოდა, რადგან სპარსელები ქვეყანას ანიოკებდნენ. ისევ შიში და შუღლი ჩამოვარდნილიყო ქართლში, ჟამი მტრობდა ადამიანებს. ეს გადარჩევის ხანაც იყო, როცა მსგავსი მსგავსს ეძებდა – ხალხები და ერები დულდნენ, ჯგუფდებოდნენ, წარმართები და ქრისტიანები ერთმანეთს ებრძოდნენ და მრავალმა დასდო თავი სარწმუნოებისათვის. ეს იყო ხანა თავგანწირვისა და სიმამაცისა, ხანა გარდაქმნისა. ჰაერში ცვლილებების სუნი იგრძნობოდა. ადამიანი ძველ ტყავს იძრობდა, რათა თავისი ცხოველური წარსული დაევიწყებინა, ინსტინქტის მძლავრობას გამოსხლეტოდა, ბუნების წინაშე შიში დაეძლია. შორს დარჩენილიყო დრო, როცა მკსინვარე მხეცები აწყენდნენ, მეხთატეხა თავზარს სცემდა, ხოლო ცრურწმენა ხელ-ფეხს უბორკავდა. ამიერიდან ის მინის პატრონი, თავისი ცხოვრების შემოქმედი იყო – სწორედ ამას განუმარტავდნენ გვირობანდაკს თემის სწავლული კაცები, როცა სალამოობით ლოცვაზე იკრიბებოდნენ. გვირობანდაკი ყველამ შეიტკბო და შეიყვარა, რადგან ნაზი და მისიყვარულე იყო თავადაც. თანაც გამრჯე, დაუზარელი. თემს კი ასეთი დიდად ეჭირვებოდა. უცხო ადგილას დამკვიდრება დიდ ჯიფას და მოთმინებას მოითხოვდა, თუმცა საქმეს ის აიოლებდა, რომ აქ ყველა ერთი სულისკვეთებისა იყო, დისციპლინას მორჩილებდნენ და ერთმანეთს ძმური სიყვარულით ეპყრობოდნენ.

სხვებთან ერთად გვირობანდაკიც დაუზარებლად შრომობდა – ხან წყარო გამოჰყავდა მახლობელი ტყიდან, ხან ქოხს აგებდა ახალმოსულთათვის, ხან შეშის ჭრაზე ან ნახირში დადიოდა, ხანაც მზირად იდგა, სპარსელები რომ თემს მოულოდნელად არ დასცემოდნენ. ძველი ხელობაც გაიხსენა და მონადირეებისაგან მოკლეული ცხოველების ტყავები გამოჰყავდა, რასაც მერე ძმობის წევრები ქალაქში ჰყიდდნენ ან სურსათზე ცვლიდნენ. თემს თუმცა უყვარდა, გვირობანდაკს გული მაინც ეთანადრებოდა, წარსული რომ დამალა და არც თავისი ლალატის ამბავი გაამხილა. ეს უპატიოსნო საქციელად მიაჩნდა და ყოველდღე იმ განზრახვით დგებოდა, თემის უხუცესებს განდობოდა, მაგრამ გამბედაობა არ ჰყოფნიდა. თემიდან რომ გაეძევებინათ, შერცხვენაზე მეტად მარტოობა მოულებდა ბოლოს.

ერთხელ გვირობანდაკი ტყეში მიტოვებულ მახდებულ ნურ ტაძარს წაანყდა – ეს იყო კოშკისებური შენობა, რომელშიც ცეცხლი აღარ ენთო. გვირობანდაკი სამსხვერპლოს წინ შედგა. ის დრო მოაგონდა, როცა მცხეთელ წარმართებს სჯულის გამო ეკამათებოდა. რა ამაცი იყო მაშინ თავისი სიმართლით! როგორღა მოხდა, რომ თავისგანვე ქებულ ჭეშმარიტებას უღალატა?! თუკი წარმართები ცდებოდნენ, არც მისი რწმენა ყოფილა ნამდვილი... გვირობანდაკი დაღონდა. ჰო, ეგრეა – მისი რწმენა ნასხვისარი იყო. იმიტომაც ვერ შეიძლო სჯულისთვის თავდადება. განდეგილისგან შერისხვაც გაახსენდა და გონება გაუნათდა – ის, ადრინდელი გვირობანდაკი, მართლა ბრიყვი და სულელი ყოფილა, რადგან ბრმად მიჰყვებოდა რწმენის ბილიკებს; აკი ეუბნებოდა განდეგილი, არ იცი საით და რისთვის მიდიხარო! ახალა შეიგნო ისევ განდეგილისგანვე თქმული: მთავარია, რა გნამს და შენით თუ გნამსო. რწმენა ნაყიდა სამოსივით ადგა ტანზე. თავად როდი მოექსოვა და მოეზომებინა, სხვისას ჩემულობდა. სამოსი გაცვდება და გადაადგებ. გვირობანდაკსაც ასე დაემართა. რომელი სჯულიც არ უნდა ელიარებინა, მაინც ვერ დაიცავდა ბოლომდე. მან ფრთხილად შეახო ხელი სამსხვერპლო ქვას, გამურულ თითებს დახედა. ამნაირი მური ეცხო მის გულსაც. ცოცხალი, ქმედითი რწმენა აკლდა და უნდა ეპოვნა...

მზირად მდგარმა ბერმა მოიბრინა თემში. შეიარაღებული უცხო ხალხი შეენიშნა ქედს იქით. თემის კაცებმა მაშინვე თავდაცვისთვის მზადება იწყეს. ქალები და ბავშვები სამალავებში გახიზნეს, თავად კი ტყისპირში ჩასხდნენ – თუ სპარსელთა რაზმი დიდი არ იქნებოდა, შეებრძოლებოდნენ და იქნებ უკუეჭციათ კიდეც. ჟამიდან ჟამზე მზირები მოდიოდნენ და ამბავი მოჰქონდათ, სპარსელები გვიანლოვდებიანო.

მამასახლისმა თემის კაცები ტყისპირში შეკრიბა, დააჩოქა და ერთად ილოცეს – ბრძოლის წინ შეწევნა სთხოვეს ღმერთს, რათა სჯულისთვის სიკვდილის ძალა მიეცა მათთვის. გვირობანდაკიც სხვებთან ერთად მუხლისთავებზე იდგა, ბაგეებით ლოცულობდა, გულით კი სიცარიელეს ექოდ ეხმიანებოდა.

ლოცვას რომ მოორჩნენ, მამასახლისს მიუახლოვდა და თავდახრით უთხრა:

– ბრძოლა არ მოგვიხდება. სპარსელებს მე გაგიტყუებ. მამასახლისმა ჰკითხა, ამას როგორ იქმო.

– მეც ხომ სპარსი ვარ, მაგათი ენა ვიცი. მეგზურად გაყვები და აქედან გავიყვან, ვითომ ტფილისს მიმყავს. მამასახლისმა თავი გადააქნია.

– ვინძლო გტანჯონ, შვილო, თუ დაფარული შეგიტყვეს. მზად ხარ კი ამისათვის?

მეჯადაგემ უფრო ჩაღუნა თავი. მამასახლისმა მხარზე დაადო ხელი და ტკბილად უთხრა:

– უფლისთვის სიკვდილი ჩვენ არ გვაშინებს. ოღონდ უნდა იცოდე, რის გამო კვდები. ღმერთს შეგნებულნი მსხვერპლი სჭირდება. თუკი რწმენაში ვერ გარკვეულხარ, ჩვენს გამო ტყუილუბრალოდ თავს ნუ დაიღუპავ.

გვირობანდაკმა არც ახლა უპასუხა, ბუჩქებზე მიბმული კრავი ახსნა, მამასახლისსა და თემის წევრებს თავი მდაბლად დაუხარა და სამალავიდან გავიდა. ნელა მიაბიჯებდა და არაფერზე ფიქრობდა. ბატკანი კუნტრუშით მიჰყვებოდა. მზე აჭერდა. ჩიტები ჭიკჭიკებდნენ. გვირობანდაკმა ფეხს აუჩქარა. მალე სპარსთა მარბიელი ლაშქარი დაინახა. შედგა და მიმოიხედა. მარტო იყო. შეეძლო უკან გაბრუნებულიყო, ან ისე გადაკარგულიყო, ველარავის ენახა. ამან წუთით თავბრუ დაახვია. თავისუფლების შეცნობამ ურჯოლა მოჰკიდა. ამ ყოყმანში იყო, ბატკანმა რომ გაინია და წინ გაეყარა. გვირობანდაკიც უნებურად მიჰყვა, თითქმის სირბილით გაექანა შეუცნობელისაკენ.

სპარსთა ჯარის უფროსი, ღჯუ, ავთვალის კაცი, უნდოდ მოეკიდა მეჯადაგის ნაუბარს. მსტოვრებისაგან მას სხვა ცნობები ჰქონდა, მაგრამ გვირობანდაკი ისე გაცხარებით არწმუნებდა, უგზოდ მიდიხართ და ტყე-ღრეში გაიბნევეთო, ბოლოს მაინც მოტყდა, ლაშქრის შემობრუნება ბრძანა, მეჯადაგეს კი დაემუქრა, თუ გვატყუებ, სასტიკად განამებთ და მერე ნელ ცეცხლზე დაგწვავთო.

– სად გაგექცევით, – უთხრა გვირობანდაკმა, – წინ მე ვივლი, თქვენი მეგზური ვიქნები.

ჯარის უფროსმა ბოლმინად დააქნია თავი, მათრახი გაატყლაშუნა და ცხენს მოახტა. სპარსელთა ლაშქარმაც პირი იბრუნა და ხეობის ყელისკენ იწყო სვლა. გვირობანდაკი წინმავალ რაზმელთა შორის მიაბიჯებდა. გვერდით ჯარისკაცები ამოსდგომოდნენ, რათა არსად გაქცეულიყო. ჯერ ჩუმად ვიდოდნენ, მერე სპარსელებმა დაცინვა დაუწყეს მეჯადაგეს, ეს რა მამაცი მეომარი ყოფილხარ, საბრძოლველად ცხვართან ერთად რომ დაიარებიო.

– მეჯადაგე ვარ, ბრძოლა ჩემი ხელობა როდია, – თქვა გვირობანდაკმა, – თუმცა თითოეულ ჩვენგანს დიდ ომში შესვლა მაინც უნევს.

ჯარისკაცებმა ჰკითხეს, რას გულისხმობო.

– კრავისა და მგლის ბრძოლას, – ნართაულად მიუგო გვირობანდაკმა, – ნეტარია იგი, ვინც კრავს მიემხრობა.

ჯარისკაცები მეჯადაგის სერიოზულმა გამომეტყველებამ გაამხიარულა და ისევ სიცილი დაიწყეს. მეჯადაგეს მხარს ჰკრავდნენ და ეკითხებოდნენ, ბატკანს როდის დაგვიკლავ, ხორციით რომ გვიმასპინძლოო.

– ეგ საზრდო თქვენთვის ურგოა, ვერ მოინელებთ, – ისევ ნართაულად ამეტყველდა გვირობანდაკი, – თანაც ყოველმა კაცმა არსობის პური თავად უნდა მოინაგროს. სხვისი ლუკმა სიყმილს ვერ დაგიცხრობთ.

ამასობაში ხეობიდან გავიდნენ და ველი გამოჩნდა. გვირობანდაკს თითქოს ეცნო აქაურობა. ველზე მტკვარი მიედინებოდა. გაღმა წითელი კლდეები და ხრიოკი ბორცვები ჩანდა. ღამდებოდა. ჯარის უფროსმა დაბანაკება ბრძანა. ჯარისკაცებმა ცეცხლი დაანთეს და მწირი ვახშმის მზადებას შეუდგნენ. გვირობანდაკი კოცონთან იჯდა და ალს უყურებდა. ჯარისკაცებისაგან მოწოდებული ლუკმა შეჭამა და იქვე მიწვა, მაგრამ თვალი არ მოუხუჭავს. შუალამისას, როცა ყველას ეძინა, მან კრავს საბელი ახსნა და შუბლზე მოეფერა, იმ ადგილას, სადაც კრავს რქების ნაცვლად პატარა ნუფრები ჰქონდა.

ბატკანმა დაიკიკინა.

– ჩუმად! გასწი აქედან! – გვირობანდაკმა გავაზე ხე-ლი მსუბუქად დაჰკრა და უზიდა, მაგრამ ბეკეკო ადგილი-დან არ დაძრულა. მარტო ფეხი დააბაკუნა, მერე მეჯადა-გეს გაეგლასუნა და ნუჟრიანი თავით მხრებზე გაეხახუნა. გვირობანდაკმა მოიცილა, მაგრამ კრავი ისევ და ისევ რქენდა პანია ნუჟრებით, თითქოს რალაცას ანიშნებო. გვირობანდაკმა მიმოიხედა. მცველებს ეძინათ. ბანაკში სრული სიჩუმე იყო. მან ფრთხილად წამოიწია და მძინარე ჯარისკაცებს გადააღაჯა. ბატკანიც მაშინვე ადგილიდან მოსხლტა და ლამეში შთაინთქა. მეჯადაგე ერთხანს გაოგ-ნებულებით იდგა, მერე ისიც ბნელში ჩაიკარგა.

თავდაპირველად არაფერი იხილვებოდა. მხოლოდ მოგვიანებით გაკრთა უფსკრულის ნიალი, რომლის შე-სასვლელთანაც გვირობანდაკმა უზარმაზარი ლოდი-თ დაგმანული სამაროვანი შენიშნა, რამაც დიდად შეაკ-რთო, მაგრამ მდევართაგან ლტოლვილს, სხვა გზა აღარ ჰქონდა, აქ უნდა შეეფარებინა თავი. შესძლებდა კი ლო-დის დაძვრას, ქვაბულში რომ შეეღწია? ვისი იმედი ჰქონ-და? ვინ შეეწეოდა? გვირობანდაკმა უმწეოდ მიმოიხედა. „მიშველე!“ – თქვა უხმოდ და ლოდიც მაშინვე სასწაუ-ლებრივი ძალით მოსცილდა მღვიმის შესასვლელს, აი-წია, ჰაერში გაჩერდა. სამაროვანი გაიხსნა და იქიდან ღვარივით წამოსულმა სინათლემ გვირობანდაკი დააბ-რმავა. მან თვალბეზვებზე ხელები აიფარა და უნებურად უკან დაიხია, რადგან მღვიმის ზღურბლზე ახლა უზარ-მაზარი ვერძი აღიმართა. მზერააჭრილ გვირობანდაკ-საც ველარ გაერჩია, რქები უელავდა ასე ვერძს თუ წყვი-ლი სანთელი ენთო შუბლზე. ვერძი მისკენ მოიწვევდა და ნათელში დაბუგვას უქადადა გვირობანდაკს. აჰა, სარქე-ნადაც უნდა მისწვდენოდა, როცა უეცრად თავი დახარა, დაპატარავდა, ნაზმატყლიან პანია კრავად იქცა. სიხა-რულმა გული აუჩქროლა გვირობანდაკს, უშიშრად გაე-მართა მღვიმისაკენ დაკარგულ კრავთან შესახვედრად, მაგრამ ამ დროს მღვიმიდან თეთრსამოსიანი ქურუმი გა-მოვიდა, კრავს საბელი წააბა ყელზე და მღვიმის შიგნით, საკურთხევისკენ წაიყვანა. გვირობანდაკს უნდოდა ეყ-ვირა, მაგრამ პირი ვერ ალალო; უნდოდა კრავს გამოს-დევნებოდა – ფეხები უჩვეულოდ დამძიმებოდა. არადა-მიანური ძალისხმევით მაინც განახვნა ბაგეები და კრავს უხმო ძახილი დაადევნა. როგორც ჩანს, ქურუმს ესმა მი-სი მოწოდება, რადგან ანაზდად შემობრუნდა და მომ-ნუსხველი მზერით გვირობანდაკი ადგილს მიაღწერდა. მერე ბაგეზე თითი მიიღო გაფრთხილების ნიშნად და მე-ჯადაგესაც სიტყვა ყელში გაეხირა, რადგან მიხვდა, რომ ამ წუთას მის თვალწინ თუმცა მისთვის ბოლომდე შეუც-ნობელი, მაგრამ უდიდესი სასწაული აღესრულებოდა, რომელსაც ვერავის გაუმხელდა.

– ადექი ძაღლო!

გვირობანდაკმა ფერდში ტკივილი იგრძნო და თვალი გაახილა. ორი სპარსი ჯარისკაცი თავს წამოსდგომოდა და შუბების წვერებით სჩხვლებდა.

– ადექი! – დაიღრიალა ერთმა, უფრო სასტიკი იერის მეომარმა.

გვირობანდაკი ლოდზე იწვა მღვიმეში, სადაც ოდეს-ლაც განდევნილი ეყუდა. წუხელ აქ მოიყვანა ბედისწერამ. მან გაჭირვებით წამოიწია და ჯარისკაცებიც მაშინვე ეცნენ, ხელები გაუკრეს, მღვიმიდან გაიყვანეს და წინ გაიგდეს. გვირობანდაკი ლორლიან ბილიკზე მიაბიჯებდა და სახე მიტკალივით გაფითრებოდა.

ღჯუ, ავთვალმა მხედართუფროსმა წვრილად დაჰკითხა. გვირობანდაკს არაფერი დაუმალავს. მოჰყვა, ვინ იყო და რა ჩაიფიქრა. არც ის დაუფარავს, ქრისტიან-ებს რომ თანაუგრძნობდა. მხედართუფროსმა მისი გა-შოლტვა ბრძანა. გვირობანდაკი გააშმიშვლეს და ხარის ტყავის საბელი სცეს. მეჯადაგე მოთმინებით უძლებდა სატანჯველს, რადგან იცოდა, ჟამი მობრუნდა და ის კვლავ სამსჯავროზე იყო. მხედართუფროსი მეჯადაგის უტყურობამ გააცოფა.

– მონყალეა ითხოვე! – დაუყვირა ტყვეს.

მეჯადაგეს ნაწამებ სახეზე ღიმილმა გადაურბინა. მხედართუფროსმა ანიშნა და იქვე მდგარმა ჯარისკაც-მაც პყრობილს მსუბუქად შეახო მახვილი ქედზე. გვირო-ბანდაკს სისხლის ზორტი დაედინა კისრიდან და მკერ-დზე ჩამოუცურდა, მაგრამ მაინც ამაყად ასწია თავი და მხედართუფროსს მზერა უსწორა.

– მოკვდები! – კბილთა ღრჭენით უთხრა მხედარ-თუფროსმა.

– იყოს ნება შენი! – მიუგო გასისხლიანებულმა გვი-რობანდაკმა.

ნამდვილად კი მან თავის ღმერთს მიმართა – ღმერთს, ვისზე ფიქრიც ამომავალი მზის ბრწყინვალეა-სა და მხურვალეობას შეერთო.

გვირობანდაკი გმირულად მოკვდა. მხედართუფრო-სის ბრძანებით სპარსელებმა მახლობელი ტყიდან შეშა მოზიდეს, ველზე ცეცხლი დაანთეს და მეჯადაგე იმ ცეცხლში ჩააყენეს. ალმა რომ უწია, გვირობანდაკმა შეჰყვირა, მაგრამ დამწვრობის ტკივილთან ერთად ეს გაოცების ყვირილი იყო – რა იხილა და რა არა გვირო-ბანდაკმა, არავინ იცის, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ მზერა გაღმა კლდეებისკენ მიექცია, სადაც უფლის საფ-ლავი ეგულებოდა – ასე სწამდა მას, ვინც წუხელ თავად იმყოფებოდა მაცხოვრის სამაროვანთან და უფალმა არ განაძო იგი. მაცხოვრის საფლავთან სასწაულებრივი მი-ახლების შეგნებამ ღიმილი მოჰფინა გვირობანდაკის ბა-გეებს და ის გაღიმებული მოკვდა, თუმცა იქვე მდგარი სპარსელები ირწმუნებოდნენ, აღსასრულის წინ მეჯადა-გეს, ვითარცა ძაღლსა და რჯულგანდგომილს, ცეცხლმა დაუღრიჯა სახეო.

გვირობანდაკის დანახშირებული ძვლები სპარსე-ლებმა ველზე მიმოფანტეს. ჟამთასვლამ და ველის ცხო-ველებმა მალე მათგან აღარაფერი დატოვეს; მოგვიანე-ბით თემის წევრებმა შეაგროვეს მეჯადაგის ფერფლი, პატარა ტაგრუცში ჩაყარეს და იქვე დაფლეს, ზემოდან კი ხის ჯვარი დაასვეს, შორიდან ცისკენ თავალერულ და ხელებგაშლილ ადამიანს რომ ჰგავდა.



გიორგი გამსახურდია

* * *

გახუნონ ჟოლოვ, ალით ღამე შვან,
დააქუცმაცონ ქიმები ბარდად...
გვატყუონ, ოღონდ ჩვენ არ დავეშვათ
წარმოდგენათა ჩალისფერ ფარდად.
არლეკინები, სიზიფეს ტანით,
დააგორებენ გუნდებს ნაძვებში.
მაგრამ ჩვენი ხმა, როგორც ნესტარი,
ჩარჩენილია დროის ღანვებში.
რომც ჩამოთალოს ეს ხმა ეპოქამ,
ორპირი ბზარი განვება ცულში,
რადგან, ნესტარი ისიც გვეყოფა
ჩაგვიტოვია რამდენიც გულში.

მარტოსულეზი

მარტოსულეზი ოთახში წვანან,
როცა მსოფლიო ვისკით ერთობა.
მარტოსულეზი არავის ჰგვანან
და ერთმანეთშიც არ აქვთ ერთობა.
მაგიდა, სკამი, ჩუმი და ჩამი,
ამ კვირის და თვის ღამეებს დათვლის.
მტვრიანი ქუჩის ყოველი წამი,
საუკუნეა მარტოსულთათვის.
და თუ ჩაუვლი იმ ბინას ახლოს,
დახურულ ფანჯრის უთქმელ სიავეს
ერთი ღიმილიც რომ დაეჯახოს,
კვამლიან ოთახს გაუნიავებს.

* * *

ამ თვალუნვდენელ წითელ ნოხებში,
ჩაიკარგება სიტყვა მესავი.
ისევ გვედინოს, სადმე, ორხევში
გადაჩეხილი მდინარესავით.
ჩამოუყვევი ბილიკებს ნელა
ნატერფალებით მინდა ვიხარო,
იქნებ დაგაჯდეს მხარზე პეპელა
მდინარისაკენ გადმოიხარო.
აგაცილებდი ხევის ყელამდის
ჩამოპნეული მთვარის ვერცხლებით
ძლიერი სოფლის გაღვიძებამდე,
იქამდე, სანამ ჩამომეცლები.

* * *

ნაგომანები გაცვინა
ურწმუნოების ნიავმა.
უფესვოდ წამოგანვინა,
ბალახებივით კი არა.
საწყალობები ლანჩები,
დგანან ლენჩები ყინჩებად,
სადაც მოსჩანან ყანჩები,
ობლის ნარჩენიც ირჩევა.
ჯამში თეფშები, ტილო და
თავში თორმეტი გროშია.
ტყეში შოშია ტიროდა
შეცივებული შოშია.

* * *

ბასრი სიმართლე კისერს ემთხვევა,
რადგან სიზმარშიც მე ვერ ვიცრუე
და ველარ გეტყვი, მოდი ერთხელაც
ფურცლიდან რომ არ ჩამომიცურდე.
მოყირჭებული ცრემლების გემო.
გსურდა გეპოვნა რალაც ახალი
და დაეძვდი ტერფების ქვემოთ,
მაგრამ ის იდგა თხემზეც მაღალი.
აფრინდებოდა ჩემში ტოროლა,
ეძნელებოდა შენება ბუდის
და ბავშვობიდან სძულდა ტოლობა,
რადგან ერთმანეთს არავინ უდრის.
წამი მსდევნი და წამი წინარე.
ან ტყუპისცალი ცაში ტოროლა,
არც ბუნებაში ორი მდინარე,
არც მდინარეში ნავი ოროლა.
დაუჩეხიათ ჯალათებს ნავი,
შეუკეთიათ ცეცხლში სინაზე,
მერე რამდენი სურვილის თავი
დამცურებია გილიოტინაზე...
დავეკიდები ცას ლებნებიანს,
ისევ გავწვები ვაზის ფოთლებზე
და ჯალათებიც არ ილლებიან
დამატარებენ ეშაფოტებზე.

* * *

წყვილი ნაბიჯი და სამი ანათალი...
ყავლი გაგივიდა დროში განანოლი.
თურმე შენამდეა ყველა დანათვალი,
თურმე შენამდეა ყველა ანანონი.
ნეკნი – განა ძვალი,
ქალი – განა ცოლი,
თურმე შენამდეა ყველა ანანონი.
როცა გამზირებზე ტემბრი ნულოვანი
მხარზე გადებული ფიცრის მინუსია,
სიტყვის ნატეხების ისევ ყინულოვან
წყალში ხელებს ჩაყრი სითბოს ილუზიად.

სენტიმენტებს გაყრის ფიქრის დიფუზია,
წყალში ხელებს ჩაყრი სითბოს ილუზიად.
რატომ გადალებენ, რომ ეს უნივერსალა
სახედალარულმა პირში ჩაიგუბო?
რატომ გადალებენ გეცვას უნიფორმა,
როცა უპერანგოდ გინდა დაილუპო?..
უნდა ჩაიფორმო, უნდა ჩაიკუბო?!

როცა უპერანგოდ გინდა დაილუპო.
ყველგან გეგებება უმი პანტომიმა,
სიტყვა მოდენილი ტუჩზე შეგიმშრალოს
ხურჯინს გამოგინვდის სავსეს ფსევდონიმით,
რომ არ შეეშალო, რომ არ შეიშალო.
თუ არ დაიშლი და სილა გაგიშალოს
რომ არ შეეშალო, რომ არ შეიშალო.



ნაილი ნეკერიშვილი

* * *
აჰა! ჩემი სიყვარული – ნაკლული
სუფრა,
გაშლილი შენი მსახურისაგან,
როცა ძლიერ იტანჯებოდი,
ძმათა ჭკუიდან შემშლელ ომში
ცოტავდებოდი
და ბალახისმჭამელთა უმწეობით
სასაკლავს გზას მიჰყვებოდი.

* * *
დაიძინა სიყვარულმა – გულმძიმე
გოლიათმა,
რომელმაც დატოვა გაყინული
ქალაქი
და ათქვირებულ ბალახში პირქვე
ჩამოხობილმა
ყვავილების სუდარა გადაიფარა.

* * *
ის კაცი, რომლის ხელისგულზე
ჩიტები ისვენებდნენ,
ჭიანჭველებმა გამოხრეს, გველებმა
დაგესლეს
და ქალაქიდან გაძევებული
მაღალი ხის ტოტებიდან ჩამოხსნეს.

* * *
უფლის რჩეულის ვარდებისათვის
ანგელოზებმა შეაგროვეს სისხლის
წვეთები
და ედემის გამოადეს დახშული
კარი,
მომართეს ქნარი სადიდებლად
ძმისა და მამის,
აყვავებულ ბაღს მიეცა წუთით
სიცოცხლე.

* * *
გარდაიცვალა სიყვარული –
ქველი რაინდი,
ჯავრი გაჰყვა ათასი მტრისა,
გაუცვდა ჯაჭვი, მუზარადი,
ფარი-შიმშიერი
ჩაიკეცა აყვავებულ ბაღების
ბოლოს,
მიაბარა გაზაფხულს სული.

* * *
აქ არის კრძალვა და სითამამე,
დიბა-ატლასი გაშლილი გზაზე,
ზოგი თეთრი, ზოგი სისხლით
გახამებული,
ტკივილი მკერდის,
ვეფხვისაგან ნაზარდი ჩვილი –
სიყვარული.

იზა ორჯონიკიძეს

ძვირფასო! რატომ გაიხსენე
დარიაჩანგის ბალი,
რომელიც მუდმივად ცოტავდება,
როგორც ერთგულება და სიყვარული,
როცა ზღვა ლოკავს ნაპირს
და ქვიშა აბრმავეებს აყვავებულ
გაზაფხულს.

* * *

თეთრი გველებით დაკბენილი,
გულგაგლეჯილი,
სევდიანი ვარ – სევდა არის
თოვლის დედოფალი,
ყინულის სარკეში ნელი-ნელ
ვირნევი
და თვალგახელილი სიკვდილში
ვიძირები.

* * *

აი, დარდის ხალიჩა, რომელსაც
ხანდახან,
ქართულ რიკულებიან აივანზე
ვამზეურებ,
რომ ტანჯვისა და სიხარულის
ყვავილები
ადამიანის თვალების შუქმა
გააცოცხლოს.

* * *

გადახმა ვაზი, ჭანჭურები,
ალიბუხრები,
შავი და თეთრი ქლიავეები,
ტკბილი ატმები,
დიდი ვენახი ბალახების
შქერმა დაფარა,
შეშად წაიღეს ტირიფების
სქელი მორები
და მხოლოდ ორი ალვის ხე
დარჩა,
ორად ორი მიწის სანთელი
პაპაჩემის მოსაგონებლად.

* * *

აყევდება შური და მტრობა
და ყვავილთა მტვერს
მიაყრიან,
რომ დაიბინდოს სიკაშკაშე
თეთრნითელი აბრეშუმისა
და გაზაფხულს გამოედოს
ეკალ-ბარდები,
დაბასრული სიყვარული
სისხლის კვალს ტოვებს.

* * *

თოვლის ქალაქი, მძიმე ჯვარი
სიცოცხლის ბოლოს,

გაყინულ ლექს ჩამოატყდა პატარა
ნკალი,
რომელიც წინათ სათამაშო იყო
ძვირფასი,
გული ჰქონდა და სიცილის
თვალისმომჭრელ შუქში ეძინა.

* * *

უფალო! აი, ჩემი სიყვარული –
გულნითელი ჩიტი, ფრთათეთრი,
სამღერად მოსული, ზეცაში
აჭრილი
მოყვასისათვის გულცრემლიანი
და ჭრილობაზე ნისკარტით
წყაროს წყლის მაპკურებელი.

* * *

აი, ის ჭრელი მძივები,
რომელიც ჩემი გულის გულში
დევეს
და თვალებიდან გადმოდის,
რომ ამ სევდიან სავანეთში,
გალიპული ხავსის ქვეშ –
ცრემლის სარკეში,
სიხარულის შუქმა ჩაიხედოს.

* * *

სილარიბემ მხრები მატკინა,
ხელები დამიგრძელა,
თვალეები დამისველა
და სიტყვა გამიუფერულა,
ბაგაში ვწევარ, გულში
პეპლები მყავს,
მაგრამ სიცილი მომიკვდა.

* * *

ნეტავ ვიცოდე,
ხვალ რა ელის სიცილს
ან ტირილს,
რომელიც ჩემი გულის
სიღრმეში –
სისხლის მდინარეში,
ერთმანეთის სანინაალმდეგოდ
დაცურავენ.

* * *

უფალო! აი შენი სახე –
ნათლისაგან ნათელი,

რომელშიც ვიხედები,
რომ სიბნელის ჯურღმულებში
შემოსულ ათინათს
ხელისგულები შევუშვირო.

* * *

აი, თაობა, რომელმაც უნდა
გამიყვანოს
ამ დანგრეული ქალაქიდან
და თვალბში ნაცარშეყრილს,
სისხლი მომწმინდოს, მომიაროს
და მიპატრონოს,
ფრთხილად იყავი, ჩემო ბიჭო
და ჩემო გოგო,
ამ ყიამეთში, ამ ხანძრებმა
და ბოროტების მანვე ბალახთა
ოხშივარმა არ დაგამარცხოს,
მომავალთან უნდა მიხვიდე.

* * *

სად წავიდნენ ანგელოზები,
როცა ბავშვი ტიროდა ყანაში,
რომელიც სახლიდან გამოვიდა
და ვრცელ მინდორში დაიკარგა,
ნუგეში კი აღარსად იყო,
ის პეპლებმა გამოიტყუეს
და პანანინა ნაბიჯებით
დედის კალთას ჩამოაშორეს.

* * *

ამ ლოდმა იცის დევის ამბავი,
სანდრო ნოზაძის ბედის ამბავი,
ბობოქარ სანდროს დაუგეს მახე
ნაჯახით მოკლეს, თვრამეტჯერ
დაჰკრეს,
ველარ აილო მხარ-ბეჭი ფართე,
ექვს თვეს ებრძოდა სიკვდილის
კლანჭებს,
მინისტვის მოკვდა, მინისტვის
მოკლეს.

* * *

აი, ჩემი გულუბრყვილობა
მოკრძალებით დგას
გააფთრებული ადამიანების წინ
და ითხოვს სიყვარულს,
რომ ცრემლით ნარწყავ მიწაზე
მზისა და მთვარის შუქი
აარიგ-ჩაარიგოს.

* * *

ძვირფასო, დაველოდოთ უფლის
ძღვენს – სიყვარულს,
რომელიც ნაკუნებად აქცია
და მთელ ქვეყანაზე მიმოაბნია,
რომ მათ ძიებაში,
ჩვენმა ხელისგულებმა გაყინული
მიწა გააღლოს.

* * *

უფალო! ვის უნდა მისცე ეს
ადამიანები:
ნარკომანები, მათხოვრები,
ქურდები, მეძავეები, ხეიბრები,
ავადმყოფები, – გულცარიელნი,
უფრთხოდ და უსიყვარულოდ.

* * *

დაღლილო ჩემო სიყვარულო,
ძველ სკივრში ჩაგდე,
იქ, სადაც ჭრელი ჩითის კაბებს
ქობები აქვთ შემორღვეული
და სიხარულის ელვარება
შერჩათ ხსოვნაში
წლებით წაშლილ სურათებს
გვანან,
ან შენ იქნები მათი მზეზე
გამკიდებელი.

* * *

უფალს სურდა მხოლოდ
და მხოლოდ,
ორი მშვენიერი ბავშვი
აღეზარდა
სამოთხის ბაღში,
მათ კი ჩვენი სხეულების
ჯაჭვი ჩამოშალეს
დედამინის დასამძიმებლად.

* * *

ქვეყანა გადაბრუნდა –
გვერდი იცვალა,
ფხიანობა დაფასდა –
გაილესა, გაილექსა,
ჯიბე დაუგრძელდა,
დასრულდა, გასუქდა
და წარმატებით გაბრწყინდა.

ქრისტიანე ლავანტი

მაჯლაჯუნა

ცალთვალა ვრგას მაჯლაჯუნა ჰყავდა, მაგრამ თავი მაინც ისე ეჭირა, თითქოს არაფერი სცოდნოდა ამის შესახებ, და ბავშვს ხანდახან მისი ლამაზი სახელითაც კი მიმართავდა. დიახ, ქალს ეს სახელი მართლაც ძალიან მოსწონდა, არადა, პასტორ დულდიგერს ხომ ნათქვამი ჰქონდა, ეს სახელი წესითა და რიგით სასჯელიაო, რადგან მოლაღატე დედოფალსაც სწორედ ასე ერქვა, ხოლო ბიჭი რომ გასჩენოდა, უკეთური იმპერატორის მსგავსად აუცილებლად ნაპოლეონი უნდა დარქმეოდა. აი, ასეთი უღმობელი გახლდათ ჩვენი პასტორი მუდამ, როცა კი დიდ ცოდვას გადაანყდებოდა, ხოლო უმამოდ ბავშვის გაჩენა სწორედაც რომ დიდი ცოდვაა. არც ვრგას შემთხვევაში დაუშვია გამონაკლისი, მიუხედავად იმისა, რომ ქალს ცალი თვალი შუშისა ჰქონდა, – მეორე, უბრალო თვალზე ბევრად უფრო დიდი და ლამაზი. ჩვენი პასტორი ძალზე სამართლიანი კაცი იყო, და როდესაც თავისი უცნაური შავი ქუდი სოფლის ქუჩებში დააბიჯებდა, ხელებს მუდამ ზურგსუკან შემოინყოფდა და თითებს ისეთ მკვირვანსკვად გადახლართავდა, ძალიანაც რომ სდომებოდა, ველარ დააცალკეებდა და ნინ ველარ გამოიწვიდა, მაშინაც ვერა, თუკი ბავშვები ჩაურბენდნენ და ამ ხელებზე კოცნას დაუპირებდნენ. სოფლელ ბავშვებს ხომ დრო და დრო ჯერაც მოეძალებათ ხოლმე ამგვარი ყოვლად გაუგებარი ახირებანი; თანაც ვერასოდეს იტყვი დანამდვილებით, თუ რაზე ფიქრობენ ამ დროს, – შესაძლოა, სულაც ფერად ბარათებზე. და რა იოლად შეიძლება ამ ბავშვებს რამდენიმე ისეთიც შეერიოს, ერთი შეხედვით სხვებისგან რომ ვერაფრით გამოარჩევ, – არც სხვებზე უფრო დაუბანელი არიან და არც გაბურძნულნი, – არადა, ბოლოს და ბოლოს მაინც ყოვლად უდანაშაულოდ რომ გამოგიცხადებენ, ციტა ან ნაპოლეონი მქვიაო. ასეთი რამის წინაშე ბატონი პასტორის ხელები თრთოდნენ და ერჩივნათ საერთოდ უკოცნელად დარჩენილიყვნენ, ოღონდაც ეს არ ეტვირთათ. მაგრამ ეს სულაც არ ამტკიცებს, რომ, როგორც ხალხი ამბობდა, პასტორს ქუდის ქვეშ ჩიტები უქროდნენ. არა, ის უბრალოდ ცოდვას ებრძოდა და სამართლიანობის დამკვიდრება სურდა, და როცა მარტო მიმოდოდა სოფელში, ამ ყოველივეზე საკუთარ თავთან ბჭობდა, და თუკი ამას ხანდახან ცოტა ხმამაღლა სჩადიოდა (ალბათ ასეთ დროს ეჩვენებოდა, რომ კათედრიდან ქადაგებდა), ღმერთო ჩემო, მერედა რა არის ამაში განსაკუთრებული? საეკლესიო პირს ხომ ბოლოს და ბოლოს სრული უფლება აქვს, ილაპარაკოს სადაც მოესურვება და როცა მოესურვება, ხოლო თუ ხალხი იმასაც იტყვის, ქუდის ქვეშ ტყუილების გუდას მალავსო, ეს უკვე მონაქორი კი არა, უბრალოდ დაუშვებელი რამ იქნება. მაგრამ რა ვუყოთ, ასეთია ხალხი. ჯერ ადამიანზე ყოველგვარ ჭორს გაავრცელებენ, შემდეგ კი, თუ გასაჭირში ჩაცვივდნენ, მაინც და მაინც იმ გაჭირვარულ-გაქლივებულს მიადგებიან, თან წინასწარვე, პასტორის ეზოში მდგარ მსხლის

ხის ძირშივე მოადგებათ თვალზე ცრემლი, ღანვებზე და თვალბეჭვებზე დარდის ნოჟები გაუჩნდებათ, შიგნით შესულები ხომ სულმთლად აიქაფებენ პირს, მამაო, უკანასკნელი წირვისას რა მშვენივრად იგალობეთ, რა შთამბეჭდავად, პირდაპირ სულით ხორცამდე ვარ შეძრულიო, ხოლო გარეთ გამოსულებს ხელში ახალი ტანისამოსის, საკერავი მანქანისა თუ კიდევ სხვა რამის ფული უჭირავთ, რაც იმ წუთში აუცილებლად სჭირდებოდათ. და ხშირად ისეც კი ხდება, რომ ამგვარად მოპოვებული ფული სასწავლო წლის დასაწყისისთვის რომელიმე ციტას ან ნაპოლეონის ახალ ფეხსაცმელს მოხმარდება ხოლმე. რადგანაც სამართლიანობას, მედლისა არ იყოს, ორი მხარე აქვს, და პასტორის ხელებსაც მისი წამდაუნუმ შემობრუნება უნევთ, ამის გამო კი სიბერე ეპარებათ და სულ უფრო შესამჩნევად ცახცახებენ. პასტორს ქუდი და კოსტუმი თანდათან უცვდება, სუნთქვაც სულ უფრო უჭირს. მხოლოდ ნათლობისას არ თანხმდება არაფრისდიდებით სამართლიანობის შემობრუნებაზე, ამაში, ხშირად დიდი ბრძოლის ფასადაც კი, უდრეკი რჩება.



ვრგას შემთხვევაში ბრძოლა სულაც არ დასჭირვებია. ქალმა თავისით მოუყვანა ბავშვი მოსანათლად, რადგან არავის შენუხება და უხერხულ ყოფაში ჩაყენება არ სურდა, და კიდევ იმიტომაც, რომ არავის უმხელდა, თუ საიდან ჰყავდა ეს ბავშვი. და როდესაც პასტორს სამართლიანობის გულისთვის მისი დასჯა მოუხდა, ქალი ვერც კი მიხვდა, მსჯიანო, სიხარულით ცას ენია, ჩემს შვილს ასეთი ლამაზი სახელი ერქმევაო, ისე, რომ ჩვეულებრივი თვალი ლამის შუშისაზე უფრო კაშკაშადაც კი გაუბრწყინდა. აბა, რაღა უნდა ეთქვა მოძღვარს, გარდა ამისა: „ნადი და აღარ შესცოდოო“, და ქალმაც დაარწმუნა, ო, არა, ნამდვილად აღარ შევცოდავ, რადგან ორ გოგონას ერთი და იგივე სახელი ხომ ვერ ერქმევა, ნაპოლეონი არ მომწონს, მამა კი არა მგონია ოდესმე ელისოთ ჩემს შვილებს, მე ხომ ერთი უბრალო მწველავი ქალი ვაო.

შესაძლოა, მთელი სიცოცხლე ვერც კი მიმხვდარიყო, რომ მაჯლაჯუნა ჰყავდა, რომ არა ლენცი, ყოჩალი მოჯამაგირე. მას ბროლის მთების სამანი გადმოულახავს და ალბათ ამიტომაც სხვებზე მეტად სწორედ მას მოეკითხებოდა ჭკუა ამგვარ საქმეებში. იმდენი რამ გადახდენია თავს, არც ერთ პასტორს რომ არ დასიზმრებია. მაგალითად, მთელი ერთი წელიწადი ბეჭებს შორის შლეგი მონადირის ნაჯახი ჰქონია გაყრილი და, ვითომც არაფერი, ჩვეულებრივად უცხოვრია, საქმესაც მშვენივრად აუდიოდა, თანაც სავსე მთვარეზე ტრუტამორასთან შერკინებასაც ახერხებდა, გულაღმა მწოლარე, ხელისგულებს შორის მოქცეული გალესილი დანითა და ძველი ჯადო-სიტყვებით. და ლამის ალქაჯმაც ვერაფერი დააკლო! ზუსტად

ერთი წლის თავზე კი ისევ ჩანოლილა გზაზე ბორბლის კვალში და შლეგ მონადირესაც სიხარულით წამოუძახია: „აგერ, ის მორი, რომელშიც შარშან ნაჯახი ჩამრჩა!“ ჰო, ლენცი ყველაფერში ერკვეოდა: მეხის არიდებაც შეეძლო, გრძნეული ქალის ადგილსამყოფელიც იცოდა და, თუკი ვინმეს გარდაცვლილი ახლობლის სული ეცხადებოდა და ანუხებდა, იოლად ასწავლიდა, თუ რა ელონა. და აი, პეტერ ფაიდელის ფერმაზე სულ სამი დღის სამსახურის შემდეგ უკვე დანამდვილებით განუცხადა ვრგას, შენი ბავშვი მაჯლაჯუნააო.

– გამეცალე, შე უსაქმურო! – მიუგო ქალმა და თავისი მზინვარე შუშის თვალი მიუბრუნა, მაგრამ ეგ რას უშველიდა. ლენცმა მხრიდან მძიმე გოდორი ჩამოართვა და სხვა მხრივაც სიკეთისა და სიბრაულის განსახიერებად მოევიღინა.

– ქალო, აბა კარგად გაიხსენე, ერთხელ მაინც სადმე გარეთ მარტო ხომ არ დაგიტოვებია?

ასეთი სიბრიყვის გაგონებაზე ქალმა წკრიალა ხმით გადაიხარხარა და ისიც კი გადაავიწყდა, რომ სიცოცხლის დროს ლოკები უჩანდა.

– აბა, შენი აზრით, ქალაქელი ქალბატონივით აბრეშუმგამოკრული ეტლით დავატარებდი? ზაფხულობით სულ მარტო არ ვტოვებდი ხეხილის ბაღში ან ჭასთან, თუ მდგმურის ბავშვებს არ ეცალათ მისახედად?! ხომ არ გგონია, რომ ძიძის აყვანის თავი მქონდა?

არა, კაცს ასე სულაც არ ეგონა, მაგრამ ახლა უკვე აღარაფერი აკვირებდა. მაინცდამაინც ჭასთან, სადაც ბებერ მაჯლაჯუნებსა და ალეებს განსაკუთრებით უყვართ თავიანთი ბნელი საქმეების გაჩარხვა!..

– ...სულაც აქ, აი, ამ ჭასთან ტოვებდი, არა? ღვარძლა რომ აქვე იზრდება, ეგ კიდე არაფერი, მაგრამ კუდიანის ბალახს შეხედე! სულმთლად გაგიჟებულხარ, დედაკაცო! ახლა ცხრაჯერ თუ არ გალახე, სხვა არაფერი გიშველის. აბა, მამ როგორ?! ცხრაჯერ უნდა დაარტყა, რაც ძალი და ღონე გაქვს, ისე, რომ ხმამაღლა და საცოდავად იღრიალოს. მაშინ ბებერი ქაჯი მოვა და გეტყვის: შენს შვილს ცხრაჯერ მივეფერე, ცხრაჯერ ფაფა გავუმზადე, შენ კი ჩემსას ცხრაჯერ დაარტყიო! შენს შვილს უკან მოგიგდეგს, თავისას კი წაიყვანს. მაგრამ ეს ახლავე უნდა გააკეთო, ცხრაჯერ და თანაც ძალიან მტკივნეულად, გაიგე?

– თავი ნუ მომაბეზრე შენი სისულელეებით! – ესლა უთხრა ქალმა და ახლა თავისი შუშის თვალიც მოარიდა. ასეა, სიკეთეს არავინ დაგიფასებს... მაგრამ მუშახელის ოთახში სადილობისას ლენცი ისევ არ მოეშვა:

– ერთი შეხედე, რანაირად ჭამს!

ბავშვმა მართლაც რალაც ამაზრზუნად იცოდა ჭამა, ეს ვრგასაც უკვე რახანია შეენიშნა. ორივე ფუმფულა მუჭით ცხიმიან მაკარონს ისე გამალებით იტენიდა პირში, თან ისეთი ცმაცუნითა და ქშენით, რომ ნამდვილად გოჭს უფრო წააგავდა, ვიდრე ადამიანის ნაშიერს, მაგრამ რა ვუყოთ მერე? მოჯამაგირის შვილს წესიერი ხალხის სუფრასთან მაინც არასოდეს მოუწევდა სადილობა.

– შენ გგონია, რაკი უბრალო ხალხი ვართ, არაფერი გვეზიზღება? ჩვენც ხომ ადამიანები ვართ! – უთხრა ბავშვის დედას ძროხების მწყემსმა ქალმა და თან თვალი კეკლუცად გააპარა ლენცისკენ. მან ეს არ შეიმჩნია, თუმცა ქალი ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა იყო, და განაცხადა, ზიზღი აქ არაფერ შუამია, უბრალოდ ქარაფშუტობაა იმასთან შეგუება, რომ შენს ცხვირწინ მაჯლაჯუნა იზრდებოდესო.

– განა თვალები გიმრებივით არ უბზინავს, განა ფიფქი-

ასავით ლაჟღაჟა ლოყები და თეთრი კანი არა აქვს? – ჰო, ამაში ცალთვალა ქალი მართალი გახლდათ: ბავშვი საყვარელი შესახედი იყო და, კაცმა რომ თქვას, მაჯლაჯუნას სულაც არ ჰგავდა. მაგრამ ეს ხშირად მხოლოდ დროთა განმავლობაში ეტყობათ და მაშინ კიდევაც დაგვიანებულა. ვრგას მის გამოსაკვებად მთელი სიცოცხლე წელეზე ფეხის დადგმა მოუწევს. რამდენი წლისაა ახლა? რაოო?! უკვე ოთხის?! და ოდესმე ერთი სიტყვა მაინც თუ უთქვამს? აჰა, ხომ ხედავ, მეტი საბუთი რად გინდა?..

– არა, სანამ დროა,

ყველა ღილაკს უნდა მიანვე, ოღონდაც როგორმე თავიდან მოიშორო! – სრული სერიოზულობით უთხრა ლენცმა.

– რა ღილაკებს? სად მაქვს ღილაკები? – გაოგნდა ვრგა, მაგრამ კაცი სულ გაცხარდა:

– რაც გინდა, ის ჰქენი! ჩვენი ბატონი ასე იტყოდა ხოლმე გადაუდებელი საქმისას, ეს კი სწორედაც რომ გადაუდებელია. კვერცხის ნაჭუჭები მაინც სცადე, ცხრაჯერ გალახვა თუ არ შეგიძლია.

მაგრამ ქალს აღარც კი გამოუკითხავს, კვერცხის ნაჭუჭებით რას გულისხმობდა, თვითონ კი ისეთი აღშფოთებული ჩანდა, რომ ახსნა საჭიროდ არ ჩათვალა.

ასე რომ, მაჯლაჯუნა კიდეც კარგა ხანს მშვიდად და უდარდელად ცხოვრობდა. ვრგაც ბავშვს დროდადრო ყველასაგან საიდუმლოდ ციტას ეძახდა და თან ისეთი ამაყი და ბედნიერი იყო, თითქოს სულაც არ აშინებდა, პატარა გაუმადლარი ალქაჯი რომ ეზრდებოდა.

გერმანულიდან თარგმნა
თამარ კოტრიკაძე



მხატვარი შხია დედანაშვილი

პატარა მაჯლაჯუნას ამბავი

*

მთარგმნელის მიხედვით მაგიერ

ეს მოთხრობა შეიძლება ქრისტიანე ლავანტის საუკეთესო პროზაულ ტექსტადაც კი მივიჩნიოთ: კომპოზიციურად შეკრულია, დრამატულად შთამბეჭავი, სიუჟეტურად მრავალმხრივი და ძალზე თვითმყოფადი, რასაც ვერ ვიტყვით ამ ავსტრიელი პოეტი ქალის პროზაზე. თუმცა ლავანტის ლექსების დაფასება და შესწავლა წინ უსწრებს მისი მოთხრობების ჯეროვან აღქმას: მის ლირიკას იმთავითვე უპირატესობას ანიჭებდნენ. მაგრამ ლავანტისნაირი რთული, პარადოქსული, შთამბეჭდავი ავტორის წვდომისათვის მისი შემოქმედებაც და პიროვნებაც მთლიანობაში უნდა დავინახოთ. ეს მოთხრობაც გვაძლევს ამის საშუალებას.

ამ მოთხრობის თვითმყოფადობა მის უცნაურ და საინტერესო მითოლოგიურ თემატიკაში ძვეს, მაგრამ აქედან გამომდინარე მისი თარგმნა გარკვეულ ენობრივ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამ საქმეს ჯერ ეს-ესაა მოვეციდე და ამიტომ მადლობელი ვიქნები რედაქციისა ან მკითხველების მხრიდან შენიშვნების ანდა რჩევებისათვის. პირველ რიგში პრობლემას წარმოადგენს თვით მოთხრობის სათაური, ამავე დროს, – ცენტრალური პერსონაჟის დასახელებაც რომაა: არა საკუთარი სახელი, არამედ მისი არსის განსაზღვრება. „as Wechselbälgen“ – ესაა კინობითი ფორმა სიტყვისა „der Wechselbalg“, რაც ნიშნავს გერმანული და ანგლო-საქსური მითოლოგიის, უფრო სწორად კი ხალხური ცრუმორწმუნეობის სფეროს ერთ საინტერესო პერსონაჟს: ჭინკების თუ ალქაჯების ნაშიერს, პატარა ჭინკას, რომელსაც მშობლები ადამიანს მისი საკუთარი ბავშვის ნაცვლად მიუგდებენ, ბავშვს კი – რომელიც, როგორც ჩანს, იზიდავს მათ თავისი ნათელი, სალი, დემონურობისაგან თავისუფალი ბუნებით, – გაიტაცებენ და, როგორც საკუთარ შვილს, ისე ზრდიან. მიზეზად ამ საქციელისა შეიძლება ისიც წარმოვიდგინოთ, რომ ჭინკებს საკუთარი შვილისთვის სიკეთე სურთ, სწამთ, რომ ის ღვთის მიერ დაცულ ადამიანთა სამყაროში უკეთ იგრძნობს თავს, რომ ამით თავს დააღწევს სამყაროს შავბნელ, დემონურ, სამუდამოდ დაწყვეტილ განზომილებას. იქნებ აქ რაღაც მაგიური სიმეტრიისა თუ წონასწორობის კანონი მოქმედებდეს: სამყაროს ერთ განზომილებას რაიმე არსებას (თუ საგანს) ისე ვერ მოაკლებ, თუ მისი ტოლფასით ან მსგავსით არ ჩანაცვლებ.

ჩანაცვლება ძალზე ადრეულ ასაკში, ჩვილობაში ხდება, ისე, რომ მშობელმა შეიძლება თავიდან ვერაფერი შეინიშნოს და პატარა ჭინკა საკუთარ ბავშვად ჩათვალოს. ის

მხოლოდ თანდათან, ზრდასთან ერთად ავლენს თავის დემონურ არსს: უშნოა, ლაპარაკს ვერ სწავლობს, გაუმაძღარია, ადამიანური ინტელექტის არანაირ ნიშანწყალს არ ავლენს და, ცხადია, მძიმე ტვირთად აწევა ოჯახს. ხალხური გადმოცემა გვანვდის როგორც ამ საზარელი ჩანაცვლების, ისე ჭინკას თავიდან მოშორებისა და საკუთარი შვილის დაბრუნების შესაძლებლობათა ვარიანტებს, რომლებიც მუდამ ძალზე ზუსტ და კონკრეტულ სიტუაციებსა და ქმედებებთანაა დაკავშირებული. ჭინკები იტაცებენ, როგორც წესი, ბუნებაში, – მინდორში, ხის ქვეშ ან წყლის პირას (წყალი ხომ ყოველგვარი ქაოტური ძალის სტიქიაა) მარტოდ დატოვებულ ბავშვს, მის ადგილას კი საკუთარს ტოვებენ.

მანამ გვიან არ არის და ორივე ბავშვი პატარაა (ზოგჯერ შეიძლება რამდენიმე წელიწადიც გავიდეს), ადამიანს შეუძლია უკუჩანაცვლება მოახდინოს და შვილი დაიბრუნოს, თუკი, ცხადია, ფლობს საამისო რეცეპტებს. ერთ-ერთის თანახმად ჭინკა ცხრა რიტუალური დარტყმით უმონწყალოდ უნდა გაილახოს, ისე, რომ მშობელ-ჭინკას გულმა ვეღარ გაუძლოს, – ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ დედაა! – ის საკუთარ შვილს წაიყვანს, მოტაცებულ ბავშვს კი თავის ადგილას დააბრუნებს.

მეორე ვარიანტი: მშობელი პატარა ჭინკას დასანახად კვერცხის ნაჭუჭების მეშვეობით გარკვეულ აბსურდულ ქმედებას სჩადის. მიზანი ესაა: ჭინკა ისე უნდა გაოგნდეს, რომ ხმა ამოიღოს და ამით უნებლიეთ გაამხილოს თავისი ვინაობა, რის შემდეგაც იძულებული გახდება, თავისიანებთან დაბრუნდეს.

ასეთი გადმოცემები მცირე ვარიაციებით არაერთგზის მეორდება ძმები გრიმების მიერ 1816 წელს გამოცემულ „გერმანულ თქმულებათა“ ორტომეულში. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ „ჩანაცვლებულ ჭინკასთან“ დაკავშირებული ცრურწმენა შეიძლება წარმოშობილიყო ბავშვებში გავრცელებული ისეთი დაავადებების გამო, როგორიცაა რაქიტი, კრეტინიზმი, ჰიდროცეფალია და სხვა. ისეთ ბავშვებს, რომლებიც უცნაური, სწორად უსიამოვნო გარეგნობითა და ქცევით გამოირჩეოდნენ, ხალხური წარმოსახვა სხვა სამყაროდან მოვლენილ არსებებად მიიჩნეოდა.

ხალხურ მითოლოგიას ყველგან ახასიათებს საზარელი, აუხსნელი, საშიში არსებებისა და მოვლენებისადმი ინტერესი, მათით გატაცებაც კი. ჭინკების მიერ ბავშვის ჩანაცვლების შესახებ ხალხური თქმულება ქართულ სივრცეშიც გამიგონია, მაგრამ ჩვენში ასეთ ჩანაცვლებულ არსებას საგანგებო დასახელება არ გააჩნია. ინგლისურად მას ეწოდება „changeling“, რუსული სიტყვა „подменыш“, როგორც ჩანს, ზუსტი თარგმანია და სახელდობრ რუსულ, სლავურ ფენომენს არ შეესაბამება. ქართულად ამგვარი ზუსტი შესატყვისის მონახვა გამიჭირდა, სიტყვა „მაჯლაჯუნაზე“ კი უფრო მისი ჟღერადობით მოგვრილი ემოციური განცდის გამო შევჩერდი: ის, ჩემი აზრით, მოთხრობის პერსონაჟს ძალზე უხდება.

როგორც მოთხრობის თარგმანის, ასევე მხატვრულ შემოქმედებაში ამ მითოლოგიური ფენომენის თემატიზირების შესწავლის მხრივაც საინტერესოა, რომ არსებობს სელმა ლაგერლოფის მოთხრობა სახელწოდებით „er Wec-

hsebalg“ – იგივე სიტყვა, რაც ლავანტთან, ოღონდ კნინობითი, დიმინუტიური დაბოლოების გარეშე. თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ლავანტი ამ მოთხრობის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა, რადგანაც ლაგერლოფი მისთვის ერთ-ერთი კარგად ნაცნობი ავტორი იყო. ლაგერლოფმა ერთგვარი მოკლე ლიტერატურული ლეგენდა შექმნა, სადაც წარმართულ მითოლოგიურ მოტივს ფარავს და გადალახავს ქრისტიანული მცნება “კეთილი მიაგეთ თქვენს მტრებს”: დედა მრავალი გაჭირვების მიუხედავად თავს ევლება ჭინკას, როგორც საკუთარ შვილს და, როგორც ფინალში აღმოჩნდება, ამით უზრუნველყოფს საკუთარი შვილის კეთილდღეობას ჭინკების საუფლოში. მას შემდეგ, რაც უბედური დედა უკვე წამოზრდილი ჭინკას გულისათვის ყველაფერს კარგავს, რაც კი ახადია, – მეუღლეს, სახლსა და ქონებას, – სწორედ მაშინ უბრუნდება სალსალამათი შვილი და უცხადებს, ჭინკასადმი სიკეთითა და სიბრალულით გადამარჩინეო.

არსებობს ამ მოთხრობის ქართული თარგმანი (სელმა ლაგერლოფი: „ოთხი მოთხრობა“, გამომც. „ივერია ექსპრესი“, 2000) და მთარგმნელმა, მარიამ ბარამიძემ, საკმაოდ მარჯვედ მოუნახა მას სათაური: „მოგდებული“ (თუმცა სიტყვა-სიტყვით ეს ნიშნავს „ПОДКИДЫШ“ და არა „ПОДМЕНИШ“, მაგრამ ქართულად ამაზე ზუსტად ვერ იტყვი!). ლავანტის მოთხრობის შემთხვევაში ამავე გამოთქმის გამოყენებისაგან შეგნებულად შევიკავებ თავი.

ლაგერლოფისეული მწირი, ერთპლანოვანი ლეგენდარული თხრობისაგან განსხვავებით ლავანტთან, როგორც ვთქვით, ძალზე მრავალმრიანი და მდიდარი მხატვრული ქსოვილი გვაქვს. ლაგერლოფთან ცენტრალურია თვითონ ამბავი, ლავანტი კი საინტერესო ლოკალურ კოლორიტს გადმოგვცემს. მოქმედება სამხრეთ ავსტრიის რომელიღაც სოფელში ხდება, XX საუკუნის ათიან წლებში. ეს ავტორისათვის ძალზე ახლო წარსულია, მისი ბავშვობის წლებია, მაგრამ ეს არქაული სოციალური გარემო, თითქოს წინა საუკუნეებიდან სასწაულებრივად შემორჩენილი წარსულის პატარა კუნძული, შემდგომ ხანებში ერთი ხელის მოსმით აღიგავა პირისაგან მიწისა, შეიცვალა სრულებით ახალი, ინდუსტრიული საზოგადოებით, რომელსაც მატერიალური პირობებიც ბევრად უკეთესი ჰქონდა და ტრადიციული ცხოვრების წესები და წარმოდგენებიც ძალზე სწრაფად დაივიწყა. ლავანტი სიცოცხლის ბოლომდე ასეთსავე არქაულ კუნძულად დარჩა თანამედროვეთა გარემოცვაში, სიძველისა და ბუნებასთან სიახლოვის ერთგული, მათში ეძებდა პასუხებს თავისთვის მნიშვნელოვან კითხვებზე.

თვალში გვეცემა, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ თხრობა თითქოს ორმაგი პერსპექტივიდან ხორციელდება, ჩვენს თვალწინ თითქოს ერთი და იმავე ხდომილების ორი პლასტია, ერთი მეორეზე გადაფარებული, მაგრამ ურთიერთგამჭოლი. ერთი მათგანი ცრურწმენითა და მითოსური აზროვნებითაა განპირობებული, მეორე – ყოფითი რეალიზმით. პირველი ციტას პატარა ჭინკად აღიქვამს – ამ პოზიციას მაგიაში გათვითცნობიერებული მოჯამაგირე ლენცი წარმოადგენს, მეორე კი არანაკლებ დაუნდობელი მატერიალიზმით გვიჩვენებს: სინამდვილეში აქ ზებუნებრივი არაფერი ხდება, ციტა ერთი საცოდავი ბავ-

შვია, გონებრივად შეზღუდული, მაგრამ ამის სანაცვლოდ მისი არსების უფრო ღრმა, ინტუიციური და ემოციური მხარეებია გაძლიერებული.

მის დედას, უბედურ ვრგას (სრული სახელი – ნოთბურგა, გერმანულენოვანი თქმულებების პერსონაჟის, წმინდა ნოთბურგას გახსენებაა, „ვრგა“ კი ადგილობრივი სამხრეთ-ავსტრიული სალაპარაკო კილოსათვის დამახასიათებელი შეკვეცილი ფორმა) სიცოცხლეში იმდენი ტანჯვა აქვს გადატანილი, რომ გასაკვირი არაა, მისი უკანონოდ გაჩენილი ბავშვი ავადმყოფი რომ გამოდგა. უცხოდ მუდერი სახელის მქონე ეს დასახიჩრებული ქალი თვითონაც თითქოს არაადამიანურ არსებად გვევლინება, ამავე დროს, ქრისტიანული სიყვარულისა და თვინიერი მსახურების გმირობას სწადის თავის შვილთან, მომავალში, ახალ ოჯახთან მიმართებით. მაჯლაჯუნასავით ისიც ორ სამყაროში მიმოდის, ამას სიმბოლურად მისი განსხვავებული თვალეტი ნარმოგვიჩენს: ხაზგასმულია მისი ჩადგმული შუშის თვალის სილამაზე და ბრწყინვალეობა, ეს თვალი თითქოს დამოუკიდებელი არსებაა, საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს და მედიდურადაც კი გადაჰყურებს თავის უღიმღამო, შეუხედავ პატრონს, მაგრამ მისი ბრწყინვალეობა ხომ ყალბია! არადა, ლენცს მაგიურ ბურთულად ეჩვენება და თითქოს მოკავშირედაც კი ევლინება. მეორე, “ცოცხალი”, „უბრალო“ თვალი ისეთივე დამდაბლებული და თვინიერია, როგორც მისი მფლობელი, სამაგიეროდ, ცოცხალ ცრემლსა ღერის და ქალის ალალ გრძნობებს გამოხატავს. ვრგას სახე ტანჯული ქალისა და დედის (მატერ დოლოროსა) იმ ზოგად ტიპს ავსებს, ლავანტის ლექსებში რომ გვხვდება და მის მოთხრობა „ნენლის“ მთავარ პერსონაჟ ქალსაც მოგვაგონებს. ესეც გარკვეულწილად ქრისტინე ლავანტის ალტერ-ეგოა და, ამავე დროს, ავტორის დედის გაიდებლებული, წმინდა მონამის ნაკვებით შემკული ხატებაც.

ძალზე საინტერესოა მხატვრული სინამდვილის ხსენებულ ორ პლასტთან, ორ პერსპექტივასთან მიმართებით ავტორ-მთხრობელი: ის ერთი შეხედვით საცხებით ეთანხმება მითოსურ თვალსაზრისს, რომელსაც ლენცი გამოთქვამს, თუმცა იმთავითვე უსიმპათიოდ ახასიათებს ამ პერსონაჟს, გვიჩვენებს, რომ ის ყალბი და გაიძვერაა.

მოთხრობის ტექსტური განზომილება არასოდეს სცილდება ამ მითოსურ თვალსაზრისს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ავტორი განგებ ახდენს ტრადიციული ფოლკლორული ტექსტის იმიტირებას: ვითომდა ზღაპარს ან თქმულებას გვიყვება და, ლენცის მსგავსად, მთელი ამ მაგიასა სწამს. ამავე დროს ქვეტექსტის მეოხებით ნატიფად „შემოგვაპარებს“ სინამდვილის რეალისტურ სარჩულს, წუთით ახდის მას მითოსურ საფარს და კვლავ მიაფარებს... მაგრამ საქმეც ისაა, რომ რეალობა ბოლომდე მანაც ვერ აქრობს, ვერ აუქმებს მითოსურ სინამდვილეს. სწორედ ამ ორი ურთიერთსაპირისპირო განზომილების, ერთიერთთან ჭიდილში მყოფი ორი ჭეშმარიტების ურთიერთგაჭოლის შედეგად იბადება მესამე, ზერეალური და ზემითოსური, ავტობიოგრაფიული ტრაგიზმით აღბეჭდილი ჭეშმარიტება.

ციტა არა მხოლოდ უცნაური ბავშვია, არამედ სწორედაც რომ მაჯლაჯუნაა: სხვა სამყაროდან მოსული გრძნე-

ული არსება, რომელიც აქ, ადამიანებს შორის, თავს დაუცველად და მარტოსულად გრძნობს, თუმცა იცის, რა არის ნამდვილი სიყვარული და საყვარელი არსებისათვის მსხვერპლის გაღება. ის ისეთივე გარიყული და ყველასაგან მოძულეებულია, როგორადაც ავტორი გრძნობდა თავს (განსაკუთებით ბავშვობაში), არამარტო აუტანელი სიდუხჭირისა და მძიმე ავადმყოფობების გამო, არამედ მუდმივად თანამდევნი სულიერ-ინტელექტუალური მარტოსულობისაც. პოეტური კრებულის, "გლახის ფიალა", ერთ-ერთ ლექსში („შინდ დას ნოჰლ ენსცჰენ?..“) პოეტი უსაზღვრო დარდითა და უსასობით ამბობს: ადამიანებს შორის უცხო ვარ, მათთან თანაცხოვრებამ მხოლოდ იმედგაცრუება მაგემა, მსურს კვლავ შინ დავბრუნდე თბილ, მშობელ მინაში, შინ, ფეხვებსა და ბოლქვებთანო.

...Man hätte niemals davon kosten dürfen, ehe man heimging in die liebe Erde, heim zu den Zwiebelchen.

ეს ლექსი შეიძლება მაჯლაჯუნას მონოლოგად აღვიქვათ. მოთხრობის მსვლელობისას მისი შინაგანი განცდები წყვეტილად, ელვის დაკვესებასავით გაიელვებს ჩვენს წინაშე მისი ერთფეროვანი დაბინდული არსებობის ფონზე. გონებრივი ნაკლოვანების გამო მას გარემოსაგან თითქოს უხილავი კედელი ჰყოფს, ისევეა მოკლებული ამქვეყნიური ცხოვრების სიამეს: ტოლებთან თამაშს, მეგობრობას, სიყვარულს, როგორც ლავანტი ფიზიკურ ნაკლოვანებათა გამო, რომლებსაც სოფლის ტრადიციული საზოგადოება კიდევ უფრო აზვიადებდა.

მართალია, როგორც ავტობიოგრაფიულ ტექსტში „ყაყაჩოსკაბიანი მზეთუნახავი“, ისევე აქაც, ავტორი ყოველ ნაბიჯზე გვიჩვენებს პატარა გარიყულისადმი ახ-

ლობებისა და თანატოლების გულისხმიერებას, თანაგრძნობას, სიტბოს. ავტობიოგრაფიული მომენტი „მაჯლაჯუნაში“ აშკარაა უპირველესად იმიტომ, რომ მაჯლაჯუნა გოგონაა. იმიტომაც, რომ 1915 წელს დაბადებული ლავანტი მოთხრობაში ზუსტად აღწერს თავისი ბავშვობის-დროინდელ პროვინციულ გარემოს.

მაჯლაჯუნაც და „ყაყაჩოსკაბიანი მზეთუნახავის“ ავტორ-პერსონაჟიც გაორებულ სახეებად გვევლინებიან: პატარა ქრისტინე საბრალო ავადმყოფი ბავშვია და საკუთარი თავისადმი სიბრაღულის გამოხატვისა არც ერიდება, მაგრამ აქვე ღრმად თვითკრიტიკულიცაა: არ მალავს იმ ბოღმის, ბრაზის, სამყაროს უსამართლობის წინაშე პროტესტის იმ უეცარ ამოფრქვევებს, რომლებიც ბავშვს „პატარა ალქაჯად“ გარდასახავს. ეს უკვე პირველი ნაბიჯებია მაჯლაჯუნასკენ (ამ მოთხრობის ზუსტი დათარიღება ვერ ხერხდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ორივე პროზაული ტექსტი თითქმის ერთდროულად დაიწერა 40-იანი წლების ბოლოს).

„მაჯლაჯუნას“ ფინალი, ლოგერლოფისეული მოთხრობის კვალად, ქრისტიანულია, მე ვიტყვი, ზედმეტად ქრისტიანიზირებულიც. მაგრამ, როგორც მთელ ამ ნაწარმოებში, აქაც ორაზროვნებას ვაწყდებით: სენტიმენტალური პიეტიზმის მიღმა გაქვავებული რელიგიური დოგმების უარყოფა და ჭეშმარიტი ტრაგიზმი გამოსჭვივის.

თვითონაც ვერ დავიჯერებდი, ამდენი უარყოფითი ემოციით, შემზარავი დეტალებით დატვირთულ მხატვრულ ნაწარმოებს თუ შევიყვარებდი და მის თარგმნასაც კი მოვეკიდებოდი, მაგრამ ესაა ამ მოთხრობის მაგია – ქრისტინე ლავანტის მწერლური და გრძნობითი ნიჭი: ასეთი ადამიანური და იმედიაწი ნაწარმოები დღესდღეობით ცოტა თუ იწერება. ამიტომ მკითხველს ვთხოვ, მოთმინებითა და ყურადღებით მიიღოს იგი.

ივანე ამირხანაშვილი

ვინ არის ნამდვილი მწერალი?

მწერალი – წიგნი – მკითხველი.

ტრადიციული სამკუთხედი.

ტრადიციული კითხვები: რას ვკითხულობთ? ვის ვკითხულობთ? რატომ ვკითხულობთ?

„მიიხარო, რას ვკითხულობ და გეტყვი, ვინ ხარ შენ“.

თუმცა კითხვით არაფერი გემატება, – არც ჭკუა, არც გონება, არც გამოცდილება, არც ინტუიცია, არც გრძნობა, არც... არც... უბრალოდ, სადღაც იღექება, სადღაც ქვეცნობიერში ივსება შენი ცხოვრების „ტაბულა რაზა“, სწეულდები წიგნის მტვერით, გასველებს სტრიქონების წვიმა, უმიზნოდ დაფარფატებ იოჰან გუტენბერგის თუ ბილ გეიტსის გალაქტიკაში და არც არაფერი გაოცებს, არაფერი გიკვირს, რადგან ეს არის შენი ცხოვრება, წერამწერლის ნაჩუქარი, მწერლობით გაფერადებული, დიდებული და საცოდავი.

მაგრამ რაღა თქვას მწერალმა, რომელსაც შენზე მეტად აკვირებს ვარსკვლავიანი ზეცა თავს ზემოთ და ზნეობრივი კანონი თავის შიგნით?

რა ქნას მწერალმა, რომელსაც ბედმა დააკისრა ორი ცხოვრებით ცხოვრება – ერთი რეალურით, მეორე ირრეალურით, შემოქმედებითი ცხოვრებით?

ანდა, ვინ არის მწერალი, ვინ ცხოვრობს რეალურ-ირრეალური ცხოვრებით, ვინ ფასობს ენით და გულით?

„ადამიანი ფასობს თავისი ორი უმცირესი ორგანოთი – ენით და გულით“.

ეს სიტყვები სქოლიოდან არის ამოღებული, ამინ არრეიჰანის ესეის სქოლიოდან.

რატომ გვგონია, რომ სქოლიოში მთავრდება ყველაფერი?

ზოგჯერ პირიქით, სქოლიოდან იწყება.

ამირ არ-რეიჰანი, „მწერლები“, არაბულიდან თარგმნა დარეჯან გარდავაძემ; ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 11, 2007 წლის მაისი.

ლიტერატურას არ უყვარს კომპლიმენტები, მითუმეტეს, კარგ ლიტერატურას, მაგრამ არის შემთხვევები, როცა გინდა მადლობა გადაუხადო მთარგმნელს, რომელმაც კარგი ავტორი აღმოაჩინა და ავტორს, რომელიც კარგ მთარგმნელს შეხვდა.

„მრავალმხრივ საყურადღებო“.

ეს ტრაფარეტული შესიტყვება ყველაზე კარგად გამოხატავს ამ არაჩვეულებრივი ესეის ნაკითხვით შექმნილ შთაბეჭდილებას.

სხვათა შორის, ესეიც თითქოს ისეა დაწერილი – ტრაფარეტული რეფლექსიების სტილით, მაგრამ ყოველ სტრიქონში იგრძნობა ავტორის აქტიური გონება და ჩაღრმავების უნარი.

მწერლის რამდენი ტიპი არსებობს?

ვინ არის ჭეშმარიტი მწერალი?

აი, ამირ არ-რეიჰანის მიერ დასმული კითხვები, რომელთა მნიშვნელობა და აქტუალობა დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, თუ როგორი იქნება პასუხები.

ევროპულად მოაზროვნე არაბი მწერალთა კლასიფიკაციის ორ სხვადასხვა ვარიანტს გვთავაზობს.

პირველი ვარიანტი: ვინც წერს, რათა იცხოვროს; ვინც ცხოვრობს, რათა წეროს; ვინც ცხოვრობს და წერს.

მეორე ვარიანტი: ვინც წერს იმისათვის, რათა ხალხი ასიაშოვნოს; ვინც წერს იმისათვის, რათა საკუთარი თავი ასიაშოვნოს.

არც ერთი, არც მეორე... ამირ არ-რეიჰანის აზრით, ნამდვილი მწერალი არის ის, ვინც ჭეშმარიტების საამებლად წერს. ის არის არა ნაყოფი, არამედ კურკა, რომელიც ნიადაგს გაარღვევს, ფესვებს გაიდგამს, ამოიწვერება, გაიზრდება და უხვ ნაყოფს მისცემს მომავალ თაობებს.

„კურკა“ – მწერლები ჩვენში მრავლად არიან, ოღონდ ისინი ნიადაგის ნაცვლად ტელეეთერების, ბანკებისა და გამოცემლობების გარღვევაში არიან დაოსტატებული. ყველა ტელეკომპანიას თავისი მწერალი ჰყავს, ყველა ბანკს – თავისი, ყველა გამოცემლობას – თავისი, და ეს ძალიან კარგია მათთვის, ვისაც დღეის დღის მწერლად ირჩევენ და ძალიან ცუდი – მათივე მომავლისათვის...

როგორც ყოველთვის, როგორც ყველგან, საქართველოშიც ცოტანი არიან, ვინც მომავლისთვის ქმნიან და ესეც კარგია, იყვნენ რჩეულნი მცირედნი, ჩინებულნი კი – მრავლად, ამით არაფერი დაშავდება, არაფერი დააკლდება ჭეშმარიტ მწერლობას, არ ნახდება „მარილი ქვეყანისა“.

ნინო ყულოშვილი

სამკიბარ
პუთხრა ჭირისა

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში წლეულს 26-27 მაისს პრემიერა გაიმართა.

რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ მაყურებელს შესთავაზა დრამა ერთ მოქმედებად – ნინო სადღობელაშვილის „ბამბაზიის სამოთხე“.

ცვლილებების თეატრმა თეატრალურ საზოგადოებაში ცნობილ ეგრეთ წოდებულ „პუბლიცისტურ“ ხერხს მიმართა და მაყურებელს, რომელიც ნამდვილად არ აკლდა სპექტაკლს, სცენაზე გათამაშებულ პრობლემაზე დისკუსია შესთავაზა. დისკუსიას სპექტაკლში წამოჭრილ აქტუალურ თემებზე – შვილმკვდარი დედების როლი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში; სახალხო დიპლომატიის გააქტიურების აუცილებლობა; ურთიერთშერიგება და პატიება... კიდევ ერთ კითხვას ბადებს: ვართ თუ არა მზად ამ რესურსების გამოყენებისათვის? აუდიტორია მაყურებელია, ხოლო კითხვებზე პასუხს დისკუსიის მონაწილე მეორე მხარე – პერსონაჟები, არა როგორც მოქალაქეები, არამედ სცენაზე განვითარებული ამბის უშუალო მონაწილენი გახლავთ. დისკუსიას უძღვება ფასილიტატორი – ესმა კოკოსკერია.

ნინო სადღობელაშვილის მოთხრობების კრებული – „ბამბაზიის სამოთხე“ გამომცემლობა „ინტელექტმა“ 2006 წელს დაბეჭდა. ნიგნის სახელწოდება კრებულში შესული ერთ-ერთი მოთხრობის სათაურია.

ავტორმა მოთხრობა – „ბამბაზიის სამოთხე“ მცირედით შეცვალა და პიესის სახით წარუდგინა რეჟისორ გიორგი სიხარულიძეს, რომელმაც მაშინვე მიიღო გადაწყვეტილება პიესის გასცენიურების შესახებ.

სპექტაკლის თემატიკა, მუსიკალური და მხატვრული გაფორმება, ასევე მსახიობთაგან როლების ღრმად გაშინაგანების ეფექტი, რაც დისკუსიისას საკმაოდ კარგად ჩანს, ნამდვილად აღაფრთოვანებს მაყურებელს.

სპექტაკლის კულმინაცია გახლავთ აფხაზეთში შვილებდალუპული დედების შეხვედრა, როდესაც ქართველი დედა საკუთარი შვილის – რატის ნეშტის გადმოსვენებისთვის ხვდება აფხაზ დედას, რომელსაც საომარი მოქმედებისას ქართველმა რატიმ თვალწინ მოუკლა შვილი.

აფხაზი დედა ამ წლების განმავლობაში საკუთარი შვილის გვერდით დაკრძალული ქართველის საფლავს უვლიდა, იმ იმედით, რომ შეხვედრის დაკვლევის დედას და მონანიებას მოსთხოვდა. შეხვედრა შედგა, თუმცა აფხაზი დედა ხედავს, რომ ქართველი ბიჭის მშობელი განადგურებულია ამ ტრაგედიით და დედისთვის ნეშტის გადაცემას თანხმდება. ქართველი დედა საკუთარი შვილის საფლავს ტოვებს აფხაზეთში, რატის მშობლიურ მხარეში.

სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები: მარიკა სამანიშვილი, ენდი ძიძავა, გიორგი ზანგური, იოანე ხუციშვილი, დათო როინიშვილი, ლელა ლომთაძე და გელა ებანოიძე. დამდგმელი მხატვარია შოთა გლურჯიძე, კომპოზიტორი – გომარ სიხარულიძე.

ქუთაისის დრამატული თეატრი თბილისში გასტროლებს 27 სექტემბრისთვის გეგმავს და თბილისელი მაყურებლის წინაშე სწორედ ამ სპექტაკლით წარსდგება.

საბრალო ქოლერიკი – დამნაშავეთა სამყაროს რისხვა

*

XIX საუკუნის სენსაცია

საბრალო ბაშმაჩკინს კეთილშობილური წარმოშობა მიაკუთვნეთ და ვითომ 26 წლის ალფონს ბერტილიონი გაგინათ, პარიზის პრეფექტურის არქივში საქმისმწარმოებლის თანაშემწედ რომ მუშაობდა. პატივცემული ექიმის, სტატისტიკოსისა და პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის ლუი ადოლფ ბერტილიონის შვილზე ხელი ჰქონდათ ჩაქნული. ეს შეუმჩნეველი ადგილიც ოჯახური კავშირების წყალობით მიიღო. პრეფექტურაში მოხვედრამდე საფრანგეთის სამი საუკეთესო სკოლიდან იყო გარიცხული, ბანკიდან გამოგდებული და ოჯახის მასწავლებლის პრაქტიკამორთმეული. თანაც ჩაკეტილი იყო, არავის ენდობოდა, ცხვირიდან სისხლდენაც აწუხებდა და შაკიკის შეტევებიც.

ერთადერთი, რაშიც ალფონსი კარგად ერკვეოდა, ერთგვარი „ბერტილიონთა ოჯახური მეცნიერება“ – ანთროპოლოგია გახლდათ. და აი, ერთხელაც, მორიგი ბარათის პედანტური გულმოდგინებით გადაწერისას, ბერტილიონმა ყურადღება მიაქცია დამნაშავეთა ანთროპოლოგიური აღწერის აღმამოთებელ ზედაპირულობას. მთელი მისი არსება გაზომვის უდიდესმა ციებ-ცხელებამ შეიპყრო. თავისი პირველი „გაზომვის სენსაციის“ ჩატარება სანტეს ციხეში დაიწყო. ეს ნამდვილი მანიაკია. ცოდვა არაფერი დატრიალდეს, სადმე უნდა გამოამწყვდოთ, წესიერ ხალხთან კი არ უნდა შეუშვათ, – ბუზღუნებდნენ დამნაშავენი, სულაც რომ არ სურდათ გაეზომა ვილაც ჩია, მოუხსენარ კაცუნას, სანტიმეტრები რომ ჰქონდა ასხმული.

ბერტილიონმა დაასკვნა, რომ მოზრდილი ადამიანის გაზომვის 14 ერთეულის (სიმაღლე, ზედა ტანის სიგრძე, თავის სიგრძე და გარშემოწერილობა, ტერფისა და ხელეზის, თითებისა და ყურების სიგრძე და ა.შ.) შედარებისას თანხვედრის შანსი ალბათობის თეორიით უტოლდება 1:286 435 456. თუკი ყოველი დამნაშავე გულმოდგინედ გაიზომება და შედეგები ზუსტად აღინიშნება პირად ბარათში, შესაძლებელი იქნება უტყუარი იდენტიფიკაცია. ქვეშევრდომისაგან გაურკვეველი მოხსენება რომ მიიღო, საფრანგეთის სისხლის სამართლის პოლიციის პრეფექტმა სიურტემ ვერაფერი გაუგო ციფრების უსასრულო სვეტებს, გამოიძახა ბერტილიონი და გააფრთხილა, პრეფექტურას შენი იდეებით ნულარ შეაწუხებ და შენს ადგილს გაუფრთხილდით.

ბერტილიონმა ერთბაშად ვერც დაამტკიცა თავის მეთოდის სრულყოფილება. მას სამი თვის ვადა მისცეს, ამ დროის მანძილზე უნდა მოესწრო დამნაშავეის იდენტიფიცირება. წარმატება შესაძლებელი იქნებოდა, თუკი ერთ-

ერთ დამნაშავეს, რომლის მონაცემთა აღებას „ნოვატორი“ ამ დროის მანძილზე მოახერხებდა და კართოტეკაში შეიტანდა, დაიჭერდნენ, გაასამართლებდნენ, სასჯელს მოიხდიდა, გათავისუფლებოდა, ისევ ჩაიდენდა დანაშაულს და კვლავ დააპატიმრებდნენ. და ასეთი შემთხვევაც მიეცა! საკონტროლო ვადის ამოწურვამდე 10 დღით ადრე ბერტილიონმა მაინც შეძლო თავისი კართოტეკით ვილაც უიღბლო პარიზელი ქურდბაცაცის ამოცნობა.

„ანთროპომეტრიას“ ყურადღება მიაქცევს. მალე ბერტილიონი „პოლიციის იდენტიფიკაციის სამსახურის“ დირექტორად დანიშნეს. მისი სისტემის წყალობით შესაძლო გახდა ათასობით სასამართლო შეცდომისა და ასობით სიკვდილის თავიდან აცილება. მაგრამ ევროპული საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად საჭირო იყო სერიოზული გახმაურებული საქმე.

1892 წლის 11 მარტს სენ-ჟერმენის ბულვარი აფეთქებამ შეძრა. იმ სახლის ნანგრევებში, სადაც სასამართლოს თავმჯდომარე ბენუა ცხოვრობდა, ყუმბარის ნამსხვრევები აღმოაჩინეს. ტერაქტის შემკვეთი აღმოჩნდა ვინმე შომარტენი, ფანატიკოსი და ანარქისტი. იგი დააკავეს და მან სიურტეს შემსრულებლის ვინაობა გაუხშილა. ეს აღმოჩნდა ლეგენდარული ფრანგი მძარცველი, მკვლეელი და ტერორისტი, რომელიც თავისთავს „რევაშოლს“ ეძახდა. მისი დაკავება შეუძლებელი იყო. ევროპულმა პრესამ სიურტე უნიათობაში დაადანაშაულა. პოლიციის პრეფექტმა დახმარებისათვის ბერტილიონს მიმართა. მან კი არქივიდან მიიღო ბარათი ანთროპომეტრული მონაცემებით ვინმე ფრანსუა კენიგშტეინზე, ოდესღაც „რევაშოლის“ სახელით რომ ცხოვრობდა და მისი აღწერილობა გაზეთში განათავსა. კენიგშტეინს პოლიცია უკვე ერთი წელია დაეძებდა რამდენიმე მხეცური მკვლელობისა და რიგი ძარცვისათვის.

შემდეგი ყუმბარა რიუ-დე-კლიშიზე ერთ-ერთ სახლში აფეთქდა. იქ ცხოვრობდა პროკურორი ბიულო, რომელიც ანარქისტთა წინააღმდეგ გამოდიოდა. პარიზი შიშმა მოიცვა. მეორე დღეს „რევაშოლი“ მალულად შეხვდა „ლეგოლუს“ ჟურნალისტს და პოლიციას ურჩია, მისი დაჭერის იმედებს შელეოდა, თუმცა მალე სიურტეს პარიზული რესტორნის მფლობელმა მიმართა, რომელმაც თავის კლიენტთა შორის გაზეთებში აღწერილი ადამიანი ამოიცნო. 30 მარტს ეჭვმიტანილი დააკავეს და ბერტილიონს მიჰგვარეს, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა დანვრელებით გაზომვას.

ბერტილიონმა არქივიდან მიღებული და თავისი მონაცემები ერთმანეთს შეადარა და დარწმუნებულმა გადასცა კენიგშტეინ-რევაშოლი სასამართლოს. ეშაფოტზე ასულმა „რევაშოლმა“ დაიყვირა: „ლორები ხართ – გაუმარჯოს რევოლუციას!“

ახლა მის სისტემას გენიალური უწოდეს, თვითონ კი ლამის ეროვნულ გმირად იქცა: ისე ღრმად ჩაეფლო სამუშაოში, რომ სრულიად ვეღარ ამჩნევდა გარშემომყოფთ. ხელქვეითი ვერ იტანდნენ მბრძანებლური ტონის, გადაჭარბებული მომთხოვნელობისა და სკრუპულოზობისათვის.

ბერტილიონი კრიმინალისტიკის სხვა სფერომ – პოლიციურმა ფოტოგრაფიამ გაიტაცა. XIX საუკუნის ბოლოს ფოტოგრაფია პირნიშნად შემოქმედებითი აქტი

გახლდათ და პოლიციის ფოტოგრაფები, რაც ძალა შესწევდათ, თავს არ იზოგავდნენ. პატიმრებს სხვადასხვა მასშტაბში, სხვადასხვა წერტილიდან, განსხვავებული ოპტიკით იღებდნენ. ბერტილიონმა შენიშნა, რომ დამნაშავეის ამოცნობა ამ სურათებით ყოველად შეუძლებელი იყო. საკუთარი ფოტო-ცდების შედეგად დაასკვნა, რომ ყოველ დაკავებულს ორჯერ უნდა გადაუღონ ფოტო – ან ფასსა და პროფილში. თანაც გადაღება აუცილებელია ერთი და იმავე მანძილიდან, ერთნაირი განათებისას და თანაც ისე, რომ დამნაშავეის თავი ერთი და იმავე მდგომარეობაში ყოფილიყო. მან საგანგებო – მბრუნავი – სავარძლის მოდელიც შეიმუშავა.

ახლა უკვე დამნაშავეის პირად ბარათს ორი მკაფიო ფოტოსურათი დაერთვოდა (ეს დღესაც ასეა), მაგრამ ალბათ ბერტილიონის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოგონება ფოტორობოტის პირველსახე – დამნაშავეის ზეპირი პორტრეტი გახლდათ. ჰერბარიუმის შემგროვებელი ბოტანიკოსის პედანტურობით განიხილავდა თითოეული ადამიანის ტიპაჟს და ცალკეული უწვრილმანესი დეტალების მიხედვით ალაგებდა.

საგანგებო ლექსიკონი რომ შეადგინა, დაუდგრომელმა ბერტილიონმა სიტყვიერი პორტრეტი საარქივო ბარათს დაურთო. „ფრანგი გენიოსის წყალობით მთელს მსოფლიოში თავიდან ავიცილებთ სასამართლო შეცდომებს, რომლებიც იდენტიფიკაციის გამო ხდებოდა. გაუმარჯოს ბერტილიონას, XIX საუკუნის უდიდეს გამოგონებას!“ – წერდნენ გაზეთები. ბერტილიონმა დაიჯერა, რომ კრიმინალისტიკამ მისი სახით უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

მაგრამ გავიდა ხანი. უკვე ცნობილი იყო, რომ ყოველ ადამიანს აქვს თავისი ინდივიდუალური „ნიშანი“ – თითის ანაბეჭდი. ვალტონმა დაქტილოსკოპიის უპირატესობა ბერტილიონაჟზე ჯერ კიდევ 1901 წელს დაამტკიცა. დაქტილოსკოპია უკვე მთელს ევროპაში გამოიყენებოდა. მაგრამ არა საფრანგეთში, სადაც იდენტიფიკაციის განყოფილებას მთავარი მონინალმდევე ხელმძღვანელობდა. და სწორედ ამ დროს მოხდა საუკუნის ძარცვა.

რომელიმე მოვლენის განსაკუთრებულობის ხაზგასასმელად პარიზელები ამბობდნენ ხოლმე: ეგ იგივეა, „მონა ლიზა“ მოიპარონო. მაგრამ 1911 წლის აგვისტოში ის მაინც მოიპარეს.

მრავალმა ფრანგმა ლუერის ძარცვა ერის შეურაცხყოფად მიიღო და დამნაშავეის გაგლეჯვა სწყურდათ. მთელი იმედები ბერტილიონზე მყარდებოდა. და ისიც დაუღალავად შრომობდა და თავის თანამშრომლებსაც არ აძლევდა ამოსუნთქვის საშუალებას. ფსიქიატრიულ კლინიკებსაც კი ამონებდნენ, რადგან ცნობილი იყო, ბევრი

სულით ავადმყოფი ასაღებდა თავს ჯოკონდას საყვარლად. დანაშაულის ადგილის მორიგი დათვალეობებისას ბერტილიონმა ერთადერთი სამხილი – თითის ანაბეჭდი – იპოვა. პირველად ინანა, დიდი ხნის მანძილზე რომ ეწინააღმდეგებოდა დაქტილოსკოპიას. სიურტეს არქივშიც მხოლოდ სულ ბოლო ხანს აღებული ანაბეჭდები ინახებოდა.

გამტაცებელმა მხოლოდ 1913 წელს გასცა თავი, როცა შეეცადა „ჯოკონდა“ ფლორენციელი ანტიკვარისათვის მიეყიდა. იტალიელ მხატვარს ვინჩენცო პერუჯიას ორ წელზე მეტხანს „მონა ლიზა“ საწოლის ქვეშ სხვენში ჰქონდა დამალული ლუვრიდან რამდენიმე კილომეტრზე. ბერტილიონის სამარცხვინოდ აღმოჩნდა, რომ პერუჯია არაერთხელ იყო დაჭერილი და სწორედ მისი ანაბეჭდები ინახებოდა არქივში. საუკუნის ძარცვა რამდენიმე საათში შეიძლებოდა გახსნილიყო.

ამის შემდეგ საფრანგეთში დაიწყო გადასვლა სახელგანთქმული ბერტილიონაჟიდან დაქტილოსკოპიაზე. თუმცა პოლიციის უფროსმა ლეპენმა რომ შეეცადა, ბერტილიონი განუკურნებლად იყო ავად, გადაწყვიტა რეორგანიზაცია მის გარდაცვალებამდე არ ჩაეტარებინათ.

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ბერტილიონამდე კვლავ მიაღწია უდიდესი წარსულის გამოძახილმა. ოცი წლის წინათ საფრანგეთის პოლიცია ბერტილიონს საპატიო ლეგიონის წითელ ლენტს შეჰპირდა, თუმცა მიღებით არაფერი მიუღია, რადგან არ მოინდომა 1894 წლის შეცდომა ელიარებინა. ის გარეული აღმოჩნდა დრეიფუსის ცნობილ საქმეში. ცრუ ბრალდებით საფრანგეთის არმიის კაპიტანი დრეიფუსი გერმანულ ჯაშუშად გამოაცხადეს და გადაასახლეს. ბერტილიონი ამ საქმეში ექსპერტის რანგში ჩაება. თუმცა ხელნაწერის ექსპერტიზის შედეგთა ფალსიფიცირება ვერ შეამჩნია და სასამართლოს შეეცდომა განსაზღვრა.

ახლა უკვე სასიკვდილო სარეცელზე მწოლი ბერტილიონის წინაშე შინაგან საქმეთა მინისტრის წარგზავნილი წარდგა და რბილად შესთავაზა, ფორმალურად აღიარეთ თქვენი შეცდომა, ორდენი რომ გადმოგცეთო. ბერტილიონმა გაბრაზებით წამოიძახა: „არა!“ რამდენიმე დღის შემდეგ, 1914 წლის 13 თებერვალს სავსებით დაბრმავდა და გარდაიცვალა.

ალფონს ბერტილიონის გარდაცვალებისთანავე საფრანგეთში იდენტიფიკაციის ახალი სისტემა – დაქტილოსკოპია – შემოიღეს. „ბერტილიონაჟი“ ახლა მხოლოდ მსოფლიო კრიმინალისტიკის ისტორიის სახელმძღვანელოებში არსებობს. ბერტილიონის სხვა გამოგონებანი კი ახლაც ცოცხლობენ, თუმცა მის მოუხსენიებლად.



ალფონს ბერტილიონი

როსტომ ჩხეიძე

კუნძული პეჩორაზე

*

რობინზონიდან ერთი რტო

– მეც ვმონანილობდი ამ არხის გაჭრაში, – კაცს ეამაყება, რომ ის კუნძული მისი თავგამოდებითაც ამოტივტივებულა ზემოთ, თორემ იქნებოდა ახლაც გალურსული მდინარის ქვეშ, ცხადია, უფრო წამომართული, ვიდრე ფსკერია, ზოგ ადგილას სულაც ოდნავ გადაუვლიდა ტალღები, მაგრამ კუნძული მაინც არ ერქმეოდა – არც ამას და არც სხვებს, წყებად რომ ჩამორიგებულან და ამჟამად მათ ზედაპირზე მთელი ცხოვრება ბრუნავს – არა ისეთი ხალხმრავალი? ხალხმრავლობა რა აუცილებელია, სოფლები გვინახავს, დაცლილნი და თითო-ოროლა მოსახლით მოსულდგმულე, მაგრამ ცხოვრება მაინც არ გამოდევნილიყო იქიდან, მაინც ინარჩუნებდა ფესვსა და ხელახლა აღორძინების ნიშატს და თავისი დრამებიც თამაშდებოდა იმ თითო-ოროლა კერაგაუცივებელ სახლ-კარში.

თავისი დრამები არ აკლია ამ კუნძულებსაც.

თავისი გამორჩეული მატინანეც, რომლის ერთ-ერთი სახიერი ფურცელიცაა „ხალხის მტრის“ თავშეფარება და გადარჩენა იმხანად, როდესაც ჩეკელებს არაფერი რჩებოდათ მოუჩხრიკავი და შეუღწეველი – ვერსად გაიქცეოდი, ვერსად დაიმალებოდი... თითქმის ვერსად, თორემ აღმოჩენილა მოულოდნელი თავშესაფრები, და საკუთარ სახლშიც კი დამალულა ადამიანი და ნემსსაც რომ იპოვნიდნენ იმ ბინის ჩხრეკისას, იმას – ვერა... და ეს კუნძულშიც მფარველად მოეღწენია საბჭოური მართლმსაჯულეებისაგან დევნილს. სხვებსაც შეიფარებდა, გულუხვად გადაუხსნიდა კალთას, აქამდე რომ მოეღწიათ, სცოდნოდათ მისი არსებობა და მინდობოდნენ მის გულმონყალეებს, რომელიც უზომო გახლდათ.

ბუნებას არა სჩვევია მოზომილი წყალობანი.

მეც ვმონანილობდი ამ არხის გაჭრაში...

არხი ჩაინურავდა წყალს, შეაგროვებდა და მდინარის ტალღებს გადაულოცავდა, მიწა კი ზემოთ ამოიზიდებოდა და შეჭხარებდა მხესა და სიცოცხლეს, შეჭხარებდა ახალი დროის რობინზონებს, რომელნიც თავიანთი ლიტერატურული წინაპრისაგან განსხვავებით ბევრად უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ – უფრო შემზადებულნიც, უფრო თავშენახულნიც, ფოთს რომ არც მოწყდებოდნენ და დროდადრო, როდესაც აუცილებელი შეიქნებოდა, ათასგვარ წვრილმან-მსხვილმანისათვის ესტუმრებოდნენ ამ ქალაქს.

ეგაა, გული მაინცდამაინც აღარ მიუწევდათ იქით და კუნძულით ლამობდნენ თავის გატანას.

თუ რობინზონი უნდა გრქმეოდა, რაც შეიძლება უნდა დამგვანებოდი დანიელ დეფოს გმირს.

და კუნძულის უდაბურებაც შეგეგრძნო და უდაბურებიდან ნელ-ნელა გამოგეტაცა კულტურა, შენ ყოფილიყავი საცხოვრისის დამაარსებელი და მხოლოდ ხანდახან შემოგშველებოდა ქალაქი. ბოლოსდაბოლოს, რობინზონს შგავდი, თორემ თავით ფეხამდე რობინზონი ხომ არ იყავი.

სოფლიდან საპორტო ქალაქად ექცია ფოთი ნიკო ნიკოლაძეს, აკვატორიასაც შემოავლებდა, ევროპულ საპორტო ქალაქებს როგორც სჩვეოდა და ხომალდები ავდარშიც ადვილად მოადგებოდნენ ნაპირს; და ისეთ ნაგებობებს წამოჭიმავდა, საუკუნე გადაიკეცებოდა, კიდევ რამდენი მიჰყვებოდა და ის ნაგებობანი კვლავაც განსაზღვრავდნენ ფოთის საერთო იერს – მისი ცხოვრების უშუალო მონანილენი და არა მხოლოდ ისტორიულ ძეგლებად შემორჩენილნი: სკოლებიც, საავადმყოფოც, მერიის შენობაც, ოსმალურ კოშკს რომ მოგაგონებს ერთი შეხედვით და ოსმალური კოშკიც ყოფილა თავის დროზე, ვიდრე საქართველო დაინარჩუნებდა და მერე კი ნიკო ნიკოლაძე იქ დაივანებდა.

ქუთაისის სთავაზობდნენ საგანგებოდ.

არაო, – უარზე დადგებოდა, – ამხელა ქალაქს ვერ გავწვდები, ისეთი ადგილი იყოს, ჩემს ძალ-ლონეს რომ შეეფერება და მართლა დავატყობ ხელს, სირცხვილნაჭამი არ გამოვიქცევიო.

ასე შეურჩევდნენ ზღვისპირა სოფელს, მისვლისთანავე ერთბაშად რომ წამოსწევდა.

და შერჩებოდა პირისპირ ერთმანეთს ცივილიზაციის ეს ნაყოფი და უდაბური მიწა, თავისი პირველყოფილი კულტურით, თანდათან რომ გამოიკვეთებოდა მეურნეობად და მეჯოგეობად.

იქნებ აბელითა და კაენითაც?

საამისო სიუჟეტი არაფერი შემორჩენია კუნძულების ზეპირ მატინანეს, აქ უმთავრესად რობინზონიდანას სული ქრის და ეს სული იზიდავს თავისკენ ეგზოტიკის მოყვარულთ, რომელთა შორის მეც უნდა აღმოვჩნდე იმის წყალობით, რომ ელგუჯა თავბერიძეს არასოდეს ვავინყდები და, გამოუჩნდება თუ არა ეს ბედნიერი შემთხვევა, მაშინვე მიმინვევს იმ ერთდლიან მოგზაურობაში, რაც სულ სხვა ხიბლით შემოერევა საქართველოს მთა-ბარში ხეტილის ეპოპეას.

ის სულ სხვა გამძლეობისა და ფანატიკური სწრაფვის გამჟღავნება იქნებოდა, ლევან გოთუა ათწლეულების წინათ მტკვარს რომ დაუყვებოდა თანამგზავრებთან ერთად დამქანცველ გზაზე. გახსოვთ, არა, მისი „მგზავრული კრიტიკოსანი?“ თუმც დაქანცულობას არც შეიმჩნევდა და არც არაფრად ჩააგდებდა, ისეთი სატანჯველები გამოეველო.

ჩვენი მოგზაურობა მცირე ეგზოტიკაა – წამიერი გაელვება და მხოლოდ პანია ანარეკლია მტკვრის იმ გადავლა-ჩაყოლებისა, და მის საზოგადოებრივ მნიშვნელობასთან შედარებით მარტოდენ ჩვენ-ჩვენი ზიოგრაფიისათვისაა საგულისხმო. იქნებ თავისებურად სიმბოლურიც – განა რამდენ ადამიანს უწევს რობინზონთან შეხვედრა?!

ის მოლოდინი იყო, ირაკლი ბლუიშვილს გადაუდებელ საქმესაც რომ გადაადებინებდა!.. გადაუდებელს, თორემ

სხვა რა უნდა იყოს, მოგზაურობაზე უარი რომ ათქმევი-
ნოს საერთოდ და ჩვენს საკალმასო გზებზე ხეტილისა-
გან კერძოდ. ამიტომაც დაგროვებია ერთიერთმანეთზე
უკეთესი და მრავალმხრივი საგულისხმო, უნიკალური ფო-
ტოსურათები, და საქართველოშიც არანაკლები, ვიდრე
მანქანი მოგზაურობისას გერმანიიდან თბილისამდე.

სცალია, არა სცალია – ყოველთვის მზად კი არის.
ერთ დაძახილზე – ძველი ნათქვამისა არ იყოს.

და თუ შეჭოჭმანდა, ხმაში მო-
რიდება გაერია, უნდა მიხვდე, რომ
არაფრისდიდებით არ შეუძლია,
მის ხელთ არაა წასვლა-წამოს-
ვლა... ამ ერთხელ, ამ ერთადერ-
თხელ...

ამ შეხმიანებისას სწორედ ეს
ჭოჭმანი იგრძნობა ტელეფონის
მეორე ბოლოზე, უხერხულობის ის
განცდა, იძულებული უარი რომ
უნდა გითხრას და ეს იკვირება ეს
განზილება... თავს იმართლებს,
რომ შემდგომ აუცილებლად...
რაც უნდა იყოს, აუცილებლად...

შენ უიოლებ უარი, ამშვიდებ,
უხერხულობას უფანტავ და გა-
მომშვიდობებისას სხვათა შორის
გეკითხება:

- მაინც სად აპირებთ?
- რობინზონის სანახავად.
- ვინ რობინზონის?
- რობინზონ კრუზოსი.
- არა, მართლა.
- მართლაც ეს არის – რობინ-
ზონ კრუზოსი, ქართველი რობინ-
ზონის.

- სად უნდა იპოვნოთ მერე ეს ქართველი რობინზონი?
- ნაპოვინა, ჩვენ მხოლოდ უნდა შევხვდეთ მდინარე
პეჩორის კუნძულზე.

- მოვდივარ, მოვდივარ, მოვდივარ!.. ისე დაახლოებით
რა ადგილია?

გადაუდებელი საქმეც უნდა გადაიდოს, თორემ ეს შემ-
თხვევა ხელიდან თუ გაუშვი, შესაძლოა აღარც არასოდეს
მოგეცეს. ნუ იტყვი – რა დიდი ამბავია იქამდე მიღწევა,
აგერ ყურისძირშია ფოთი და პალიასტომის ტბა და პეჩო-
რა და ის კუნძულები. თითქოს არც კატერის გამოძებნაა
დიდად საძნელო, მიბმულან კაპარჭინას ნაპირზე, იმ კა-
პარჭინასი, პავლე ინგოროყვას სახელს რომ გადაწვინა,
მისი სიყმანვილისა.

თითქოს მართლაც ადვილია.

მაგრამ ის წამი თუ გაუშვი ხელიდან...

პავლე ინგოროყვას სიყმანვილეს გადაწვინაო...

აქ ჩაუშვებდა ნავს, ჩანვდებოდა შიგ და სრულ მყუდ-
როებაში კითხულობდა და კითხულობდა. აქ ეთიშებოდა
გარესამყაროს.

შენ კი სულ სხვა მიზნით შემოცურებულხარ ამ მდინა-
რეში, პალიასტომს რომ მიადგე, გადასერო და ჩაჰყვე დიდ
პეჩორას. პატარა პეჩორაზე გული გეთანადრება, იქაც
მოვასწრებ თუ არაო, მაგრამ მთავარი განზრახვა მაინც

აღსრულებულია და კვლავ გრძნობ რაღაცას – უსაზო-
მოდ დამაფიქვრელს.

სხვაა ზღვის ტალღებზე რწევა და სხვა – მდინარისა.

თვალი ნთქავს ყოველივეს – წვრილმანი არც აქ უნდა
გეგონოს არაფერი და ირაკლი ჩვეულებისამებრ ლამობს,
სადამდეც თვალი ვერ მისწვდება, ფოტობიექტივმა მია-
ტანოს და დაფარული შტრიხები ამოზიდოს. გადადის,
გადმოდის გემბანზე, მემანქანის კაიუტის თავზე ავა, ჩა-
მოვა და ამ ტრიალ-წრიალში ლა-
მის საბედისწეროდ აუცდება ფე-
ხი, გადმოვარდნასა და გადმოხ-
ტომას შორისაა მისი გადმოჭრა
ზემოდან, რაც კეთილად უნდა
დამთავრდეს.

ისე ეს ტრიალ-წრიალია, მზის
მცხუნვარება თავის კვალს მაინ-
ცდამაინც რომ ვერ დაგვაჩნევს –
ირაკლისა არ იყოს, მეც. აი, ელ-
გუჯა თავბერიძესა და ლევან კიკ-
ნაძეს იოლად არ ჩაუვლით ერთ
ადგილას გალურსვა და გარინდე-
ბა. გარინდებებს რა სჯობს, მაგრამ
რაც იმათ დამწვარ მკლავებს იმ
სალამოს მანონი დასჭირდა, ზოგი
ციცინოსაც ჰკითხეთ.

პირვანდელი ჩანაფიქრით,
კუნძულზე უნდა გაგვეთია ღამე,
მაგრამ დროზე ვუშველეთ თავს,
თორემ ისე შეგვახრამუნებდნენ
მწერები, ძვლებს მეთს არაფერს
დატოვებდნენ.

პიჩკოკის სცენები დატრიალ-
დებოდა!..

მეც ვმონანილეობდი ამ არხის გაჭრაშიო...

და თუ პეჩორის ტალღებმა გაიმეტეს კუნძულები, პა-
ლიასტომის ტბამაც იქნებ ამოტყორცნოს ადრე თუ გვიან
ის ლეგენდარული სამკვიდრო, პავლიას ტომად რომ იხსე-
ნიებს გადმოცემა და ეგნატე ნინოშვილი გაორებულიყო –
ერწმუნა თუ არა, თაობებში გამოტარებულ სიუჟეტს მინ-
დობოდა თუ ახლებურ წარმოდგენებს, იდუმალის გაქრო-
ბა-გაცამტვერებას რაც ლამობდა და ისე ადვილად არ-
ქმევედა ძველ თქმულებებს ზღაპრებსა თუ მონაჩმასს,
თითქოს მართლა ხელისგულზე იდოს ეს სამყარო და ადა-
მიანების წარმოშობაც ვითომდა მაიმუნის შრომა-გარჯას
უკავშირდებოდა.

ყოყმანობს ეგნატე ნინოშვილი. ვერც წარღვნის ქარ-
თულ ვერსიას იმეტებს უარსაყოფად და ვერც სინამდვი-
ლედ უღიარებია. ყოყმანობს და მერე ისევ მკითხველს მი-
ანდობს ამის გარკვევას – ვისაც როგორ ენებოს.

ვერავინ იტყვის, როდის აბობოქრდება ტბა, როდის
დაგკრავს ვეება ტალღები და სიღრმისაკენ ჩაგითრევს.
სარკესავით მოლაპლაპე და მშვიდი ზედაპირი თვალს ნუ
აგიხვევს, სიღრმეში დიდი საფრთხე ბუდობს და როდის
ამოიჭრება ზემოთ, მიახლოებითაც ვერ ივარაუდებ.

პალიასტომი ისეთი საიდუმლო, მწვანე, ბნელი თვა-
ლით იყურებოდა, შიშისაგან ადამიანის ფერი აღარ შეგ-
ვარჩინაო, – გაიგონებდა ეგნატე მეთევზეებისაგან და ამ



პალიასტომელი რობინზონ კრუზო

ფრახას პირდაპირ გადაიტანდა ნოველაში „პალიასტომის ტბა“ და წინასწარვე მიგანიშნებდა გულისშემძვრელ სცენას, მამა-შვილის, ივანესა და ნიკოს, თავზე რომ უნდა დატრიალდეს; და ტრაგიკულ სურათს კი რალაც უცნაურ ფერად შეერიოს მზე, არა გაბრწყინების სიმბოლოდ, გადარჩენის, სიცოცხლის საგალობლის, არამედ მკვდართა საუფლოსაკენ გზის გახსნით:

„ამოყო მზემ თავი და ერთს ადგილას პალიასტომის წყალში სვეტივით ჩაუშვა თავისი სხივი, ასე რომ ადამიანს თვალეზს გაუფუჭებდა იმ ადგილას შეხედვა: პალიასტომს მზის დახედვამ კიდევ უფრო საშინელი ფერი დასდო... წყალს, ჰაერს და არემარეს უსიამოვნო, საიდუმლო ფერი ედო. თითქოს მზის შუქს ამოჰყვავაო, ქარმა რამდენჯერმე გაიგრიალა პალიასტომზე და გააღვიძა ეს ვეშაპი“.

ტრაგიკული სცენის შემდეგ მზემ კიდევ უნდა ამოინიოს და ისე დახედოს პალიასტომს, თითქოს სიერს უყურებსო.

და ამის მერე გიკვირდეს, მხოლოდ მანვნის დადებას რომ კმარობ აქაურ მზეს გამორიდებული.

მანამდე კი ფოთელ მასპინძელსაც – დავით პაჭკორიას – მალე უნდა გამოემშვიდობო და გია დარჯანიასთან ერთად ნიკო ნიკოლაძისდროინდელი ნაგებობანი სათითაოდ შემოიარო და ეძებო, ეძებო ის კვიპაროსი პავლე ინგოროყვას ბავშვობის სახლის წინ, რომლისთვისაც ოდესღაც ესეი მიგიძღვნია. ეძებო და... ველარსად მიაგნო. შეპირებით კი შეგპირდნენ და თავიც იმით ინუგეშო, რომ შემდგომ ჩამოსვლაზე პირდაპირ იქ წაგიყვანენ და ახალ რობინზონიდას ეს კვიპაროსი შეუხსნის კარს. ქალაქში ტრიალისას კი ისე მოგზიბლოს ალექსანდრე დიუმას ქანდაკებამ – კოლორიტულმა ჩანაფიქრითაც და გარეგნული იერიითაც.

ფოთში ეს ძეგლიც უნდა გამოჩენილიყო... თავისი ფარული იუმორითაც.

უფრო მანამდე ქართველ რობინზონთან საუბრით იჯერო გული და სხვა კუნძულთა სხვა რობინზონთა გაცნობაც მოინდომო, მაგრამ... ახლავე არა, თორემ რალაც უთუოდ დააკლდება იმ დღეს – მოსწრებაზე კი არ არის. თანაც საბაბს იტოვებ, ერთხელ კიდევ დაუყვე დინებას კატერით... მერე კიდევ ერთხელ... მერე კიდევ...

რობინზონიადათი საყოველთაო გატაცება ნაკლებად მოწონებოდა ჩვენს მინა-წყალს, თვითონ რომანის გადმოღებას ვიკმარებდით ქართულად და ჩვენი სიყმანვილის უსაყვარლესი წიგნი შეიქნებოდა დანიელ დეფოს ეს სამოგზაურო რომანი, რომელსაც უამრავი შვილობილი გაუჩნდებოდა და დროდადრო ისე იფეთქებდა რობინზონიდას ბუმი, ყველა სხვა ხმაურსა და მითქმა-მოთქმისაც გადაფარავდა ლიტერატურულ სამყაროში.



კუნძული პალიასტომზე

ჩვენში კი არა და არ გადმოჭრილა მისი ერთი ტოტი მანც.

აგერ გარემო.

აგერ პერსონაჟები.

გენანება ამ ყველაფრის ხელუხლებლობა.

ყველაფერი მზამზარეულია და თანაც სულ არ არის აუცილებელი, ეპიგონურ რკალში მოექცე და დეფოს თხრობისა თუ ცალკეული სცენების მიხედვით ააგო ვარიაციები. მოტივს გაჰყევი და შენი ეძიე წარმოსახვისა და რეალურ სურათთა იმ უცნაურ ნაზავში, ვინ იცის, რა მადანს რომ მიგაგნებინოს.

ჯერ მარტო ის როგორი მარცვალი აღმოჩნდება სიუჟეტური ქარგის გასაშლელად – უშიშროებასა და მილიციის ქსელსა და კლანჭებს გამოქცეული ალალმართალი კაცი, ვისაც სახელმწიფო დამნაშავე დარქმევია და იოტისოდენა საშუალებაც არ გააჩნია თავისი სიმართლის დასაცავად.

უფრო დიდ კატასტროფაში მოყოლილა, ვიდრე დანიელ დეფოს გმირი.

... ინრიტებოდა არხში წყალი და მიწა იბრუნებდა სიცოცხლეს.

არხით მისი გაჭრაო.

ძველი თქმულებანი სულ სხვა სიმბოლიკით წარმოსახავდნენ ამ აქტს – კოსმოგონიურ ჭრილში გაიაზრებდნენ და გმირისა და გველეშაპის ბრძოლად შემოუნახავდნენ შთამომავლობას, რომლის გონებასაც ყოველთვის ააღელვებდა დრო-ჟამის ის სასწაულებრივი ტეხილი, თუ როდის როგორ ეყოფოდა ხმელეთი წყლის წყვედიად.

როგორ იმოსებოდა მისი სხეული ხე-ბუჩქითა და ყვავილ-ბალახით.

როგორ ჩნდებოდნენ ცხოველები.

როგორ შეინავარდებდნენ ზეცაში ფრთოსნები.

როგორ გადაიღვებდა სამოთხე.

როგორ ეამებოდა უფალს აბელის ძღვენი, კაენისას კი ახლოს არ გაიკარებდა.

როგორ დაადგებოდა კაცობრიობა კაენის გზას და აბელის ძლიერ მონატრებას ათასგვარი ხერხით შეიმსუბუქებდა.

და თუ ისეც ვერ გაინელებდა, აბელურის წყურვილს ამოჰყვებოდა რობინზონ კრუზოს სახეზეც თავისი უამრავი მემკვიდრით, იმ პატარ-პატარა რობინზონებით, რომელთა ხორცშესხმასაც ყველგან დავეძებთ, გარდა იმ ადგილებისა, სადაც მართლა მოსახლეობენ და მთელი არსებით ეძლევიან პირველყოფილების ხიბლსა და მადლს. და ყოველთვის მზად არიან, შენც შეგავლებინონ თვალი მისი ნატეხებისათვის.

ირაკლი ბათიაშვილი

ისტორიის დასასრული თუ ცივილიზაციათა შეჯახება?!

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა ამერიკელი ფილოსოფოსის ფრენსის ფუკუიამას შესანიშნავი ნაწარმოები „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“, სადაც იგი გველაპარაკება ისტორიული პროცესის ფინალის შესახებ. ასევე 90-იან წლებში, ოლონდ ცოტა მოგვიანებით, დღის შუქზე გამოვიდა სამუელ ჰანტინგტონის უაღრესად საინტერესო წიგნი „ცივილიზაციათა შეჯახება“, სადაც საუბარია დიდი და ახალი ისტორიული პროცესის დასაწყისის თაობაზე. სერიოზული მკითხველი უთუოდ დაინახავს, რომ ერთიც და მეორეც თავის თეორიას აგებს საკმაოდ მყარი ლოგიკისა და მდიდარი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე; ერთმაც და მეორემაც რაღაც ნაღვ, უტყუარ ფენომენს ჩაავლო ხელი; ერთიც და მეორეც, უთუოდ, სიმართლეს გვეუბნება. უცებ შეიძლება მკითხველს შეექმნას შთაბეჭდილება, რომ იგი დგას დილემის წინაშე: კი, მაგრამ, სად არის ქეშმარიტება? ეს ორი თეორია ხომ სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო რაიმეს ამტკიცებს! ისინი ხომ ერთმანეთს გამორიცხავენ... რისი მომსწრენი ვართ: ისტორიის დასასრულის თუ ცივილიზაციათა შეჯახების? რათა გავერკვეთ, თუ რამდენად ადეკვატურია ასეთი შეცდუნება, მოდით, გავიხსენოთ და მოკლედ განვიხილოთ თითოეული ზემოთ ხსენებული ნაწარმოების არსებითი ასპექტები.

ფრენსის ფუკუიამას თეორია წარმოადგენს პასუხს კითხვაზე: „არის კი ისტორია მიზანმიმართული მოვლენა და არსებობს თუ არა საფუძველი ვიფიქროთ, რომ უნივერსალური განვითარება მართლაც ლიბერალური დემოკრატიისკენ აიღებს გეზს?“ („ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“, თბილისი 1999). ავტორის მიზანია აჩვენოს, რომ ისტორია, როგორც საზოგადოებრივი ფორმაციების ცვლა (და არა უბრალოდ ხდომილებათა რიგი) სავსებით სასრული რამაა და რომ „ლიბერალური დემოკრატია, როგორც მართვის სისტემა, მართალია, მხოლოდ ბოლო ხანს იქნა აღიარებული მმართველობის ფორმად – მას შემდეგ, რაც ამკარა გახდა მისი უპირატესობა ისეთი იდეოლოგიების წინაშე, როგორიცაა: დინასტიური მონარქია, ფაშიზმი თუ, ვთქვათ, კომუნიზმი; მაგრამ თავად ლიბერალური დემოკრატიის ინსტიტუტი შესაძლოა ადამიანთა მოდემის იდეოლოგიური ევოლუციის ბოლო საფეხური აღმოჩნდეს...“ და ამით ისტორია დასრულდეს კიდევაც. „ეს, რაღა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავდა, რომ გაჩენის, ცხოვრებისა და კვდომის ბუნებისმიერი ციკლი შეწყდებოდა, არ მოხდებოდა აღარავითარი

მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა ან გაზეთები შეწყვეტდა გამოსვლას. არა, ეს უბრალოდ ნიშნავს ისტორიის არსებითი პროცესის დამთავრებას!

ფუკუიამა მიგვითითებს, რომ მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედში გამოაშკარავდა ძალისმიერ სახელმწიფოთა სისუსტე, სახელდობრ, როგორც მემარჯვენე სამხედრო-ავტორიტარული, ასევე მემარცხენე კომუნისტურ-ტოტალიტარული სახელმწიფოების. სამოცდაათიან წლებში დასრულდა კაეტანოს ავტორიტარული რეჟიმი პორტუგალიაში, შავი პოლკოვნიკების მმართველობის ხანა საბერძნეთში, ფრანკოს რეჟიმი ესპანეთში. სამხრეთ ევროპის ქვეყნებმა, მართლაცდა, საოცარი ტრანსფორმაცია განიცადეს საერთო-ევროპული დემოკრატიის მიმართულებით. ოთხმოციან წლებში ანალოგიური პროცესებს ჰქონდა ადგილი ლათინურ ამერიკაში: პერუში წერტილი დაეცა თორმეტწლიან სამხედრო მმართველობას, არგენტინაში დაემხო სამხედრო ხუნტა; ასევე ურუგვაიში, ბრაზილიაში, მოგვიანებით პარაგვაიში და ჩილეში ბოლო მოელო სამხედრო დიქტატურებს. მსგავსი ტრანსფორმაციები ხდებოდა შორეულ აღმოსავლეთშიც. ხოლო 1990 წლიდან დაიწყო აპარტიდული რეჟიმის დემონტაჟი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

1989-91 წლებში მოხდა ისტორიის, ალბათ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა და კერძოდ, ვარშავის კომუნისტური ბლოკისა და საბჭოთა იმპერიის დაშლა. მანამდე ტოტალიტარიზმი დამარცხდა ჩინეთშიც; დენ სიაოპინის რეფორმების შედეგად ეს ქვეყანა ეკონომიკური ლიბერალიზაციის გზას დაადგა, თუმცა შეინარჩუნა ერთპარტიული კომუნისტური მმართველობა. სწორედ ამ ცვლილებებმა განაპირობეს ახალგაზრდების საპროტესტო აქციები ტიანანმენის მოედანზე, რომელთაც აღარ აკმაყოფილებდათ მხოლოდ ეკონომიკური თავისუფლებანი სრული პოლიტიკური შეზღუდვების პირობებში. ეს გამოსვლები სასტიკად იქნა ჩახშობილი ჩინეთის ხელისუფლების მიერ და ეს ქვეყანა ჯერჯერობით რჩება აზიურ ავტორიტარულ სახელმწიფოდ. აფრიკის მარქსისტულ ქვეყნებშიც ერთპარტიულმა რეჟიმებმა სრული კრახი განიცადეს და ბევრგან ნორმალური დემოკრატიული წყობა დამყარდა. „დემოკრატიულმა იდეებმა ძირი კი გამოუთხარა კომუნისტური რეჟიმების ლეგიტიმურობას მთელ მსოფლიოში, მაგრამ თავად დემოკრატიასაც ურთულესი პრობლემები შეხვდა თვითდამკვიდრების გზაზე“; ეს იყო საკმაოდ ეკლიანი გზა! მაგრამ მიუხედავად ამ დიდი სიძნელებისა ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფი ამკარა შეიქნა გლობალური მასშტაბით, რის შედეგადაც იგი დარჩა პოტენციურად საყოველთაო მნიშვნელობის იდეოლოგიად. ვერც მონარქიზმს, ვერც ფაშიზმს, ვერც ტრადიციულ ავტორიტარიზმს, ვერც კომუნიზმს და ვერც ნებისმიერ სხვა იდეოლოგიას ანი ველარ ექნება უნივერსალობის ის პრეტენზია, რითაც მეტოქეობას გაუწევდა ლიბერალურ დემოკრატიას. მაშასადამე, როგორც ფუკუიამა აღნიშნავს, ჩვენ მომსწრენი აღმოვჩნდით მსოფლიო ლიბერალური რევოლუციის საყოველთაო და შეუქცევადი პროცესისა.

არსებობს თუ არა რაღაც მექანიზმი, რომელიც ისტორიის მიზანმიმართულ მსვლელობას განაპირობებს? ავტორის აზრით, ასეთ მექანიზმად გვევლინება საბუნე-

ბისმეტყველო მეცნიერებათა განვითარება. პროგრესი ამ სფეროში უეტყველი ჭეშმარიტებაა, რასაც ვერ ვიტყვით პოეზიაზე, მუსიკაზე თუ არქიტექტურაზე. როგორც ფუკუიამა წერს, ვერავის მოუტრიალდება ენა, მიქელანჯელოზე უკეთეს მხატვრად რაუშენბერგი, ხოლო ბახზე უკეთეს კომპოზიტორად შონბერგი დაასახელოს მხოლოდ იმის გამო, რომ ერთნი უფრო ადრე ცხოვრობდნენ, ხოლო მეორენი კი – გვიან. თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერების ნინსვლამ, რომელიც დასაბამს იღებს XVI-XVII საუკუნის ევროპაში, ორი მიზეზის გამო იქონია გლობალური ზეგავლენა დასავლეთის თუ აღმოსავლეთის საზოგადოებებზე: ჯერ ერთი, იგი ამა თუ იმ ქვეყანას აძლევს სამხედრო ძლიერების მოპოვების შესაძლებლობას მონინავე ტექნოლოგიების ათვისების გზით. ეს მართლაცაა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოტივს წარმოადგენს საბუნებისმეტყველო მეცნიერების საყოველთაო ზეგავლენისა, ვინაიდან მსოფლიოში მუდმივად სახეზეა ომისა და კონფლიქტის წყარო და შესაბამისად, მუდმივად სახეზეა თავდაცვისა და აგრესიის მოთხოვნილებები. სამხედრო ინტერესები უბიძგებენ სახელმწიფოებს ახალი ტექნოლოგიების ათვისებასთან ერთად საკუთარი სოციალური სისტემების რეორგანიზაციისკენაც, რამდენადაც ეს ორი რამ ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულია. ფუკუიამას მოჰყავს მეიძის პერიოდის იაპონიის ძირეული ტრანსფორმაციის მაგალითი, რაც უმთავრესად განპირობებული იყო სამხედრო-პოლიტიკური ამბიციებით: „მონოდებით – „მდიდარი ქვეყანა, ძლიერი არმია“ – იაპონიის ახალმა ხელმძღვანელობამ შეცვალა ძველი სატაძრო სკოლები სავალდებულო საგანმანათლებლო სისტემით სახელმწიფოს ხარჯზე, სამურაების ნაცვლად ჯარში ძირითადად გლეხობა გაიწვია და შემოიღო სახელმწიფო საგადასახადო, საბანკო და სავალუტო სისტემები. მეორე მხრივ, თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გლობალური ზეგავლენის მოტივს წარმოადგენს მატერიალური დოვლათის მზარდი დაგროვების პერსპექტივა და ე.ი. ჩვენი სურვილების დაკმაყოფილების მიზნით ბუნების თანმიმდევრული დაპყრობის ტენდენცია. სწორედ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ წარმოების პროცესში და შრომის რაციონალურმა ორგანიზაციამ მოიტანეს ინდუსტრიული ეპოქა, რაც აუცილებლად გულისხმობდა ფუნდამენტურ ცვლილებებს სოციალურ სტრუქტურაშიც. დიახ, ეს პროცესი უზრუნველყოფს სხვადასხვა საზოგადოებების და ცივილიზაციების უნიფიკაციას: „ეკონომიკური მოდერნიზაციის გზაზე დამდგარი ყველა ქვეყანა თანდათანობით უფრო და უფრო უნდა დაემსგავსოს ერთმანეთს: ისინი ცენტრალიზებული სახელმწიფოს საფუძველზე უნდა გაერთიანდნენ, განიცადონ ურბანიზაცია“, შექმნან უფრო მობილური საზოგადოება, საყოველთაო განათლების სისტემა, მასობრივი კულტურა და ა.შ.

საზოგადოების ინდუსტრიალიზაცია და შემდგომ უკვე პოსტინდუსტრიალიზაცია აუცილებლობით მოითხოვს, საბოლოო ჯამში, ისეთ ადეკვატურ სისტემას, როგორცაა საბაზრო ეკონომიკა. თუკი საბჭოური ცენტრალიზებული ეკონომიკა ჯერ კიდევ გამოდგებოდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, იგი აბსოლუტურად შეუფე-

რებელი აღმოჩნდა უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების ეპოქისათვის. დიახ, ფუკუიამა სავსებით დამაჯერებლად გვისაბუთებს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარების მექანიზმი გვკარნახობს უნივერსალურ ევოლუციას კაპიტალიზმის მიმართულებით. მაგრამ იგი სვამს კითხვას: მიგყავართ კი ამ მექანიზმს ასევე ერთმნიშვნელოვნად ლიბერალური დემოკრატიისაკენ? რა თქმა უნდა, არსებობს მჭიდრო ემპირიული კავშირი ეკონომიკის ლიბერალიზაციასა და ახალი დემოკრატიების წარმოშობას შორის. ამის მაგალითია ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა და მრავალი სხვა ქვეყანა. ეკონომიკური მოდერნიზაცია საჭიროებს საყოველთაო განათლების დონის ზრდას, რაც, თავის მხრივ, ძლიერი საშუალო ფენის მქონე საზოგადოების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ხოლო ასეთ საზოგადოებას კი უფრო მეტად უღვივდება პრეტენზია საკუთარ უფლებათა თანასწორობასა და პოლიტიკურ მმართველობაში თანამონაწილეობაზე. „... განათლებული ადამიანები ბრმად არ მორჩილებენ ავტორიტეტებს, ისინი დამოუკიდებლად აზროვნებას სწავლობენ“. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი კავშირი ეკონომიკის მოდერნიზაციასა და ლიბერალური დემოკრატიის ფორმირებას შორის. ფაქტია, რომ ავტორიტარულ რეჟიმებს უნინ და ახლაც საკმაოდ ფექტურად შეეძლოთ და შეუძლიათ ეკონომიკური რეფორმების გატარება და შთანბქდავი შედეგების მიღწევაც: ავტორი იხსენებს ბისმარკის გერმანიას, მეიძის იაპონიას, ვიტეს და სტოლიპინის რუსეთს; ხოლო რაც შეეხება თანამედროვეობას, ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ჩინეთი. დიახ, ერთი მხრივ, ტექნოლოგიურად განვითარებული კაპიტალიზმი შეიძლება არსებობდეს ავტორიტარული მმართველობის პირობებში; მეორე მხრივ, კი, „მყარი დემოკრატია ზოგჯერ პრეინდუსტრიულ საზოგადოებაშიც წარმოქმნილა, როგორც, ვთქვათ, შერეთე-ბულ შტატებში 1776 წელს“. მაშასადამე, არასწორია ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ეკონომიკის ლიბერალიზაციას აუცილებლობით მოაქვს თანამედროვე დემოკრატია. იგი ამ უკანასკნელის ფორმირების და დამკვიდრების უაღრესად ხელშემწყობი და აუცილებელი პირობაა, მაგრამ არა – საკმარისი. და ე.ი. მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერების პროგრესის მექანიზმით ვერ ავხსნით ისტორიის უნივერსალურ ევოლუციას ლიბერალური დემოკრატიისაკენ. არსებობს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი! რა არის იგი? ამ პრობლემის ანალიზისას ფუკუიამა თავიდან ბოლომდე ეყრდნობა ჰეგელისა და მისი ცნობილი ინტერპრეტატორის ალექსანდრ კოფერის ნააზრევს. კერძოდ, მას განხილვის ველში შემოაქვს ალიარების სურვილი, როგორც ისტორიული ცვლილებების ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებელი ძალა. დიახ, ადამიანი მხოლოდ ბუნებრივი მოთხოვნილებებით არ ამოიწურება. რა თქმა უნდა, მას სურს საკვები, სექსი, თავშესაფარი... რა თქმა უნდა, თვითგადარჩენა მისი უძლიერესი ინსტინქტია. მაგრამ ცხოველისაგან ის არსებითად განსხვავდება იმით, რომ მოითხოვს საკუთარი ფასეულობის აღიარებას ანდა იმ ობიექტებისა, რასაც თავად მიანიჭა ფასეულობა. „ჰეგელის თვალსაზრისით ისტორიის გარიჟრაჟზე, სწორედ, ღირსეულად აღიარების

სურვილი უზიძგებდა ადამიანს სისხლიანი ბრძოლისაკენ პრესტიჟის (სახელის) მოსახვეჭად“. ამ ბრძოლის შედეგი იყო საზოგადოების დაყოფა ბატონებად და მონებად. სწორედ აღიარებისათვის შეუძლია ადამიანს საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოს. მას შეუძლია თავგანწირვა და ე.ი. თვითგადარჩენის უძლიერესი ინსტიქტის საპირისპიროდ წასვლა. „მე ვიბრძვი იმისათვის, რათა მეორე ადამიანი მიხვდეს – არ მაშინებს სიკვდილის საფრთხე, ამდენად, ვარ თავისუფალი, ვარ ჭეშმარიტად ადამიანი“. აღიარების სურვილი არის ის თიმოსი, რაზედაც ჯერ კიდევ პლატონი გველაპარაკებოდა. „თიმოსი ჰგავს ადამიანის თანდაყოლილ სამართლიანობის გრძნობას: ადამიანს სჯერა, რომ აქვს გარკვეული ღირებულება, და როცა სხვები ამას ვერ ამჩნევენ, როცა არ აღიარებენ ამ ღირებულებას, არ აფასებენ ჭეშმარიტი საფასურით – მაშინ ადამიანს სიბრაზე იპყრობს“. აღიარების სურვილი აღმოჩნდა ისტორიის ძრავი, რომელმაც ჯერ განაპირობა საზოგადოების მრავალგვარი დიფერენციაცია გაბატონებულ და ჩაგრულ კლასებად, ფენებად და შემდგომ კი – ჩაგრულთა ემანსიპაციის ის თანმიმდევრული პროცესი, რომელიც 1776 წლის ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციითა და 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციით დაგვირგვინდა. „ბატონებისა და მონების მანამდე ჩვეული არათანასწორი აღიარება შეცვალა საყოველთაო და თანაზიარმა აღიარებამ, როცა ყოველი ცალკეული მოქალაქე ნებისმიერი სხვა მოქალაქის ადამიანურ ღირსებას აღიარებს და როცა ამ ღირსებას, თავის მხრივ, სახელმწიფოც აღიარებს – საკუთარი მოქალაქეების უფლებების მინიჭებით“. ისტორიული ფორმაციების ცვლა და თანმიმდევრული ევოლუცია ლიბერალური დემოკრატიისაკენ ამ აღიარების მექანიზმით იყო ნაკარნახევი. მაგრამ ეს მექანიზმი, ავტორის აზრით, გასაგებს ხდის თვით საერთაშორისო პოლიტიკის არსსაც. დაპყრობითი ომები, იმპერიების შექმნა, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, შეთანხმებები და გარიგებები – ერებს შორის ურთიერთობათა მთელი ეს სპექტრი ხომ ასევე აღიარებისთვის ჭიდილის ასპარეზია. მსოფლიო ლიბერალურმა რევოლუციამ კარდინალური ცვლილება მოახდინა საერთაშორისო პოლიტიკაშიც, კერძოდ, წინააღმდეგობების, კონფლიქტების უკეთ რეგულირების თვალსაზრისით. რატომ? იმიტომ, რომ მან დაამკვიდრა ერთა თანასწორობის პრინციპიც ადამიანთა თანასწორობასთან ერთად. დიახ, ერთა თანასწორი აღიარება გახდა საფუძველი ისეთი საერთაშორისო მექანიზმების შექმნისა, როგორცაა გაერო, ეუთო და ა.შ. და რომლებიც დღეს შედარებით სტაბილური გარანტიები არიან მსოფლიოში. ასეთი გლობალური გარანტიები ისტორიაში მანამდე არ არსებობდა. ეს მხოლოდ და მხოლოდ ლიბერალური რევოლუციის მიერ აღიარების საკითხის გადაჭრამ მოიტანა.

მოდით ახლა გავაკეთოთ დასკვნები. მაშასადამე, ფუკუიამა გველაპარაკება ისტორიის ორი მთავარი მამოძრავებელი ფაქტორის შესახებ, რომლებსაც იგი ცალსახად მიჰყავთ გარკვეული მიზნისაკენ. სახელდობრ, საბუნებისმეტყველო მეცნიერების პროგრესი და აღიარებისთვის ბრძოლა განაპირობებს გარდაუვალ ევოლუციას თანამედროვე დემოკრატიისაკენ. პირველს

გარდაუვლად მოაქვს ეკონომიკური მოდერნიზაცია და საბოლოო ჯამში, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება; მეორეს გარდაუვლად მოაქვს დისკრიმინირებული ფენების ემანსიპაცია და ადამიანთა თანასწორ აღიარებაზე დაფუძნებული მმართველობის ფორმა. დიახ, ლიბერალური დემოკრატია თავისი საბაზრო ეკონომიკით არის ისტორიული აუცილებლობის ერთმნიშვნელოვანი შედეგი. ამ ფორმაციაში არსებითად დაძლეულია ის კოლიზიები, რომლებიც კაცობრიობის ცხოვრების მანძილზე დაკავშირებული იყო აღიარებისათვის ბრძოლასთან. მასში სრულადაა მიღწეული ის ეკონომიკური თავისუფლება, რასაც მეცნიერულ-ტექნიკური წინსვლა მოითხოვს. იგი თავის თავში არ ატარებს რაიმე ისეთ ფუნდამენტურ წინააღმდეგობებს ამ თვალსაზრისით, რამაც შეიძლება მისი „აფეთქება“ და ახალი ფორმით შეცვლა გამოიწვიოს. „ეჭვი არაა, თანამედროვე დემოკრატიები უამრავი სერიოზული პრობლემის წინაშე დგანან – დანყებულ ნარკოტიკებით, უსახლკარობით, დანაშაულით, გარემოს დაბინძურებით და მომხმარებლობის ქარაფშუტობით დამთავრებული. მაგრამ ეს პრობლემები ძირითადი ლიბერალური პრინციპების შუქზე არც აშკარად გადაუჭრელი ჩანს და არც იმდენად მომაკვდინებელი, შედეგად საზოგადოების ისეთი მსხვერველა რომ მოჰყვეს, რაც კომუნისტმა განიცადა ოთხმოცეან წლებში“. დიახ, ლიბერალური დემოკრატია არის ისტორიული ევოლუციის ბოლო აკორდი. მის იქით არაფერი ჩანს და ვერც ვერაფერი ვერ გამოჩნდება. იგი ისტორიის დასასრულია – აი, ასეთია ფუკუიამას დასკვნა.

მოდით, ახლა თვალი გადავავლოთ იმ არსებით მომენტებს, რაზეც გველაპარაკება მეორე დიდი ამერიკელი მოაზროვნე – სამუელ ჰანტინგტონი და შემდეგ უკვე გავაკეთოთ სათანადო დასკვნები. იგი აღნიშნავს, რომ „ცივი ომის“ დასრულების ეიფორიამ თავიდან წარმოშვა საერთაშორისო ჰარმონიის, ერთიანი მსოფლიო წესრიგისა და გლობალური კონფლიქტების დამთავრების ილუზია. მაგრამ ძალიან მალევე ცხადი შეიქნა, რომ ეს სწორედ, რომ ილუზია იყო და მეტი არაფერი. პირიქით, ავტორის აზრით, ჩვენ ამჟამად მომსწრენი ვართ სრულიად ახალი ისტორიული რეალობის ფორმირებისა; სახელდობრ, გლობალური პოლიტიკა პირველად იძენს მრავალპოლუსიან და პოლიცივილიზაციურ ხასიათს: ამ ახალ მსოფლიოში ყველაზე უფრო მასშტაბური და მნიშვნელოვანი კონფლიქტები ხდება და მოხდება განსხვავებული კულტურული იდენტიფიკაციის მქონე ხალხებს შორის. ჰანტინგტონი აკეთებს რვა თანამედროვე ცივილიზაციის ჩამონათვალსა და მათ მოკლე დახასიათებას. ესენია: სინის ცივილიზაცია (რომელიც შედის ჩინეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ჩინური თანამეგობრობა), იაპონური ცივილიზაცია, ინდუსტრიული ცივილიზაცია, ისლამური ცივილიზაცია, მართლმადიდებლური ცივილიზაცია, დასავლური ცივილიზაცია, ლათინო-ამერიკული ცივილიზაცია და ალბათ, აფრიკული ცივილიზაცია (ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, იგი, სწორედ რომ ჯერჯერობით ვარაუდს გამოთქვამს). მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულს დაიწყო ევროპული სამყაროს საოცარი აღორძინება, რაც დაკავშირებული იყო მისი საზოგადოებების დინამიკურ განვითარებასთან და სოციალურ პლუ-

რალიზმთან, აგრეთვე ტექნოლოგიურ მიღწევებთან და ვაჭრობის ქსელის გაფართოებასთან. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოში დასავლეთმა თავისი გავლენა გაავრცელა თითქმის მთელ აფრიკაზე, გააძლიერა კონტროლი ინდოსტანსა და აზიაზე; ხოლო მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის მთელი ახლო აღმოსავლეთი თურქეთის გარდა აღმოჩნდა მისი კონტროლის ქვეშ. 1914 წლისათვის ევროპელები და ამერიკელები განაგებდნენ მსოფლიო ხმელეთის 84%-ს. მოგვიანებით კი, ოტიმანთა იმპერიის დაშლის შემდეგ, ეს პროცენტი კიდევ უფრო გაიზარდა. მაგრამ ავტორი ხაზს უსვამს, რომ დასავლეთმა დაიპყრო მსოფლიო არა თავისი იდეების და ფასეულობების, არამედ ტექნოლოგიური უპირატესობის გამო. ხოლო თავად ეს ფასეულობები და პრინციპები ანუ ის სპეციფიკური მახასიათებლები, რითაც დასავლური ცივილიზაცია გამოირჩევა სხვებისგან და რაც მის უნიკალობას განსაზღვრავს ისტორიულად ყალიბდებოდნენ ჯერ კიდევ ჩვენი ნელთალრიცხვის მე-8-9 საუკუნეებში. ჰანტინგტონი იძლევა მათ ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვან აღწერას და ანალიზს. ეს მახასიათებლებია: ანტიკური მემკვიდრეობა, კათოლიციზმი და პროტესტანტიზმი, ევროპული ენების სიმრავლე, სახელმწიფოს და ეკლესიის დუალიზმი, კანონის ბატონობა, სოციალური პლურალიზმი, წარმომადგენლობითი ორგანოები, ინდივიდუალიზმი. შემდგომში ვნახავთ, თუ რატომ არის ჩვენთვის საყურადღებო აღნიშნული მომენტები.

დიახ, მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულს დაიწყო დასავლეთის დიდი აღმავლობა და ექსპანსია, მაგრამ, ავტორის აზრით, მე-20 საუკუნის მიწურულს მისი ჰეგემონია ერა უკვე დასასრულს უახლოვდება. 1919 წელს ვუდრო ვილსონი, ლოიდ ჯორჯი და ჟორჟ კლემანსო ფაქტობრივად მართავდნენ მსოფლიოს. ოცდამეერთე საუკუნეში კი მხოლოდ ისეთი პოლიტიკური ჯგუფი შეიძლება განაგებდეს პლანეტის ბედს, რომელიც სხვადასხვა ცივილიზაციითა წარმომადგენლებისგან შედგება – ნერს ჰანტინგტონი. დღესდღეობით, მართლაცადა, ასეა. მის მიერ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ნათლად გვიჩვენებს იმ დინამიკას, თუ როგორ შემცირდა თითქმის საუკუნის განმავლობაში დასავლეთის კონტროლქვეშ მყოფი ტერიტორიები; როგორ კლებულობს მისი მოსახლეობა და მისი წილი მსოფლიო ერთობლივ პროდუქტში. მიუხედავად ამისა, დასავლეთის ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სამხედრო ლიდერობა გლობალურ ასპარეზზე ჯერჯერობით მაინც სახეზეა. მაგრამ სახეზეა ის ფუნდამენტური პროცესებიც, რომლებიც სერიოზულად ცვლიან ძალთა ბალანსს ცივილიზაციათა შორის და რომელთა გამოისობითაც, ავტორის სიტყვით, დასავლეთის ძლიერება სხვებთან შედარებით კვლავაც შემცირდება. რა პროცესებს გულისხმობს იგი? უპირველეს ყოვლისა, ჩვენ მომსწრენი ვართ აზიური გრანდიოზული ეკონომიკური ბუმისა. ეს უკანასკნელი განაპირობებს უდიდეს რწმენას საკუთარ თავში, რაც ამ სამყაროს ხალხებს უყალიბდებათ, ვინაიდან ჰანტინგტონის თქმით, სიმდიდრე, ისევე, როგორც ძალაუფლება, ითვლება საბუთად კულტურული და მორალური უპირატესობისა. სერიოზული პროგნოზების თანახმად 21-ე საუკუნის ოციანი წლებისათვის მსოფლიო ეკონომიკური პროდუქტის ორმოცი პროცენტი მოვა სწორედ აზი-

ურ ქვეყნებზე. აქ განსაკუთრებით თვალში საცემია ჩინეთის გასაოცარი ეკონომიკური ზრდა, რომელიც მის დიდ ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებთან ერთად უბიძგებს პეკინს იქითკენ, რათა დაიკავოს ჰეგემონისტური პოზიციები აღმოსავლეთ აზიაში და ეს უკანასკნელიც თავისი ეკონომიკით სულ უფრო და უფრო ორიენტირებული ხდება ამ ქვეყანაზე. ანალიტიკოსები ჩინეთის ასეთ აღმავლობას ადარებენ კაიზერის გერმანიის გაძლიერებას მე-19 საუკუნის ბოლოს. ჰანტინგტონს მოჰყავს ცნობილი აზიელი მოღვაწის, ლი კვან იუს სიტყვები ჩინეთთან დაკავშირებით: თავს ნუ მოვიტყუებთ, თითქოსდა ეს არის კიდევ ერთი წამყვანი მოთამაშე. ეს არის ყველაზე მსხვილი მოთამაშე კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე. ჩინური ჰეგემონია დაანესებს გარკვეულ პირობებს, რომლებიც აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა მხედველობაში უნდა მიიღონ. ესაა: ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა; სამხრეთ-ჩინეთის ზღვაზე და მონღოლეთზე მისი სუვერენიტეტის დე-ფაქტო აღიარება; რეგიონში მის სამხედრო დომინანტობასთან შეგუება; მისი ლიდერობის გათვალისწინება რეგიონალური პრობლემების გადაწყვეტის დროს; საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩინელების უფლებების პატივისცემა; პეკინის მხარდაჭერა დასავლეთთან კონფლიქტში და ა.შ.

რამდენადაც ჩინეთი ამერიკის შეერთებულ შტატებს განიხილავს მთავარ მოწინააღმდეგედ, ამდენად ვაშინგტონიც საცესებით ლოგიკურად გამოდის აზია-წყნარი ოკეანის ავანსცენაზე, როგორც მთავარი დაპირისპირებული ძალა ჩინურ მზარდ ამბიციებთან. ამ ვითარებაში კი ბევრი აზიური სახელმწიფო, ხედავს რა რეგიონში სერიოზულ ცვლილებას ძალთა ბალანსში, გაურბის პეკინთან კონფლიქტს აშშ-ს პოლიტიკის მხარდაჭერის გამო. პირიქით, ისინი ცდილობენ ფეხი აუწყონ ახალ რეალობას და თავისებურად „მოერგონ“ ჩინეთის ჰეგემონიას. თუმცა ეს ყველას არ ეხება. იაპონია, ინდონეზია, ვიეტნამი რჩებიან იმ ქვეყნებად, რომლებიც ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებიან აზიური გიგანტის გავლენის ზრდას. ჰანტინგტონი ნერს, რომ ჩინეთის აღმავლობა დაკავშირებულია მისი კონფუციანური კულტურის დიდ გამოღვიძებასთან; იმ კულტურისა, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ავტორიტეტს, წესრიგს, იერარქიას და პიროვნებაზე კოლექტივის უპირატესობას. იგი თავისი ძირითადი პარამეტრებით და მაკონსტიტუირებელი პრინციპებით არსებითად განსხვავდება დასავლური ცივილიზაციისაგან. თუკი მე-20 საუკუნის დასაწყისში აზიელი ინტელექტუალები კონფუციანელობას მიიჩნევდნენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ჩამორჩენილობის მიზეზად, საუკუნის მიწურულს უკვე ჩინეთის, სინგაპურის, ტაივანის და სხვათა სახელმწიფო მოღვაწეები და მოაზროვნეები სწორედ მასში ხედავდნენ საკუთარი ქვეყნის პროგრესის წყაროს.

ნუ დავგავიწყდება, რომ ამ რეგიონში კვლავაც უმნიშვნელოვანეს ფიგურად რჩება იაპონია, რომელიც უთუოდ მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ლიდერია და სადაც „ნიხონდზინრონი“ ანუ „თეორია იაპონიისა და იაპონელთა შესახებ“ უთუოდ აღორძინებას განიცდის. დაბოლოს, აზიაში და კერძოდ, სამხრეთ აზიაში გამოჩნდა კიდევ ერთი უმსხვილესი მოთამაშე: ესაა ინდოეთი თავისი გასაოც-

რად მზარდი ეკონომიკით, სამხედრო პოტენციალით და უკვე მილიარდზე მეტი მოსახლეობით. ამ ქვეყნის გაძლიერებაც გამსჭვალულია ცივილიზაციურ-იდენტობის ცნობიერებით, სახელდობრ, ინდუიზმის აღმავლობით როგორც ავტორი აღნიშნავს, გასული საუკუნის 90-იან წლებში მისი მეზობარხტრეები იყვნენ არა ჩამორჩენილი სოციალური ფენის, არამედ განათლებული საშუალო კლასის წარმომადგენლები, რომელთა შორის მრავლად ნახავდით უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებს, ინტელექტუალებს, ჟურნალისტებს და ა.შ. ინდოეთის ასეთი თვალმისაცემი გამოსვლა გლობალურ არენაზე, ცხადია, ასევე ცვლის ძალთა ბალანსს ცივილიზაციათა შორის.

თანამედროვე მსოფლიოში სახეზეა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი – ისლამური აღორძინება. ამასთან დაკავშირებით სამუელ ჰანტინგტონი აღნიშნავს შემდეგს: შეიძლება მავანს გაუკვირდეს, თუ რატომ ვინცებ „ისლამურ აღორძინებას“ დიდი ასოთი. მიზეზი ისაა, რომ ეს ტერმინები გამოხატავენ განსაკუთრებულ ისტორიულ ფენომენს, რომელიც თავისი მნიშვნელობით არ ჩამორჩება ამერიკულ რევოლუციას, საფრანგეთის რევოლუციას, რუსულ რევოლუციას და გარკვეულწილად ჰგავს პროტესტანტულ რეფორმაციას დასავლურ საზოგადოებაში. დიახ, ლაპარაკია მთელი მუსლიმანური სამყაროს მასშტაბით გავრცელებულ ინტელექტუალურ, კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობაზე და არა უბრალოდ, ისლამურ ფუნდამენტალიზმზე. ეს უკანასკნელი, ავტორის აზრით, ამ ფართო და საყოველთაო მოძრაობის მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ისლამური აღორძინება პრაქტიკულად შეეხო ყველა მუსლიმანურ ქვეყანას. გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში ეს პროცესი, როგორც წესი, იწყებოდა ჯერ ისლამური საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებით: ისლამური სკოლების, ისლამური საავადმყოფოების და ა.შ. მალე მან სრული მხარდაჭერა მიიღო თავად სახელმწიფო დონეზე: მაროკოში, ტუნისში, იორდანიაში, ტრანსნი, თურქეთში, ბანგლადეშში, ინდონეზიაში თუ ცენტრალური აზიის ქვეყნებში ხელისუფალნი ერთმნიშვნელოვნად გამოხატავენ თავიანთ ერთგულებას ისლამური ტრადიციებისადმი. აღარაფერს ვლაპარაკობთ ირანზე, სადაც ხომეინის რევოლუციის შედეგად პირდაპირ ისლამური რესპუბლიკა ჩამოყალიბდა. ნავთობით და გაზით მდიდარი სახელმწიფოების მუსლიმანი ლიდერები იყენებდნენ თავიანთ რესურსებს და ფინანსებს, რათა ყველანაირად უზრუნველყოთ რელიგიური აღმავლობის პროცესი. მეორე მხრივ კი, ამ უკანასკნელს დიდად შეუწყობდა ხელი ისლამური სამყაროს შთამბეჭდავმა დემოგრაფიულმა ზრდამ. საბოლოო ჯამში, სადღესოდ მივიღეთ აღორძინებული ისლამური ცივილიზაციის მძლავრი ფენომენი. რომელმაც კარდინალურად შეცვალა მსოფლიო პოლიტიკის მიმართულებები, ორიენტირები და ტენდენციები და რომელმაც ასევე კარდინალური ცვლილება შეიტანა ცივილიზაციათა ძალთა ბალანსში.

ჩვენ მომსწრენი ვართ აგრეთვე (ჰანტინგტონის ტერმინოლოგიით, რომ ვთქვათ) მართლმადიდებლური ცივილიზაციის ისეთი ლერძული სახელმწიფოს აღმასვლისა, როგორცაა რუსეთი. დიახ, იგი დღითიდღე ძლიერდება. ესაა ფაქტი. მისი გაძლიერების მიზეზი აღმოჩნდა ნავთო-

ბის გაძვირებით მიღებული უზარმაზარი შემოსავლები, გაზის ბერკეტების მძლავრი ამოქმედება, მზარდი ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკაში, სახელმწიფო სტრუქტურების განმტკიცება და სამხედრო პოტენციალის მაღალი დონის უზრუნველყოფით რუსეთმა თანდათანობით დაიბრუნა გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცის დიდ ნაწილში. ეფექტურად მანიპულირებს რა ირანის, ჩრდილოეთ კორეის და სხვა მტკიცეული თემებით და მოხერხებულად ლავირებს რა ჩინეთთან, ევროპასთან და აშშ-სთან ურთიერთობებში, იგი კვლავაც მოგვევლინა გლობალური პოლიტიკური საჭადრაკო დაფის ერთ-ერთ წამყვან ფიგურად. ამასთან ერთად თავის პოლიტიკურ და კულტურულ ხელახალ თვითდამკვიდრებაში რუსეთი ცდილობს წარმოადგეს არა საბჭოთა კავშირის, არამედ მართლმადიდებლური იმპერიის ტრადიციების მემკვიდრედ. ცხადია, ყოველივე ზემოთ თქმული ასევე ასახავს სერიოზულ ცვლილებებს ცივილიზაციურ ძალთა ბალანსში.

რა თქმა უნდა, კიდევ სხვა პროცესებთანაც ხასიათდება პოლიცივილიზაციური მსოფლიოს ფორმირება, რომლებზედაც გველაპარაკება სამუელ ჰანტინგტონი და რომლებმაც ნაწილობრივ მისი პუბლიკაციის შემდგომაც იჩინეს თავი. ახლა ჩვენ ამოცანას არ შეადგენს მათი ამომწურავი ანალიზი. ჩვენ გვსურდა მხოლოდ და მხოლოდ ზოგადი და არსებითი სურათი შეგვექმნა მათ შესახებ. დიახ, ამ პროცესებმა მოიტანეს ახალი ტიპის მსოფლიო ახალი კონფლიქტებით: ნავიდა დრო იდეოლოგიური დაპირისპირებებისა და მოვიდა დრო ცივილიზაციათა შორის შეჯახებებისა. და განა ეს უტყუარი რეალობა არ არის? ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა ხარისხის კონფლიქტების მთელ სპექტრს: სახეზეა უმწვავესი დაპირისპირება დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის, რომელზეც ნათლად მეტყველებენ ომები ერაყსა და ავღანეთში, საერთაშორისო ისლამური ტერორისტული ქსელის ვირუსული შეტევები, უკიდურესი კონფრონტაცია აშშ-სა და ირანს შორის... სახეზეა ჩინეთისა და აშშ-ს გადამწყვეტი გეოსტრატეგიული ურთიერთჭიდილი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ჰეგემონიისათვის; სახეზეა შეუნელებელი კონფლიქტი ინდუიზმსა და ისლამს შორის, რასაც მუდმივად გვახსენებენ ქაშმირის სისხლიანი შეტაკებები თუ უმძიმესი ტერორისტული აქტები ინდოეთში; სახეზეა მეტოქეობის და დაძაბულობის ზრდა რუსეთსა და აშშ-ს შორის მიუხედავად მათი სტრატეგიული „მეგობრობისა“: მიდის ბრძოლა დიპლომატიური, ეკონომიკური თუ ფარული მეთოდებით გავლენის სფეროებისათვის, ენერგომატარებლების მარშრუტებისათვის და ა.შ. კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრებიდან, რომელიც ცხადყოფს ცივილიზაციური კონფლიქტების წარმმართველ როლს დღევანდელ მსოფლიოში. საჭიროა ყოველივე ეს კარგად გავიზნოთ, რათა ჩვენთვის ნათელი შეიქნას შემდეგი ვითარება: მართლაცაა, დაიმსხვრა მთიი გლობალური ახალი წესრიგის შესახებ; ჰარმონიული ერთპოლუსიანი სამყაროს ნაცვლად ჩვენ ვხედავთ ცივილიზაციათა შორის შეჯახებების მღელვარე ოკეანეს, სადაც ძნელია რაიმე პროგნოზის გაკეთება იმის თაობაზე, თუ რა იქნება და რა გველოდება...

ჩვენ ძალზე ზოგადად განვიხილეთ ფუკუიამას და ჰანტინგტონის თეორიები. ორივე საკმაოდ არგუმენტირებუ-

ლია. მაგრამ ერთი გველაპარაკება ისტორიის დასასრულზე, მეორე კი – დიდი ისტორიული პროცესის დასასრულზე. არსებობს კი წინააღმდეგობა მათ შორის? თუ პირიქით, ისინი ერთმანეთთან სავსებით თავსებადნი არიან. დიახ, წინააღმდეგობა მხოლოდ და მხოლოდ მოჩვენებითია და სინამდვილეში ეს თეორიები ერთი მედლის (ანუ ერთი ქეშმარიტი ვითარების) ორ მხარეს წარმოადგენენ. ფრენსის ფუკუიამა, უთუოდ, ზუსტი და უტყუარია თავის ანალიზში: ისტორია დასრულდა, როგორც უნივერსალური მიზანმიმართული პროცესი; როგორც საყოველთაო საკაცობრიო მიზნისაკენ მსვლელობა; როგორც უფრო სრულყოფილი ფორმაციის ძიება; როგორც პროგრესი. იგი აბსოლუტურად ლოგიკურად გვისაბუთებს, რომ შეუძლებელია დავეშვათ უფრო სრულყოფილი მმართველობის ფორმა, ვიდრე ესაა ლიბერალური დემოკრატია, რომელიც შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა სახით – კონსტიტუციური მონარქიის ან რესპუბლიკის. ლიბერალური დემოკრატიის იქით ანუ მის წინ ნამდვილად არაფერი არ ჩანს და ვერც ვერაფერი ვერ გამოჩნდება, ხოლო მის უკან მთელი წყვილია თავისი დესპოტიზმებით, აბსოლუტიზმებით, ავტორიტარიზმებით, ტოტალიტარიზმებით, ფუნდამენტალიზმებით... დასასრული სახეზეა! მაგრამ დაიწყო ახალი ისტორია, როგორც ცივილიზაციათა ხელახლა დისპერსია; როგორც მათი კონფლიქტები და ალბათ, როგორც მათი დიალოგის მცდელობაც ერთმანეთთან. რატომ? იმიტომ, რომ იქ, სადაც დაუძლეველი კონფლიქტია, სახეზეა აგრეთვე მისი გადალახვის ანუ დიალოგის ღია თუ ფარული ტენდენცია. მაშასადამე, ლიბერალური დემოკრატიის, ე.ი. დასავლური ცივილიზაციის პრინციპების ტრიუმფმა ანუ მათ მიერ პლანეტაზე დომინანტური პოზიციების დაკავებამ გვამცნო ერთიანი ისტორიული ევოლუციის ფინალი. მაგრამ მათი შემდგომი გლობალური გავრცელება ყველგან და ყველა მიმართულებით უკვე ილუზია აღმოჩნდა. პირიქით, ამ ტრიუმფალური ფინალით სათავად დაედო სხვადასხვა ცივილიზაციათა აღორძინების, ხელახალი თვითდაამკვიდრების, ურთიერთგამიჯვნის და ურთიერთშეჯახების გრანდიოზულ პროცესს. თითქოსდა დაიხურა ერთი დიდი ტომი ისტორიისა და გადაიშალა ახალი – სხვა სათაურით და შინაარსით. როგორც ვხედავთ, ზემოთ აღნიშნული თეორიები არათუ ურთიერთწინააღმდეგობრივია, არამედ ლოგიკურად არიან ურთიერთდაკავშირებულნი.

ისმის კითხვა: როგორი უნდა იყოს დასავლეთის სტრატეგია მრავალპოლუსიან სამყაროში? სამუელ ჰანტინგტონი იძლევა პასუხს ამ კითხვაზე თავისი წიგნის დასკვნით ნაწილში: დასავლეთმა უარი უნდა თქვას უნივერსალისტურ ანუ თავისი პრინციპების გლობალური დამკვიდრების ტენდენციაზე. ეს უნივერსალიზმი საშიშია არა მხოლოდ მსოფლიოსთვის, ვინაიდან იგი ძალზე სერიოზულ კონფლიქტებს განაპირობებს, არამედ საშიშია, უპირველეს ყოვლისა, თავად დასავლეთისათვის, ვინაიდან მან შეიძლება ამ კონფლიქტებში უმძიმესი მარცხი იწვნოს. დასავლური ცივილიზაცია ესოდენ აღმატებული და ფასეულია თავისი პრინციპების, ღირებულებების, ინსტიტუტების უნიკალურობის და არა უნივერსალურობის გამო. შესაბამისად, დასავლეთის ლიდერების მთავარი პასუხისმგებლობა მდგომარეობს არა სხვა ცივილიზა-

ციების გარდაქმნაში საკუთარ ყაიდაზე, არამედ საკუთარი ცივილიზაციის უნიკალური თვისებების შენარჩუნებაში, განმტკიცებაში, დაცვაში და განახლებაში. ვფიქრობ, რომ აღნიშნული პასუხი და დასკვნა ძალზედ ღრმააზროვანი და ადეკვატურია.

ჩვენთვის, ქართველებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დასავლეთის ბედი ცივილიზაციათა შეჯახების ამ ერაში. რატომ? იმიტომ, რომ საქართველო გარკვეულწილად უკვე მიეკუთვნება დასავლურ ცივილიზაციას და ჩვენში ფეთქავს საკმაოდ მძლავრი ტენდენცია ამ სამყაროში უფრო მჭიდრო ინტეგრირებისა. ეს არის ფაქტი! დიახ, მეტად თავისებური და არაერთმნიშვნელოვანია ჩვენი ცივილიზაციური იდენტურობა. ცხადია, ისტორიულადაც და აწმყო ყოფიერებაშიც ქართველი ერის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს მართლმადიდებლობა შეადგენს. ჩვენთვის ეროვნული თვითგადარჩენა და თვითდამკვიდრება, ფაქტობრივად, მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვასთან იყო გაიგივებული. მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის აღორძინება განუყოფელი აღმოჩნდა მართლმადიდებლური ეკლესიის აღზევების პროცესისაგან. დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნის პოლიტიკური და სულიერი გაძლიერების პერსპექტივებიც უშუალოდაა დაკავშირებული ჩვენი ეკლესიის როლის შემდგომ ზრდასთან. ასე იყო და ასე იქნება. შესაბამისად, სავსებით ბუნებრივია, რომ ჩვენ წარმოვადგენთ მართლმადიდებლური ცივილიზაციის ორგანულ ნაწილს. მაგრამ, მეორე მხრივ, ასევე ბუნებრივია საქართველოს სწრაფვა დასავლური სამყაროსადმი: ჩვენთვის სრულიად ორგანულია ბევრი რამ, რაზეც ისტორიულად დგას დასავლური ცივილიზაცია: ანტიკური მემკვიდრეობა, სოციალური პლურალიზმი (ამას ადასტურებს, თუნდაც ფეოდალიზმის სრულფასოვანი ტრადიციები საქართველოში), და განსაკუთრებით ინდივიდუალიზმი. სწორედ ქართულ ინდივიდუალიზმშია დასავლეთთან ჩვენი ნათესაობის და სიახლოვის „გენეტიკური“ საფუძველი. ჩვენთვის ბუნებრივია შინაგანი სილადე, აზროვნების თავისუფლება, იმპროვიზაცია და უცხოა ყოველგვარი ფანატიზმი და შეზღუდულობა – იდეოლოგიური თუ რელიგიური. ჩვენ ვართ ტოლერანტები. საქართველო ვერ გაითავისებს ავტორიტარიზმს ან ტოტალიტარიზმს, ვინაიდან ქართველი ადამიანის ფსიქიკისათვის ყველაზე მეტად ადეკვატურია ლიბერალური დემოკრატია, რომელიც დასავლური ცივილიზაციის ცხოველმომქმედების დიდ მონაპოვარს წარმოადგენს. აი, ასეთი უცნაური აღმოჩნდა საქართველოს ხვედრი: ჩვენ მიეკუთვნებით ორ დიდ ცივილიზაციას და ეს ყოველთვის და ყველგან უნდა გაითვალისწინონ იმ ლიდერებმა, რომლებსაც გარკვეულწილად ქვეყნის ბედი აბარიათ. დიახ, ჩვენ ვართ მართლმადიდებლები და სწორედ ამაშია ქართველი ერის უდიდესი სასიცოცხლო ძალა და რესურსი! დიახ, ჩვენ ვართ თავისუფალი ინდივიდუალები და სწორედ ამიტომ შეგვიძლია ლაღად ვისუნთქოთ მხოლოდ იმ ატმოსფეროში, სადაც ლიბერალიზმი და დემოკრატია სუფევს! ვფიქრობ, რომ ეს უცნაური შერწყმა ორი ცივილიზაციისა არის საწინდარი ჩვენი უნიკალური კულტურის და სახელმწიფოებრივი ტრადიციულობის აღორძინებისა.

მაია სარიშვილი

კატა ისევ წვიმაში

მოხუცი ქალი და კაცი
მომვლელი გოგონები
ახალგაზრდა ბიჭი

ქალი: უკაცრავად, თქვენს წვნიანში რამდენი ნაჭერი ხორცია?

კაცი: ორი დიდი და ერთი პატარა.

ქალი: კარტოფილი?

კაცი: ორია, ერთი შევჭამე.

ქალი: თუ შეიძლება, იქნებ, ეგ ორი კარტოფილი ორ ნაჭერ ხორცში გამიცვალოთ. ხორცს ვერ ვჭამ და...

კაცი: მე გადმოგიღოთ, თუ თქვენ თვითონ აიღებთ?

ქალი: მე ავიღებ, სუფთა კოვზი მაქვს.

კაცი: არა, არ მინდა, ხორცში ნუ მიცვლით. ისე გაჩუქებთ მაგ ორ კარტოფილს.

მომვლელი: რას აკეთებთ? სირცხვილია, რა გესაქმებათ ერთმანეთის წვნიანთან. სასწრაფოდ თქვენ-თქვენი თეფშებიდან განაგრძეთ ჭამა. სულ დაგინუნავთ ერთმანეთი.

კაცი: მორჩა, უკვე მოვაგვარეთ ყველაფერი.

მომვლელი: ღმერთო, რა ბავშვებივით იქცევით.

ქალი (ჩუმად): ამ შენიშვნებს ჯობია, ყველა მაგიდა ერთნაირად გააწყონ. ზოგ მაგიდაზე იცით, რა ლამაზი თეფშები დევს?

კაცი: მართლა?

ქალი: აი, თუნდაც თქვენს ზურგს უკან. არა, ახლა ნუ გაიხედებით, მერე შეხედეთ, წასვლისას.

კაცი: როგორი თეფშებია?

ქალი: ზიგ ზაგიანი კიდები აქვს და იასამნის მტევნებია მიხატული.

კაცი: ჩვენთანაც ლამაზი თეფშებია.

ქალი: ესაა ლამაზი? არც ოქროსფერი არშია აქვს და არც არანაირი ყვავილი. რაღაც ბურთები და კუბიკებია უშნოდ მიდღაბნილი. საბავშვო ბალის თეფშებს უფრო ჰგავს, ვიდრე მოხუცთა თავშესაფრისას.

კაცი: ნამდვილად თავშესაფარი ჰქვია აქაურობას?

ქალი: არ ვიცი.

კაცი: ნახეთ, ფანჯარასთან რომ მაგიდაა, იქ სამარო-ლეც სხვანაირი უდგათ.

ქალი: ვერ ვხედავ, როგორი?

კაცი: ვერცხლის მაიმუნია და ორივე ხელში შუშის კასრები უჭირავს.

ქალი: არ გამაგიჟოთ.

კაცი: არა, შეიძლება, ვერცხლის არც არის და უბრალოდ, ვერცხლისფერია.

ქალი: რა მნიშვნელობა აქვს, ამ პლასტმასის სისულელეს ხომ მაინც ჯობია...

I მომვლელი: რაღაც უკმაყოფილონი ჩანან.

II მომვლელი: ის მოხუციები? ჰო, სულ ასეა...

I მომვლელი: ისევ არ ახსოვთ, რომ ცოლ-ქმარი არიან?

II მომვლელი: არა. თუმცა კი მეგობრობენ... გესმის? ვინ უკრავს?

I მომვლელი: როგორც იქნა, პიანინოს ამწყობი მოიყვანეს.

II მომვლელი: რა კარგად უკრავს...

კაცი: გესმით?

ქალი: საოცარია.

კაცი: პიანინოს ამწყობი მოიყვანეს.

ქალი: იცით? დილიდან ვფიქრობდი, რომ ორი რამე უნდა მეთქვა თქვენთვის და არც ერთი არ მახსენდება... ჰო, ერთი ის იყო, რომ მინდოდა მეკითხა „კატა წვიმაში“ თუ გაქვთ ნაკითხული და მეორე ის, რომ გული მჩხვლელტს ძალიან.

კაცი: აუცილებლად უნდა უთხრათ ვინმეს და რაიმე ნამალს მოგცემენ.

ქალი: ნაგიკითხავთ?

კაცი: ბატონო?

ქალი: „კატა წვიმაში“.

კაცი: არ მახსოვს, რომელია?

ქალი: ქალს უნდა, რომ თმები გაიზარდოს და მერე უკან გადაიჭიმოს. უნდა ახალი კაბა და უნდა, რომ ფისო ეჯდეს მუხლებზე.

კაცი: არ მახსოვს.

ქალი: მერე წვიმაში დასველებულ კატას ამოუყვანს სასტუმროს ნომერში ამ ქალს... სხვა კაცი.

კაცი: სხვა?

ქალი: ჰო, ქმარი ვერ ამოუყვანს. არ შეუძლია.

კაცი: რატომ?

ქალი: ეგ ძნელი ამბავია.

კაცი: რატომ აღარ უკრავენ?

ქალი: არ ვიცი, მივიდეთ და ვნახოთ.

კაცი: სად მიათრევენ ამ პიანინოს?

ქალი: ეტყობა, ადგილს უცვლიან.

კაცი: ისედაც მშვენიერი ხმა ჰქონდა და რად უნდოდა აწყობა.

ქალი: ნახეთ, რა საინტერესო ინსტრუმენტები ამოაწყობ ჩანთიდან.

მომვლელი: ხელს ნუ შეუშლით, უკან გაიწიეთ.

ქალი: ხმას არ ამოვიღებთ.

მომვლელი: ღმერთო, ეს რა არის?

ქალი: ბატონო?



მომვლელი: არა გრცხვენიათ? გაძალბებთ ვინმე ჭამას თუ რა? მერამდენედ უნდა აღმოვაჩინოთ ეს სადღაც-სადღაც შემალული კარაქიანი პურები. ახლა პიანინოს ქვეშაც ვიპოვეთ...

კაცი: ამჯერად მე არ ვყოფილვარ, ქალბატონო.

მომვლელი: კარგი, რა...

კაცი: იმ ორჯერ მე ვიყავი და ახლა ნამდვილად არა... მგონი, არა...

ქალი: რატომ მალავთ ხოლმე კარაქიან პურებს ბავშვივით?

კაცი: არ ვიცი.

მომვლელი: ეს გაზეთის ნახევი სადღა იპოვეთ?

კაცი: ტელევიზიის პროგრამა წერია.

მომვლელი: მაჩვენეთ... სად ნახეთ ასე ძველი გაზეთი?

კაცი: ძველია?

მომვლელი: რამდენიმე წლის წინანდელია.

კაცი: ბიბლიოთეკის წიგნს ჰქონდა ყდაზე გადაკრული.

მომვლელი: და მოახიეთ?

კაცი: დიახ, რიცხვი დამჭირდა ძალიან.

მომვლელი: რა რიცხვი?

კაცი: აი, პროგრამის ზემოთ რომ წერია.

მომვლელი: 18 ივლისი, პარასკევი.

კაცი: დიახ, ძალიან მჭირდება ეს რიცხვი.

მომვლელი: გირჩევთ, გადაავდეთ. სისულელეა.

კაცი: დღეს მთელი დღეა მცირა.

ქალი: კიდევ უნდა გადაიცვათ რამე.

კაცი: არა, სადღაც შიგნიდან მცირა.

ქალი: იცით? თქვენ ცოტა მშიშარა ხართ, ეგოისტი, მშრალი და ვილაცას მაგონებთ.

კაცი: ადრე არ ვიყავი ასეთი.

ქალი: კი, სულ ასეთი იყავით.

კაცი: თქვენ ეგ საიდან იცით?

ქალი: კი, სულ ასეთი მხდელი იყავით.

კაცი: თქვენ რა, არ გეშინიათ არაფრის?

ქალი: ვერ ვიხსენებ.

კაცი: სიკვდილის?

ქალი: კი, სიკვდილის მეშინოდა, მაგრამ ცხრა წლამდე, ვიდრე ბებია არ გარდაიცვალა და იმ შუა ოთახში არ შევიპარე, რომელშიც არ მიშვებდნენ. დავხედე – ლურჯი იყო, ულამაზესი ფერის! ასეთი ლურჯი არასდროს მინახავს არც მანამდე და არც მას შემდეგ. სიკვდილი მე სხვა რამ მეგონა – შავი, უიმედო და ბებია რომ ლურჯი დამხვდა, უდიდესი შვება ვიგრძენი, რადგან მომეჩვენა, რომ სიკვდილი სულაც არ ყოფილა საშიში...

კაცი: ძალიან გთხოვთ, ნუ მაშინებთ.

ქალი: ნეტა ჩვენ რა ფერის კანი გვექნება, როცა გარდავიცვლებით?

კაცი: ჯობია, ისევე ჩემს ოთახში ავიდე...

ქალი: კიდევ კარგი, მისამართი არ დამვიწყებია. ღმერთო, რამდენი ხანია გზაში ვარ. ამდენი სიარული თუ შემეძლო, ვერც წარმოვიდგენდი. იქნებ, არცაა ცოცხალი და ტყუილა ვწვავლობ? იქნებ, მისამართი შეიცვალა? მთავარია ცოცხალი იყოს. მიცნობს, ნეტა? ისე, რადგან ასეთი სიგიჟის ჩადენა კიდევ შემეძლია, ესე იგი, ჯერ კიდევ არა ვარ ბებერი... რა უნდა მინდოდეს კაცთან, რომელიც გათხოვებამდე მიყვარდა? გათხოვებამდე? ჰო, მერე გავთხოვდი, მაგრამ ვისზე?..

I მომვლელი: არ გამოჩინილა?

II მომვლელი: არა.

I მომვლელი: სად უნდა წასულიყო?

II მომვლელი: წარმოდგენა არა მაქვს.

I მომვლელი: მისი ქმარი რას შვრება?

II მომვლელი: არაფერს. დაბოდიშობს.

I მომვლელი: იქნებ, არც არიან ცოლ-ქმარი?

II მომვლელი: რას ამბობ, მეზობლებმა მოგვიყვანეს. ვერ ცნობდნენ და ხოცავდნენ თურმე სახლში ერთმანეთს.

I მომვლელი: აქ აღარ უჩხუბიათ?

II მომვლელი: პირიქით, ძალიან მეგობრობენ.

I მომვლელი: რას ლაპარაკობენ ხოლმე, ნეტა?

II მომვლელი: რას უნდა ლაპარაკობდნენ?! რალაც უაზრობებს.

I მომვლელი: ამ დილით ერთმანეთის თეფშიდან ჭამდნენ რალაცეებს.

II მომვლელი: ხო, ვიცი. ხორცი და კარტოფილი გაცვალეს.

ქალი: ასეთი რამ არასოდეს მენახა. კაცს ცალი თვალი ცისფერი ჰქონდა და ცალი – თაფლისფერი... ჩავაცქერდებოდი იმ ჯადოსნურ ცისფერ თვალში, საკუთარ ანარეკლს ვაკვირდებოდი და მეჩვენებოდა, რომ ადგილზე ვზორილებდი ამ უკიდევანო სილურჯეში, როგორც გადახსნილ ზარდახშაში – ფაიფურის გოგონა, თაფლისფერ თვალზე კი არასდროს ვუყურებდი. იქ მე არასდროს ვჩანდი. ოთხი წელია არ მინახავს. მაშინაც ავტობუსში შევნიშნე და ამ სხვადასხვა ფერის თვალეზით ვიცანი. მიახლოებაც ვერ გავბედე. ახლა კი სახლში ვაპირებ ასვლას და სულაც არ მრცხვენია. რატომ არ მრცხვენია, ნეტა? გაგჟღებდა, რომ დამინახავს. მთავარია, ცოცხალი იყოს.

ბიჭი: ვინ გნებავთ?

ქალი: ეს მოხუცი ვინაა, შვილო, თქვენი?

ბიჭი: ბაბუაა. თქვენ ვინ გნებავთ?

ქალი: და რა სჭირს?

ბიჭი: ბრმაა, ქალბატონო.

ქალი: არა, კარს ნუ დახურავთ... ერთი სათხოვარი მაქვს. აგერ, თქვენი კარის მეზობელთან მოვედი და არ

დამხვდა სახლში. თუ არ შეგანუხებთ, შემოვალ ათი წუთი და დაველოდები. იქნებ, მოვიდეს.

ბიჭი: კარგით, მოზრდანიდით...

ქალი: ცისფერი თვალითაც ვერ ხედავს ვერაფერს?

ბიჭი: რა ბრძანეთ?

ქალი: არა, არაფერი...

მომვლელი: სად გარბიხართ, შეისვენეთ, ცუდად არ გახდეთ.

კაცი: თქვენთან მოვრბოდი, რალაც გამახსენდა.

მომვლელი: მართლა?

კაცი: აი, შეხედეთ.

მომვლელი: ნელან ხომ ვნახე ეგ გაზეთის ნაფლეთი.

კაცი: ხედავთ, პროგრამას რა აწერია თავზე?

მომვლელი: მარა აწერია? 18 ივლისი, პარასკევი.

კაცი: მერე?

მომვლელი: რა მერე?..

კაცი: ჩემი ცოლის დაბადების დღეა.

მომვლელი: ცოლის?

კაცი: დიახ, მე ცოლი მყავდა და ეს მისი დაბადების დღეა. სწორედ ის ერთადერთი დაბადების დღე, რომელიც ვერ გადავიხადეთ, რადგან... არ მახსოვს, რატომ ვერ გადავიხადეთ...

მომვლელი: და თქვენი ცოლი თუ გახსოვთ ვინაა?

კაცი: გთხოვთ, მეათასედ ნუ მეკითხებით ერთი და იმავეს.

მომვლელი: კარგი, ნუ ნერვიულობთ. ეგ უბრალოდ ძველი გაზეთის ნაფლეთია, რომელზეც პროგრამა წერია რომელიღაც დღის...

ქალი: ნეტა, ოთახში შემოვიდეს. სად გაიყვანა იმ ბიჭმა? ირგვლივ ყველაფერი ახალია, მგონი. შიშით ვერც ვიხედები ნივთებისაკენ. გული გამისკდება ალბათ, რამე რომ დავინახო ძველი... ნავიდე?

მომვლელი: მანდ რას აკეთებთ?

კაცი: ობობას ვაკვირდები.

მომვლელი: ობობას?

კაცი: მგონი ცალი ფეხი აკლია და მაინც დადის.

მომვლელი: გთხოვთ, გამოდით რა, მანდ პიანინო იდგა და რომ გამოიჩინოს, იმდენი ნაგავია, დაისვრებით.

კაცი: კარაქიან პურებს მართლა მე ვმალავ ხოლმე? სიმართლე მითხარით.

მომვლელი: დიახ, გეჩვენებთ, რომ ვიღაც გაძალბებთ ჭამას და სულ სადღაც ჩურთავთ. მე მგონი, დროა, ცოტა მოძლიერდეთ. ნუ იქნებით ასეთი საწყალი.

კაცი: მე ცუდად ვარ?

მომვლელი: რატომ მეკითხებით?

კაცი: ძალიან ცუდად ვარ თუ საშუალოდ?

მომვლელი: აი, ისევე უმწეო ხდებით.

კაცი: კარგი, მე წავალ. მეძინება, მგონი.

მომვლელი: ჰო, ისე ჩამოხვდეთ, ზუსტად საძილე ამინდია. საცაა იწვიმებს...



მხატვარი იანა ზაალიშვილი

ქალი: გავიდა, ნეტა ათი წუთი? მოდი, მოვიკრებ ღონეს და ვეტყვი, ვინცა ვარ. ან, უბრალოდ, ერთ ისტორიას გავახსენებ: აქ რომ ვიყავი და სიცხე რომ მომცა. მისი თერმომეტრით გავიზომე, ძალიან მაღალი აღმომაჩნდა, სასწრაფოდ სახლში მიმაცილა და ლოგინში ჩავნექი... მერე, რამდენიმე თვის შემდეგ, ერთ-ერთი სტუმრობისას, თერმომეტრი გადმოიღო თაროდან და მაჩვენა. რა არის-მეთქი, გამიკვირდა და შენი სიცხეაო ზედ – შევინახეო. არ დაუბერტყავს. აი, ასეთი იყო და ძალიან მიყვარდა...

მომვლელი: მოვიდა, მაგრამ ცუდადაა.

კაცი: ვინ?

მომვლელი: თქვენი მეგობარი ქალი.

კაცი: სად იყო?

მომვლელი: არ ვიცი.

კაცი: ძალიან ცუდადაა?

მომვლელი: ახლა ექიმია და მერე გეტყვით.

კაცი: მე ისევე ჩემს ოთახში ავედი.

I მომვლელი: სარეცხის ჩამოსხნა გაახსენე ნანას?

II მომვლელი: კი, მაგრამ არ განვიმდებო – მიმტკიცებდა.

I მომვლელი: ხედავ, რა ამბავია?

II მომვლელი: ჰო, უფრო მაგრად დასცხო.

I მომვლელი: ჩამოუარე და ფანჯრები დაახურინე ყველას.

კაცი: აი, მოვედი.

I მომვლელი: ამ წვიმაში გარეთ იყავით?

დრამატურგია

კაცი: დიახ, აი, ამას დავდევი.

| მომვლელი: რაა? რად გინდოდით ეგ გალუმპული კატა?!

კაცი: ექიმი გამოვიდა ოთახიდან?

| მომვლელი: არა, რა ხდება?

კაცი: კატა უნდა შევუყვანო იმ ქალს.

| მომვლელი: რად უნდა კატა? იქ არ შეგიშვებენ.

კაცი: რატომ?

| მომვლელი: იცით, წელან ჩვენ დაგიმალეთ და ქალი აღარაა ცოცხალი...

კაცი: მოკვდა?

| მომვლელი: დიახ.

კაცი: და კანი?

| მომვლელი: რა ბრძანეთ?

კაცი: კანი რა ფერისა აქვს?

| მომვლელი: რა ვიცი.

კაცი: ღმერთო, ნეტა გალურჯდეს.

| მომვლელი: რა ქნას?

კაცი: ესე იგი, ამ კატას ვერ დაინახავს?

| მომვლელი: ვერა.

კაცი: ნამდვილად ვერ დაინახავს, რომ კატა მოვეყვანე?

| მომვლელი: ნამდვილად ვერა... ამიტომ, ჯობია, სასწრაფოდ აბრძანდეთ თქვენს ოთახში და გამოიცვალოთ, თორემ ავად გახდებით. ხომ არ მოგეხმაროთ?

კაცი: დიახ, მომეხმარეთ... და კატას რა ვუყო?

| მომვლელი: უნდა გავუშვათ.

კაცი: ისევ წვიმაში?

აირველი შთაბეჭდილება

საბა სულხანიშვილი

გადაქანული ჰემინგუეისთან

პიესის სათაური – „კატა ისევ წვიმაში“ – გამჭვირვალე მინიშნებაა ერნესტ ჰემინგუეის ცნობილ ნოველაზე „კატა წვიმაში“, ღრმა სევდით რომ აღესილა და მიელტვის ყოფის სიხარულს, ასე უბრალოსა და ასე აუცილებელს ადამიანთათვის.

დილოგებშიც გაივლებს ამ ნოველის ხსოვნა, სათაურიც და ასოციაციებიც.

რამდენადაც იცნობ მაია სარიშვილის ესთეტიკას, წინასწარვე ხვდები, რომ ამერიკული ნოველა პაროდისათვის არ არის მოხმობილი და ასოციაციასაც სულ სხვა დანიშნულება უნდა ჰქონდეს.

ქალი სულიერი მისწრაფებითაც და ჰემინგუეის პერსონაჟის გავლენითაც ნატრობს კატას და ისე ებრალება წვიმაში მოყოლილი, თითქოს საკუთარ ბედს განიცდიდეს.

ასეცაა – თვითონაც მიუსაფრად დარჩენილა, მოხუცთა თავშესაფარს შეხიზვნია ქმართან ერთად, მაგრამ მეხსიერება დაბნედილია და ველარ იხსენებს, რომ ეს კაცი, ვისთანაც აქ რაღაც საერთოს იპოვნის და დაუმეგობრდება კიდეც, მისი საკუთარი ქმარია, და თავშესაფარშიც იმიტომ მოხვედრილა ორივე, რომ... მეზობლებს ველარ გაუძლიათ მათი გაუთავებელი აყალმაყალისათვის.

მოულოდნელი სიუჟეტური ქარგაა, ამნეზიის მომბეზრებელი მოტივის (უამისოდ წარმოუდგენელი უცხოური ტელესერიალები!) სრულიად სხვაგვარი, მართლაც ეფექტური გააზრება.

მოხუცთა თავშესაფრის თემა სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება ჩვენს ლიტერატურაში, მაგრამ მაია სარიშვილი საერთო განწყობილებას კი არ ასდევს, პოულობს საკმაოდ ორიგინალურ გზას იმ რეალობის წარმოსახვისათვის, და რადიოპიესის შემოფარგლულ სივრცეში საკმაოდ მძაფრი

ვნებები ტრიალებს, ორი პერსონაჟის ხვედრში კი აირეკლება ადამიანის სწრაფვა სინათლისაკენ გასაღწევად, მტანჯველი, თითქოს ამოო ლტოლვა, მაგრამ მაინც ბუფტავს პიესაში ის ფაქიზი ნოტი, რაც იმედს არ დაგაკარგვინებს და თხრობის პირქუშ ფონზე გიტოვებს რაღაც ხელრასაჭიდს.

კატა ისევ წვიმაში უნდა მოხვდეს, მიუხედავად ბერიკაცის ასეთი მონდომებისა?

რა ვუყოთ – მთავარია, რომ წვიმა დასალუჰად მაინც არ განირაგვს და კვლავ გამოჩნდება ვინმე მაღლიანი, ვინც კატის გადარჩენაში თავის ბედს განჭვრეტს.

გარდაცვლილი ქალის უკანასკნელი სურვილი ისე არ გაქრება, რომ კვალი არ დააჩნოს მწარე, თუნდ უნუგემო სინამდვილეს.

გარდამავალი საფეხური სიკვდილ-სიცოცხლეს შორის... ლურჯი სხეულია, რაც მთავარ გმირს უდიდეს შვებას ანიჭებს, რადგანაც მოეჩვენება, რომ ლურჯი სიკვდილი სულაც არა ყოფილა საშიში.

ნახევარტონებში შეფარული ქვეტექსტი მკაფიოდ გვაგრძობინებს ამ დრამატურგიული თხზულების სულისკვეთებას, ყოფის ტრაგიზმსა და... განუმეორებელ მშვენიერებას, დიდ სულიერ სიმშვიდეს ორი სამყაროს – ნუთისოფლისა და მარადიული სოფლის – მიჯნაზე.

მაია სარიშვილის რადიოპიესები – ჟანრი, რომელიც მისი შემოქმედებითი ბუნებისათვის ასეთი მახლობელი აღმოჩნდა – ყოველთვის გამოირჩეოდა დრამატიზმისა და ლირიზმის მოხდენილი შერწყმით, ისეთი მარჯვე ურთიერთგანმსჭვალვით, რაც ამ პიესებს („სამი ვედრო თოვლი“, „ძალიან ცუდი კაცი“ და „ჭიამაიების ოჯახი“) გამორჩეულს ხდიდა ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში და განსაზღვრავდა იმ სცენურ წარმატებებსაც, რაც მოჰყვა მათ გარდასახვას რადიოსპექტაკლებად (რეჟისორი ზურაბ კანდელაკი).

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „კატა ისევ წვიმაში“ კიდევ ერთ ჩინებულ რადიოსპექტაკლად მოგვევლინება.

და თუ თეატრებიც მოჰკიდებენ ხელს მათ დადგმას – შესაძლოა ოთხივე ერთადაც დაიდგას სცენურ ნოველათა თავისებურ კრებულად – ეს მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება მათ რეპერტუარს.

ეკა ბუჯიაშვილი

მზე ალაზნის ველიდან

*

სოლომონ დოდაშვილის სულის მოსახსენიებლად

ეს ყველაფერი იმ დღეს ჩავიწერე, როცა ყოფიერების საგან თავგაბეზრებულები ცოტა ხნით შევჩერდით, ყოველდღიურობის აჩქარებული კადრიც ერთი დღით შევჩერეთ და... სხვა განზომილებაში აღმოვჩნდით.

რა თქმა უნდა, ამ შეჩერებას თავისი მტკიცე საფუძველიც ჰქონდა (სხვაგვარად გაგვიჭირდებოდა ყოველდღიურობის კანონის დარღვევა) – ტრადიცია.

და ამ ტრადიციას კი ჰყავს თავისი მესვეური – ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება.

ერთი სიტყვით, იმ დღეს ჩვენი მანქანა ბოდბისკენ მიქროდა.

უკან ვიტოვებდით ჩვენი ყოფიერების შეჩერებულ კადრებს, მალალსართულიან შენობებს, მტვრითა და ხმაურით გაჯერებულ სივრცეს, მერე... გადაშლილ ველებს, ზვრებს, ყაყარობის მდელივებს, ცამდე აწვდილ მთებს და თანდათანობით სამყარო იღებდა სახეს, რომელსაც ერქვა...

სხვა განზომილება.

უკვე მეხუთე წელია მაისში ამ საზოგადოების წევრები ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად ბოდბის ტაძარში იკრიბებიან და პანაშვიდს უხდიან 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ თაოსანსა და იდეოლოგს, XIX საუკუნის თვალსაჩინო ფიგურას, სოლომონ დოდაშვილს. ცოტა ხანში სიღნაღის უნივერსიტეტის რექტორი გაიოზ ნადირაშვილი მეტყვის, რომ „მას მერე, რაც ეს ფილიალი გაიხსნა, ყოველ წელს გამორჩეული დღე ეძღვნება ამ დიდი მამულიშვილის ხსოვნას. უნივერსიტეტს დიდი წვლილი მიუძღვის სიღნაღში სოლომონ დოდაშვილის ძეგლის დადგმაში. სტუდენტებისთვის კი საფიცრად იქცა ისეთი სახელები, როგორცაა სოლომონ დოდაშვილი, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი...“

სოსო მახარაშვილი:

„როცა ფილიალი დაარსდა, აქვე შეიქმნა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების სიღნაღის განყოფილება. იმართებოდა სხდომები, შეხვედრები, საღამოები, რომელსაც ესწრებოდა ბატონი როსტომი ჩხეიძე საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად. ბატონი როსტომის თაოსნობით საზოგადოებას უკვე ჰქონდა ტრადიცია ელიზბარ ერისთავის, ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნათა ნათელ-

ყოფისა და ბატონ თამაზ ხმალაძეს გასჩენია იდეა, სოლომონ დოდაშვილის სულის მოსახსენიებლადაც შევკრებილიყავით ხოლმე. ეს იდეა აიტაცა ორბელიანის საზოგადოებამ და ამ მნიშვნელოვან ტრადიციასაც ჩაეყარა საფუძველი. ბატონი როსტომი ხვდება სტუდენტებს, აცნობს ახალ წიგნებს. ამ წლების მანძილზე აქაურობა ნამდვილ საგანმანათლებლო კერად იქცა, თუმცა სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ფილიალი იხურება და ეს მნიშვნელოვანი კერაც ჩასაქრობად არის განწირული. იმედია, ყველაფერი მოგვარდება და სტუდენტებს არ გამოეცლებათ ის ნიადაგი, სადაც საკუთარ ფესვებზე დგანან, საკუთარ ისტორიას სწავლობენ, ეროვნული სულისკვეთებით ანთებულები, ეროვნულ იდეალებს ნაზიარებნი“.

თამაზ ხმალაძე:

„როსტომი უთუოდ თვითონაც აპირებდა ამ ტრადიციის დამკვიდრებას, ისევე, როგორც ბევრი სხვა მნიშვნელოვანი წამოწყებისა. ის ხომ მუდმივად ეროვნული იდეალების ირგვლივ ფიქრობს და იმ ადამიანთა ბედისწერას უტრიალებს, სამშობლოს იდეებს რომ შეეწინააღმდეგებოდნენ. სოლომონ დოდაშვილი უდიდესი პიროვნება იყო საქართველოსთვის: დიდია მისი ღვაწლი თავისი ერის წინაშე. თავის დროზე სიღნაღში, მამულიშვილთა ინიციატივით და ძალისხმევით, სოლომონ დოდაშვილის მუზეუმიც გაიხსნა, თუმცა დღესდღეობით, სამწუხაროდ, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, ეს მუზეუმიც აღარ არსებობს“.

რალაც ამგვარი სხვა დროსაც განმიცდია, ოღონდ ახლა ზუსტად ვერ ვიხსენებ, რა ჰქვია ამ გრძნობას – ხან სტიქიასავით აზვირთებულს, ხანაც მდორედ მდინარეს, ერთდროულად დიდსაც და პატარასაც, ჩვენი არსებობის მაღიარებელსაც და უარმყოფელსაც, ახლა სადღაც სხეულის სიღრმიდან რომ დაძრულა, ჯერ გულს მოწყდომია, მერე ყელს მობჯენია, ახლა კი თვალებს მოსწოლია.

წმ. ნინოს განსასვენებლის წინ მუხლმოდრეკილი ვდგავარ. სუნთქვაშეკრული ვეხები მის სარკოფაგს.

რალაცას აწყდება ფიქრი...

„მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა...“

მთასაც მოივლიდა, ბარსაც... ჭეშმარიტ რელიგიას აზიარებდა ღვთისმშობლის ნილხვედრ მიწას და აქ შეერთვოდა მარადისობას.

ამ ნიშის მიღმა ტაძარში მამა დავითი პანაშვიდს უხდის სოლომონ დოდაშვილს.

გალობენ მონასტრის დედები: მონაზონი ნინო, დედა მელანია, სამონაზვნე სალომე.

ჩემს შიგნით კი ის უცნაური გრძნობა ჩურჩულებს:

„ქართველთა განმანათლებლო და სულისა წმინდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის. ამინ!“

თვალის უპესთან ნაცნობ სისველედ ვგრძნობ ამ რალაც ახლობელს – სხეულის სიღრმიდან დაძრულსა და გადმოგორებულს.

მეჩვენება, ის ზომამზე მეტად თბილია და... ზომამზე მეტად მლაშეც.

– ახლახან ჩვენს სასწავლებელში სოლომონ დოდაშვილის ორასი წლის იუბილე აღინიშნა, – მეუბნება სიღნაღის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული **სოფო ონანაშვილი**, – ამ დიდი მამულიშვილის ხსოვნას სამეცნიერო კონფერენციაც მიეძღვნა. სოლომონ დოდაშვილი დიდი მოღვაწე იყო – ის ქართული ჟურნალისტიკის სათავეებთან იდგა, მან დააარსა „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ფილოსოფიურ ნაშრომებზე, არ დარჩენილა საკითხი იმდროინდელ საქართველოში, რომელსაც იგი არ შეხებია. სოლომონ დოდაშვილი, უბრალო ხალხის წარმომადგენელი, თავადაზნაურთა გვერდით დადგა უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ.

– სოლომონ დოდაშვილი პირადად ჩემთვის განსაკუთრებული პიროვნებაა, – ამას სიღნაღის უნივერსიტეტის სტუდენტი **გიგა გოგინაშვილი** მეუბნება, – მე მისი სოფლიდან, მაღაროდან ვარ. ალბათ ამიტომ ჩემთვის სოლომონ დოდაშვილი ილიას სახეებს დაახლოვებია.

ამასობაში კი ჩემთვის აღარ სცალიათ სტუდენტებს – ისინი ბატონი როსტომ ჩხეიძის ირგვლივ იკრიბებიან და აი, ასეთ საინტერესო ამბებს ისმენენ:

ცალკე რომანის თემაა სოლომონ დოდაშვილის ცხოვრებაო, – იტყვის **როსტომ ჩხეიძე**, კიდევ ერთხელ გაიხსენებს 1832 წლის შეთქმულების გმირებს, სოლომონ დოდაშვილის ბიოგრაფიასაც გადასწვდება და საინტერესო დეტალებსაც წამოწევს მისი ცხოვრებიდან:

– დღეს შეგვიძლია თამამად გავიმეოროთ:

რომ არ ყოფილიყო სოლომონ დოდაშვილი, არ იქნებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ყველას უკვირდა როგორ ახერხებდა ბარათაშვილი – მსოფლიო პროცესებს მოწყვეტილი, თავის თავში ჩაკეტილი – საკაცობრიო ისტორიული მოვლენების მონაწილე ყოფილიყო. როგორ და – სოლომონ დოდაშვილის დახმარებით. დოდაშვილი კარგად იცნობს ევროპულ ფილოსოფიას, განსაკუთრებით გერმანულს, მთელი ის ეპოქა გააზრებული აქვს და 22 წლისა კიდევაც წერს ლოგიკის სახელმძღვანელოს, რომელიც მთელს იმდროინდელ იმპერიაში ერთადერთი იქნება და წლების მანძილზე დარჩება ქრესტომათიულ ნიმუშად. მისგან იცოდა ყველაფერი ნიკოლოზ ბარათაშვილმა. დღეს ხშირად საუბრობენ ბარათაშვილის შემოქმედების პარალელებზე კანტთან, შოპენჰაუერთან... ზოგი ამბობს: გადამეტებულადაც კიო. თუმცა ზედმეტს, ვფიქრობ, არაფერს მივანერთ. პირდა-

პირ ხიდია გადებული ქართველ პოეტსა და ევროპელ ფილოსოფოსებს შორის და უკვე თვალნათლივია მათ შუა როგორ მოჩანს სოლომონ დოდაშვილი.

ილია პირადად არ იცნობდა მას, მაგრამ როცა ასპარეზზე გამოვიდა და გამოსცა ჟურნალი და გაზეთი, თქვა: სოლომონ დოდაშვილისგან მოვდივართ ყველანიო. ეს შემთხვევითი არ არის. არც ის არის შემთხვევითი, რომ რასაც დიმიტრი ყიფიანი იწყებდა, ილია ამთავრებდა. ეს ორი ადამიანი თითქოს საგანგებოდ ერთად მოვლენოდა საქართველოს, რათა ერთის დაწყებული საერო საქმეები მეორეს დაესრულებინა. ასე ჰარმონიით იარეს მე-19 საუკუნე და იდეალად ჰყავდათ სოლომონ დოდაშვილი. მან შექმნა ის ეროვნულ-იდეოლოგიური საფუძვლები, რასაც ეყრდნობოდა მე-19 საუკუნე და ყოველთვისაც დაეყრდნობა ქართული სახელმწიფო.

სოლომონ დოდაშვილმა ელიზბარ ერისთავთან და ალექსანდრე ორბელიანთან ერთად საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანა და მსოფლიო ისტორიული მოვლენების შუაგულში მოაქცია. დავით აღმაშენებლის მერე ჩვენი ქვეყანა მთლიანად მონყდა ევროპულ პროცესებს და აი, მოვლენებმა, რომელიც სახელმძღვანელო 1832 წლის შეთქმულებად, საქართველო კვლავ ჩართო მსოფლიო პროცესებში. ეს შეთქმულება ხომ ბუნებრივი გაგრძელებაა იმ მოძრაობისა, ერთი მხრივ ევროპაში, მეორე მხრივ კი სამხრეთ ამერიკაშიც რომ აგორებულიყო და რომანტიკული აჯანყების სახელით არის ცნობილი.

შეთქმულების მასალები გამოქვეყნებულია და შესაძლებელია ამოიზიდოს სოლომონ დოდაშვილის ფსიქოლოგიური პორტრეტი, თუმცა ნაკლებად იყო ცნობილი მისი გადასახლების წლები. და აი, ახლახან გამოქვეყნდა მეტად საინტერესო წიგნი სოლომონ დოდაშვილის შთამომავლის ანუელიკა დოდაევა-მაგარსკაიასი (მას ფსევდონიმი „მალაროელი“ გვარად აუღია) – „გახსოვდეს ვისი გვარისა ხარ“, სადაც ძალზე მნიშვნელოვანი ცნობებია სოლომონ დოდაშვილის გადასახლების წლებისა. ორი თავი ამ წიგნისა ჟურნალმა „ჩვენმა მწერლობამ“ შემოიტანა ქართულ სალიტერატურო მიმოქცევაში. აქ მეტად საინტერესოა გერცენისა და სოლომონ დოდაშვილის ურთიერთობა გადასახლებაში. გერცენი აღიარებული იყო რუსული პუბლიცისტიკის მამად, რევოლუციის წინამორბედად. და აი, დოდაშვილის შთამომავალმა სცადა დაეხატა მისი ნამდვილი სახე. გერცენი გადასახლებაში დაწერილ დღიურებში ცუდად მოიხსენიებს სოლომონ დოდაშვილს:



ბოდბის წმინდა ნინოს ეკლესია

აქ არის ერთი ქართველი თავადი, რომელიც კარგ შთაბეჭდილებას არ ტოვებსო. მიზეზი ასეთი განწყობილები-სა კი ეს ყოფილა:

თავიდან ორნი დამეგობრებულან. მათთან დაახლოე-ბულა კიდევ ერთი გადასახლებულიც და სამივეს ერთად გადაჰქონდათ მძიმე დღეები. მერე იმ მესამე მეგობარს ავადმყოფობა გაურთულდება. გერცენი დადის მათთან სახლში – მეგობარს უთანაგრძნობს და ამასობაში... მის ცოლთან გააბამს რომანს. სოლომონი რომ შეიტყობს, მკაცრად უსაყვედურებს და ფეხსაც აუკვეთს საკუთარ სახლში.

– ძალა კი არ დამიტანებიაო, – მხრებს იჩეჩდა გერცენი, თავს არ იდანაშაულებდა და სოლომონის წყრომასაც უსამართლობად მიიჩნევდა, თუმცა სიმპათია მის მიმართ მაინც ჰქონდა და ცდილობდა შერიგებოდა.

გადასახლებაში სოლომონთან ერთად ცხოვრობს მისი მეუღლე და მძიმე წლებს მის გვერდით იზიარებს. და აი, მათ კიდევ ერთი უბედურება დაატყდებათ თავს – შვილი გარდაეცვლება. ამ დროს დოდაშვილი უკვე ლოგინად არის ჩავარდნილი და მეუღლე ვერ გაუმხელს: სენი არ გაუმწვავდესო. გერცენი ამ ამბავს რომ გაიგებს, იფიქრებს: მივალ, მივუსამძიმრებ, ასეთ დროს კარს ხომ არ მომიხუ-რავსო. მივა კიდევ, ოღონდ სოლომონი რომ დაინახავს, არ მიიღებს: ხომ აგიკრძალე აქ მოსვლაო.

გერცენი კიდევ ერთხელ მივა სოლომონთან მოსაბო-დიშებლად. ის ამ დროს უკვე ძალზე მძიმედაა, ყველამ იცის, რომ აღსასრული ახლოსაა და თავი აღარ აქვს საყ-ვედურისა. გერცენი მის წინაშე თავს მაინც დამნაშავედ გრძნობს და თითქოს ინანიებს. ეს ძალზე მნიშვნელოვანი დეტალია სოლომონ დოდაშვილის ბიოგრაფიაში.

ცალკე რომანის თემააო, – ამბობს ბატონი როსტომი.

ვინ იცის, ამ რომანის დაწერა იქნებ თვითონაც ამოს-ჭრია გულში.

– სოლომონ დოდაშვილი 1994 წელს გადმოასვენეს და მთანმინდაზე დაკრძალეს. ეს ძალზე რთული პერიოდი იყო ჩვენი ქვეყნისათვის, მაგრამ ამ დიდი მამულიშვილის საფლავი იკარგებოდა და ერმა საკუთარ წიაღში მოიკრი-ბა ძალები და მისი ნეშტი მშობლიურ მიწას დაუბრუნა, – გაიხსენებს ქალბატონი **ნინო ვახანია**, ბატონი **ანდრო ბედუკაძე** კი იტყვის:

– ყველაზე კარგი სიტყვა სოლომონ დოდაშვილზე მი-სი ნაწერებია. ის იყო ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი იმ დიდი უბედურებისა, იმპერიულ რეჟიმად რომ მოევილინა საქართველოს. 30 წელია გასული 1832 წლის შეთქმულე-ბამდე და ამ ხნის მანძილზე არაერთხელ აუმბობდა ქვეყა-ნა იმ რეჟიმს...

საქართველო კი დღესაც არ არის ბოლომდე თავისუ-ფალი, რადგან ეს ცნება მხოლოდ პოლიტიკურ თავისუფ-ლებას არ გულისხმობს. დღეს ქართველი ხალხისთვის კვლავაც მოსაგვარებლად ქცეულა სამივე ნიშანსვეტი თავისუფლებისა: ენაც, მამულიც, სარწმუნოებაც. მათ გარეშე ხომ ყველაზე მთავარს – თვითმყოფადობას ვერ შევინარჩუნებთო...

აი, ასეთ თემებზე საუბრობდნენ ბოდბის მონასტრის ეზოში შეკრებილები. აქვე იყვნენ ქალბატონი **ნინო დე-**

კანოიძე, ბატონი **ივანე ამირხანაშვილი**, სიღნაღის უნივერსიტეტის სხვა სტუდენტები: **ელენე აბულაძე**, **შორენა ჯანიბეგაშვილი**, **ელენე ბატიაშვილი**, **მარინა ტურაშვილი**, **ნანა ბიბინაშვილი**, მათი პედაგოგი მათა თოფურია და ამავე ფილიალის პედაგოგი **მაია ვარამაშ-ვილი**.

ასე მგონია თითის წვერებზე თუ ავიწევი, ზემოდან დავხედავ კავკასიონსაც და ცასაც.

სიღნაღის უნივერსიტეტის მეხუთე სართულიდან თუ გადმოვიხედავთ? თუ გინახავთ ცის გულზე გადაშლილი ალაზნის ველი, მზით გათანგული კავკასიონი და ამ მშვე-ნიერების მაცქერალი, სუნთქვაშეკრული სიღნაღი?

ახლა სწორედ ამ გადასახედიდან აფორიაქებული გავ-ცქერი ზღაპრულ პეიზაჟს.

ეს გრძნობა თითქოს მახსოვს. რაღაც ამგვარი უკვე განმიცდია.

თეთრი ფარდა გადაფარებია კავკასიონს, მხოლოდ კონტურები ილანდება მისი და მზის სხივებზე აბრწყინე-ბული დათოვლილი მწვერვალები ანთია ამ ფარდის მიღ-მა.

თითქოს ცა ჩამონეულა დედამიწამდე, ჩამოზნექილა, კალთა ჩამოშლია და ალაზნის ველზე დასთრევიან. თით-ქოს ერთ არსად ქცეულა ცა და დედამიწა.

ამ თვალსაწიერიდან სწავლობდნენ სიღნაღის უნივერ-სიტეტის სტუდენტები საკუთარ წარსულს – კავკასიონი-ვით ნისლში ჩაძირულს, იმ დათოვლილი მწვერვალებივით რომ გაბრწყინდებიან ხოლმე ჭეშმარიტ მამულიშვილთა სახელები.

აქ შემალღებოდათ წარსულისაკენ გადასახედი მომა-ვალ თაობებს. აი, თითის წვერებზეც წამოინეოდნენ და... ზემოდან დასცქეროდნენ ნისლებში გახვეულ კავკასი-ონს... მზის გულზე გადაშლილ სამშობლოს.

უკან ვიტოვებთ ცამდე აწვდილ მთებს, ყყაჩოების მდელიებს, ზვრებს, გადაშლილ ველებს... სახეში მტკრი-თა და ხმაურით გაჯერებული ჰაერი გვცემს, ამოძრავე-ბულან შეჩერებული კადრები...

ვბრუნდებით ჩვენს განზომილებაში და თან მოგვაქვს შთაბეჭდილებანი, კიდევ არაერთხელ რომ გაგვატანი-ნებს თავისმომბაზრებელ ყოფიერებას.

კიდევ მაღლი მოგვყვება წმ. ნინოს განსასვენებლი-დან.

სიღნაღური ზამბახები – უნივერსიტეტის ეზოდან. მონასტრის მიმდებარე პატარა ბოსტნებიდან გამოყო-ლილი ქინძის სურნელი.

კიდევ მზე მოგვაქვს ალაზნის ველიდან...

და ის ნაცნობი და ახლობელი გრძნობა – ხან სტიქია-სავით აზვირთებული, ხან მდორედ მდინარი, ერთდროუ-ლად დიდიც და პატარაც, ჩვენი არსებობის მალღარებე-ლიც და უარმყოფელიც – „სამშობლოს განცდა გასაკვირ-ველი...“

ეს ამბები ერთ მშვენიერ და არც ისე ჩვეულებრივ დღეს მოხდა.

ლუკიანე სამოსატელი

ნადიმი ანუ ლაპითები

ნადიმს – ამ უცხოური წარმოშობის სიტყვას, უკვე მკვიდრად რომ ზის ჩვენს „ვეფხისტყაოსანში“, პურობის, სმა-ჭამის, სადილის, ლხინის შინაარსის გადმოსაცემად – ძვ. ბერძნები სიმპოზიუმს ეძახდნენ, ე.ი. ერთობლივ ჭამა-სმას. ბერძნული ანტიკურობისათვის დამახასიათებელი ნადიმების შესახებ ჩვენ ვიგებთ როგორც შემორჩენილი ლარნაკების მოხატულობებიდან, ასევე წერილობითი წყაროებიდან. ჩვენს მსგავსად ბერძნებიც საკვების მირთმევის პროცესს დროის, ადგილის, ფორმისა და შინაარსის მიხედვით მრავალი სიტყვით გადმოსცემდნენ: იყო ყოველდღიური დილი, სამხარი, ვახშამი, ნაირგვარი ჭირისა და ლხინის სუფრა, საღმრთო, საშობელი და ნადიმი სპორტულ ასპარეზობებზე გამარჯვებულთა პატივსაცემად. ამ უკანასკნელს ფილოსოფოს ქსენოფანე კოლოფონელი (ძვ. წ. 570-48) და ევრიპიდეს (-480-406) სახით კატეგორიული მონიშნალები ჰყავდნენ (ვინაიდან მათი აზრით, თანამოქალაქეთაგან პატივისცემასა და ჯილდოს მხოლოდ სამართლიანი, ჭკვიანი, ბრძენი და ქალაქის გონიერულად მმართველნი იმსახურებდნენ და არა ბრიყვი ათლეტები. ასე რომ, ბრძენი მმართველისა და უტოპიური სახელმწიფოს იდეა სულაც არ იყო ოდენ პლატონის ფანტაზია და ახირება. ეს აზრი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვად ბერძენთა სულში).

მაგრამ ჩვენ პირველსა სიტყვასა ზედა მოვიდეთ. სიმპოზიუმი ეს იყო, როგორც წესი, ორგანიზებული ლხინი, ერთობლივი პურობის შემდეგ და იწყებოდა სამსხვერპლო ზედაშის შეწირვით, რასაც თამადა ხელმძღვანელობდა. მონადიმენი თავს სუფრული სიმღერებით – სკოლიონებით, გამოცანებითა და სხვა ინტელექტუალური თამაშებით ირთობდნენ. ლხინს რომ პენი და ლაზათი შეჰმატებოდა, ჰეტერებს, მოცეკვავეებსა და მიმებსაც ინვედნენ ხოლმე. ელინიზმისა და რომის იმპერიის ხანაში აღმოსავლეთიდან შემოტანილი საჭმლის სიუხვემ ხელი შეუწყო ჩვეულებრივი ნადიმების გადაქცევას ალიაქოთიან სუფრად. ჭამდნენ ფეხზემდგომელა, ან სამონოლინი. მონადიმენი წაღისებრ ლოყებში ორ-ორ კანად თავსდებოდნენ. ხან რამდენიმე პატარა მაგიდასაც დგამდნენ, ხან კი – ერთსა და დიდს. იყენებდნენ თიხის ან მეტალის ჭურჭელს, შეძლებული რომაელის სუფრას კი ძირითადად ვერცხლის ჭურჭელი ამშვენებდა. გამოიყენებოდა აგრეთვე კოვზი და დანა, იშვიათად ჩანგალი. ნადიმი ხშირად მსველელობით სრულდებოდა.

პირველი, ვინც სიმპოზიუმი ლიტერატურული ფორმით აღწერა და თვით ნადიმის ყანრს ჩაუყარა საფუძველი, პლატონი (ძვ. წ. 427-347) გახლდათ. შემდგომ ამ ყანრის განვითარებაში მონაწილეობდნენ არა მარტო ბერძნები, არამედ რომაელები და რომის იმპერიაში შემავალი სხვა ხალხთა შვილებიც.

„ნადიმი“ – ამ სახელწოდების დიალოგი დაწერილი აქვს პლატონის თანამედროვესა და მასავით სოკრატეს მონაფეყოფელ ქსენოფონტის (ძვ. წ. 430-355), რომაელ მწერალსა და დიდი თანამედრობის ჩინოვნიკს, პეტრონიუსს (I საუკუნე) „ტრიმალქიონის ნადიმი“; ბერძენ მწერალსა და აპოლონის ტაძრის ქურუმს დელფოსში, პლუტარქეს (46-119) „ნადიმი“, „შვიდ ბრძენთა ნადიმი“; ათინეუსს (მე-2 საუკუნე), გრამატიკოსსა და მეორე სოფისტიკის წარმომადგენელს ეგვიპტის ნავკრატისი-

დან, „მონადიმე სწავლული“; ჩვენს ავტორს, ლუკიანე სამოსატელს (120-190); ქრისტიანობის მონიშნალებსა და სიმაქოსის წრის წევრს, მაკრობიუსს (მე-5 საუკუნე) „სატურნალიები, ანუ ნადიმი სატურნალიების ჟამს“; ლიკიის ულუმბოს ეპისკოპოსსა და ორიგენეს იდურ მონიშნალებს (მე-4 საუკუნე) მეთოდოს პატარელს „ნადიმი, ანუ უმანკობის შესახებ“; ცნობილ ერესიარქს, არიოზს (260-336) „ნადიმი“. ამ სახელწოდების ქმნილება დაგვიტოვა შუა საუკუნეების უდიდესმა მოაზროვნემ და პოეტმა დანტე ალიგიერიმაც (1265-1321).

მაგრამ სულ სხვაა ნადიმის ლიტერატურული ყანრი აღორძინების ეპოქაში. რაღაც მიზეზთა გამო ერთად შეყრილი უცნობი თუ ნაცნობი ადამიანები დროის გასაყვანად თუ ერთობის უკეთ გასაცნობად სხვადასხვა შინაარსისა და მოცულობის ამბებს უყვებიან ერთმანეთს. ასეა ეს იტალიელი ჯოვანი ბოკაჩოს (1313-1375) „დეკამერონში“, რომელსაც მეორენაირად „ნადიმი ჟამიანობის დროს“ ჰქვია; ინგლისელი ჯეფრი ჩოსერის (1340-1400) დაუმთავრებელ „კენტერბერიულ მოთხრობებში“. მარგარიტა ნავარელის „ჰეპტამერონში“.

„ნადიმი“ ლექსების სათაურებად გამოუყენებიათ: ა. პუშკინს, მ. ლერმონტოვს, ნ. ნეკრასოვს, ა. ფეტს, ნ. გუმილიოვს და სხვათ.

რაც შეეხება ნადიმს ქართულ ლიტერატურულ სააზროვნო სივრცეში, თუ არ ვცდები, ამ სახელწოდების მხოლოდ ერთი ნაწარმოები გვაქვს, ვგულისხმობ გრ. ორბელიანის პოემას „სადღევრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი ერევნის სიახლოვეს“, მისივე „ლხინი“ პუშკინის მიბაძვით დაწერილი, ალ. ჭავჭავაძის „შექცევათათვის“ და ვაჟას „ქეიფი“, ხოლო რაც შეეხება პურობის სცენას, როგორც უმნიშვნელოვანესი დატვირთვის მქონე ლიტერატურულ პასაჟს, უკვე ვხვდებით „შუშანიკის ნამებში“; „...გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აღწერილი პურობის სცენებიდან კი, რომელნიც, როგორც წესი, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებით სრულდებიან, გამოყვანილი უნდა იქნას ჯავახეთის კრების შემდგომ და გრიგოლის, ზენონისა და მაკარი ოპიზელის პურობას ოპიზის მახლობლად გაშენებულ ვენახში, რომელსაც რევაზ თვარაძემ „სამთა თათბირის“ წინასახე უწოდა. მაგრამ სულ სხვაა „ვეფხისტყაოსანი“, სადაც აღწერილი ნადიმებიც რენესანსის ეპოქისათვის ნიშანდობლივი სულისკვეთებითაა გამსჭვალული. ტარიელის საძებრად მიმავალი ავთანდილი უცხოებს ემოყვრება, თავისას ეკითხება და მათსაც ისმენს. რუსთაველი ალგვიწერს ისეთ პურობასაც, რომელსაც ამ საქმისათვის უმთავრესი კომპონენტი – პური და სასმელი აკლია და გვირეტი თითქმის მხოლოდ სიტყვით კმაყოფილდება: „მუნ უპურობა პურობა, არ სიდასადე ჯუამისა“ (933 სტრ.). ერთი უმნიშვნელოვანესი და ჩოსერის „ნადიმის“ წინამორბედი კი პოემაში მაინც ხანაგის კართან შეყრილ უცხოთა პურობაა, რომლის დროსაც ქაჯეთის მეფის ქვეშევრდომი „ქერიმის“, ე.ი. უმნიშვნელო ამბის მოხრობელ თანამეინახეთ „მარგალიტს“, ანუ გამორჩეულ ამბავს, ქაჯთა მიერ ნესტანის შეპყრობის შესახებ უამბობს და რასაც ფატმანი იდუმალ ისმენს (იხ. 1227 სტრ.).

მაგრამ დავუბრუნდეთ ლუკიანე სამოსატელის „ნადიმს“, რომელშიც ავტორი თავის თავს ლიკიის სახელით წარმოგივლდნენ. ლუკიანე ამ დიალოგში აკრიტიკებს და დასცილნი ყველა ფილოსოფიურ მიმდინარეობასა თუ რიტორიკულ სკოლას, ტრადიციული კულტის მსახურთ თუ სიმდიდრით გამორჩეულთ. დასცილნი თვით ნადიმის ყანრს, ესოდენ პოპულარულსა და გავრცელებულს ფილოსოფიურ პროზაში. დასცილნი თავის თანამედროვე სწავლულთ, რომელთა სიტყვასა და საქმეს შუა დიდი ზღვარია და სულ პატარა, წვრილმანის გამო საზოგადოებაში ქცევის წესებიც კი ავიწყდებათ, მაშინ, როცა ეს არ ემართებათ უბრალო და მცირემცოდნე ადამიანებს. დასცილნი იმათ, ვისი „განსწავლულება“ საზოგადოებას უკვე ძმით ტვირთად ჰქცევია.

ლუკიანე, ვითარცა მეორე სოფისტიკის წარმომადგენელი და პირველი სოფისტიკის მემკვიდრე, როგორც დიალოგში „ნადიმი“, ასევე მთელ თავის შემოქმედებაში ნამოჭრის ყველა ეპოქისათვის უმნიშვნელოვანეს კითხვას ადამიანის დანიშნულებისა და სწავლა-აღზრდის მიზნის შესახებ, რასაც ის, ზოგ მკვლევართა აზრით, პლატონივით უტოპიური სახელმწიფოს იდეამდე მიჰყავს, რაც თუნდაც იმით გამოიხატა, რომ ელინისტური ხანის მწერალთა დამსწრეებელი ერთადერთ გამონაკლისს არაბული წარმომავლობის ელინისტი მწერლის, იამბულისადმი (ძვ. წ. მე-3 საუკუნე) უშვებს და მის უტოპიურ რომანს „მოგზაურობა მზის კუნძულზე“, რომელიც ჩვენამდე მხოლოდ დიოდორე სიცილიელის (ძვ. წ. 90-21) პერიფრაზითაა მოღწეული, დიდ უპირატესობასა და მნიშვნელობას ანიჭებს.

ფილონი და ლიკინე (1)

ფილონი. ლიკინე, როგორც ამბობენ, გუშინ არისტენეტთან წვეულებისას ერთობ კარგად მოგილხენიათ, ფილოსოფიური სიტყვანიც კი წარმოთქმულა თქვენ შორის, რასაც არცთუ მცირე აურზაური მოჰყოლია და – თუ ქარინი არ მეცრუა – ეს მთელი თქვენი თავყრილობა ბოლოს სისხლისღვრით დამთავრებულა.

ლიკინე. ფილონი, მაინც საიდან უნდა შეეტყო ეს ამბავი ქარინს? ის ხომ ჩვენთან ერთად არ სადილობდა?!

ფილონი. თქვა, დიონიკესაგან მოვისმინეთ, ექიმისაგან. ის კი, მგონი, თვითონ ყოფილა ნადიმად წვეულთა შორის.

ლიკინე. სწორედ ასე გახლავთ, იყო, მაგრამ არა მთლად დასაწყისიდან. ექიმი დიონიკე მოგვიანებით, თითქმის შუა ბრძოლაში, პირველ ჭრილობებამდე სულ ცოტა ხნით ადრე გამოცხადდა. ასე რომ, მიკვირს, მაინც როგორ მოახერხებდა რაიმეს ზუსტად მოყოლას, როცა თითონ არ იყო შემსწრე იმ სიტყვიერი შეხლა-შემოხლის დასაწყისისა, რაც სისხლით დასრულდა.

2) **ფილონი.** ამიტომაც გვირჩია, ლიკინე, შენთან მოსვლა თვით ქარინმა, თუკი მოვისურვებდით გაგვეგო რა მოხდა და როგორ. დიონიკეც ეუბნებოდა მას, რომ თვითონ არ იყო თვითმხილველი ყოველივესი, შენ კი, ქარინის სიტყვათა თანახმად, ზედმინევენით იცი ყველაფერი და მაშინდელ საუბარსაც გაიხსენებ, ვინაიდან ზერულედ კი არ უსმენ ხოლმე ამდაგვარ გაბაასებათ, არამედ გულმოდგინედ. ამიტომ ვიმედოვნებ, რომ გაგვიმასპინძლებდი იმ უტკბილესი ნუგზარით, რომლის უამესი, არ ვიცი, არის თუ არა ჩემთვის რამე. მით უფრო, რომ სრულიად ფხიზელნი ვინადიმებთ: მშვიდად და უსისხლოდ, შორს იარაღისგან. ერთი ესეც თქვი: მოხუცებმა დაარღვიეს წესრიგი, თუ ახალგაზრდებს აუფარდათ თავში გაუზავებელი ღვინო და იტყოდნენ და იქმოდნენ რაიმეს უღირსებოს?

3) **ლიკინე.** ბავშვივით მთხოვ, ფილონი, ყველას წინაშე განვაცხადო ის, რაც ჩვენ ღვინის სმისას შეზარხოშებულთ დაგვემართა, მაშინ როცა დავინწყებისათვის უნდა მიგვეცა მომხდარი და მიგვეჩნია, რომ ეს ყველაფერი ღმერთის ნამოქმედარია, დიონისესი, რომელიც არა მგონია, ბახუსთან უზიარებელსა და მისგან თავდახსნილს ვინმეს ტოვებდეს. განა უცუდეს ადამიანთაგანი არ უნდა იყოს ის, ვინც მომხდარს ძირისძირობამდე ჩაჰყვება? არადა კარგი იქნებოდა, არა ამბის გატანა გარეთ, არამედ იქვე, სუფრაზე დატოვება და მისგან განთავისუფლება, ამოდ როდი ღალატებენ პოეტური სიტყვები: „მძულს, ვისაც ღვინისას მომ-

ხდარი ახსოვს“. დიონიკე მართებულად როდი მოიქცა, როცა ყველაფერი ქარინთან დაფქვა და შემართებულ ფილოსოფოსთ ბლომად ნერცხი გადაასხა. მე კი – მომშორდი – ერთ სიტყვასაც არ გეტყვი.

4) **ფილონი.** რა თავპატიუს იდებ, ლიკინე! ჩემ წინაშე მაინც ნუ იქმ ამას, რომელმაც კარგად ვიცი, იმაზე მეტად გინდა მოყოლა, ვიდრე მე მოსმენა შენი. ასე მგონია, მსმენელნი რომ არ გამოგჩენოდა, სიამოვნებით მიხვიდოდი რომელიმე ბოძთან, ან ქანდაკებასთან და ყველაფერს სულმოუთქმელად გადმოულაგებდი. ხოლო თუ ახლა მე წასვლას გადავწყვეტ, შენ უფლებას კი არ მომცემ წავიდე და არ მოგისმინო, არამედ გამომყვები და იქეთ შემეხვეწებ. მეც ჩემი მხრივ თავს გამოვიდებ და თუ არ გინდა, ნურაფერს იტყვი, ჩვენც სხვასთან წავალთ და სხვისგან შევიტყობთ ყველაფერს.

ლიკინე. წყენა რა საკადრისია? მოგიყვები, თუკი ასე გასურს, მაგრამ სხვებს არ უამბო.

ფილონი. მე თუ სრულებით არ დამვიწყებია, ლიკინე, მაშინ შენ თვით იქმ ამას ყველაზე უკეთ. დაუყოვნებლივ უამბობ ყველას. ასე რომ, მე არაფერში დაგჭირდები.

5) მაგრამ უწინარეს ყოვლისა ეს მითხარი, განა არისტენეტმა თავისი ძის, ზენონის ქორწინების გამო არ გიმასპინძლათ თქვენ?

ლიკინე. არა, პირიქით, არისტენეტი თავის ასულს, კლეანტიდეს, ათხოვებდა მევახშე ევკრიტეს ძეზე, რომელიც ფილოსოფიაში განისწავლბა.

ფილონი. ლამაზი ჭაბუკია, ვფიცავ ზევსს, მაგრამ მისი დაქორწინება ნამდვილად ნაადრევია.

ლიკინე. მგონი, უკეთესი ვერ გამონახეს. ეს კი მოწესრიგებულიც არის და ჩანს, ფილოსოფიაში განსწავლულიც. ამას გარდა, მდიდარი ევკრიტეს მხოლოდშობილი ძეა, ამიტომ არისტენეტმა სხვათაგან სწორედ ის აირჩია სასიძოდ.

ფილონი. ევკრიტეს სიმდიდრე! არცთუ პატარა მიზეზია! თუმცა, ლიკინე, მაინც ვინ იყვნენ ნადიმად მინვეულნი?

6) **ლიკინე.** ყველა დაგისახლო? როგორც გატყობ, შენ უპირველეს ყოვლისა, ფილოსოფიისა და მჭევრმეტყველების მიმდევართა სახელების გაგება გასურს. ესენი იყვნენ: უხუცესი ზენოთემიდე სტოადან, მასთან ერთად იყო დიფილე, ზედმეტსახელად „ლაბირინთი“, არისტენეტის ვაჟის, ზენონის მასწავლებელი; პერიპატელთაგან კლეოდემე – ყბედი და პირშიმწვდომი, რომელსაც მოწაფენი „მახვილსა“ თუ „დანას“ ეძახიან. იქ იყო ეპიკურელი ჰერმონიცი. ის შემოვიდა თუ არა, სტოიკოსებმა წარბები შეიჭმუნეს და ზურგი შეაქციეს. ცხადი იყო, ისე თაკილობდნენ მას, თითქოს წყეული მამისმკვლეელი ყოფილიყოს. ისინი, როგორც არისტენეტის ახლო მეგობრები, დამახებულნი იყვნენ სადილზე, მათ შორის გრამატიკოსი ჰისტიასი და რიტორი დიონისოდორეც.

7) სასიძო ქერევისს ხატრით მოწვეული იყო მისი მასწავლებელი, კეთილსახიერი პლატონიკოსი იონი, უაღრესად წყნარი, დიდებული და ღვთის სათანადოდ გამომზირალი. ზოგი მას „განმკვეთს“ ეძახის, გულისხმობს რა მისი აზრების პირდაპირობას. შემოვიდა თუ არა იონი, ყველა უკუდგა მის წინაშე და ისე დახვდნენ, როგორც თავიანთზე აღმატებულს. მოკლედ, ღვთის თანაობასა ჰგავდა საკვირველი იონის იქ ყოფნა.

8) ამასობაში იმის დროც დადგა, სუფრას ფეხმორთხმით შემომწკრივებოდნენ ირგვლივ. შემოსასვლელიდან მარჯვენა მხარეს სუფრის ერთი ფრთა არცთუ მცირერიცხოვანმა ქალთა ჯგუფმა დაიკავა. მათ შორის იჯდა საპატარძლოც, მთლად საბურველში გახვეული. შემოსასვლელის პირდაპირ კი ჭრელი ხალხი მოთავსდა. ცხადია, ყველა თავისი ღირსების შესატყვისად.

9) ადგილი ქალების წინ პირველმა ევკრიტემ დაიკავა, შემდეგ არისტენეტმა, შემდეგ კი გაჩნდა ეჭვი: ჯერ ხანშიშესულ ზენოთემიდეც უნდა დაეკავებინა ადგილი, თუ ეპიკურელ ჰერმონს, რომელიც დიოსკურების ტაძრის ქურუმი და ამასთანავე ქალაქში უცნობილესი ოჯახის წარმომადგენელია. ეს რთული საკითხი ზენოთემიდეც გადაჭრა. მან თქვა: „არისტენეტ, შენ თუ მე ამ ეპიკურელის გვერდით მომთავსებ, რაიმე ცუდი რომ არ დამცდეს, ახლავე დავტოვებ შენს ნაღიმს“. ამ სიტყვების თქმისთანავე მან თავის მსახურს დაუძახა, თითქოს მართლა აპირებდა წასვლას. ჰერმონმა კი უთხრა მას: „ზენოთემიდე, დაიკავე პირველი ადგილი, თუმცა სხვა რომ არაფერი, ჩემთვის, როგორც ქურუმისათვის, უნდა დაგეთმო პირველი ადგილი, თუნდაც ეპიკურეს უგულვებელყოფდე“. „ეპიკურელი ქურუმი! – თქვა ზენოთემიდეც – სიცილად არ მყოფნის“. ამ სიტყვების შემდეგ ის წამოწვა, მის გვერდით კი მანაც ჰერმონი აღმოჩნდა. შემდეგი პერიპატელი კლეოდემე იყო. მას იონი მოსდევდა, იონის ცოტა ქვემოთ სასიძო იყო, შემდეგ – მე, ჩემ შემდეგ – დიფილე, დიფილეს ქვემოთ ზენონი, მისი მონაფე, შემდეგ კი რიტორი დიონისოდორე და გრამატიკოსი ჰისტიასოსი.

10) იფ-იფ! ლიკინე, ეს პურობა, რომლის შესახებაც მიყვები, პირდაპირ მუხების ტაძარი ყოფილა, ბრძენთა კაცთაგან სავსე. მე კი, ჩემი მხრივ, ვაქებ არისტენეტს, რომელმაც თავის ოჯახში ესოდენ სანატრელი ზეიმის მოწყობისას უპირატესობა ბრძენთა გამასპინძლებას მიანიჭა, ამასთანავე, რაც მთავარია, ყველა ფილოსოფიური მიმდინარეობიდან ყოფილა წარმომადგენელი და არა ისე, ზოგი მოენვია, ზოგი კი არა. მოკლედ, ყველა შეურადა.

ლიკინე. ასე იმიტომ მოხდა, მეგობარო, რომ არისტენეტს ბევრი მდიდრის მსგავსი კი არ არის, არამედ ზრუნავს სწავლა-აღზრდაზე და თავისი ცხოვრების დიდ ნაწილსაც ასეთ ადამიანებთან ატარებს.

11) მოკლედ, თავიდან მშვიდად გეახლებოდით, ფილონ, ჭამადიც ნაირნაირი იყო მომზადებული, მგონი, არც კი ღირს მათი ჩამოთვლა: სასმელები და ნამცხვრეულობა, სანელებლიანი კერძები – ყველაფერი ბლომად იყო. ამასობაში მომესმა იონისაკენ გადახრილმა კლეოდემემ როგორ თქვა: „შეხედე მოხუცს, – ზენოთემიდეზე ამბობდა, – როგორ იძებნება მისაჭმელით, მოსასხამიც მთლად ჭამადით გამოუტენია, უკან მდგომ მსახურსაც რამდენს აჩერებს?! იმედოვნებს, რომ ვერავინ ხედავს, ის კი ავინყდება, რომ სხვანი მის მიყოლებით ჩამწკრივებულან. იქნებ ლიკინეს დაანახო, მოწმე იქნება!“ თუმცა, მე იონის მითითება არად მჭირდებოდა, ვინაიდან ამ ყოველივეს ჩემი სათვალთვალოდან მათზე ადრე მოვკარი თვალი.

12) ამას რომ ამბობდა კლეოდემე, დარბაზში დაუპატიუებელი კინიკოსი ალკიდანტი შემოიჭრა საყოველთაოდ ცნობილი ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით: „აი, გამოჩნდა მენელაოსიც, წვევის გარეშე“. ასე განსაჯეთ, ბევრს მისი საქციელი სამარცხვინოდ მოეჩვენა და ასევე მზამზარეუ-

ლი ფრაზებით გაეპასუხა. მაგალითად, პირველი: „გონთგადასულხარ, მენელაოს“; მეორე: „თუმც ვერ მოუხდა მართებულად საქმე ესე აგამენონს, ძეს ატრევსისას“, ზოგნი კი სხვას, დრო-ჟამის შესაფერის გამონათქვამებს ბურტყუნებდნენ თავისთვის. ლიად თქმას კი ვერავინ ბედავდა, ვინაიდან ეშინოდათ ალკიდანტის, ამ მართლაც „შემართებული მყვირალასი“, რომელსაც ყველა ძალზე უკეთ შეეძლო შემოყეფა და რის გამოც კინიკოსთა შორის ის ყველაზე საუკეთესოდ და ზარისამხედელად მიიჩნეოდა.

13) თვით არისტენეტმა შეაქო იგი და შესთავაზა პირველივე დანახული სავარძელი აელო და ჰისტიასისა და დიონისოდორეს გვერდით დამჯდარიყო. მან კი მიუგო: „შორს ჩემგან, ქალი გგონივარ თუ ვინმე ნებიერი, სავარძელში რომ მოვკალათდე, ან სანოლზე გავიშლართო თქვენსავით. ამ რბილ სავარძელში ლამის გულაღმა მწოლარენი მიირთმევთ და თან ქვეშ ძონისფერი ქსოვილიც შეგიფენიათ. მე კი ფეხზემდგომელსაც შემიძლია მივირთვა, ჭამა-ჭამით მივიდ-მოვიდე, ხოლო თუ დავიღლები, ჩემს მოსასხამს გავიშლი ძირს, წამოვწვები და თან იდაყვს დავეყრდნობი, ისე, როგორც ჰერაკლეს ხატავენ ხოლმე“. ამის შემდეგ ალკიდანტი გარს უვლიდა სუფრას და თან საჭმელს შეექცეოდა სკვითთა მსგავსად, რომელნიც კარგი საბალახოს მიხედვით მომთაბარებობენ. აი, ასე დასდევდა იგი შეჭამანდა ჩამომტარებელ მსახურებს.

14) მართალია, კარგად გამოსკდა ალკიდანტი, მაგრამ თავი მანაც მხნედ ეჭირა და სიქველეთა და მანკიერებათა შესახებ მიედ-მოედებოდა, ოქროსა და ვერცხლს დასცილოდა. მან ჰკითხა არისტენეტს, თუ რაში სჭირდებოდა ამდენი და ესოდენ ღირებული ჭიქა, როცა მის მაგივრობას თიხისგან დამზადებულიც გასწევდა. ალკიდანტი უკვე საშიში ხდებოდა, თუმცა, იმჯერად არისტენეტმა გააჩერა, რადგან მსახურს ანიშნა კინიკოსისთვის მოზრდილი ჭიქით ცეცხლი ღვინო მიერთმია. მას ეგონა, რომ ამით საუკეთესო გამოსავალს მიაგნო. თუმცა, აბა რას წარმოიდგენდა, რომ ეს გაგზავნილი ღვინით სავსე ფიალა ამდენი უბეღურების სათავედ იქცეოდა. ალკიდანტი აიღო თასი, პატარა ხანს დადუმდა, შემდეგ ძირს დავარდა და ნახევრად შიშველი გაიშლართა – როგორც ადრე იმუქრებოდა – იდაყვს დაეყრდნო. მარჯვენა ხელით კი თასი დაიჭირა, სწორედ ისე, როგორც ჰერაკლე გამოსახება ხოლმე მხატვართა მიერ კენტავრ ფოლის გამოქვაბულში.

15) სხვა სტუმრებს შორის კი წრიულად მოძრაობდა ფიალა მორიგი სადღეგრძელოებით და მეგობრული საუბარიც გაიბა. შემოიტანეს ჩირაღდნებიც. სხვათა შორის შევნიშნე, რომ კლეოდემესათვის მიჩენილი მსახური, ჭაბუკობას იწვევნილი თვალგულმისავალი ღვინის მწვე ქვეშ-ქვეშ იღიმებოდა. ჩემი აზრით, საჭიროა პურობის წვრილმანებზეც მოგიფიქროთ, უპირატესად კი ისეთებზე, დახვეწილის სფეროს რომ განეკუთვნებიან: ჰოდა, თვალი ყურადღებით მივაღვენე მას, თუ რაზე იცინოდა. ხანი რომ გამოხდა, მსახური ბიჭი ფიალის გამოსართმევად მივიდა კლეოდემესთან. მან კი მის თითებს ხელი მოუჭირა და მგონი, ფიალასთან ერთად ორი დრაქმაც მისცა. ბიჭმა თითების მოჭერაზე მყის შეჰღიმილა, მაგრამ როგორც ჩანს, ვერ შენიშნა ხურდა ფული, ასე რომ, დაუჭერელი დრაქმები ძირს წკრიალით მიმოიფანტა და ორივე შესამჩნევად განითლდა. ახლომახლოს მყოფნი ვერ მიხვდნენ, რა ფული

იყო ეს, ვინაიდან მსახური უარობდა მის დაყრას, ხოლო კლეოდემე, ვის ახლოსაც ეს ხმაური ატყდა, არ იმჩნევდა, რომ ხურდა მას დაუცვივდა. ამრიგად, ჩოჩქოლი შეწყდა და მომხდარს ყურადღება აღარავინ მიაქცია, მით უფრო, რომ ბევრს, ჩემი აზრით, არც არაფერი შეუნიშნავს, გარდა არისტენეტისა, რომელმაც ცოტა ხანში მსახური შეცვალა და შეუმჩნევლად გასულის მაგივრად კლეოდემეს იდუმალინიშნებით უკვე ჭაბუკობის ასაკიდან გამოსული, მაგრამ ბრგე ჯორებისა თუ ცხენების მწყემსი მიუჩინა.

ასე იყო თუ ისე, ეს ამბავი ჩაიფარცხა. თუმცა, ყველას რომ გაეგო, დიდი სირცხვილის მიზეზად შეიძლება ჰქცეოდა კლეოდემეს, რომ არა არისტენეტი, რომელმაც მამინათვე მარჯვედ მიაჩუმათა მომხდარი და ყველაფერი სიმთვრალეს დააბრალა.

16) ამასობაში, კინიკოსმა ალკიდანამანტმა, რომელიც უკვე დამთვრალიყო, გაიგო რა ერქვა საპატარძლოს, სრული სიჩუმე მოითხოვა და ქალებისაკენ მზერამიპყრობილმა მაღალი ხმით განაცხადა: „შენი კარგადყოფნისას ესვამ, კლეანტიდე, ჰერაკლეს, ჩემი ნინამძღვრის სახელით“. როგორც კი ამაზე ხარხარი ატყდა, მან თქვა: „იმაზე იცინით უწმინდურნო, თუ როგორ ვსვამ საპატარძლოს სადღეგრძელოს ჩემი ღმერთის, ჰერაკლეს სახელით?“ ნამდვილად უნდა იცოდეთ, რომ თუ იგი ჩემგან ამ სასმისს არ მიიღებს, არასოდეს შეეძინება ძე, ჩემი ბადალი: ქედუხრელი, აზრით თავისუფალი და სხეულით ესოდენ ძლიერი. ამ სიტყვებისთანავე მან თითქმის უსირცხვილობამდე შემოიძარცვა სამოსი, რაზეც კვლავ სიცილმა იფეთქა მონადიმეებს შორის. ალკიდანამანტი კი გაგულისდა, წამოდგა, გონგადასული და ბოლმიანი იმზირებოდა. ცხადი გახდა, რომ სიმშვიდეს ველარ შეინარჩუნებდა. იქნებ, ვინმესთვის კიდევ დაეშინა თავისი ჯოხი, ვეებერთელა ნამცხვარი დროზე რომ არ შემოეტანათ, რომლის შემხედვარეც მოთვინიერდა იგი, რისხვა დაიცხრო და ჭამა-ჭამით გამოედევნა ჩამოსარიგებელ ტკბილეულს.

17) ამასობაში სტუმართა უმეტესობა დამთვრალიყო და სანადიმო დარბაზი ღრიანცელს მოეცვა: რიტორი დიონისოდორე თავისი ორატორული გამოსვლებიდან რჩეულ ნაწყვეტებს წარმოთქვამდა და მის უკან დაყუდებულ მოსამსახურეთაგან ქათინაურებს იმკიდა; გრამატიკოსი ჰისტიასი კი, რომელიც მის ქვემოთ მოკალათებულიყო, რაფსოდობდა, თანაც ისე, რომ ერთმანეთში თხზავდა პინდარეს, ჰესიოდესა და ანაკრეონტს. ასე რომ, ყველაფრისგან ერთი, უაღრესად თავშესაქცევი სიმღერა გამოდიოდა, განსაკუთრებით საღალბო კი ის იყო, რომ მან თითქოს იწინასწარმეტყველა, რაც უნდა მომხდარიყო მალე:

ფარები შეეჯახნენ ერთმანეთს, ან კიდევ ერთად ირეოდა მებრძოლთა კვნესა და ყიფინა გამარჯვებისა.

18) ცოტა ხნის შემდეგ, როცა კერძების ჩამომტარებლებმა, როგორც მიღებული იყო, შეისვენეს, არისტენეტმა ასეთი რამ მოიფიქრა: დროს ფუჭად რომ არ ჩაევლო და სტუმრებსაც სიამოვნება არ დაჰკლებოდათ, მან უბრძანა ხუმარას, დარბაზში შესულიყო და ისეთი რამ ეთქვა, ან გაეკეთებინა, სასაცილო ყოფილიყო და ამით კიდევ უფრო გაეხალისებინა მონადიმენი. გამოჩნდა მართლაც ერთი უსახური ვინმე, თავკოტორა, რომელსაც კინკრისოზე შერჩენილი ორიოდ ლერი თმა ყალყზე ედგა. ხუმარამ მართლაც დაიწყო ცეკვა, ხოლო უფრო სასაცილოდ გამო-

საჩენად გრეხვასა და ხელ-ფეხის ქნევასაც მოჰყვა. ტაქტის გამოთვლით მან ეგვიპტურ კილოზე რამდენიმე ლექსიც კი თქვა და ბოლოს იქ მყოფნი სასაცილოდ აიგდო.

19) როგორც კი ვინმე გაქილიკების საგანი აღმოჩნდებოდა, სხვები იცინოდნენ, მაგრამ როცა ხუმარამ მსგავსი ზმა კინიკოს ალკიდანამანტს სტყორცნა და მას მალტური ძაღლი უწოდა, ის განანყენდა – სხვათა შორის, უკვე კარგა ხანია ნათელი იყო, რომ მას შურდა წარმატება ხუმარასი, რომელსაც მთელი დარბაზი მოეხიბლა – მოიძრო მოსასხამი და ხუმარას ბრძოლაში გასვლად ინვევდა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში აღუთქვა, რომ გაბრაზდებოდა და ჯოხს უთავაზებდა. ასე და ამგვარად, ბედკრულმა სატირიონმა – ასე ერქვა ხუმარას – საბრძოლო პოზიცია დაიკავა და მუშტების ქნევა დაიწყო. სანახაობა უაღრესად სიამოვნების მომგვრელი იყო: ხუმარას წინააღმდეგ აღმდგარი ფილოსოფოსი, სატირიონისაგან შეთავაზებული მუჯლუგუნები და თავის მხრივ ფილოსოფოსისაგან მიყენებული დარტყმები. დამსწრეთაგან ზოგს რცხვენოდა, ზოგი კი იცინოდა.

20) აი, სწორედ მაშინ, როცა შეხლა-შემოხლიდან არცთუ დიდი დრო იყო გასული, მოვიდა ექიმი დიონიკე და როგორც თვითონ თქვა, ფლეიტის დამკვრელ პოლიპრეპონტას მიზეზით შეყოვნებულიყო, რომელსაც ციებ-ციხელების გამო მკურნალობდა. ამის შესახებ ექიმი რაღაც სასაცილოს ყვებოდა: თურმე ის იმ დროს მისულა სნეულთან, როცა მას შეტევა დასწყებია, მან კი ეს არ იცოდა. შესულა თუ არა დიონიკე ავადმყოფ ფლეიტისტთან, ის მსწრაფლ წამოვარდნილა სანოლიდან, ჩაუკეტავს კარი, დაუძვრია დანა, თავისი ფლეიტა დიონიკესთვის მიუჩიჩებია და დაკვრა უბრძანებია. ხოლო როცა მიმხვდარა, რომ ექიმს ეს არ შეეძლო, მისთვის ხელისგულეზე მათრახი დაურტყამს. ბოლოს ასეთ დიდ განსაცდელში დიონიკეს ასეთი რამლა მოუფიქრებია: ფლეიტისტი შეჯიბრში გამოუნვევია და რამდენიმე დარტყმაზე დანიძლავებია. პირველს თვითონ დაუკრავს ფლეიტაზე, თანაც ცუდად, რის შემდეგაც საკრავი მისთვის გადაუცია. გამოუთრმევია დანა, მათრახი და გარეთგამავალი სარკმლიდან ღია ცის ქვეშ გადაუყრია, შემდეგ უსაფრთხოდ უგრძვნია თუ არა თავი, სცემია ფლეიტისტს და თან მეზობლები უხშია საშველად, რომელთაც კარი შეუმტვრევიათ და გადაურჩენიათ ექიმი, რომელიც ახლა მათრახის ნაკვალევსა და სახეზე ნაკანრებს უჩვენებდა პურობის მონანილეთ.

შემდეგ დიონიკემ, რომლის მონაყოლსაც უფრო მეტი მონონება ხვდა წილად, ვიდრე ხუმარისას, მაგიდასთან ახლოს მოიკალათა და რაც დარჩენილიყო, იმით დანაყრდა.

ცხადია, რომელიმე ღმერთმა გამოგზავნა ჩვენთან, რადგან ცოტა ხნის შემდეგ ის უაღრესად საჭირო აღმოჩნდა.

21) მალე სეფე დარბაზის შუაგულში მსახური შემოვიდა, რომელიც ამბობდა, რომ სტოიკოს ჰეტემოკლეს გამოგზავნილი იყო, თან წერილი ჰქონდა და ისიც დაამატა, რომ ბატონისაგან მისი ყველას გასაგონად, საჯაროდ ნაკითხვა და მყისვე უკან გაბრუნება ჰქონდა ნაბრძანები. მიიღო თუ არა არისტენეტისაგან თანხმობა, ის ჩირაღდანს მიუახლოვდა და კითხვას შეუდგა.

ფილონი. მაინც რას წარმოადგენდა ეს წერილი, ლიკინე? საპატარძლოს შესხმა იყო თუ საქორწინო მისალოცი ლექსი, როგორსაც უმეტესად თხზავენ ხოლმე?

ლიკინე. ცხადია, ჩვენც ასე გვეგონა, მაგრამ თურმე ოდნავადაც ვერ მივხვდით. წერილში ეწერა:

22) „ფილოსოფოსი ჰეტემოკლე – არისტენეტს. სადილობისადმი როგორია ჩემი დამოკიდებულება, ამის მონემედ ჩემი ყოველივესაგან თავისუფალი ცხოვრება გამოდგებოდა, ყოველდღე ბევრთა მიპატიუებებისაგან გადატვირთული, ისეთების, შენ რომ აღგემატებიან სიმდიდრით, მაგრამ არასოდეს მდომებია მათი მიღება, რადგან ვიცი, რა ხმაური და აურზაურია ხოლმე ამ ნადიმებზე. ცხადზე ცხადია, მხოლოდ შენზე უნდა გავბრაზდე, ვინაიდან ამდენი ხნის განმავლობაში ჩემგან დიდად პატივნაცემმა ღირსად არ ჩამთვალე, შენი სხვა მეგობრების რიცხვში შეგეყვანე. მხოლოდ მე აღმოვჩნდი უნილკერძო, თუმცა შენს მეზობლად ვსახლობ. ამრიგად, მე უფრო შენზე ვადრდობ, როგორც ესოდენ უმაღურზე, თორემ ჩემთვის ბედნიერება არც ერთ ჩიჩქა გარეული ტახის, ან კურდღლის ხორცშია და არც ერთ ნაჭერ ნამცხვარში, რაც სხვებთან, ზრდილობის ნესების დამცველებთან, ჩემს გემოზე შემოძლია მივირთვა. აი, დღესაც შემეძლო ჩემს მოწაფე პიმენთან, ასე რომ ვთქვათ, მსუყე სადილი მიმერთვა, მაგრამ არ დავთანხმდი მის ხვეწნა-მუდარას, ვინაიდან მე, სულელი, თავს შენი ნადიმისთვის ვინახავდი.

23) შენ კი, ჩემი უგულუბელმყოფელი, სხვათ მასპინძლობ. ვინაიდან ჩანს, ჯერ კიდევ ვერ ანსხვავებ საუკეთესოს და ვერც საგნის არსს წვდები გონებით. თუმცა მე მაინც ვხვდები, საიდან მოდის ეს – განსაცვიფრებელი ფილოსოფოსების ზენოთემიდესა და ლაბირინთისგან, რომელთაც – შორს ჩემგან ადრასტეას რისხვა – მგონი, ერთი სილოგიზმითაც შემოძლია პირი ცქაფად მოვაკუშინო. აბა, მაგათგან ვინმემ განმარტოს, რა არის ფილოსოფია, ან თუნდაც, რაც პირველი გაგვახსენდება: მაგალითად, რა განასხვავებს თვისებას მდგომარეობისაგან. აღარაფერს ვამბობ ძნელ საკითხთაგან ისეთებზე, როგორიცაა: „რქები“, „გროვა“ და „მომკვლეები“. მაშ, დატკბი მაგათით, მე კი, სიკეთედმიმჩნევი მხოლოდ მშვენიერისა, უპატიურობას იოლად დავითმენ.

24) თუმცა შემდგომში შენ რომ როგორმე თავის მართლებას არ შეეცადო, თითქოს ამ ხლაფორთსა და განამანიაში გადაგავინყდი, გეტყვი, რომ დღეს ორჯერ მოგესალმე: დილით სახლთან, მოგვიანებით კი დიოსკურების ტაძარში, როცა მსხვერპლი შესწირე. ამ ყოველივეს კი მანდმყოფთა წინაშე თავისდასაცავად გეუბნები.

25) თუ შენ ჩათვლი, თითქოს მე შენი სადილის გამო ვბრაზობ, გაიხსენე ოინევის ამბავი და ნახავ, რომ არტემიდეს კი განრისხდა, როცა გიმრმა სხვა ღმერთებისთვის პატივმიმგებმა, იგი გამოკრთვა მხოლოდ. აი, რას ბრძანებს ამის შესახებ ჰომეროსი:

ორივე შემთხვევაში არის სულით ბრმა დაავინყდა თუ ვერ გაიხსენა.

ეპრიპიდე: ეს ქვეყანა კალიდონისა. პელოპის მიწაზე კი ხვავრიელი ხოდაბუნები გადაჭიმულან.

სოფოკლე: ხოდაბუნებს ოინევისას მოუვლინა ტახი სამინელი ლეტოს ასულმა, ისართმტყორცნელმა.

26) მრავლისაგან მცირედი მაგალითები მოგიყვანე, რათა მიხვდე, როგორი კაცი უგულუბელყავი, მაშინ როცა დიფილეს მასპინძლობ და ვაჟიც მას მიაბარე. ნათელია, მასწავლებელი მოსწონს მოწაფეს და ისიც ღებულობს

მისგან სარგებელს. ჩემთვის სამარცხვინო რომ არ იყოს ამდაგვარ საკითხებზე ლაპარაკი, კიდევ დავამატებდი რამეს. ხოლო შენ თუ მოისურვებ, ჩემ მიერ თქმულის ჭეშმარიტებაში დარწმუნდე, ჰკითხე პედაგოგ ზოფირეს. თუმც არ შეჭფერის საქორწინო ლხინს, ბრალი დასდო სხვებს, მით უმეტეს ამდაგვარ სამარცხვინო საქმეებში, მაგრამ დიფილე ამის ღირსია. მან ჩემი ორი მოწაფე გადაიბირა, მე კი ახლა მხოლოდ ფილოსოფიის გამო დავიდუმებ გულს.

27) ჩემს მსახურს კი ვუბრძანე – თუ შენ მას ტახის, შვლის, ან ქუნჯუტის ნამცხვრის ნაჭრებს მისცემ ჩემთვის ნამოსაღებად სადილის სანაცვლოდ და იმისთვის, რომ თავი იმართლო – არ წამოიღოს, რათა არ იფიქროს, თითქოს ამისთვის გამოვგზავნე.

28) მეგობარო, სანამ ამ წერილს კითხულობდნენ, მე სირცხვილისაგან ოფლი მასხამდა. მერჩინა, როგორც ამბობენ ხოლმე, მიწა გამსკდომოდა, დამნახველს იმისას, თუ როგორ ქირქილებდნენ იქ მყოფნი ყოველ სიტყვაზე, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც პირადად იცნობდა ჰეტემოკლეს. ამ ჭალარა და სანდომიან კაცს და კვირვობდნენ, ვითომც მისი წვერითა და პირქუში გამომეტყველებით მოლორებულნი, როგორ შეცდნენ. არისტენეტმა კი, ჩემი აზრით, უპატივცემულობის გამო როდი აუარა გვერდი მას. არამედ იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო, ჰეტემოკლეს რომც მიეღო მოსაწვევი, არასგზით დასთანხმდებოდა ამდაგვარ რაიმეს. აი, ამიტომ აღარ ჩათვალა საჭიროდ თუნდ საქმის წამოწყებაც კი.

29) ამრიგად, როგორც კი მსახურმა კითხვა დაასრულა, მთელმა სუფრამ ორთავეს, ზენონსა და დიფილეს, მიაპყრო მზერა. ისინი კი დამფრთხალნი და ფერ-ფურ ნასულნი, შემცბარი სახით ჰეტემოკლეს ბრალდებებს ადასტურებდნენ, ხოლო არისტენეტმა, რომელიც დრტვინავდა და მრისხანებას მოეცვა, მაინც მიგვიწვია ჩვენ დასაღვევად. ის ცდილობდა თავი ისე დაეჭირა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო. ასე რომ, ღიმილ-ღიმილით გაისტუმრა თნი ჰეტემოკლეს მსახური და უთხრა, რომ ყველაფერზე თვითონ იზრუნებდა. პატარა ხანი გამოხდა თუ არა, ზენონი შეუშინველად წამოდგა, ვინაიდან აღმზრდელმა – როგორც ჩანს, მამის ბრძანებით – ანიშნა, გარეთ გასულიყო.

30) ამასობაში კი პერიპატელი კლეოდემე, რომელიც კარგა ხანია საბაბს ეძებდა სტოიკოსებს შეჭბოდა და ლამის გამსკდარიყო, რამეთუ შეტაკების დასაწყებად ხეირიან საბაბს ვერ პოულობდა, ახლა წერილმა სასურველი შემთხვევა მისცა, მან დაიძახა: აი, სრულყოფილებამდე აყვანილი მოძღვრება ბრწყინვალე ქრისიპესი. საკვირველი ზენონისა და კლეანტესი. ამათ კი მართო მჭლე-მჭლე ფრახები, შეკითხვები და შესახედაობა აქეთ ფილოსოფოსისა, დანარჩენში ბევრი მაგათგან ჰეტემოკლეა. ნახეთ, როგორი ძველმოდური მინიშნებებია, თანაც როგორი დანასაკვით: ოინევის ეს არისტენეტია, ჰეტემოკლე კი – არტემიდე. ჰერაკლე! ყველა ეს გამონათქვამი ნამდვილად ზეიმის შესატყვისია.

31) ფიცავ ზევსს! – თქვა იქვე მხართეძოზე წამოგორებულმა ეპიკურელმა ჰერმონმა, ცხადია, ჰეტემოკლემ ყური მოჰკრა, რომ არისტენეტს ნადიმზე ღორის ხორცი ექნებოდა, ჰოდა, გადაწყვიტა, ალბათ არ იქნებო უდროო კალიდონის ტახის ხსენება. ასე რომ, არისტენეტ, შესტიას მადლმა, გაუგზავნე მას სასწრაფოდ ხორცის საუკეთესო

ნაჭრები, მეალეაგრესავით არ ჩამოხმეს შიმშილით ბერი-კაცი. თუმცა ამაში მისთვის საშიში არაფერი იქნება, ქრისტიანობაში ხომ ამდაგვარ საქმეთ უმნიშვნელო უნოდება.

32) რაო? – ქრისტიანობა ახსენეთ? – მთელი ძალით დაიღრილა ძილბურანიდან გამოსულმა ზენოთემიდე. განათითოებული თქვენგანი უკანონოდ არ იჩემებს ფილოსოფოსობას და თავს ჰეტემოკლეს არ აბრიყვებინებს? ნუთუ თქვენ განსჯით ბრძენ კაცებს: კლევანტესა და ზენონს? თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით, ამეებს რომ მიედ-მოედებით? ჰერმონ, განა შენ არ მოაჭერი დიოსკურების სტატუსას ოქროს კულულები? ჯალათის ხელში ჩავარდები და მოგინევს ამაზე პასუხისგება! შენ კი, კლეოდემე, შენი მონაფის ცოლთან მრუშობდი და გამოაშკარავებულმა დიდი სირცხვილი ჭამე. ნუთუ დუმილი არ გიჯობთ საკუთარ თავზე ასეთი ამბების მცოდნეთ? „სამაგიეროდ, მე საკუთარი ცოლის მაჭანკალი არა ვარ შენსავით, – გაეპასუხა მას კლეოდემე, – არც ჩამოსული მონაფისათვის გამომირთმევი უკან დასაბრუნებელი გზის ფული და მერე არც ქალაქის მფარველი ღმერთი დამიფიცავს ტყუილად, თითქოს არაფერი ამელოს, არც მევახშეობას მივდევ თვეში ოთხ დრაქმად, არც მონაფეებს ვახრჩობ, თუ დროზე ვერ მომცემენ გასამრჯელოს“. „მაგრამ, – უთხრა ზენოთემიდე, – იმას მაინც ვერ იუარებ, კლეოდემე, თითქოს შენ არ მიგეცეს სანამლავი კატონისათვის, რაც მამამისისთვის იყო განკუთვნილი“.

33) ამ სიტყვების თქმისთანავე ზენოთემიდე ხელი დაავლო ჭიქას, რომლიდანაც სვამდა და რომელშიც თითქმის ნახევარი იყო დარჩენილი და თავის ორივე მონინალმდეგეს შეასხა. შეხეფებს იქვე მჯდომმა იონმაც გაუსინჯა გემო, თანაც არცთუ დაუმსახურებლად. ჰერმონი კი დახრილიყო და თავზე შესხმულ გაუზავებელ ღვინოს იმშრალებდა, თან იქ მყოფთ, ვითარცა შეურაცხყოფილი, მონმეობას სთხოვდა. ხოლო კლეოდემემ, რომელსაც ჭიქა არ ჰქონდა, შემობრუნდა, შეანერწყვა ზენოთემიდეს და მარცხენაით წვერში სწვდა, მისი საფეთქლით ძირს დანარცხება სურდა. შემოაკვდებოდა კიდეც მოხუცი, არისტენეტს რომ ხელი არ გაეკავებინა მისთვის და ზენოთემიდეზე გადალაჯების შემდეგ მათ შორის არ წამოწოლილიყო, რათა საკუთარი სხეულით, ვითარცა კედლით დაეშორებინა ისინი და მოშულარტ შორის მშვიდობა ჩამოეგდო.


34) ამასობაში, სანამ ეს ყველაფერი ხდებოდა, მე ჭრელა-ჭრულა აზრები მომდიოდა თავში, ისეთი, ყველას რომ დაეზადება: მეცნიერებათა შესწავლაში სარგებელი არა

ყრია რა, თუკი ადამიანი თავის ცხოვრებას უკეთესად ვერ გარდაქმნის. ეს სიტყვიერებაში უზომოდ განსწავლულნი, საქმეში დასაციინნი ხდებიან ხოლმე. შემდეგ კი გავიფიქრე: იქნებ არც იყოს მცდარი ბევრთაგან თქმული, რომ ვინც მხოლოდ წიგნებსა და მათში მოთავსებულ აზრებზე ფიქრობს და განუწყვეტლივ მათ განჭვრეტს, განათლება მართებული აზრებისაგან განდრეკო. მართლაც, რამდენი ფილოსოფოსი იყო საქორწინო პურობაზე, მაგრამ ბედად ერთიც არ აღმოჩნდა თვინიერ ცოდვისა: ერთი სამარცხვინოდ იქცეოდნენ, მეორეთა საუბარი იყო უფრო სამარცხვინო. მომხდარს მე უკვე ვეღარ გადავებრალედი ღვინოს, ვინაიდან ვითვალისწინებდი ჰეტემოკლეს წერილს, რომელიც მან უსმელ-უჭმელმა დანერა.

35) ამრიგად, თავდაყირა დადგა ყველაფერი. აშკარა იყო: უბრალო ადამიანები მშვიდად პურობდნენ, არც წესრიგს არღვევდნენ და არც სამარცხვინოს სჩადიოდნენ რამეს. ჩემი აზრით, მხოლოდ დასცილოდნენ და კიცხავდნენ იმათ, ვისითაც აქამდე აღტაცებაში მოდიოდნენ და ვისაც მხოლოდ გარეგნული შესახედაობისა გამო მიიჩნევდნენ განსაკუთრებულებად. ბრძენნი კი თავხედობდნენ, ილანძებოდნენ, უზომოდ ძლებოდნენ, ყვროდნენ და ხელჩართულ ჩხუბში ებმებოდნენ. საკვირველ აღკვიდამანტს მარცხიც კი მოუვიდა შიგ შუაგულ დარბაზში, მაგრამ ქალებისაც არ შერცხვინია. მე ვფიქრობდი, რომ უკეთესი იქნებოდა, თუკი ვინმე იმას, რაც ნადიმზე ხდებოდა, პოეტების მიერ მოთხრობილ ერისის რისხვას შეადარებდა. დაუპატიჟებელმა ქალღმერთმა პელეასის ქორწინებაში მონადიმეებს ვაშლი შეუგდო, რის გამოც ილიონთან ასეთი ხანგრძლივი ომი გაჩაღდა.

ჰეტემოკლემაც სწორედ ვაშლივით შემოუგდო სტუმრებს თავისი წერილი შუა დარბაზში და არცთუ იმაზე ნაკლები უბედურება დაატრიალა, ვიდრე ჩვენ „ილიადიდან“ ვიცით.

36) ჩხუბი არც მაშინ შეწყდა, როცა ორ მონინალმდეგეს შორის არისტენეტმა მოიკალათა, პირიქით. „ახლა კი, – აგრძელება თავისას პერიპატელი კლეოდემე, – ისიც მეყოფა, თუკი თქვენს უმეცრებას გამოვაშკარავებ, ხვალ კი, როგორც საჭიროა, ისეთ სამაგიეროს გადაგიხდით. მაშ, მიპასუხე ზენოთემიდე, თუგინდ შენ, თუ გინდა უსათნოესმა დიფილემ: რატომ მიაკუთვნებთ ფულის მოქონიებას უმნიშვნელოს სფეროს, მაშინ როცა ყველაფერზე მეტად იმას აქცევთ ყურადღებას, რაც შეიძლება მეტი მოიხვეჭოთ და ამის გამო ორივენი მდიდრებს ეტმასნები თუდამ, მევახშეობით, სულ სარგებელს ეძებთ და სწავლებაშიც კი ფულს იღებთ. მეორე მხრივ, სიამოვნების მოძულენი ეპიკურელთ ლანძღავთ, არა-



მხატვარი მალხაზ იაშვილი

და, ამავე სიამოვნების გულისათვის უსამარცხვინოეს რამე-რუმეებს სწადიხართ, უპატიურობას ითმენთ და გოდებთ, თუკი ვინმე ნადიმად არ მიგინვევთ, ხოლო თუ მიგინვიათ, იმდენს ჭამთ და მსახურებსაც მალულად იმდენს გადასცემთ... ამ სიტყვებისთანავე ის დიდი გულმოდგინებით სწვდა გამო-სატაცებლად თხელი ტილოს ხელსახოცს, რომელიც სავესე იყო ნაირნაირი ხორციანი კერძების ნაჭრებით და რომელიც სტოიკოს ზენოთემიდეც მსახურს ეჭირა. კლეოდემეს უნდო-და ტილო გაეხსნა და შიგთავსი ძირს გადმოეყარა, მაგრამ მსახური ბიჭი არ ანებებდა და უფრო ძლიერ ბლუჯავდა მას.

37) ამ დროს ეპიკურელმა ჰერმონმაც დაიძახა: მარ-თალს ამბობს კლეოდემე, მართალს. თქვან ერთი, რისი გულისათვის აძაგებენ სიამოვნებას, თუკი თვითონ მას სხვებზე მეტად ეძალებიან. „მე კი არა, შენ თვითონ თქვი, კლეოდემე, – შეეპასუხა ზენოთემიდე, – რის თანახმად უგულუბელყოფ სიმდიდრეს?“ „არა, შენ თვითონ თქვი“, – იყო პასუხად და ასე გაგრძელდა ეს პაექრობა მანამ, სანამ პლატონიკოსმა იონმა ორ მოჩხუბარს შორის არ გამოიჭ-ყიტა და არ წარმოთქვა: „შენწყვიტეთ, მე კი, თუ მოისურ-ვებთ, ყველასთვის მნიშვნელოვან სასაუბნაროს შემოგთა-ვაზებთ, ამ ღირსეული ზემისათვის შესაფერს, თქვენ კი კამათის გარეშე ილაპარაკებთ და მოისმენთ, რათა დრო ისევე უზრუნველად გავიდეს სჯა-ბაასში, როგორც ეს ჩვე-ნი მასწავლებლის, პლატონის დროს ხდებოდა“.

ყველა დამსწრემ მოიწონა ეს. განსაკუთრებით კი – ორმა: არისტენეტმა და ევკრიტემ, რადგან იმედოვნებ-დნენ, რომ ამით ბოლოს მოუღებდნენ უსიამოვნებებს. არისტენეტი თავის ადგილსაც კი დაუბრუნდა, დაიმედე-ბული იმით, რომ სიმშვიდემ დაისადგურა.

38) ამასობაში ჩვენთვის, ეგრეთწოდებული, ნადიმის დამავგრძელებელი კერძიც შემოიტანეს: თითოეული-სათვის დედალი მრგვლად, ღორისა და კურდღლის ხორ-ცის ნაჭრები, შემწვარი თევზი, ქუნჯუტის ნამცხვარი და სხვა დასაყოლებელიც, რომელთა სახლში წაღება შეიძლე-ბოდა. მაგრამ კერძი ყველას საითაოდ როდი ედგა, მაგა-ლითა: არისტენეტმა და ევკრიტეს, რომელთაც ერთი სუფრის ირგვლივ მოერთბათ ფეხი, ერთი ლანგარი მარ-თვეს, თანაც ისე, რომ თითოეულ მათგანს თავის მხარეს მოხვედრილი ნახევარი აელო. ასევე საზიარო ლანგარი ერგოთ სტოიკოს ზენოთემიდეცა და ეპიკურელ ჰერმონს, პერიპატელ კლეოდემესა და პლატონიკოს იონს, სასიძოსა და მე. დიფილეს კი ორი წილი ერგო, ვინაიდან ზენონი სუფრაზე აღარ იყო. ფილონ! დაიმახსოვრე ეს წყვილი, ვი-ნაიდან კიდევ მომიწევს რაღაცის თქმა მათზე.

ფილონი. რალა თქმა უნდა, დავიმახსოვრებ!

39) **ლიკინე.** შემდეგ ბრძანა იონმა: „ამრიგად, მე პირ-ველი დავინყებ, თუკი ისურვებთ, – აქ მან ცოტა შეისვენა და განაგრძო, – იქნებ ღირდეს ამგვარ კაცთა წინაშე დე-ათა შესახებ, უსხეულო არსებობასა და სულის უკვდავება-ზე გვესაუბრა, მაგრამ რომ არ შემოგვეკამათონ ისინი, ვინც ამგვარ საკითხებზე სხვაგვარად სიბრძნისმეტყვე-ლებენ, ქორწინების შესახებ ვიტყვი რაიმეს შესაფერისს. თუმცა უკეთესი იქნებოდა, ქორწინებას კი არ ვსაჭიროებ-დეთ, არამედ როგორც სოკრატესა და პლატონის მიმდე-ვართ, ბიჭუნები გვიყვარდეს. ვინაიდან მხოლოდ მათნა-ირთ ხელეწიფებოდათ სრულყოფილ სათნოებამდე ამაღ-ლება და თუ მაინცდამაინც ქალზე დაქორწინებაა საჭირო,

როგორც პლატონი ფიქრობდა, ემჯობინებოდა საერთო ცოლები გვეყოლოდა, რათა თვინიერ შურისა გვეცხოვრაო.

40) უდროოდ ნათქვამი სიტყვების გამო ყველას სიცი-ლი წასკდა, რიტორმა დიონისოდორემ კი წამოიძახა: „შენ-ყვიტე ჩვენი ბარბაროსული სიტყვით დამოძღვრა, ნეტავი რომელ პოეტთან აღმოვაჩინეთ სიტყვა „შურს“, ნაცვლად „ეჭვისა“? „აბა, შენც ჩამოერიე რა ლაპარაკში, საცოდავო, – შესძახა იონმა. თავის მხრივ, დიონისოდორემაც გამო-ლანძღა შესაფერისად იონი. ამ დროს კამათში გრამატი-კოსი ჰისტიასიც ჩაერთო და თქვა: „შენწყვიტეთ, ვინაიდან მსურს საქორწინო ლექსი წაგიკითხოთ“.

41) და დაიწყო. აი, თუ მეხსიერება არა მღალატობს, ეს ელეგიური მრჩობლედი:

მართლაც, რაოდენ მშვენიერია ღვთიური დედოფალი კლევანტიდე, არისტენეტის ჭერქვეშ ზრდილი სათუთობითა, აღმატებული სხვათა ქალწულთა: ელენეს მჯობი, თვით კითერაზეც უსათნოესი.

შენც გაგიმარჯოს, სიძვე ბატონო, დამჩრდილავო თანა აღზრდილთა, ულამაზესო ნერევესსა და თეტიდას ძეზე.

ჩვენ შევთხზეთ ახლა ჰიმნი ესე, საქორწინო და ორთავეს ერთად მრავალჯერ გიმღერთ.

42) ამ მრჩობლედსაც, ცხადია, სიცილი მოჰყვა. ამასო-ბაში ლანგრით მორთმეული კერძების განაწილების დროც დადგა. არისტენეტმა და ევკრიტემ აიღეს თავ-თავის მხა-რეს მოხვედრილი ნაწილი, მეც ჩემი ავიღე, სასიძო ქირევე-სმაც თავისი. მსგავსადვე მოიქცნენ პლატონიკოსი იონი და პერიპატელი კლეოდემე. დიფილეს კი სამართლიანად მიაჩნდა, უკვე წასული ზენონის წილიც მიეთვისებინა. ის ირწმუნებოდა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ მისთვის იყო განკუთვნილი. ამის გამო დიფილე, ზენონის მასწავლებე-ლი, მოსამსახურებთან ჩხუბში ჩაება. ისინი ჩააფრინდნენ დედალს, თავ-თავის მხარეს ენეოდნენ, თითქოს პატროკ-ლეს ცხედარი ყოფილიყოს და ერთმანეთს სტაცებდნენ. დიფილე დამარცხდა და ხელი უშვა დედალს. მომხდარმა მონადიმეებში ხარხარი გამოიწვია, უფრო კი იმიტომ, რომ დიფილე ისე გმინავდა, თითქოს უდიდეს უსამართლობას-თან ჭიდილში დამარცხებულიყოს.

43) ხოლო ორნი: ეპიკურელი ჰერმონი და სტოიკოსი ზე-ნოთემიდე გვერდიგვერდ იყვნენ მხართეძოზე წამოწო-ლილნი, როგორც ითქვა, ზემოთ – ზენოთემიდე, ქვემოთ კი – ჰერმონი. მათ ლანგარზე ყველაფერი ტოლ-ტოლად იდო და მშვედობიანადაც გაინაწილეს. თუმცა, ჰერმონის წინ დადებული დედალი უფრო მსუქანი აღმოჩნდა, რაც, ჩემი აზრით, შემთხვევით მოხდა. ყველას კი თავისი წილი უნდა აელო. ამ დროს ზენოთემიდე – ჩემი აზრით, ფილონ, ახლა მთელი შენი გონება უნდა მოიკრიბო, ვინაიდან უკვე ახლოს ვართ მომხდართაგან უმთავრესთან – მაშასადამე, რო-გორც გიყვებოდი, ზენოთემიდე მის წინ დადებული ქათა-მი დატოვა და ჰერმონის წინ დადებულს, როგორც წელან აღვნიშნე, უფრო წასუქს სწვდა. თავის მხრივ, ჰერმონიც დაებღვრია დედალს და თავისი კუთვნილის დათმობა არ ისურვა. ისინი ყვირილით დაენარცხნენ ძირს, ერთმანეთს

დედლებს სახეში ურტყამდნენ, შემდეგ წვერებშიც ჩააფრინდნენ ერთიმეორეს და თან ყვირილით უხმობდნენ მშველელს: ჰერმონი კლეოდემეს, ზენოთემიდე ალკიდანტსა და დიფილეს. ფილოსოფოსთაგან ზოგმა ერთის მხარე დაიკავა, ზოგმა მეორესი. გამონაკლისი მხოლოდ იონი იყო, რომელიც შუა კაცის ადგილს სიფრთხილით იცავდა.

44) ერთგუნდასავით ქცეული ჰერმონი და ზენოთემიდე კი კვლავ იბრძოდნენ. ზენოთემიდე არისტენეტის წინ მდგარ თასს დაავლო ხელი და ჰერმონს დაუშვა თავში.

„ნაკრავი გაუტყუდა, ისრებმა იცვალეს გეზი“ და სასიძოს თავი გაუშვეს ორად. ჭრილობა საკმაოდ გვარიანი და ღრმა აღმოჩნდა, რის გამოც ქალებში ნივილ-კივილი ატყდა. იმათგან ბევრი ფეხზე წამოცვივდნენ და ბრძოლის შუაგულს მიაშურეს, უფრო კი სასიძოს დედამ, რომელმაც შვილის სისხლი დაინახა. მისკენ გაიქცა საქმროს მდგომარეობით შემფოთებული საპატარძლოც. ამ განევ-გამონევაში დიდი მხნეობა კინიკოსმა ალკიდანტმა გამოავლინა. ზენოთემიდე მოკავშირემ კლეოდემეს კვერთხი უხეთქნა თავში, ჰერმონს ყბანი შეუმუსრა, ხოლო მსახურები, რომელთაც სურდათ ჰერმონსა და კლეოდემეს მიშველებოდნენ, დაჭრა. თუმცა ჰერმონი და კლეოდემე უკან დახევას სულაც არ აპირებდნენ, პირიქით: კლეოდემემ საჩვენებელი თითით თვალი გამოსთხარა ზენოთემიდე და კბილებით ცხვირიც კი მოაჭამა, ხოლო ჰერმონმა ზენოთემიდე მისამშველებლად მისულ დიფილეს ჩაარტყა თავში.

45) დაიჭრა გრამატიკოსი ჰისტიასიც, რომელსაც ხელჩართული ბრძოლის მონაწილეთა დაშორიშორება უნდოდა. მას კბილებში მოხვდა ნიხლი, მგონი კლეოდემესაგან, რადგან მან დიფილედ მიიჩნია იგი. საცოდავი ჰისტიასი კი ინვა ძირს და საყვარელი ჰომეროსის სიტყვებს იმეორებდა: სისხლს ანთხევდა ის...

გარდა ამისა, შფოთსა და ცრემლს მოეცვა ყოველივე: ქალები, რომლებიც ქირევსს შემოსჯარვოდნენ, ტიროდნენ, კაცები კი კვლავ მოჩხუბართა გაშველებას ცდილობდნენ. უდიდეს უბედურებას კინიკოსი ალკიდანტის ნარმოადგენდა. მან ყველა ხელის ერთი მოქნევით გააქცია, ურტყამდა ყველას, ვინც მოხვებოდა. მერწმუნე, ბევრი დაეცემოდა, ჯოხი რომ არ გადასტყდომოდა მოულოდნელად. მე კი, კედელსაკრული, ვხედავდი ყველაფერს და გრამატიკოს ჰისტიასის გამოცდილებით ჭკუნანასწავლი – თუ რაოდენ საშიშია ასეთი ცემა-ტყეპის შეჩერება – არაფერში ვერეოდი. თითქოს ფილოსოფოსებს კი არა, ლაპითებსა და კენტავრებს ვხედავდი. მაგიდეები ამოეყირავებინათ ჩემ წინ, სისხლი დიოდა, თასები მიმოქროდა.

46) ბოლოს კი ალკიდანტმა ჩირალდანიც გადააბრუნა. უკუნი სიბნელე ჩამონვა და ცხადია, ვითარებაც უფრო დაიძაბა. სხვა სინათლის მოტანა იოლი არ აღმოჩნდა. ამა-სობაში კი სიბნელეში საქმენი საგმირონი დატრიალდა. ხოლო როცა ჩირალდანი კვლავ შემოიტანეს, ალკიდანტს იმაში წაასწრეს, რომ მას ფლეიტაზე დამკვრელი ქალი გაეშიშვლებინა და ბეჯითად ცდილობდა მის დამორჩილებას. რიტორი დიონისოდორე კი სხვა საქმეში გამოიჭირეს: მას ილლიდან თასი ჩამოუცურდა, თავი კი იმით იმართლა, რომ თქვა: ეს თასი უნესრიგობისას პლატონიკოსმა იონმა იპოვა და მე გადმომცა შესანახად, რათა არ გამტყდარიყო. იონმაც კვერი დაუკრა, რომ ასე გულშემატკივრობისა გამო მოიქცა.

47) ამაზე დაიშალნენ მონადიმენი და ცრემლი მყის ალკიდანტზე, დიონისოდორესა და იონზე სიცილად ექცათ. ცუდ დღეში მყოფი დაჭრილი კი საკაცით გაიყვანეს. ორჯერ შავ დღეში კი მაინც მოხუცი სტოიკოსი ზენოთემიდე იყო. მას ერთი ხელი ცხვირზე წაველო, მეორე თვალზე მიფარებინა და თან ყვიროდა, რომ ტკივილები მოუღებდა ბოლოს. ეპიკურელმა ჰერმონმა კი – თუმცა ისიც საშინელ დღეში იყო – ორი კბილი ჩამეტვრიათ მისთვის – ზენოთემიდე სანინალმდეგოდ თქვა: „იქნებ დაიმახსოვრო, ზენოთემიდე, რომ არ არის დღევანდელი ტკივილი შენთვის უმნიშვნელო“. ხოლო სასიძო მას შემდეგ, რაც ექიმმა დიონიკემ ჭრილობები დაუმუშავა, სახლში თავშეხვეული იმ ეტელთი წაიყვანეს, რომლითაც მას თავისი საცოლე უნდა წაეყვანა. საცოდავმა მწარე ქორნილი გადაიხადა. დიონიკე სხვებსაც დაეხმარა, ცხადია, რამდენადაც შეეძლო. ასე რომ, დაშველებული დასაძინებლად წაიყვანეს. ბევრს გზაში აღებინებდა კიდეც. ადგილზე ალკიდანტისა დარჩა, ვინაიდან ვერაფერს შეძლო ამ გმირის დაძვრა მას შემდეგ, რაც ის საწოლზე გარდიგარდმო დაენარცხა და ჩაეძინა.

48) აი, ასეთი ბოლო ჰქონდა, ჩემო კარგო ფილონ, ამ ლხინს, თუმცა, იქნებ უკეთესი იყოს, მას ტრაგედიის სიტყვები დაეწერათ –

წერამწერალი ბევრ საკვირველს გვიგზავნის რამეს, ბევრ უცაბედსაც თვით ღმერთები აღასრულებენ და არ ახდება მათგან მრავალი, რაც მოიფიქრე და გადაწყვიტე –

ეს ამბავი მართლაც გაუთვალისწინებლად დასრულდა. თუმცა ის მაინც გავიგე, თუ რაოდენ სახიფათოა გამოუცდელი კაცისთვის ესოდენ განბრძობილებთან ნადიმი.

**ძველბერძნულიდან თარგმნა,
შესავალი და კომენტარები დაურთო
ქეთევან ჯარკვალიძე**

შენიშვნები თავების მიხედვით:

1) ფილონი და ლიკინე – ფილონი ისტორიული პიროვნებაა, რომელსაც მწერალმა მიუძღვნა ტრაქტატი „როგორ უნდა იწერებოდეს ისტორია“. ლიკინე კი არის ბერძნული ფორმა ლუკიანესი, რომლის შინაარსი აღნიშნავს ნათელს, ნათლიერს.

2) სიტყვა, უტკბილესი ნუგბარი – სიტყვასთან მსაზღვრელად სასიამოვნოს, ტკბილის, საამურის, თაფლის... გამოყენება ჩვეულებრივია ძვ. ბერძნ. მწერლობაში, მაგრამ სიტყვის საკვებთან გაიგივება და მისი ჭამის პროცესთან დაკავშირება მაინც პლატონისთვის არის დამახასიათებელი. სიტყვაში სასიამოვნოსა და სასარგებლოს შეთავსება – ეს ძვ. ნ.-ით მე-4 საუკუნეში რაციონალური კულტურის მოთხოვნაა ლიტერატურისადმი. ულკიანე ამ შემთხვევაში პლატონის გამონათქვამის – η τὰν λόγων ἐπιπίσις – სიტყვით დანაყრება – (გავიხსენოთ „მასპინძელ ექმენით სიტყვათა ჩემთა“ საბანისძე) ირონიულ ალუზიას მიმართავს.

3) მისტერიები – ეზოთერული (დახურული) საზოგადოების წევრებისათვის სავალდებულო საიდუმლო ნესები, რომელთა შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ეძღვნებოდა დემეტრას, დიონისეს, იზიდას, ატისს, კიბელას, მითრას, ნიშანდობლივი იყო ბევრი გნოსტიკური მიმდინარეობისთვისაც და ფართოდ გავრცელებული ელინისტური ცივილიზაციის ყველა ქვეყანაში, ბევრი არაფერი ვიცით. მოცემულ შემთხვევაში

მთავარია ავტორის სარკაზმი, რომელსაც ბაკური მისტერიები უბრალოდ ღვინის სმამდე დაჰყავს.

6) „დანა“ თუ „მახვილი“ – ძვ. ბერძნ. ენაში სიტყვა ο κοιλί ნიშნავს დანას, მახვილს, ხმალს, ხოლო ἡ κοιλί – მოლაყბეს.

ეპიკურელი – აქ ლუკიანე ხაზს უსვამს მისი თანამედროვე სწავლულთა წრის ერთი ნაწილის უარყოფით დამოკიდებულებას ეპიკურეს მოძღვრებისა და მისი მიმდევრებისადმი. ეპიკურეს განმარტებელთ მიაჩნდათ, რომ მან ადამიანებს ყველაზე უხეში მატერიალიზმი შესთავაზა გადასარჩენად. მატერიალიზმი მუცლისა, ღმერთების ზიზღი, რომ მან სამყაროს აჩუქა „ლორების სკოლა“. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ არც მადიდებელი მოპყლებია მის პროვინციასა და სწავლებას, მაგ. ლუკრეციუსი („საგანთა ბუნებისათვის“).

9) ეპიკურელი ქურუმი – რომის იმპერიისთვის ნიშანდობლივი იყო სინკრეტიზმისა და შეუთავსებელთა შეთავსებისაკენ სწრაფვა. ეპიკურელი ქურუმი სწორედ ამ შეუთავსებელთა შეთავსების მშვენიერი მაგალითია.

10) მუზათა ტაძარი – როგორც ხატოვანი თქმა, ეკუთვნის პლატონს. შემდგომ იყენებდნენ ზოგადად ხელოვნების სკოლის აღსანიშნავად. ესეც ირონიაა, ვინაიდან ლუკიანე ამ გამოთქმით გულსხმობს არა პელიკონის მუზათა ტაძარს ბეოტიამი, არამედ „მუსაიონს“, ეგვიპტის ალექსანდრიაში პტოლემეაისთან მიერ დაარსებულს.

12) აი, გამოჩნდა მენელაოსი... „ილიადა“ (მე-2, 408). ამ სიტყვებს პლატონის „ნადიმში“ ამბობს სოკრატე, როცა ის მეგობარს სტუმრად ვახშამზე წასვლას დაუპატიჟებლად სთავაზობს. კინიკოსი ამ შემთხვევაში სხვის მახვილსიტყვაობას მიმართავს.

„თუმც ვერ მოუხდა მართებულად“, „ილიადა“ (1-ლი, 24).

13) ძონისფერი ქსოვილი – ფინიკიელთა მიერ მიღებული ძონისფერი საღებავის წარმოების უფლება რომის იმპერიაში სახელმწიფოს მონოპოლია იყო. ამ ფერისა და მისი ტონალობების მატერიათა მომხმარებელიც ძირითადად საიმპერატორო კარი გახლდათ. ნერონის განაწესის მიხედვით, ძონისფერთა და, ამასთან, ოქროსფერი სამოსით შემოსვა არასაიმპერატორო პერსონას ეკრძალებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაისჯებოდა როგორც შეთქმული. ნერონის ეს განაწესი ქრისტიანობის მიღების შემდეგაც ნორმად დარჩა. გაიხსენოთ კონსტანციუსისა და იუსტინიანეს საიმპერატორო კარის სქემატიზება, „ძონითშობილობის“ პრესტიჟი; „ვეფხისტყაოსნიდან“ კი – „ძონეულით მოსილი“ და „პირ-ოქრო რიდეთი“ დამშვენებული ავთანდილი (სტრ. 74). ავტორი მკითხველში აცოცხლებს სახელმწიფოში პლატონის ფილოსოფოსი-მმართველის იდეასა და ნერონის განაწესს და დასცინის მათ.

იდაყვს დაყრდნობილი პერაკლე – გმირის გამოხატვის ეს უძველესი ფორმა ქართველ მკითხველს, ალბათ უცხო მოყმესა და ბარათაშვილის საკაცობრიო ფიქრებით გულშემძრულ ლირიკულ გმირს გაახსენებს, რომელიც მტკვრის დუღუნს იდაყვდაყრდნობილი უგდებს ყურს.

14) ოქრო და ვერცხლი – რომის იმპერიის პერიოდში ამ ძვირფასი მეტალების გამოყენებამ ყოფით ცხოვრებაში არნახულ მასშტაბს მიაღწია. ასე რომ, კინიკოს ალკიდამანტის პოზიცია ემთხვევა ამავე პერიოდის ისტორიკოსთა წუხილს ამ მეტალების ბოროტად გამოყენების გამო.

15) ორი დრაქმა – ინტიმური მომსახურების გასამრჯელო, მაშინდელი ნიხრით.

17) ჰესიოდე (ძვ. წ. მე-8 საუკუნე) – უსიუფეტო, სამომღვრებო ეპოსის ფუძემდებელი; ანაკრონტი (ძვ. წ. 570-478) – ლირიკოსი, მოღვაწეობდა ტირანების კარზე. სიყვარულის, ღვინისა და ნადიმების პოეტი; პინდარე (ძვ. წ. 522-446) – სპორტულ ასპარეზობებში გამარჯვებულ არისტოკრატთა მეხობზე, მითოლოგიური თხრობისა და აფორისტული სიბრძნის შემართებელი პოეზიაში. ამ შემთხვევაშიც ხაზგასმულია შეუთავსებელთა შეთავსება.

ციტატები „ილიადადან“ (მე-4, 447, 450).

18) თავკოტორა – ადრიაწეს დროიდან კონსტანტინე დიდადმე (მცირე დროითი მონაკვეთების გამოკლებით (კარაკა-ლა, პელიოგაბალის მმართველობის პერიოდი) მოდამი იყო მოკლედ შეჭრილი, დახვეული თმა და გრძელი წვერი. მე-5 საუკუნის ლექსიკოგრაფის, ჰესისიას ალექსანდრიელის განმარტებით, სამართლებლით თავგადაპარსულ ვარცხნილობას სპარსეთში გააზიზებული ადამიანები ატარებდნენ. მას „ბალი“ ერქვა.

19) მალტური ძაღლი – კუძულ მალტაზე საგანგებოდ მაღალი წრის ქალბატონთა გასართობად გამოყვანილი მომცრო ტანის ჯიშის ძაღლი.

ადრასტეას რისხვა ნუ მომეცემა – ადრასტეა – „გარდაუვალი“, „უცილობელი“ – ამ ფრიგიული წარმოშობის ღვთაებას ორფიკოსები, პლატონი და მოგვიანო პერიოდის ეპიკოსები შურისძიების ქალღმერთ ნემზიდასთან აიგივებდნენ. ადრასტეა განაგებდა აგრეთვე სულთა მიმოქცევის მიზანდასახულობას.

რა არის ფილოსოფია? ამ საკითხის შესახებ არ იყო ერთიანი აზრი არც ძველბერძენ და არც რომის იმპერიის დროს მოღვაწე სწავლულთა შორის. ერთნი ფილოსოფიაში სამყაროს მოწყობის თეორიულ გეგმას ხედავდნენ, მეორენი კი – პრაქტიკულ ცხოველქმედების საყოველთაო წესს. პითაგორადან არისტოტელეს ჩათვლით და შემდგომ შუა საუკუნეებშიც ცოდნის უმაღლეს და უკეთილშობილეს იდეალად მაინც გონების მჭვრეტელობითი უნარია აღიარებული. ადამიანის მოღვაწეობის ეს ორი გზა ქრისტიანობამ ხატოვან-ალეგორიულად ასე გადაიზარა: მარიაში – მართა (ლუკა, 10, 41-42), რაქელი – ლია (დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, სალხინებელი, 27-ე, 97-108), სანთელი – თაფლი (დანტე „ნადიმი“, მე-4, მე-17, 10-12).

სილოგიზმები – ლოგიკური დასკვნები, რომელნიც დედუქციის გზით ზოგადიდან კერძოს გამოყვანის შესაძლებლობას იძლევიან. სილოგისტიკის ფუძემდებლად ითვლება არისტოტელე. ზემოხსენებული სოფიზმები უაღრესად პოპულარული იყო მაშინდელ საზოგადოებაში.

რქები – რაც არ დაგიკარგავს, ის გაქვს. რქები არ დაგიკარგავს, მაშასადამე, შენ ისინი გაქვს.

გროვა – შენ თუ ყორედან სათითაოდ აიღებ ქვას, მაშინ ყორე აღარ იქნება ყორე.

მომმკელი – ფილოსოფოსი ეუბნება მომმკელს, რომ მას არ შეუძლია მომკას თავისი ყანა. მომმკელის შეცბუნებულ კითხვას ფილოსოფოსი პასუხობს: „შენ შეგიძლია მომკა, ან არ მომკა შენ ყანა. თუ მომკი, მაშინ ველარ შეძლებ მომკა, ან არ მომკა ზუსტად ასევე იქნება, თუკი მეორეს აირჩევ და არ მომკი, შენ ველარ შეძლებ მომკა, ან არ მომკა, ასე რომ, შენ საერთოდ ვერ მომკი ყანას“. პასუხის მაგივრად მომმკელი იღებს ნამგალს და მკის ყანას.

მშვენიერების სიკეთედ მიჩნევა – ლუკიანე მიანიშნებს კვლავ პლატონის მოსაზრებაზე, რომ მშვენიერება სიკეთის ნაირსახეობაა, რასაც სტოიკოსებიც იზიარებდნენ.

25) ოინევის ამბავი, გაიხსენე „ილიადა“, თავი მე-9, 538.

ქვეყანა კალიდონისა – ფრავემენტი ვერაპიდეს მოუღწეველი ტრაგედიიდან „მელეაგრე“.

ურჩხული ტახი – ფრავემენტი სოფოკლეს მოუღწეველი ტრაგედიიდან „მელეაგრე“.

26) მრავლისაგან მცირედი, ფრიაღლისაგან მცირედი – ძველბერძნული რიტორიკის ერთ-ერთი ხერხია, რომელსაც ქართველი ჰაგიოგრაფებიც ახსენებენ და იყენებენ კიდევ. მაგ. გიორგი მერჩულე, ბასილი ზარზმელი, გიორგი მთაწმინდელი, გიორგი მცირე.

30) ქრისიპე (ძვ. წ. 280-240) – სტოიკოსი. მან შექმნა ბუნებასთან პარამონიაში მცხოვრები უაფექტო, სულიერად განონანსნორებული და ბედნიერი ბრძენის მოდელი. უმთავრეს ფილოსოფიურ დისციპლინად თვლიდა ეთიკას.

კლევანთე (ძვ. წ. 330-230) – ზენონ კითიონელის მოწაფე. ზენონის შემდეგ ის ჩაუდგა სტოიკოსთა სკოლას სათავეში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თეოლოგიას.

ზენონ კითიონელი კუნძულ კვიპროსიდან (ძვ. წ. 335-262) – კრატეტ თებელის ნამონაფარი, რომლის ფილოსოფიური სისტემა დამყარებული იყო როგორც სოკრატულ-კინიკურ შეხედულებებზე, ასევე ჰერაკლიტეს ფიზიკასა და არისტოტელეს ლოგიკაზე.

პეტია – კრონოსისა და რეას ასული. მარადიული ცეცხლის, დასაბამის მფარველი, ღმერთთა სამყაროს, ადამიანთა საზოგადოებისა და თითოეული ოჯახის გამამთლიანებელი, უწყვეტი წესრიგის სიმბოლო.

32) სწავლებაში გასამრჯელოს აღება პირველად პირველი სოფისტიკის წარმომადგენლებმა შემოიღეს.

34) საკუთარი ცხოვრების უკეთესად მოწყობა – ესეც სოფისტური იდეაა. ძველბერძნულ სამყაროში ისინი პირველნი შეეცადნენ თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ცხოვრებასთან მორგებას და წუთისოფლისაგან პირადი სარგებლის გამოსურვას. ადამიანთა მთელი საზოგადოების უკეთესად გარდაქმნა ფილოსოფოსის მიერ და ღვთის სათნოდ ცხოვრება კი გახლავთ პლატონის იდეა.

39) სულის უკვდავება – ძველბერძნულ ფილოსოფიურ სისტემებში სულს მატერიიდან არ განაცალკევებდნენ. ადამიანის

სულის რაობა გაიგივებული იყო მსოფლიო მამოძრავებელ ძალასთან (ცეცხლთან – ჰერაკლიტე, ლევიკზე; ჰაერთან – ანაქსიმენე). პითაგორელებს სული რიცხვად მიაჩნდათ და მას მატერიისაგან გამოყოფდნენ. პლატონის თანახმად კი, სულს უკავია შუალედური პოზიცია იდეების სამყაროსა და ქვემოთ ცვალებად სამყაროს შორის. მას აქვს გონი, გრძობა და არის უკვდავი. არისტოტელეს მიხედვით კი, სული სისხლში აღწევს განმაცხოვრებელი მობერვით და მის სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს გონება. ასე რომ, მართალია, ძველბერძნული სამყარო იცნობდა ინდივიდუალური სულის უკვდავების იდეას, მაგრამ საყოველთაო სულის უკვდავების იდეა უცხო იყო მისთვის.

44) ციტატა „ილიადადან“ (თავი მე-11, 233).

45) საყვარელი ჰომეროსის სიტყვები, „ილიადა“ (თავი მე-15, 11).

48) წერამწერალი ბევრს საკვირველს გვიგზავნის რამეს – გუნდის ამ სიტყვებით მთავრდება ევრიპიდეს ტრაგედია: „ალკესტიდა“, „ანდრომაქე“, „ბაქხი ქალები“ და სხვა. ქართულად გვაქვს „ბაქხი ქალების“ შესანიშნავი თარგმანი, შესრულებული ბატონების გ. სარიშვილისა და ზ. კიკნაძის მიერ. მაგრამ ვინაიდან ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტის ქართულ ვარიანტში მოხსნილია წინააღმდეგობა ღმერთსა და დემონებს შორის, ჩვენ უპირატესობა ჩვენეულ თარგმანს მივანიჭებთ.

აკისტოლა

ვისაც მწერლობა გვიყვარს

*

ლია ბარათი ზვიად კვარაცხელიას

გამარჯობა ზვიად,

მივიღე შენი ღია ბარათი („გულს გული იცნობს“, „ჩვენი მწერლობა“, 2007, 10) ლამაზად დაგმასხოვრებია 2004 წლის აგვისტო გრიგოლეთში, ახალგაზრდული დღეები და ჩვენი შეხვედრა, ქართულ ლიტერატურაზე საუბარი. „მეტად ჩვენი მწერალი“ – ამბობ ოთარ ჩხეიძეზე. სწორედაც!

მისი შემოქმედების ცოდნა და სიყვარული რომ შეგინიშნე, დიდად გავიხარე, და იცი რატომ? ოდესღაც ბატონი ოთარისათვის უთქვამთ: თქვენს წიგნებს ვერ ვგებულობთო.

არა უშავს, მოვა დრო და გაიგებენო, – უპასუხია მწერალს.

და აი, როცა შენ შეგხვდი, სრულიად ახალგაზრდა ყმანვილს, რომელმაც მითხარი, IX კლასში რესპუბლიკურ ტურზე ოთარ ჩხეიძის სტილზე დავეწერე თემაო, მივხვდი, ეს დროც მოსულა. უფრო მალეც მოსულა, ვიდრე ზოგს ეგონა.

შემთხვევითი არ არის, ბარათით რომ შემეხშიანე. ესეც დრომ მოიტანა. იქნებ ეს მისია ნაწილობრივ ჩვენც გვაკისრია – დიდი მწერლის, ცამდე მართალი კაცის შემოქმედებას ვაზიაროთ გარშემო მყოფნი, ჩვენი ახალგაზრდობა, როგორც თავის დროზე ჩვენ გვაზიარეს. არ ვიცი,

შენში ეს დიდი მადლი ვინ ჩადო, მე კი დღემდე ვლოცავ ან განსვენებული, ჩემი ძვირფასი პედაგოგის – რეისორ ბექარ მეძმარიაშვილის სულს, რომელმაც რეჟისურაში ფეხი ოთარ ჩხეიძის დრამატურგიით აგვადგმევინა.

ჩვენც გადავუშალოთ ახალგაზრდობას მისი „თედორე“ – „ბევრი ადათი შეიბლაბა, შეირყა ერი, სული შეძრწუნდა დაინენა და დაიშალა“.

„ამოტ დიდი კურაპალატი“ – „ამკლები ბევრი დათარეშობს, წახდა ქვეყანა. მკვლელობა, ძარცვა, ყაჩაღობა სენად მოგვედო.“

„კარისკაცები გამდიდრდნენ და აღარ იციან სად რა წაიღონ, სად რა დაფლან სად დააბანდონ“.

„ხალხს გაუჭირდა, ხალხი დტრვინავს, ხალხი აღსდგება!“

„ბორიაცი“ – „სად არის გმირი? გმირები უნდა ქვეყანასა და ლაჩრებს შესჩეჩებიათ ბედი ერისა!“

საგანგებოდ აღარც ჩავხედე ციტატებისათვის და მეხსიერებას ვენდე.

თურმე გახსოვდი, არც მე დამვიწყებიახარ და ძალიანაც მიემიანებოდი. მიხარია, რომ შენც შეხვედი იმ ტაძარში, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება რომ ჰქვია და რაღა შეუშლის ხელს ბორჯომისა და ზუგდიდის ლიტერატურული კლუბების დამძობილებასაც.

მერე სხვა კუთხეებსაც შემოვუძახოთ, და ასე ლიტერატურაზე შეყვარებული ახალგაზრდებით გავერთიანდეთ. საქართველოს მშობლიური ლიტერატურის, კულტურის გააზრებით ცოდნა და სიყვარული გადაარჩენს.

თუ ვინმე დადის ამ ქვეყანაზე, ვისაც ჩვენსავით უყვარს ქართული მწერლობა და ჭეშმარიტი ქართველი მწერლები, შემოგვიერთდეს.

მარინე გელაშვილი

მურმან ჯგუბურია

მოქლვარი

ანუ

ცოტა რამ სულიერი

სარჩო-საბადებლის შესახებ

ბატონი ოთარ ჩხეიძის ენა მკითხველის დამმოდღერელია. მწერალი არ წერს იმ ენაზე, რაც იცის მკითხველმა. მკითხველს რომ ისე ესმოდა, ენის შინამო-ბუნება, როგორც მესიტყვეს, მაშინ მწერალი რატომ შექმნიდა აუარება ნაწარმოებს, აუარება შედეგს.

მწერალი იგია, ვინც არ წერს ისე, როგორც წერდნენ სხვები, როგორც წერენ, და მკითხველს აიძულებს, ისე ილაპარაკოს და იაზროვნოს, როგორც ეს ნებას თავად მესიტყვეს, მოძღვარს (სხვა საქმეა, მიჰყვება თუ არა მკითხველი (შეგირდი) ოსტატს, მოძღვარს, მაგრამ, თუკი მიჰყვა და იგუა მისი შეგირდობა, მათი ურთიერთობა ატომითაც კი არ გაიხლიჩება).

ძნელია შეგირდობა.

ძნელია სხვისი აზრის მიყოლა-ერთგულება.

იოლია საკუთარი აზრის მიყოლა-ერთგულება.

ძნელია ეს ნორჩი მკითხველისთვის, ნორჩი შეგირდისთვის. მით უფრო ძნელია იმ ყაიდის მკითხველისთვის, რომელსაც უკვე ასაკში აქვს ფეხი შედგმული და გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება გააჩნია.

მიჩვეულს ნუ გადაჩვევო.

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.

ოთარ ჩხეიძის მკითხველს დიდი უნარიანობა და სიყვარული ჰმართებს ტექსტისადმი, დიდი გულმოდგინება, და, ცხადია, დიდი შრომა, რადგან ეს ტექსტი ძნელად თუ მივა მკითხველთან თავისით.

მწერალი მკითხველთან დებს ხელშეკრულებას, – აი, რა მაქვს მე, ეუბნება მას, და თუკი შენ შეგიძლია, მომყევი და ვნახოთ ის, შევიცნოთ ის, რაც მე ვნახე და შევიცანი, ან: არცა მაქვს ნანახი ჯერჯერობით და ვნახოთ ერთად, შევიცნოთ ერთად, მოვიაროთ ჩვენი სოფელი და ქალაქი, ჩვენი მამაპაპისეული მამული, ჩვენი საკარმიდამო ადგილები, ვნახოთ და შევიცნოთ ჩვენი თანამედროვე ადამიანები: რითი სუნთქავენ და ცოცხლობენ, რა უჭირთ, რა ულხინთ, რა ფიქრებსა და საქმეებში არიან გართულნი.

ერთად ვნახოთო, იმიტომ ეუბნება, რომ ასეთი შთაბეჭდილება რჩება მისი ნაწარმოებების კითხვისას, – მწერალი აგერ ახლა, ჩვენს თვალწინ ქმნის და ხატავს გარე-

მოსა და ადამიანებს, – ჯერ მან თავად არ იცის თითქოს, რას გვეტყვის შემდეგ გვერდზე, მომდევნო გვერდზე და რას დანერს, ვითარება გვიჩვენებს, რა როგორ განვითარდება, საით წავა სიტყვის ღარი და რარიგად წაეცხება გარემო-სურათებსა და ადამიანთა პორტრეტებს, რა ფერებსა და საღებავებში გაახვევს მათ...

მაგრამ ძნელია მისი შეგირდობა: დიდი დრო უნდა გქონდეს, მწერალს რომ მხარი აუბა. ამიტომაც, მკითხველი არ მიჰყვება მოძღვარს, ეწინააღმდეგება, ცოტაზე გაჰყვება ხოლმე, ერთი ცახე ადგილების დასახელებად, დიდი-დიდი, ერთ ოჯახში მიჰყვება, ერთ სოფელში, ერთ ქალაქში, მაგრამ შორ გზაზე არ შეუამხანაგდება, ამერ-იმერს ვერ მოივლის, ცას და მიწას ვერ მოივლის მწერალთან ერთად, მოძღვართან ერთად, ძნელია და იმიტომ.

ეტიუდების ჩაკითხვას კი მცირე დრო უნდა, თან მკითხველს, ეჩვენება, რომ ეტიუდების ენა უფრო მსუბუქია და მარტივი, გასაგები, ადვილად აღსაქმელი. ეტიუდების დონეზე მიჰყვება, ცხადია, მაგრამ შორეთში – არა, ტყეში არ მიჰყვება, დრო ცოტა აქვს, შემოალამდება, ადამიანი წყალი ხომ არაა, ყურუმ ღამეებში საშიში ადგილები არ მიატოვოს, შინ უნდა გაბრუნება. რამდენ რამეს უნდა მოავლოს თვალი ამ გზობას, რამდენ რამეზე უნდა დაფიქრდეს. – არ უნდა ეს მკითხველს, ჯერ არ უნდა, ცხადია, დრო არა

აქვს. ეგების კიდევაც მოიცალოს ოდესმე, ვინ იცის, მაგრამ, ჯერჯერობით ეტიუდების დონეზე წყდება მათი ურთიერთობა.

ეტიუდი – თოხია, ბარი, ცელი, სახნისი, საკვეთი, აივანი, მანდალიონი, საწვეთელი, მაგრამ არაა ყანა, ვენახი, სახლი, ცისქვეშეთი...

არ ვიცი, ვის როგორ, მაგრამ მე, ახლა, ამ წუთას, ამ სიტყვებს რომ ვწერ, ბატონი ოთარ ჩხეიძე ანუ მოძღვარი ჩვენი, სხვა სივრცეებიდან მოვლენილად მესახება, და ნელ-ნელა სწორედ იმას ემგვანება, ვისზედაც შეიძლება გაიფიქროს მკითხველმაც, –

და მიდის აგერ, მიდის, წინ მიაბიჯებს, მიგვიძვება, უკან მონაფეები მიჰყვებიან. მცირენი არიან მონაფეები, უკან რომ მიჰყვებიან, –

**ხოლო ჩიტები ფეხით მიდევენენ,
ხან კი ჟივჟივით უვლიდნენ ირგვლივ...**

ზოგი მათგანი გვერდითაც კი ამოუდგება ხოლმე, გზა შორია და დამლელი, თან სიტყვის გაცვლაც აუცილებელი შეიქნება, და მაშინ გაუსწორდება ხოლმე რომელიმე შეგირდი, – მკითხველი, თითქმის გაუსწორდება, და ისინი სიტყვასაც გაცვლიან ერთმანეთში, შეგირდი კითხავს რამეს, მოძღვარი – უპასუხებს. თან მიდიან, მიდიან, გარემო-სანახებიც რომ იმ კურთხეული ადგილების მსგავს-



ოთარ ჩხეიძე

სია თავისი ლანდშაფტით, – გორაკებიანი, ტყიანი, წყლიანი ადგილები, – მოძღვარი უპასუხებს შეგირდს, განუმარტავს განსამარტებელს, და მიდიან ისინი, არ ჩერდებიან, სიარულში შეისვენებენ, ნაბიჯს შეანელებენ, სიარულს დაითმენენ, მაგრამ არ შედგებიან, რადგან წინ დიდი გზა უდევთ, დიდი საქმეა გასაკეთებელი, წინ – მთელი ცხოვრებაა, თავისი ავან-ჩავანით, სწორით და მრუდით, დღითა და ღამით, – მოძღვარს ფაფარი აყრია მხრებზე, თეთრი, სპეტაკი, თოვლივით ქათქათა, ფაფარს ქარი არხევს, შეუბერავს და აწეწავს, როგორც ტალღას, აქოჩრავს; ჩადგება ქარი და გადაეფინება ფაფარი მხრებზე, და მიდიან ისევ წინ, ცხოვრებისა და განგების გზაზე.

ეტყუდების სიბრძნე იგავების სადარი სიბრძნეა, დასკვნები რომ ახლავს სათანადო და საგულისხმო, ჭკუის-სასწავლი.

მსგავსი სიბრძნითაა სავსე ოთარ ჩხეიძის ესეები, მოგონებანი, ლიტერატურული პორტრეტები, ჩანახატები, ესკიზები.

ესენი თითქოს ლექსებია.

ხოლო რომანები – პოემები.

ახლა ვინ წერს პოემას? ან ვინ წაიკითხავს? აი, მიზეზი შეგირდთა და მკითხველთა სიმცირის. ლექსი კი იკითხება. გადაიკითხავ და მორჩა. აზრიც მალე გამოიტანება. რომანის წაკითხვა ძნელია. ძნელია პოემის წაკითხვა („Поэма первая любовь“).

მაგრამ, რატომ იწერება მაშინ ამდენი რომანი-პოემა, ამდენი რომანი-პოემა-ტრაგედია, – ამბავი ჩვენი და ჩვენი დედა-სამშობლოს ცხოვრებისა. მატთანე ჩვენი აწინდელი ყოფიერებისა? სამერმისოდ? საროსლოდ? სამერმისოდ? როცა ადამიანს მეტი დრო ექნება, რომ ჩაუჯდეს წიგნს და თავიდან ბოლომდე წაიკითხოს. ამ უდროობაში კი ძნელია რომანის წაკითხვა. გადახედვა არის ადვილი. სათაურის დამახსოვრება და მერე სადმე საუბარში ჩართვა, ჩაკერება, რომ ესა და ეს რომანი გაქვს წაკითხული, მაგრამ, ცხადია, არ წავიკითხავს, ვერ წავიკითხო, როგორც მრავალი აღიარებს, მისი სირთულე-სიძნელის გამო. მისი სრულობის გამო. და კიდევ რამდენი რამისა და მაგრამის გამო, – ელიოტი წერს, რომ პოეტს ერთი ნამდვილი მკითხველი ეყოფა. რალა ელიოტი, განალა ჩვენი ტიცინიცი ამასვე არ ნატრობს:

ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება და ეს ეყოფა გამოსარჩლებად?..

თან როგორ ნატრობს, გულზე მოხვდებაო (და არა მოხვდაო), ოდესმე, ჩემს შემდეგო, როცა არ ვიქნებო, ალბათ ამას გულისხმობს, ხოლო ელიოტი აწვითარებს თავის პირვანდელ აზრს და ამბობს, ცოტა მკითხველი სჯობიაო, ბევრი მკითხველი არ ვარგა და საშიშიაო, მკითხველისა და მწერლის დონე ერთმანეთს უთანაბრდებაო, – რა მწერალი, რა მკითხველი, – ერთმანეთის ტოლი და სწორი გამოდიანო, როცა ერთმანეთის ესმითო, – მწერალი იღებს და აძლევს მკითხველს სარჩო-საბადებელს, იმას, რაც მას სჭირდება ამჟამად, ამ წუთას, მაგრამ სულიერ სარჩო-საბადებელს თურმე არ აძლევს. ამას დრო უნდა, შეგირდობა უნდა.

ტრაგედია კი ამგვარია:

მოძღვარი აგერ, ახლა ქმნის და ცოცხლობს, შეგირდი კი, მირიადი და მირიადი ქართველი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მოვლენ შემდგომში და გასინჯავენ ფუტკრის ნაყოფს, პირს ჩაიტკბარუნებენ, ანდა სანთელს აინთებენ და გზას გაიგნებენ.

მწერალს ერთადერთი სანთელი უნთია და ამ ერთადერთი სანთლიდან აინთება მირიადი სხვა სანთელი.

ჩამქრალი სანთელით მივალთ და მოვუკიდებთ იმ სანთლიდან და სანთელს ანთებულს გზის მანათობლად წავიმძღვარებთ, ზოგს რომ დღისითაც კი დაჰქონდა, და ღამეს გავინათებთ, გულს და სულს გავიმზიანებთ და შეეუდგებით მართალ გზას, – ჩვენამდე რომ მოძღვარმა გაიარა.

მარტოკამ გაიარა.

ქართველი კაცი ბუნებით ინდივიდუალისტია. გავლენას არ ემორჩილება. თავისი ხმა აქვს. თავისი ენა. თავისი მსოფლმხედველობა.

ასე ითქმის, საერთოდ, ქართველ კაცზე, მაგრამ ასე ითქმის, უწინარესად ქართველ შემოქმედზე, მესიტყვეზე, მოძღვარზე.

მოძღვარი, უმეტესად, მარტოა.

ცოტა შორიდან რომ დავიწყოთ, მარტო იყო რუსთაველი (მარტო რომ არ ყოფილიყო, საფლავი მაინც გვეცოდი-ნებოდა).

მარტო იყო გურამიშვილი.

მარტო იყო ბარათაშვილი.

მარტო იყო მართალი ილია.

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი, ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო, რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში, კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო!..

მარტო იყო ვაჟა.

მარტოა ფიროსმანი (გავიგეოროთ: მარტო რომ არ ყოფილიყო, მისი საფლავი მაინც გვეცოდი-ნებოდა).

მარტოა გალაკტიონი, ნიკო სამადაშვილი, ტერენტი გრანელი.

და მე ასე მიხარია სიჩუმე და სიმარტოვე.

მარტოა ანა კალანდაძე.

მარტოა ოთარ ჩხეიძე.

მარტოა მუხა (მინაზე), არნივი (ცაში).

უფრო აქეთ: მუხრან მაჭავარიანი, ერთი პირობა, თითქმის გახალხურდა, ბევრი მკითხველის დონემდე დავიდა, და ეს რომ იგრძნო, პოეტი განმარტოვდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ განმარტოვდა მისი სათქმელი, მისი პოეზია, არადა, შემოქმედის ოცნებაა ქმნიდეს არა თანამედროვე-თათვის, არამედ – მომავალი თაობებისათვის.

მაგრამ, თავი გავანებოთ მოძღვართ, რა გვიშლის ხელს ჩვენ, შეგირდებსა და მკითხველებს მაინც, რომ ერთად ვიყოთ, გავუგოთ და შევისმინოთ ერთმანეთი?

მოძღვარი ხომ საკუთარი თავისთვის არ ზრუნავს, იგი მუდამ იმაზეა გამეცადინებული, რომ ჩვენ გავუგოთ ერთმანეთს, შევიწყნაროთ ერთმანეთი, შევიყვაროთ ერთმა-

სილუატი

ნეთი, საქართველო შევიყვაროთ, დედაენა შევიყვაროთ, ავი განვაძოთ და კარგი შევიტკობოთ, ნავიდეთ ეკლესიაში და ვილოცოთ, მოვინანიოთ.

ეკლესია – წიგნია.

ნავიდეთ წიგნში და ჩავეფიქრდეთ წიგნს. შევიცნოთ წიგნი და შევარგოთ წიგნი. შევჭამოთ წიგნი და დავლიოთ წიგნი.

გავიგონოთ მისი ქართული და შევიყვაროთ მისი ქართული.

„ხოლო ენას რაც შეეხება. ქართულ ენასა. გამარტივდეს. მითუკეთესიო. თუ უნდა გეთქვა: მაჟროლებს და

ტანში მზარავსო – იტყვი: ტანში პრობლემები მაქვსო. მორჩა და გათავდა...“

და რომ არ მორჩეს და არ გათავდეს, ამიტომ ქმნის მოძღვარი ახალ განძეულს, სალაროს, უშრეტსა და ამოურწყავს, ახალ-ქართულს, რა ქართულსაც ვერ ვიგემოვნებთ ჯერხნობით შეგირდები.

საქმის დასაწყისი საქმის ნახევარიო, გვეუბნება ჩვენებური, ჭკვიანი ანდაზაა. იცის რა ნაცარქექებიც ვართ, და გვანამუსებს, იქნება შევეუდგეთ საქმეს. კითხვაც – საქმეა!

შევეუდგეთ კითხვას.

კრიტიკა

ნინო ვახანია

გამარჯვება საკუთარ თავზე

„ყოვლად მხეცობა მტრისა, ყოვლადვე სისრულე და სავსება ქართველებისა, ბავშვური წადილია... ქვეყანაზე არ არის იმისთანა ერი, რომ მიწყული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი“ (ილია). დღეს ბოროტების, სისასტიკის, დაუნდობლობის სიმბოლოდ ქცეული აფხაზი ერთ დროს სიდარბაისლის, ზრდილობის, კეთილშობილების აღმნიშვნელი ცნება იყო.

როცა წყენა და სიბრაზე ჯერ არ განელეზულა, როცა დაუმსახურებელ უმძიმეს სასჯელს იხდი (ჯერჯერობით – გაურკვეველი დროით), ძნელია, მჩაგვრელის სიკეთეზე, მტრის კეთილშობილებაზე იფიქრო, ისაუბრო, წერო. ძნელია, მაგრამ მწერლის მოვალეობაა ავისა და კარგის გარჩევა, უხილავის დანახვა, შეუმჩნეველის შემჩნევა.

სერგო წერწეშია წიგნში „დამსხვრეული ცის ბინადარი“ შესანიშნავად ახერხებს მართლად, დამაჯერებლად, ფსიქოლოგიური სიზუსტით დაგვიხატოს მოსისხლე მტრებად ქცეული მოყვრების ომისდროინდელი ურთიერთობა. გვიჩვენოს მონიშნულმდეგის საუკეთესო თვისებები, სისხლისღვრის დროს გამოვლენილი ადამიანური სიკეთისა და სიყვარულის მაგალითები. თანაც ისე, რომ ოდნავადაც არ უღალატოს სიმართლეს და ამით მკითხველი არ გააღიზიანოს. ეს ბენვის ხიდზე სიარულს უდრის. საბედნიეროდ, მწერალი შესამურ წონასწორობას ინარჩუნებს, ამიტომაცაა მყარი და სანდო მის მიერ მკითხველის გულისკენ გადებული ხიდი.

„ხიდი“ – სწორედ ასეა დასათაურებული კრებულის პირველი მოთხრობა, სადაც რეალური, სინამდვილეში მომხდარი ამბავია მხატვრულად განზოგადებული (როგორც ავტორი გვაუწყებს, აფხაზი კაცის, ასლან გუაჟბას მონათხრობს ემყარება). ეს იქნებ ლიტერატურული მისტიფიკაციაა და სიუჟეტი – მთლიანად გამოგონილი. ოლონდ ისე, სავსებით რომ აირეკლავს დროის, გარემოების, სინამდვილის სულს.

აფხაზთა რაზმის მეთაურმა პატარა ქართველი ბიჭუნა გადაარჩინა. ჭურვი და ყუმბარმტყორცნი მტრის გასანადგურებლად რომ ჰქონდა მზად, საზეო საქმის სამსახურში ჩააყენა. სიკვდილის შიშით თავგზაბუნეული ქართველები შეაჩერა, მარტო გუმისთის ხიდზე კი არა, ცხოვრების გზაზე შეაჩერა, უკან მოახედა, დააფიქრა და დაანახა ადამიანური სულის სიძლიერე, ღვთისხატად შექმნილი კაცის ნამდვილი სახე. სიჩქარესა და გაქცევის ფართიფართში დაშორებულ ბაბუასა და შვილიშვილს ერთმანეთი აპოვნინა და გაგანია ომში, გულმხეცობისა და დაუნდობლობის ატმოსფეროში „დაუშვებელი“, წარმოუდგენელი გულჩვილობა გამოავლინა.

როგორ გინდა, არ დაიჯერო, სამყაროს მარტო მზე კი არა, ადამიანის გული არანაკლებ ათბობს და ანათებს.

ვინმეს იქნებ დაუჯერებლადაც კი მოეჩვენოს ამბავი, მაგრამ მწერალი დაეჭვების საფუძველს არ ტოვებს. ზუსტი ფსიქოლოგიური ნიუანსია – აფხაზთა რაზმის მეთაური პროფესიით და მონოდებით პედაგოგი, აღმზრდელია. ამიტომ სიკვდილის თარეშის დროსაც მასწავლებლად რჩება, კვლავ სიცოცხლის, ვაჟკაცობის, დანდობის გაკვეთილს უტარებს ახალგაზრდა თანამებრძოლებს. საკუთარი თავის შეცნობის ურთულეს გზაზე მიუძღვის მათ და ყველაზე ბნელ და გაუვალ ლაბირინთებს უნათებს. მეთაური „უცნობი მომავლისაკენ გაუძღვა ყველაზე დიდ ბრძოლაში – საკუთარ თავთან ჭიდილში გამარჯვებულ მეომრებს“, – ასე მთავრდება მოთხრობა, რომლითაც ავტორმა გამძლე და ურღვევი ხიდი გადო ურთიერთშეცნობისა და დაფასების ძნელ გზაზე.

ადამიანური სევდითა და ნაზი ლირიზმითაა აღბეჭდილი კრებულის შემდეგი მოთხრობა – „ძახილი“. საკუთარ საცხოვრებელს ძალით მოწყვეტილი ზოსიმე ბიძია ბიჭების ბედს შენატრის. კიდევ რამდენი ზოსიმე ბიძია ფიქრობს ასე: „ბედნიერი ხეები. არავის მოუკვდინებია ისინი ძალად. არასოდეს გაუყენებიათ შორეული გზებისთვის და არასოდეს გაუზიდავთ უცხო მხარეში“.

ადამიანს ხომ ღრმად უდგას ფესვები მშობელ მინაში და სადაც უნდა იყოს, რა მიზეზითაც, რამდენი ხნითაც, ბოლო სურვილი მაინც სამშობლოში დაბრუნებაა. უკვდავების მაძიებელ ზღაპრულ ჭაბუკსაც მინა უხმობს, მინა ეძახის. ჩვენს ლიტერატურაში შემზარავ უბედურებადაა აღქმული და გააზრებული სხვაგან, სხვის მინაზე გარდაცვალება. ხომ გახსოვთ გიორგი ჭალადიდელის „მოგო-

ნება“: „ტანი უსულო და უგრძობარე, თუ გინდ შინ იყოს და თუ გინდ გარე, მაგრამ როგორღაც, დედაშვილობამ, სანატრელია სამშობლო მხარე“...

მიდის ზოსიმე ბიძია საითაც ადგილის დედა ეძახის, მიდის და სამუდამოდ იქვე რჩება სხეულით, მისი ვნებული, განანამეზბი, მაგრამ ბედნიერი სული კი ცათა სასუფეველს უერთდება. ზოსიმე ბიძიას აუსრულდა მრავალი თანამემამულის ოცნება. საკუთარ სახლში, საკუთარ მიწაზე მიიბარა მისი სული უფალმა, წილად წინაპართა საფლავებს შორის ხვდა განსვენება. ასე ნანატრი სიმშვიდე (მშვიდობა) დაეუფლა დაღლილ სულსა და სხეულს. „ახლა მას ნამდვილად შეეძლო ნეტარი ძილით სძინებოდა უკუნიითი უკუნისამდე...“

სხვათა შორის, ამ მოთხრობაში გამოთქმულია ერთი პარადოქსული, მაგრამ სავსებით სალი აზრი. ბრძოლის ველის მიტოვება, ბრძოლისთვის თავის არიდება ყოველთვის არ არის სიღაჩრის გამოვლინება, მეტიც, ზოგჯერ გამირობაა. ამ გამირობის ჩადენა კი მხოლოდ მოაზროვნე, საკუთარი ნებისა და პრინციპების მქონე პიროვნებას შეუძლია. ძნელია ეგზალტირებულ საზოგადოებაში დარჩე განსხვავებული შეხედულების ერთგული. ქვეშაობის, ომის უაზრობის, ყოფის აბსურდულობის შემცნობი მეომარი „ტოვებს ბრძოლის ველს არა შიშის გამო, არამედ სწორედ ამ გრძობის დათრგუნვის შემდეგ, მის გარშემო სხვათა ნებით შექმნილი ვითარებისადმი პროტესტის ნიშნად...“

მბდალი და ძაბუნნი ვერასოდეს ალუდგება წინ, ვერ აუხირდება საზოგადოებრივ განწყობას. სწორედაც ბრმად მიჰყვება და ემორჩილება მას, თხემით ტერფამდე განმსჭვალულია რწმენით: „თემს რაც სწადია მას იზამს თავის თემობის წესითა“.

ყველას გახსოვთ: ახალგაზრდა აკაკი წერეთელმა შეგნებულად თქვა უარი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა გაფიცვაში მონაწილეობაზე. ამის გამო ბევრი უსიამოვნება შეხვდა მეგობრებისგან, თანატოლებისგან, მაგრამ საკუთარ რწმენას, შეხედულებას არ უღალატა. რა უფრო იოლი იყო, აყოლოდა გაფიცულებს, ციხის სიმწარეც გამოეცადა და გამირის სახელიც მოეხვეჭა თუ აეტანა სხვა სტუდენტების დაცივნა, ქირდვა, ბეზლობა და ამის ფასად საკუთარი პრინციპების ერთგულება შეენარჩუნებინა? პირველი ბევრად ადვილი აღსასრულებელი და მომხიბლავიც ჩანდა. მხოლოდ ძლიერ, გაუზზარავი სულის ადამიანს შეუძლია გამოხატოს პროტესტი და ომიდან გამოორიდება გმირობად აქციოს.

კაცთა უსულგულობამ ათასობით ადამიანს დაუმსხვრია ზეცა, წაგლიჯა ყველაზე სანუკვარი ოცნებები, აუკრძალა ზღვიდან ამოსული მზის ცქერა, სიცოცხლით და სიყვარულით ტკბობა და დაუტოვა მხოლოდ მონატრების უფლება. დროთე მესხიასაც („დამსხვრეული ცის ბინადარი“) აფხაზეთიდან დროებით იძულებით გადაადგილებულ კაცს გული აქვს მოკლული „ბედის ბრუნვით“. არადა, თურმე იქ, ჩვენთვის სწორედ და მიუწვდომელ მხარეში ისევ ისე უსირცხვილოდ კამკაშებს მზე, ისევ ისე,



სხვისთვის მოპარული თუ წართმეული სინათლით ციმციმებენ ვარსკვლავები, ისევ ისე უდარდელად მღერის და ცეკვავს „წვიმა ბალერინა“.

არაფერი შეცვლილა ღვთის მიერ შექმნილ სამყაროში. მხოლოდ ჩვენ ვისჯებით, ვიტანჯებით მისი ვერხილვით რაღაც დიდი, საშინელი, მიძიმე ცოდვისთვის. უფლის წყალობად კი მირაჟი გვევლინება. სიზმრად თუ ცხადად ისე ნათლად ვხედავთ ჩვენს ქალაქს, შევიგრძნობთ ერთმანეთში არეული ზღვის, მაგნოლიისა და ყავის სუნს, გვესმის მარტო იქაურობისათვის დამახასიათებელი ხმებიც, რომ განცდა, რომელიც, წესით, კარგა ხანია უნდა გაგვექრობოდა, კვლავ ცხადად გვიპყრობს – არაფერი დაგვიკარგავს. ჩვენც ვხედავთ და ვგრძნობთ იმავეს, რისი დანახვა და გაგებაც შეძლო დროთე მესხიამ.

რამდენაირად შეიძლება საკუთარ სახლ-კარში დაბრუნების წარმოდგენა?! რამდენი ადამიანის თვალი უნდა გამოიხას მწერალმა, რომ ყველაფერი დაინახოს და ყველა შეხვედრა აღწეროს?! შესაძლებელია? არც საჭიროა. ამჯერად დროთე მესხიას მოგზაურობისთვის თვალის გადევნებაც კმარა. მისი თავგადასავალი ისეა განზოგადებული, რომ მასში კონკრეტული ბიოგრაფიების ამოცნობაც შეიძლება.

შემთხვევითი არაა, რომ მწერლის ყველაზე ადრეული მოგონება ტკივილს უკავშირდება. ტკივილის, ცრემლის, მწუხარე გრძობის გარეშე შეიძლება კი წერა? მწერლის, მესიტყვის ბედისწერაა სხვათა უბედურების განცდაც საკუთარივით, კერძოსა და ერთეულში ზოგადის და მრავალში ერთის, კონკრეტულის შემჩნევა. მე ვიცნობ წიგნის ავტორს და ვიცი – ისიც მაშინ არის ბედნიერი, როცა შენუხებულობა (სერგოს ოდნავ გამკრთალ ღიმილს ვხედავ: „საიდან უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს, როცა საკუთარი თავიც ვერ შეგვიმეცნებია“).

შემთხვევითი არაა, რომ მწერლის ყველაზე ადრეული მოგონება ტკივილს უკავშირდება. ტკივილის, ცრემლის, მწუხარე გრძობის გარეშე შეიძლება კი წერა? მწერლის, მესიტყვის ბედისწერაა სხვათა უბედურების განცდაც საკუთარივით, კერძოსა და ერთეულში ზოგადის და მრავალში ერთის, კონკრეტულის შემჩნევა. მე ვიცნობ წიგნის ავტორს და ვიცი – ისიც მაშინ არის ბედნიერი, როცა შენუხებულობა (სერგოს ოდნავ გამკრთალ ღიმილს ვხედავ: „საიდან უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს, როცა საკუთარი თავიც ვერ შეგვიმეცნებია“).

კითხულობ ამ მოთხრობებს და არ გიკვირს, მწერალს საკუთარ თავზე გამარჯვება რომ მიაჩნია ყველაზე დიდ და შთამბეჭდავ გამარჯვებად, საკუთარი თავის შეცნობა – ყველაზე ძველ და საპასუხისმგებლო საქმედ.

ეს წიგნი მომავლის იმედსა და რწმენას უნერგავს მკითხველს. ავტორი თვით ყველაზე სევდიანი მოთხრობებითაც გულს კი არ გვიმძიმებს, სწორედ პირიქით – მაჯლაჯუნასავით დაწოლილი უიმედობის ტყვეობიდან გამოყვავართ, სიბნელიდან სინათლისკენ მიმავალ გზაზე თავის დიდ, თბილ, სიყვარულითა და თანაგანცდით აღსავსე გულს გვთავაზობს. „იყო მწერალი – ნიშნავს გაანდო შენი სული ადამიანებს“ – სერგო წურჭულია მწერალია და თავის სათუთ, ფაქიზ სულს გვანდობს.

მე მჯერა, „სამყარო იმისთვის შეიქმნა, რომ შემდეგ წიგნებში აღწერილიყო“. ომებიც მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ თემა არ მოაკლდეს შემოქმედს. სერგო წურჭულია ეს წიგნი აფხაზეთში მომხდარი აბსურდული, ალოგიკური ომის ერთ-ერთი გამართლებაა.

ცნობილმა კუბელმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ – ხოსე მარტიმ მოთხრობა „სამი გმირი“ საყმანვილო ჟურნალ „ოქროს ხანისათვის“ დაწერა, რომელსაც თვითონვე გამოსცემდა ლათინური ამერიკის (როგორც ლათინები უწოდებენ, „ჩვენი ამერიკის“) ბავშვებისათვის.

კარგი საყმანვილო ლიტერატურა რომ მოზრდილთათვისაც საინტერესოა, ანბანური ჭეშმარიტებაა. ცნობილი ფრანგი მწერალი მიშელ ტურნიე, ცოცხალ კლასიკოსად აღიარებული (თვითონ ხუმრობს: ჩემი თხზულებანი კლასში ისწავლება, ე.ი. კლასიკოსი ვყოფილვარო), უფრო შორსაც წავიდა, როცა ერთ ფრანგულ ტელეგადაცემაში განაცხადა, ლიტერატურის ხარისხის ერთადერთი კრიტერიუმი ისაა, კითხულობენ და მოსწონთ თუ არა იგი ბავშვებსო.

ძნელია, ბოლომდე დაეთანხმო ტურნიეს, მითუმეტეს, რომ ამ კრიტერიუმით შეფასებისას პრუსტი და დოსტოევსკი უინტერესო მწერალთა რიგში ჩაგვიყენა, მაგრამ ხოსე მარტის ამ მოთხრობის წაკითხვა თამამად შეგვიძლია ვურჩიოთ რაგინდარა ასაკის მკითხველს. იგი თანაბარ ყურადღებას იმსახურებს თუნდაც იმით, რომ ისეთ მარადიულ და აქტუალურ თემებზე ჩაგვაფიქრებს, როგორცაა თავისუფლება, ღირსება და სამშობლო.

ხოსე მარტი

სამი გმირი

ამბობენ, ერთ საღამოს კარაკასში ერთი მოგზაური ჩამოსულა. სამოსიდან გზის მტკვერიც არ ჩამოუბერტყავს, ისე უკითხავს არა ის, თუ სად შეეძლო დანაყრება და მოსვენება, არამედ – ბოლივარის ძეგლი სად არისო. იმასაც ამბობენ, რომ მოგზაური მარტო მისულა მოედანზე აღმართულ სურნელოვან მაღალ ხეებთან და აქ ვითინებულა. ძეგლი კი თითქოს ისე გადმოხრილიყო მისკენ, როგორც მამა, პირმშო რომ მიუახლოვდება.

ის მოგზაური კარგად მოიქცა, რადგან ყველა ამერიკელს მართებს, ბოლივარი საკუთარ მამასავით უყვარდეს. მასთან ერთად უნდა უყვარდეს ყველა, ვინც ბოლივარით იბრძოლა, რათა ამერიკა ამერიკელისა ყოფილიყო; უკლებლივ ყველა – იქნება ეს სახელმძღვანელო გმირი თუ ვინმე ჯარისკაცთაგანი, რომელიც ასევე გმირია, ოღონდაც უცნობი და შთამომავალთაგან დაუფასებელი. ეს ადამიანები ლამაზებიც არიან, ვინაიდან სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა სულის მშვენიერება მათ სხეულებსაც ეფინება.

თავისუფლება – ეს არის ყოველი ადამიანის უფლება, იცხოვროს ღირსებით, ილაპარაკოს ფარისევლობის გარეშე. ამერიკაში ღირსეულად არც ცხოვრება შეეძლოთ, არც ფიქრი და არც ლაპარაკი.

ადამიანი, რომელიც მალავს თავის აზრებს და ვერ გაუბედავს, თქვას, თუ რას ფიქრობს, პატივისცემის ღირსი არ არის. ადამიანი, რომელიც ქედს უხრის უსამართლო კანონებს, ნებას აძლევს სხვას, ფეხქვეშ გათელოს ის და მისი ქვეყანა, პატივისცემის ღირსი არ არის.

ყრმა, მიაღწევს თუ არა დამოუკიდებელი აზროვნების ასაკს, ყველაფერს უნდა დაუფიქრდეს, რასაც მისი მზერა მისწვდება. უნდა იტანჯოს იმ ადამიანთა გამო, რომელთაც ღირსეულად ცხოვრება არ შეუძლიათ. უნდა რაიმე მოიმოქმედოს იმისათვის, რომ ყველამ შეძლოს, თავიდან აიცილოს უღირსებო ცხოვრება. და, რაღა თქმა უნდა, ჯერ თვითონ უნდა იქცეოდეს ისე, როგორც ღირსეულ კაცს შეეფერება. თუ ყრმას არ ანაღვლებს, რა ხდება მის გარშემო, თუ იგი ცხოვრების დინებას მიჰყვება და არც უფიქრდება, პატიოსნად ცხოვრობს თუ ნაძი-

რალასავით, მალე თვითონვე იქცევა ნაძირალად.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც ცხოველებზე უარესნი არიან, რადგანაც ცხოველისათვის თავისუფლება აუცილებელია, ბედნიერი რომ იყოს. დატყვევებული სპილო უარს ამბობს შთამომავლობის გაგრძელებაზე. პერუელი ლამა კი მინას განერთხმება და თავს მოიკლავს, თუ ინდიელი უდიერად მიმართავს, იმაზე მეტ ტვირთს აჰკიდებს, რისი ზიდვაც მას შეუძლია. ადამიანი იმდენად ღირსეული მაინც უნდა იყოს, როგორც სპილო ანდა ლამაა. თავისუფლების მოსვლამდე ამერიკაში ისე ცხოვრობდნენ, როგორც ლამა, რომელსაც უზარმაზარი ტვირთი აქვს წამოკიდებული. ან ტვირთის მოცილება ან სიკვდილი – სხვა გზა არ არსებობდა.

არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ კმაყოფილებით, მაგრამ ღირსებამოკლებულნი. მათი ყურება უსაშველო ტანჯვასა ჰგვრის სხვა ადამიანებს. ასეთებიც არიან. სამყაროში უნდა არსებობდეს ღირსების გარკვეული დოზა ისევე, როგორც სინათლის გარკვეული დოზა უნდა არსებობდეს.

იქ, სადაც ბევრი უღირსებო ადამიანია, ყოველთვის აღმოჩნდება რამდენიმე კაცი, რომლებიც თავის თავში ატარებენ ყველა დანარჩენის ღირსებას. ეს ადამიანები დამანგრეველი ძალით უჯანყდებიან მათ, ვინც ხალხებს თავისუფლებას ართმევს. ხალხისათვის თავისუფლების წართმევა კი თავისთავად გულისხმობს ადამიანისათვის ღირსების წართმევას. ამ ადამიანებს ათასობით მიჰყვებიან სხვები, მათ მთელი ხალხი და თვით ადამიანური ღირსება მიჰყვება თან. ისინი წმინდანნი არიან. ბოლივარი – ვენესუელადან; სან მარტინი – რიო დე ლა პლატადან; იდალგო – მექსიკიდან. მათ შეცდომებიც უნდა მივუტევოთ, რადგან მათ მიერ ქმნილი სიკეთე ამ შეცდომებს ბევრად აღემატება. ადამიანი მზუზე სრულყოფილი ვერ იქნება. მზე კი იმავ სხივებით, რითაც გვათბობს, გვწვავს კიდეც ზოგჯერ. მზეს ლაქებიცა აქვს. უმადურნი მხოლოდ ლაქებს ამჩნევენ, სხვები კი – მადლიერნი – ნათებას.



ბოლივარი ტანმორჩილი კაცი იყო. თვალებით ელვას ისროდა, სიტყვები კი ნყალივით მოედინებოდა მისი პირიდან. მუდამ მზად იყო, ცხენს შემოხტომოდა. თავისი სამშობლო, თავისი ჩაგრული ქვეყანა გულზე მიძიმედ აწვა და მოსვენებით ცხოვრების უფლებას არ აძლევდა. ამით თითქოს მთელი ამერიკაც იღვიძებდა. ერთი ადამიანი არასოდეს უდრის მთელ ხალხს, მაგრამ მაშინ, როდესაც მთელი ხალხი ქანცგანყვეტილია, ვიღაცას დალლა არ ემჩნევა. ასეთი ადამიანები უფრო ადრე იწყებენ ბრძოლას, ვიდრე მთელი ხალხები, რადგანაც მათ არ სჭირდებათ, რჩევას დაეკითხონ ვინმეს, გარდა საკუთარი თავისა. ხალხი კი უამრავი ადამიანისაგან შედგება, რომლებიც ასე სწრაფად ვერ მოითათბიერებენ. ბოლივარის დამსახურება სწორედ ის იყო, რომ არასოდეს დალილია ვენესუელის გაათავისუფლებისათვის ბრძოლაში მაშინ, როდესაც მთელი ვენესუელა დალილობას მისცემოდა. ესპანელებმა აიძულეს ბოლივარი, თავისი ქვეყანა დაეტოვებინა. მან თავი შეაფარა ერთ კუნძულს, საიდანაც შეეძლო სამშობლოსათვის ემზირა, მასზე ეფიქრა.

ერთი კეთილშობილი ზანგი დაეხმარა ბოლივარს მაშინ, როდესაც უკვე აღარავინ ფიქრობდა მის შემნობას. და ერთ მშვენიერ დღეს მან კვლავ გააჩაღა ბრძოლა სამას გამართან ერთად, სამას გაათავისუფლებელთან ერთად. მან გაათავისუფლა ვენესუელა. მან გაათავისუფლა ახალი გრენადა. მან გაათავისუფლა ეკვადორი. მან გაათავისუფლა პერუ. მან დააფუძნა ახალი ერი, ბოლივიელი ერი.

ფეხშიშველი და სამოსშემოფლეთილი ჯარისკაცებით დიდებული ბრძოლები მოიგო. მის ირგვლივ ყველაფერი ზანზარებდა და ყველაფერი ბრწყინავდა. გენერლები ზეადამიანური სიმამაცით იბრძოდნენ მის მხარდამხარ. ეს იყო ახალგაზრდა არმია. ქვეყნად არასდროს ამდენი არ უბრძოლიათ, არასდროს ასე კარგად არ უბრძოლიათ თავისუფლებისათვის. მაგრამ ბოლივარს ისეთივე გზებით არ უცდია, დაეცვა ადამიანთა უფლებები, ყოფილიყვნენ თავიანთი თავის გამგებლები, როგორითაც ამერიკის თავისუფლებას იცავდა. შურიანებმა გააზვიადეს მისი ნაკლოვანებები. ბოლივარი იმსხვერპლა არა იმდენად ნამდვილმა სენმა, რამდენადაც მრავალჭირგამოვლილმა გულმა. იგი გარდაიცვალა სანტა-მარტაში, ერთი ესპანელის სახლში. მოკვდა ლარიბი, მაგრამ ხალხთა მთელი ოჯახი დატოვა.



მექსიკას ჰყავდა ღირსეული ქალები და ვაჟები. ისინი ცოტანი იყვნენ, მაგრამ ბევრს უდრიდნენ. ექვსიოდე კაცი და ერთი ქალი ამზადებდნენ ქვეყნის გაათავისუფლებას. მამაც ყმანვილებთან ერთად იღვწოდნენ ერთი ლიბერალი ქალბატონის მეუღლე და სამოცი წლის სოფლის მღვდელი, რომელსაც ძალზე უყვარდა ინდიელები.

მღვდელი იდალგო სიჭაბუკიდანვე კეთილთა რასას ეკუთვნოდა – მათ, ვისაც ცოდნა სწყურია. ცოდნას ვინც არ ეძიებს, მისი ადგილი ბოროტთა რასაშია. იდალგომ ფრანგული იცოდა, რაც იმ დროს გამორჩეულად ფასობ-

და, რადგან ფრანგულს ცოტა თუ ლაპარაკობდა. ნაეკითხა მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფოსთა ნიგნები, რომლებიც გვიხსნის ადამიანთა უფლებებს: უფლებებს, ვიყოთ ღირსეულინი, ვიფიქროთ და ვილაპარაკოთ ფარისევლობის გარეშე. უყურებდა მონა ზანგებს და გული ძრწოლვით ევსებოდა. უყურებდა, რა ავად ექცოდნენ ინდიელებს, ამ სათუთ და კეთილშობილ ადამიანებს და მათ შორის თავს ისე გრძნობდა, როგორც უფროსი ძმა; ასწავლიდა სხვადასხვა ფაქიზ ხელოვნებასა თუ ხელობას, რასაც ინდიელი ადვილად ითვისებს: მუსიკას, რომელიც ამშვიდებს; ჭიის

მხატვარი ზურაბ ნიყარაძე

მოყვანას, რომელიც აბრეშუმს იძლევა; ფუტკრის მოშენებას, რომელიც თავს იძლევა.

შინაგანი ცეცხლი მოსვენებას არ აძლევდა და სულ რაღაცას აკეთებდა. თავისი ხელით ამოაშენა ქურა და აგურებს ნვაგდა. ხშირად ხედავდნენ, როგორ უკაშკაშებდა მწვანე თვალები. ყველას პირზე ეკერა სოფელ დოლორესის მღვდელი, რომელიც უებროდ საუბრობდა, უამრავი სიახლე იცოდა და მოწყალებასაც უხვად გასცემდა. იმასაც ამბობდნენ, ხშირად დაიარება ქალაქ კერტაროში, სადაც რამდენიმე ყოჩაღ ყმანვილსა და სათნო ქალბატონის მეუღლეს ხვდებოდა. ვიღაცამ გასცა და ესპანელ მმართველს აცნობა, კერტაროელი მეგობრები მექსიკის გაათავისუფლებას ლამობენო.

იდალგო ცხენს შემოახტა და თან გაიყოლა მთელი სოფელი, რომელსაც იგი წრფელი გულით უყვარდა. გზად უერთდებოდნენ დიდი მამულების ზედამხედველები და მსახურები და ეს იყო მისი კავალერი; ამას ქვეითები მოჰყვებოდნენ – ქვებითა და ისრებით, ან კიდევ შუბებითა და შურდულებით შეიარაღებული ინდიელები. ერთი პოლკიც შემოიერთეს და ესპანელებისაკენ მიმავალი დენით დატვირთული ალალიც ჩაიგდეს ხელთ. ტრიუმფით შევიდა სელაიაში, მუსიკითა და გა-

მარჯვების შეძახილებით მიაცილებდნენ. მეორე დღეს ქალაქის საბჭო მოიწვია, რომელმაც გენერლის წოდება მიანიჭა. აი, ასე იბადებოდა ახალი ხალხი.

შუბებსა და ჭურვებს საკუთარი ხელით აკეთებდა. ისეთ სიტყვებს წარმოთქვამდა, ერთი ზედამხედველის თქმისა არ იყოს, ნაპერწკლები რომ სცვიოდა და გულს ათბობდა. ზანგები თავისუფლებად გამოაცხადა. ინდიელებს მინები დაუბრუნა. გამოსცა გაზეთი, რომელსაც „ამერიკის მალვიძარა“ დაარქვა. იგებდა და აგებდა ბრძოლებს. ერთ დღეს ისრებით შეიარაღებული შვიდი ათასი ინდიელი რომ ერტყა გარს, მეორე დღეს მარტო რჩებოდა. ნაძირალებს უნდოდათ, საძარცვად და ესპანელებზე შურის საძიებლად გაძლოლოდა. ის კი ესპანელ მეთაურებს უთვლიდა, ბრძოლაში რომც დაგამარცხოთ, შინ ყოველთვის მეგობრებად მიგიღებთო. სიდიადეც ამას ჰქვია! გაბედულება ჰყოფნიდა, სულგრძელი ყოფილიყო და არ შეშინებოდა, რომ მარტო დატოვებდნენ სალდაფონები, რომლებიც მისგან სისასტიკეს ითხოვდნენ.

ერთი თანამებრძოლი, სახელად ალიენდე, შურმა შეიპყრო და იდალგომ მას მეთაურობა დაუთმო. ერთხელ დაქსაქსულები თავშესაფარს ეძებდნენ და ესპანელები დაეცნენ თავს. იდალგო აბუჩად რომ აეგდოთ, სულ სათითაოდ გააძრეს მღვდლის სამოსი. მერე კედელთან მიაყენეს და თავში ესროდნენ. ძირს რომ დაეცა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და საკუთარ სისხლში ცურავდა. მიწაზე მოუთავსეს ხელი. ეს არ აკმარეს და თავი მოაჭრეს, გალიით გამოჰკიდეს სწორედ იმ გრანადიტას ხორბლის ბაზარში, სადაც მისი მთავრობა იმყოფებოდა. ბევრი უთავო მკვდარი მიიბარა მიწამ. მაგრამ მექსიკა თავისუფალია.

სან მარტინი იყო სამხრეთის გამათავისუფლებელი, არგენტინის რესპუბლიკისა და ჩილეს მამა. მშობლები ესპანელები ჰყავდა და ესპანეთში გააგზავნეს, რათა მეფის ჯარისკაცი გამხდარიყო. როდესაც ნაპოლეონი ესპანეთში შეიჭრა თავისი არმიით და ესპანეთის თავისუფლება ხელჰყო, მთელი ქვეყანა აღსდგა ფრანგებთან საბრძოლველად: იბრძოდნენ მოხუცები, ქალები, ბავშვები; ერთი მამაცი კატალონიელი ბიჭი ღამით მთაში დაიმალა და ისე ისროდა ტყვიას ტყვიაზე, მთელი ჯარი გააქცია. ბიჭი მკვდარი იპოვეს, შიმშილითა და სიცივიტ მომკვდარიყო, მაგრამ სახეზე ნათელი ფეინა და ბედნიერი ილიმებოდა.

სან მარტინმა თავი გამოიჩინა ბაილენის ბრძოლაში და ლეიტენანტ-პოლკოვნიკი გახდა. ბევრი ლაპარაკი არ იცოდა; ფოლადისაგან ჩამოსხმული გეგონებოდათ; მზერა არწივისას უგავდა; ურჩობას ვერავინ შეჰბედავდა; მისი ცხენი ელვასავით დაქროდა ბრძოლის ველზე.

როგორც კი შეიტყო, ამერიკა თავისუფლებისათვის იბრძვისო, უმალ ამერიკაში გაჩნდა. რაში აქნევდა კარიერას, თუკი მოვალეობა უხმობდა? ბუენოს აირესში ჩავიდა; მოწოდებები არ წარმოუთქვამს; ცხენოსანი ესკადრონი შეჰყარა და პირველი ბრძოლა სან ლორენცოში გამართა; ხმალამონვდილი სან მარტინი ზურგში მოექცა ესპანელებს, რომლებიც თავდაჯერებულები, დაფდაფითა და ნალარით მოდიოდნენ; დაფდაფებიც დაატოვებინა, ზარბაზნებიცა და ბაირალიც.

ამერიკის სხვა ქვეყნებში ესპანელები იმარჯვებდნენ: ბოლივარი მორილიო სასტიკმა გააძევა ვენესუელიდან; იდალგო მოჰკლეს; ო'ჰიგინის ჩილიდან გააქციეს; მაგრამ იქ, სადაც სან მარტინი იმყოფებოდა, ამერიკა თავისუფალი რჩებოდა.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც მონობას ვერაფრით დაითმენენ. სან მარტინი ასეთი იყო და გაათავისუფლა კიდევ ჩილე და პერუ. თვრამეტ დღეში გადალახა მისმა პოლკმა ანდების ყინულოვანი მწვერვალები: მშიერ-მწყურვალი კაცები თითქოს ცაში დააბიჯებდნენ; ქვემოთ, სულ ქვემოთ, ხეები ბალახის ღეროებით მოჩანდნენ, ლომებით ღრიალებდნენ ქარიშხლები.

სან მარტინი ჯერ მაიპუს ბრძოლაში ამარცხებს ესპანეთის არმიას, შემდეგ კი საბოლოოდ ანადგურებს მას ჩაკაბუკოს ბრძოლაში. ათავისუფლებს ჩილეს და ჯართან ერთად გადადის პერუში. ათავისუფლებს პერუსაც, მაგრამ იქ უკვე იმყოფება ბოლივარი და დიდების პატივს მას უთმობს. ეული ბრუნდება ევროპაში და თავისი ქალიშვილის, მერსედესის მკლავებში განუტყევებს სულს.

ანდერძს ისე წერდა ფურცელზე, თითქოს საომარ გეგმას ადგენსო. დროშა, რომელიც ოთხი საუკუნის წინათ კონკისტადორმა პისარომ ჩამოიტანა ამერიკაში და მერე სან მარტინს აჩუქეს, პერუს უანდერძა.

ალტაეების ღირსია მოქანდაკე, რომელიც ტლანქი ქვისაგან სახეებს ჰქმნის; ის ადამიანები კი, რომლებიც ხალხებს ჰქმნიან, ადამიანებზე მეტნი არიან. ზოგჯერ იმასაც მოინადინებენ ხოლმე, რისი წადილიც არ ეგების, მაგრამ რას არ მიუტყევეს პირმშო მშობელს? გული სიყვარულს ვერ იტევს, როცა ეს გიგანტი დამფუძნებლები გვახსენდება.

ესენი გმირები არიან: ადამიანები, რომლებიც ხალხების თავისუფლებისათვის იბრძვიან, ლტაკები და შერისხულები დიად სიმართლეს უდგანან ქომაგად. ისინი კი, ვისაც საბრძოლველად პატივმოყვარეობა, კაცთა დამონების, ძალაუფლებისა და სხვისი მინების მოპოვების უინი უბიძგებს, გმირები კი არა, დამნაშავენი არიან მხოლოდ.

ესენი გმირები არიან: ადამიანები, რომლებიც ხალხების თავისუფლებისათვის იბრძვიან, ლტაკები და შერისხულები დიად სიმართლეს უდგანან ქომაგად. ისინი კი, ვისაც საბრძოლველად პატივმოყვარეობა, კაცთა დამონების, ძალაუფლებისა და სხვისი მინების მოპოვების უინი უბიძგებს, გმირები კი არა, დამნაშავენი არიან მხოლოდ.

კვირას, 24 მაისს
აღმოსავლურ კაფე
„ქარავანისა“
და
გამომცემლობა „დიოგენეს“
თაოსნობით
გაიმართება შეხვედრა
ვახუშტი კოტეტიშვილთან
დასაწყისი 15 საათზე
ფურცელადის 10

ესპანურიდან თარგმნა
ნინო ცინიაპურიძე

**თბილისში
ნაგასვენებლად**

დღისით ხალისიანი იყო ხოლმე; მასხარობდა, ძველებურად ყველაფერი აინტერესებდა, სადამოობით კი დუნდებოდა, გულგრილობა იპყრობდა, ადრე წვებოდა დასაძინებლად. ითხოვდა, ჩემთან არავინ შემოუშვათო.

1989 წლის გაზაფხულზე სერგო ფარაჯანოვი, ცნობილ კინომცოდნე კორა წერეთელთან ერთად, სტამბოლში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე ყოფილა მინვეული. ქ-ნი კორა წერს, სტამბოლში დავრწმუნდი, რომ სერგო მართლაც ავად იყო. მანამდე მისი სიტყვები არც მე მჯეროდაო. „სისხლს ვახველებ. ეტყობა ქლეკი მჭირს, როგორც მარგარიტა გოტიეს, როგორც ვიოლეტას“, – ამბობდა ფარაჯანოვი და ლილინებდა არიას თავისი საყვარელი ოპერიდან.

ეგონათ, რომ ხუმრობდა. გეყოფა, ნუ მაიმუნობ, ვიცით, რა ქლეკიც განუხებ-სო.

ფესტივალის ბოლო დღეს ბაზარში გაუვლიათ. ფარაჯანოვს კი თურმე მთელ ქალაქში ეძებდნენ, რომ გადაეცათ ერთ-ერთი მთავარი ჯილდო – ფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზი „აშუკ-ყარბის-თვის“. აცნობეს, საზეიმო ცერემონიალი დასასრულს უახლოვდებო.

სასწრაფოდ გაეშურნენ ფესტივალზე. გზაში ქ-ნი კორა უხსნის ფარაჯანოვს, მაყურებლის წინაშე უნდა წარსდგე და ტრადიციული მადლობა გადაიხადო. ხაზს უსვამს, მხოლოდ მადლობაო და აფრთხილებს: „არ დაგავიწყდეს, რომ თურქეთში ვიმყოფებით. ერთი სიტყვაც არ წამოგცდეს ყარაბაღზე“.


შედიან დარბაზში. კინოფესტივალის დირექტორი ტაშით ესალმება ფარაჯანოვს და სცენაზე იწვევს. დარბაზიც ტაშს უკრავს.

ფარაჯანოვს თვალეტი გაუბრწყინდა – ხელთ იგდო აუდიტორია და მეტიც აღარაფერი უნდა! ჯერ აცხადებს, რომ მისი ხალათი ოდესღაც „უხეზოდა ნადირ-შაჰის სხეულს“ (სინამდვილეში მისივე ესკიზის მიხედვით მეზობელს შეუკერია რაღაც ნაფლეთებისგან).

მერე კი ყარაბაღს მიადგება.

ეს იყო ყველაზე საოცარი სიტყვა, რომელიც ოდესმე მომისმენიაო, – გვამცნობს კორა წერეთელი.

ფარაჯანოვი ლაპარაკობდა ორი მეზობელი ხალხის დაპირისპირების უაზრობასა და სისასტიკეზე. როცა ყარაბაღში ჩემი თვისტომების სისხლი იღვრებოდა, თურქ აშულზე ფილმს ვამონტაჟებდითო. აშულთა სიმღერა გაგიჟებთ მიყვარს და ბაქოში უამრავი მეგობარი შევიძინეო.



სერგო ფარაჯანოვი სტამბოლის ბაზარში, 1989 წელი

სიტყვა ასე დაუმთავრებია: „ღმერთი ერთია!“

ბრუნდებიან სასტუმროში. თან ახლავთ სტამბოლში მცხოვრები სომეხი ფოტოგრაფი.

ფარაჯანოვი რაღაც ჭინჭებს ყიდულობს თბილისელი მეზობლებისათვის. ქ-ნი კორა შეამჩნევს, რომ ბნელ ქუჩაზე რამდენიმე ახალგაზრდა აედევნათ, რაღაცას ლაპარაკობენ გაცხარებით და მტრულად ათვალისწინებენ სტუმრებს. სომეხი ფოტოგრაფი შემფოთებულია. ქ-ნი

კორა ანიშნებს, სერგოს ყურადღება არ მიიზიდოო. ახალგაზრდა თურქი უახლოვდება კორა წერეთელს და დაკეცილ ქალადს აჩეჩებს ხელში. ტექსტი ინგლისურ ენაზეა: „შენ, უბადრუკო რეჟისორო! ამჯერად გვიპატიებია. აღარ გაბედო ყარაბაღის ხსენება. გაუმარჯოს აზერბაიჯანს!“ და ხელმონერა – ახალგაზრდა თურქი პოეტები.

კორა წერეთელმა სასტუმროს ჰოლშილა ამოისუნთქა შვებით. სომეხი ფოტოგრაფი პირჯვარს იწერს და ხმამაღლა წარმოთქვამს: „მადლობა შენდა, უფალო!“

ფარაჯანოვი ახლავს გამოერკვევა. იკითხავს, რა მოხდაო? ეუბნებიან. სწყინს,

მაშინვე რატომ არ მითხარითო. ფოტოგრაფი ამტკიცებს, ყური მოვკარი, ჩვენზე თავდასხმას აპირებდნენო.

ფარაჯანოვი მთელი სასტუმროს გასაგონად აყვირდება, ფეხებს აბაკუნებს იატაკზე და ხელებს იქნევს:

– როგორ გაბედეთ, რომ არ მითხარით?!

– ეს რომ შენთვის გვეთქვა, მართლაც გამოიწვევდი თავდასხმას.

– ძალიანაც კარგი! რას გავიხარებდი! შენ რაო, გინდა, რომ ლოგინში ამომძვრეს სული? ვინა გთხოვა, ასე რომ მიფრთხილდები? გრიბოედოვივით მინდა მოვკვდე. მომკლავდნენ და გრიბოედოვივით თბილისში წამასვენებდით!

– გრიბოედოვი ხომ ირანში მოკლეს!

– ღმერთო ჩემო! როგორი შეზღუდული ხარ! რა მნიშვნელობა აქვს, სად მოკლეს – ირანში თუ პარიზში. ხომ მოკლეს და მეც ეგრე მომკლავდნენ.

თბილისში სერგო ფარაჯანოვი გემრიელად ჰყვებოდა, რომ სტამბოლში მოკვლას უპირებდნენ და კორა წერეთლის მოტაცებას ცდილობდნენ გამოსასყიდის მისაღებად. „იანიჩართა“ ხროვას მარტოდმარტო ვიგერიებდითო. მომხდარის სხვადასხვა ვერსიებს თხზავდა.

სიცოცხლე კი თურმე დასასრულისკენ მიექანებოდა.

გრიბოედოვივით სიკვდილი არ ეღირსა. ლოგინში განუტყვა სული და ერევანში წაასვენეს.

ჟანა დ'არკი ვაშინგტონში

ჰოლივუდის სახელგანთქმული ვარსკვლავი ინგრიდ ბერგმანი ჟანა დ'არკის როლს ასრულებდა მაქსუელ ანდერსონის პიესაში „ჟანა ლოტარინგელი“.

იდეა 1946 წელი. ნიუ-იორკის შემდეგ ვაშინგტონში უნდა გაემართათ სპექტაკლები.

და აი აქ, თავისუფლებისა და დემოკრატიის ბურჟუაზი ნოდებულ ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში, წარმოშობით შვედმა მსახიობმა შეიტყო მისთვის თავზარდამცემი ამბავი: ზანგებს თეატრში შესვლის უფლება არა ჰქონდათ.

ინგრიდ ბერგმანი თავის მემუარებში გაცხადებით წერს: „ჩვენ ვაშინგტონში ჩავიტანეთ პიესა თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებაზე – აკეთოს ის, რასაც მისი სინდისი კარნახობს, ეს-ეს არის დამთავრდა დიდი ომი თავისუფლებისათვის და აქ კი ზანგს არ შეეძლო ეყიდა ბილეთი და შესულიყო თეატრში“.

განრისხებულმა ვარსკვლავმა პირში მიახალა პიესის ავტორს:

– თქვენ უნდა გრცხვენოდეთ! ჩამოიტანო ასეთი პიესა ვაშინგტონში, როდესაც მშვენივრად იცი, თუ რა ხდება აქ. ვინმეს ადრე რომ ეთქვა ჩემთვის, ზანგებს ნება არა აქვთ, ეს პიესა ნახონო, ჩემი ფეხი არ იქნებოდა ამ ქალაქში.

დრამატურგი ამშვიდებს ინგრიდს და სთხოვს, პრესასთან ამაზე კრინტიც არ დასძრათო. აფრთხილებს: თავს დაგატყდებათ უსიამოვნება და პიესასაც დაღუპავთო.

ინგრიდ ბერგმანი აინუნშიც არ აგდებს გაფრთხილებას, პრემიერის წინა დღეს ხვდება ჟურნალისტებს და აუნწყებს, ვაშინგტონში აღარასოდეს დაებრუნდებიო. გულახდილად უხსნის თავისი აღშფოთების მიზეზს.

მისი განცხადება დაიბეჭდა ყველა გაზეთში. მიუხედავად ამისა, თეატრს აურაცხელი ხალხი მოაწყდა სპექტაკლის სანახავად.

ხოლო თეატრის შესასვლელთან თავმოყრილი რასისტები აფურთხებდნენ ჰოლივუდის კამკამა ვარსკვლავს და ასე ამკობდნენ: შე შავტრუხას საყვარელოო!

პრემიერამ დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა. ფიქრობდნენ, რომ ინგრიდი „სიკვდილის კოცნას“ დაიმსახურებდა პრესისგან, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლბულა.

ყოველ საღამოს ინგრიდი ბეჯითად გამოდიოდა სცენაზე და წარმოთქვამდა ჟანა დ'არკის მონოლოგს, მაქსუელ ანდერსონს რომ შეუთხზავს: „ყოველი კაცი სწირავს თავის სიცოცხლეს იმას, რაც სწამს. ყოველი ქალიც სწირავს თავის სიცოცხლეს იმას, რაც სწამს. არიან ადამიანები, რომელთაც მცირედ სწამთ ანდა არაფერიც არა სწამთ. და მიუხედავად ამისა, ისინიც სწირავენ თავის სიცოცხლეს ამ მცირედდენს ანდა არაფერს. ჩვენ მხოლოდ ერთი სიცოცხლე მოგვეპოვება და ჩვენ ვცხოვრობთ, როგორც ძალგვიძს. მაგრამ უარი თქვა საკუთარ თავზე და იცხოვრო ყოველგვარი რწმენის გარეშე – ეს სიკვდილზე უფრო საზარელია და კიდევ უფრო საზარელია, ვიდრე სიკვდილი თუნდაც ახალგაზრდობაში“.

ინგრიდ ბერგმანი ირონიულად შენიშნავს: ჟანა თვრამეტი წლისა იყო და იგი კოცონზე დანვესო. მე კი წილად მხვდა ბრიყვთაგან შეფურთხება და ლანძღვა-გინებაო. მხარდამჭერი წერილები კი მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოსდიოდა.

კიდევ შვიდი წელიწადი (მერამდენე!) დასჭირდა ამერიკას, რომ გაეუქმებინა ზემოთქმული დისკრიმინაცია.

ინგრიდ ბერგმანს, ალბათ, უმცირესი წვლილი მაინც მიუძღოდა ამ ჰეპი-ენდში.

ქრონიკა

2007 წლის 15 მარტს თბილისის I საჯარო სკოლისა (პროექტების კოორდინატორი ცირა კილანავა) და სკოლა-კომპლექს „სადუნის“ (წიგნის მოყვარულთა კლუბის ხელმძღვანელი ელენე ბედუკაძე) ინიციატივით გამოცხადდა რესპუბლიკური კონკურსი მოსწავლეთა შორის ილია ჭავჭავაძის შემოქმედების საუკეთესო მცოდნის გამოსავლენად.

ინიციატივას მხარი დაუჭირა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და ფონდმა „ირმის ნახტომი“, რომელმაც განახორციელა საინფორმაციო უზრუნველყოფა (სწორედ ამ ინიციატივის შემდეგ დაემატა გვერდი სასკოლო ინიციატივებისთვის „ირმის ნახტომის“ ვებ გვერდზე).

პროექტი მიძღვნილია ილიას საიუბილეო თარიღისადმი და განზრახულია მისი ყოველწლიური განხორციელება.

პროექტის მიზანია ქართველი ერის ისტორიაში ამ ყოველმხრივ მნიშვნელოვანი ფიგურის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია სკოლებში, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და საქართველოს სხვადასხვა კუთხესა და საზღვარგარეთ მცხოვრებ მოსწავლეთა დაახლოება, შეხვედრების მოწყობა და საერთო საქმეში ჩართვა.

განსაკუთრებით წარმატებულ კონკურსანტთა დაჯილდოება, ნახალისება, მათთვის ჯანსაღი კონკურენციის გარემოს შექმნა, თვითდამკვიდრებისთვის სათანადო ასპარეზის შეთავაზება, მარადიულ ფასეულობებზე ფიქრის უნარის განვითარება.

კონკურსი ორ ეტაპს ითვალისწინებს.

I ეტაპზე მონაწილეებს დაევეალათ არჩეული სექტორების მიხედვით (ილიას პროზა, პოეზია და პუბლიცისტიკა) ტექსტების დამუშავება ფაქტობრივი ცოდნის დონეზე (ყველა კონკურსანტისათვის სავალდებულო იყო ილიას ბიოგრაფიის ცოდნა).

20 მაისს თბილისის I საჯარო სკოლაში ჩატარდა წერილი გამოცდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 126-მა კონკურსანტმა.

II ეტაპზე გავიდა 50 მონაწილე (პროზის სექტორიდან – 30, პოეზიიდან – 7, პუბლიცისტიკიდან – 13).

I ივნისს სკოლა-კომპლექს „სადუნში“ შედგა შეხვედრა II ეტაპზე გასულ კონკურსანტებთან. შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები მაია ნინიძე და როსტომ ჩხეიძე და ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის დირექტორი, კრიტიკოსი ანდრო ბედუკაძე.

მაია ნინიძემ ისაუბრა ილიას პროზისა და პოეზიის სახისმეტყველების საკითხებზე, მათს ქრისტოლოგიურ გააზრებაზე...

როსტომ ჩხეიძემ ისაუბრა ილია ჭავჭავაძის ცხოვრების გზის შესახებ ეპოქის ფონზე და ამ პიროვნების ადგილის შესახებ ქართველი ერის ისტორიაში.

ანდრო ბედუკაძემ ისაუბრა ილიას პუბლიცისტიკაზე, მისი წერილების აქტუალობაზე... წარმატება უსურვა მონაწილეებს და ოფიციალურად მიიწვია საგურამოში დასკვნით ღონისძიებაზე, რომელიც გაიმართება 2007 წლის ოქტომბერს.

კონკურსანტებს მიეცათ საზაფხულო დავლება. დასკვნით ღონისძიებამდე იგეგმება სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ჩატარება.